HEINRICH BÖLL STIFTUNG
თბილისი
სამხრეთ კავკასია

# ქალები მედიცინაში




ანა
ბაქანიძე

# სარჩევი

ქალები მედიცინაში 3
- სამედიცინო სერვისები ქალებისთვის 4
- ქალები მედიცინაში – განათლება და დასაქმება 9
- მსოფლიო ამბები 19

საარქივო პრესის მასალები (1866-1909 წლები) 22

გამოყენებული ლიტერატურა 109

WOMEN IN MEDICINE (IN THE GEORGIAN PRINTED PRESS OF THE XIX-XX CENTURIES) 110
- Medical services for women 111
- Women in Medicine – Education and Employment 113
- World News 118

BIBLIOGRAPHY 120

გარეკანის დიზაინი: თათია ნადარეიშვილი

გარეკანზე წარმოდგენილი ფოტომასალა დაცულია
ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში."

# ქალები მედიცინაში

„ქალები მედიცინაში“ – ასე ეწოდება კვლევას, რომლის მიზანი XIX საუკუნის II ნახევრის ქართული პერიოდული გამოცემების („დროება,“ „ივერია,“ „ცნობის ფურცელი“) დამუშავება და იმ ძირითადი საარქივო მასალების თავმოყრა იყო, რომლებიც ქალთა სამედიცინო სფეროში ჩართულობას უკავშირდება.

აღნიშნული პერიოდის ქართული პრესა მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროა. იმ დროის ჟურნალ-გაზეთებში შემონახულია უხვი და მრავალფეროვანი მასალა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე.

აღსანიშნავია, რომ პრესა, სხვა თემატიკასთან ერთად, აქტიურად აშუქებდა სამედიცინო სფეროში ქალთა მონაწილეობის საკითხსაც. კორესპონდენტებისთვის საინტერესო იყო როგორც საქართველოში მიმდინარე მოვლენები, ისე მთელი მსოფლიოს მასშტაბით არსებული სიახლეები. მასალათა ფორმატი განსხვავებულია, გვხვდება როგორც მცირე სტატიები და განცხადებები, ისე მიმოხილვითი და ანალიტიკური პუბლიკაციები. ბროშურაში წარმოდგენილი სტატიების ერთი ნაწილი სრულად სამედიცინო საკითხებზეა, მეორეში კი – კვლევისთვის საინტერესო თემატიკა ფრაგმენტულად გვხვდება. ასეთ შემთხვევაში სამედიცინო სფეროსთან დაკავშირებული ნაწილი ხაზგასმულია.

წინამდებარე ბროშურაში მასალა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, იმ პერიოდის ბეჭდური ენისა და სტილის დაცვით, უცვლელი სახითაა წარმოდგენილი. აქვეა ის ვიზუალური ჩანართებიც, რომლებიც დამუშავებულ ჟურნალ-გაზეთებში გვხვდება. ჩვენი საკვლევი პერიოდი მოიცავდა 1866-1909 წლებს. თავმოყრილ მასალაში რამდენიმე საკვანძო მიმართულება იკვეთება:

- ექიმი ქალები საქართველოში და საზღვარგარეთ (მოკლე ცნობები, ისტორიები, განცხადებები, სამედიცინო საზოგადოებების ანგარიშები და სხვა);
- ქალთა სასწავლო სამედიცინო დაწესებულებები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ;
- ქალების ჩართულობა აკადემიურ/სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობაში (მედიცინის მიმართულებით);
- სამედიცინო მომსახურების ორგანიზება და ხელმისაწვდომობა ქალებისთვის;
- თემასთან დაკავშირებული სხვა მასალები (სარეკლამო განცხადებები და ა.შ.).

საარქივო სტატიებში კარგად ჩანს ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები და ეპოქის შესაბამისი გამოწვევები, წარმატებები და მიღწევები. შესავალ სტატიაში წარმოდგენილი მსჯელობა და დასკვნები სრულად ეფუძნება ქართული პრესის მასალებს, ამ ნაწილში მოკლედ განვიხილავთ ბროშურაში თავმოყრილი მასალების თემატიკას/ძირითად საკითხებს.

# სამედიცინო სერვისები ქალებისთვის

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დასაბამს იღებს საქართველოს თანამედროვე მეცნიერული მედიცინა. ამავე პერიოდში საქართველოში (ძირითადად, თბილისში) სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებები გაიხსნა, მაგ.: „მიხეილის საავადმყოფო," „საფერშლო სკოლა," „საბებიო ინსტიტუტი და სამშობიარო ღოსპიტალი," „საბავშვო საავადმყოფო," საავადმყოფო „სულით დაავადებულთათვის," მეტეხის სატუსაღოს სამკურნალო, ავლაბრის „სასიფილაქტიკო საავადმყოფო," საავადმყოფო ქუნთრუშით დაავადებულთა სამკურნალოდ. ამავე პერიოდში იხსნება პირველი სტომატოლოგიური ოთახებიც. სამედიცინო დაწესებულებები იყო როგორც ადგილობრივი მმართველობის, ისე – კერძო პირთა (ძირითადად, თავად მკურნალთა) მიერ დაარსებული.

იმ პერიოდის პრესა დიდ ყურადღებას უთმობდა სამედიცინო საკითხებს. მაგალითად, სტატიებში ხშირად დეტალურადაა აღწერილი ამა თუ იმ სამედიცინო დაწესებულების მუშაობის გრაფიკი, პირობები, მკურნალობის მეთოდები და სხვა. შესავალ ნაწილში მოკლედ მიმოვიხილავთ იმ რესურსებს, რომლებიც, პრესის თანახმად, პაციენტი ქალებისთვის არსებობდა სამედიცინო მიმართულებით:

ერთ-ერთი მთავარი სამედიცინო დაწესებულება იყო „საბებიო ინსტიტუტი და სამშობიარო ღოშპიტალი". „დროების" ცნობით, მცირე სამშობიარო სახლი არსებობდა 1873 წლიდან, 1874 წელს კი გაიხსნა სამშობიარო ჰოსპიტალი კავკასიის საბებიო ინსტიტუტთან ერთად. მოგვიანებით თბილისის საავადმყოფოებში ამოქმედდა გინეკოლოგიური განყოფილებებიც. ჩვენ მიერ დამუშავებულ უფრო ადრეულ მასალაში („დროება," 1866 წლიდან) ცალკე სხვა სამშობიარო დაწესებულების შესახებ ცნობა არ გვხვდება.

საბებიო ინსტიტუტის ჰოსპიტალში პაციენტის მიღება ყოველდღე, დღის ნებისმიერ მონაკვეთში იყო შესაძლებელი. ნიშანდობლივია ისიც, რომ ღარიბ პაციენტებს უსასყიდლოდ შეეძლოთ მკურნალობა:

> *„ვერაზე, ფოჩტის სტანციის მახლობლად მშობიარე ქალებს ყოველ დროს დღე და ღამე მიიღებენ. აქიმობისთვისა და საწოლისთვის დღეში ათი შაურია; ღარიბები მუქთად. ღოშპიტალში არის ცალკე (საიდუმლო) ოთახები თვეში 30-50 მანეთად. რჩევისათვის ავათმყოფებს ყოველდღე მიიღებენ, კვირის გარდა; ვიზიტისა და წამლის ფასი ექვსი შაური; ღარიბები მუქთად. ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 9 ½-მდი დოქტორი არტემიევი და 9 ½-დამ 11-მდი დოქტორი ანანოვი. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის 11 საათიდამ 12-მდი დოქტორი ალბანუსი და კაპპელერი. ოთხშაბათობით, 12 საათზე რჩევა რემერტისა, ალბანუსისა, ანანოვისა და არტემიევისა" („დროება," №110, 1876).*

ქალაქში ასევე ფუნქციონირებდა 60-იან წლებში დაარსებული „თბილისის სამკურნალო," სადაც პაციენტი ქალებისთვის განსხვავებული დრო და შესაბამისი მიმღები ექიმი იყო გამოყოფილი. ზოგადად, როგორც მმართველობის მიერ დაარსებულ, ასევე კერძო სამედიცინო დაწესებულებებში მამაკაცების მიღების საათები ცალკე იყო ხოლმე გამოყოფილი, ხოლო ქალებისა და ბავშვებისა – ცალკე.

80-იან წლებში თბილისის ქალაქის საავადმყოფოს შესახებ გამოქვეყნებული სტატიები მიანიშნებს, რომ იქ სპეციალური საქალებო (სტაციონარული) განყოფილება ფუნქციონირებდა. თუმცა, ეს განყოფილება არაერთხელ გამხდარა კორესპონდენტების კრიტიკის ობიექტი, გაზეთების ცნობით:

*„მომვლელნი თავიანთ ადგილზედ ყოველთვის არ იმყოფებიან და ავადმყოფებს ყურის მგდებელი არავინა ჰყავთ. ავადმყოფი ქალები მომვლელი ქალების უგულო ქცევას ისე შეჩვეულნი არიან, რომ ცდილობენ უმათ-შემწეობოდ იოლად წავიდენ. იმასაც ამბობენ, რომ მოსამსახურე ქალები ავადმყოფებზედ ხანდისხან ძალასაც ხმარობენ და მხოლოდ იმ ავადმყოფებს ექცევიან კარგად, რომელთაც შეუძლიანთ „მადლობის" გადახდა. ნუ დაივიწყებთ, რომ საავადმყოფოში მომეტებულად უფრო ღარიბები შედიან მოსარჩენად. იმედი გვაქვს, რომ საავადმყოფოს გამგებელნი ყურადღებას მიაქცევენ ამ ჩვენს შენიშვნას და ეცდებიან გააუმჯობესონ ავადმყოფების მოსვლის წესი" („დროება", №148, 1885).*

ქალთა კიდევ ერთი საავადმყოფო გაიხსნა 1892 წელს „ტფილისის დედათა პირველ გიმნაზიაში", თუმცა ის განკუთვნილი იყო მხოლოდ „*მოწაფე ქალებთათვის, თუ ვინმე უცბად გიმნაზიაში ავად გახდებოდა" („ივერია", №205, 1892 წელი).*

XIX საუკუნის ბოლო ათწლეულში (1890-91 წლებიდან) თბილისში ფუნქციონირებდა ასევე „ქალაქის სამკურნალო ავის სენით შეპყრობილ ქალთათვის" (ე. წ. სასიფილაქტიკო საავადმყოფო), გაზეთები ზოგ შემთხვევაში ამ დაწესებულებას „ავლაბრის დედათა საავადმყოფოს" უწოდებდნენ. მას მკურნალი ისტამანოვი ხელმძღვანელობდა. სამკურნალო 1897 წლიდან ქალაქის „სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს" დაექვემდებარა („ივერია", №171, 1897 წელი).

მთელი ქვეყნის მასშტაბით ცნობილ მიხეილის საავადმყოფოში არსებობდა ასევე „სულით ავადმყოფ" ქალთა მიმღები განყოფილებაც (იგულისხმება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტები):

*„მიხეილის საავადმყოფოში სულით ავადმყოფ ქალთათვის დანიშნულია სულ 12 ადგილი; ხოლო ამ ჟამად დაწესებულ რიცხვის გარდა, ათს ავადმყოფ ქალს ინახავენ. ეს გარემოება ცხადად ამტკიცებს, რომ საჭიროა ტფილისში იქონიონ უფრო ფართო თავშესაფარი სულით ავადმყოფ ქალთა და კაცთათვის. ამ ჟამად საავადმყოფო ყოველ დღე რამდენსამე ავადმყოფს უარს ეუბნება მიღებაზე, რადგანაც ალაგი არა აქვს („კავკ.")" („ცნობის ფურცელი", №1810, 1902).*

ზოგ შემთხვევაში პრესაში მოცემულია ამა თუ იმ სამედიცინო დაწესებულების საქმიანობის ამსახველი სტატისტიკაც:

*„ერთის წლის განმავლობაში ინსტიტუტის სამკურნალო განყოფილებაში 181 დახსნილა მშობიარებისაგან, ამათგან 5 მომკვდარა; 313 ავადმყოფი ყმაწვილი მოუყვანიათ საწამლოებლად და 511 დედა-კაცს, დედათ-ავად-მყოფობით შეპყრობილთ საექიმოთ უვლიათ ინსტიტუტში; ავად-მყოფებში იმერეთიდგან, სამეგრელოდგან და გურიიდგან მოსულებიც ყოფილან" („ივერია", №94, 1886);*

ან კიდევ:

*„სასიფილაქტიკო საავადმყოფოს ანგარიშიდამ სჩანს, რომ ამ დროს განმავლობაში საავადმყოფოში შესულა 127 ქალი, 74 ვენერიულისა და 53 სიფილისის ავადმყოფობით. ამათგან მხოლოდ ერთი გარდაცვლილა, 101 გამოწერილა საავადმყოფოდამ და ამ წლის 1-ლ იანვარს ირიცხვებოდა 25 ქალი. წლოვანებით 5-ისა და 10-ის წლის ქალებიც ყოფილან, რიცხვით 2, 10-15 წლ. – 3, 45-70 წლ. – 3, მაგრამ ყველაზედ უფრო მეტი -101-15-30 წლ. ქალები ყოფილან. ავად-მყოფ ქალთა შორის, ცუდის ყოფა-ქცევის ქალების გარდა, კიდევ სხვა-და-სხვა მოსაქმე ქალებიც ყოფილან ამ საავადმყოფოში: ოჯახის ქალი ყოფილა 14, მკერვალი 10, გამდელი 7, მზარეული-ქალი 5 და აღმზრდელიც 1" („ივერია", №142, 1891).*

მეოცე საუკუნის დასაწყისში იგეგმებოდა ახალი სამედიცინო დაწესებულებების გახსნაც. ამ პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციაც გვხვდება ჩვენ მიერ წარმოდგენილ მასალაში.

ქალებს სამედიცინო მომსახურების მიღება შეეძლოთ სხვადასხვა კერძო სამედიცინო დაწესებულებაშიც როგორც თბილისში, ისე, მაგალითად, ქუთაისსა და გორში. ეს დაწესებულებები, როგორც წესი, მრავალპროფილური იყო და ქალებისთვის, როგორც აღვნიშნეთ, ცალკე დრო და ექიმი იყო გამოყოფილი.

მაგალითად, თბილისში სხვადასხვა დროს პაციენტ ქალებს იღებდნენ:

- დოქტორი და აკუშერი უ. გავრონსკი, რომელიც ზანოვის ქუჩაზედ, №7-ში ჰამერჩესკის ბანკის გვერდით მდებარე სამკურნალოში მუშაობდა („დროება," 1878);
- ბებია (აკუშერკა) ანნა ივანოვნა გალუბენკო, რომელიც თბილისში გორიდან გადმოვიდა და მიხეილოვის ქუჩაზე, კაჩუბეის შესახვევში, №12-ში, საქმიანობდა („ივერია," 1887);
- დოქტორი ლორის-მელიქოვი, ველიამინოვისა და სადოვის ქუჩის კუთხე, სახლის №19-ში კურნავდა როგორც „დედათა, ისე სადედათ-ბუნებო ავადმყოფობით შეპყრობილთ" („ივერია," 1892);
- ვერაზე, წყნეთის ქუჩაზე, ხალიაპინის სახლში, იღებდნენ მძიმე გადამდები სენით დაავადებულ ბავშვებს დედებთან ერთად („ივერია," 1896);
- დედათა სნეულებებს მკურნალობდნენ ასევე კუკიაზე, ნიკოლოზის ქუჩაზე, მიხეილ გედევანიშვილის სამკურნალოში, კუკიაზევე იყო მედიცინის დოქტორის, ნავასარდიანის, კერძო სამკურნალო, სადაც „ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფების" მიღებაც შეეძლოთ („ივერია," 1900).

იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა თბილისში სპეციალურად ჩამოსულა უცხოელი ექიმი ქალების სამკურნალოდ:

> *„ჩვენს ქალაქში იმყოფება ამჟამად გამოჩენილი ვენის პროფესსორი, ქალის ექიმი მაიერხოფერი. მთელმა ქალაქმა უკვე შეიტყო იმის აქ ჩამოსვლა, რადგან ამის აქიმობა ბევრს უხდება. ამბობენ, ერთი მინუტი მოსვენება არა აქვს, იმდენი პრაქტიკა გაუჩნდაო.*
>
> *თუმცა თითო ვიზიტში უფ. მაიერხოფერი, ვინც იმასთან მიდის, ნახევარ თუმანს ახდევინებს და ვისთანაც თვითონ მიდის, თუმან-ნახევარს, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, ბევრ ღარიბებსაც მუქთად ექიმობს და საზოგადოთ სრულებით ისეთი ფულის ხარბი არ არის, როგორც ზოგიერთი ჩვენი ექიმები" („დროება," №227, 1878);*

ან კიდევ:

> *„ახლად ჩამოსული ბებია-ქალი, რომელსაც აქვს იმპერატორის მოსკოვის უნივერსიტეტის დიპლომი, რომელიც ათი წელიწადი მუშაობდა ქ. სარატოვში და რომელსაც აქვს ამ ქალაქის საექიმო გამგეობისაგან რამოდენიმე მოწმობები თავის ხელობისა, – მიიღებს ავად-მყოფ და ორსულ ქალებს თავის სადგომზე, სადაც აქვს მათთვის დამზადებული ოთახები. ადრესი: ელისავეტინის ქუჩა, სახლი 60. ბებია-ქალი დობროდეევა-კაჟინსკისა"* („დროება," №64, 1882).

ამრიგად, ქალებისთვის განკუთვნილი/ხელმისაწვდომი სამედიცინო რესურსების უმრავლესობა თბილისში იყო თავმოყრილი (მცირე გამონაკლისების გარდა, მაგ.: თოფურიას მრავალპროფილური სამკურნალო ქუთაისში). ქალებს მკურნალობდნენ როგორც ადგილობრივ სამკურნალოებში დასაქმებული, ასევე დროებით ჩამოსული

ექიმები. მკურნალობა შესაძლებელი იყო როგორც მმართველობის მიერ დაარსებულ, ისე კერძო საავადმყოფოებში.

მართალია, ახალი სამედიცინო დაწესებულებების არსებობა ზრდიდა პროფესიული სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობებს, თუმცა სრულად მაინც ვერ სწვდებოდა მოსახლეობის საჭიროებებს, განსაკუთრებით თბილისის მიღმა – სხვადასხვა ქალაქსა თუ სოფელში. ამიტომ მოსახლეობა ძირითადად ე. წ. შინაურ წამლობას მიმართავდა და ადგილობრივი თვითნასწავლი „ექიმის," ექიმბაშის ან მკითხავის იმედად რჩებოდა ხოლმე.

საგაზეთო მასალები ცხადყოფს, რომ ქალებისთვის სამედიცინო მომსახურების მიღებას კიდევ რამდენიმე ფაქტორი ართულებდა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პროფესიონალი ექიმი და სათანადო სერვისები მისთვის ხელმისაწვდომი იყო, პაციენტი ქალი დახმარებას მაინც ვერ იღებდა, რადგან მიუღებლად მიაჩნდათ მამაკაცი ექიმების მომსახურება:

> *„ნამეტნავად საქართველოში შედარებით უფრო ბევრი უბედურება ხდება ხოლმე მარტო იმის გამო რომ სნეული, ავად-მყოფი ქალი მორცხობს და არ იწვევს მამა-კაცს ექიმსა. მე ჩვენში გამიგონია უკანასკნელ დღეში მყოფის მშობიარის ქალის ქმრისაგან: „რაც უნდა ღმერთი გამიწყრეს, ექიმს არ მოვიყვან, ცოლს არ გავასინჯებო და საქვეყნოდ თავს არ შევირცხვენო". თუნდა ქმარი დააჯეროთ, თვით ავად-მყოფსა ანუ მის მახლობელთ ხშირად ვერას გზით ვერ დაითანხმებთ, რომ ექიმს უჩვენოს, გაასინჯოს სატკივარი, ექიმი ქალები რომ იყვნენ ეს მაგალითები აღარ იქნებოდნენ და ვინ იცის რამდენი სული დაიხსნიდა თავის-თავს უდროო სიკვდილისაგან, ქალი ექიმ-ქალს არ მოერიდებოდა, რადგანაც აქ მორცხობას ადგილი არ ექნებოდა" („ივერია," №11, 1877).*

ხშირად, სწორედ ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო, პაციენტი ქალის დახმარებას სთხოვდნენ თვითმარქვია ექიმებს ან მკითხავებს, რაც, ხშირ შემთხვევაში, სამწუხარო შედეგით სრულდებოდა:

> *„ქ. თბილისში, ხარფუხს, როგორც გაზ. «მშაკი» იწერება, ადგილობრივი უმეცარი ბებიის წყალობით, მომკვდარა ერთი ახალგაზდა მელოგინე ქალი. საქმე ის არის, რომ ხარფუხში არა ჰყავთ არც ერთი ექიმი და არც ნასწავლი ბებია" („დროება," №15, 1884).*

ზოგჯერ ასეთი შემთხვევები სასამართლო განხილვის საგანიც ხდებოდა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ქალის გარდაცვალება აბორტს უკავშირდებოდა. ერთ-ერთი ასეთი იყო „ბებია ქარუმიძის" საქმე:

> *„ამ დღეებში ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საყურადღებო საქმე მუცლის წახდენის შესახებ. ეს საქმე ჰბრალდებოდა ტფილისის მაზრის სოფ. ხაშმის მცხოვრებელ დედაკაცს ვიღაც ქარუმიძისას, 50 წლისას, რომელსაც ხელობად ჰქონდა თურმე ექიმობა და ბებიაობა. ერთხელ ეს ბებია მოიწვიეს ახალგაზრდა ქალ ნოხუთაშვილისას, რომელიც სამის თვის ფეხ-მძიმე იყო და ქარუმიძისამ, ამ ქალის თანხმობით, მუცლის წასახდენი წამლები ასვა. წამალმა ისე ძლიერ გასჭრა თურმე, რომ ახლად ჩასახულ ბავშვს დედაც თან გააყოლა და საბრალო ყმაწვილმა ქალმა ორის დღის ტანჯვის შემდეგ სული დალია. სასამართლომ ქარუმიძისა დამნაშავედ იცნო და გარდუწყვიტა ზოგიერთ უფლებათა ჩამორთმევა და საპატიმროში დაპატიმრება 3 ½ წლის ვადით" („ივერია," №7, 1897).*

გაზეთებიდან ჩანს, რომ მკითხავების ექიმობა ძალიან მტკივნეული თემა იყო და კვალიფიციური ექიმებისა და სამედიცინო დაწესებულებების ნაკლებობის პირობებში მსხვერპლიც მოჰყვებოდა.

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც პრესის ფურცლებზე საკმაოდ ხშირად ვხვდებით, სამედიცინო ლიტერატურის არარსებობა და ამით გამოწვეული პრობლემებია, განსაკუთრებით ხაზგასმულია მშობიარობის შემდგომი გართულებით გარდაცვლილი ქალების თემა:

> *„ტფილისის განაპირა უბნებში, ამ უკანასკნელ დროს, გავრცელებულა მელოგინე ქალთა სიკვდილი. თუ გამოიკითხავთ, შეიტყობთ, რომ მათის გარდაცვალების მიზეზი მშობიარობის შემდეგ ანთება არის. ამ მოვლენას ადგილი აქვს უფრო ისეთ ხელოსანთა ოჯახებში, რომელთა შორისაც მცოდნე და გამოცდილ დედაკაცების რიცხვი ძრიელ მცირეა. ძველ დედაკაცთა ცოდნა მშობიარე ქალთა მოვლისა მთლად დაეცა და ახალგაზრდებმა-კი მათის მოვლისა არა იციან-რა. ეს საგანი ჩვენის ღარიბ ქალებისათვის მეტად საყურადღებოა. ამ მოკლე დროში, ერთის კვირის განმავლობაში, კუკიის სასაფლაოზედ დაასაფლავეს ათზე მეტი ქართველი ქალი, მშობიარობის შემდეგ ანთების მსხვერპლნი. რუსულს ენაზედ მშობიარე ქალთა მოვლის შესახებ წიგნები ასობით მოიპოვება და ქართულზედ-კი არც ერთი. ამ გარემოებისათვის ერთს ქართველს მანდილოსანს ყურადღება მიუქცევია და რუსულის ენიდამ ქართულად უთარგმნია „საქალებო ჰიგიენა“ და დასაბეჭდად მოუმზადებია“ („ივერია“, №13, 1902).*

ეს იყო მოკლე მიმოხილვა იმ ინფორმაციისა, რომელიც ქალებისთვის ხელმისაწვდომი სამედიცინო სერვისების შესახებ გვხვდება ქართულ პრესაში.

# ქალები მედიცინაში – განათლება და დასაქმება

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლების მიღების შესაძლებლობა არ არსებობდა. მთავარი სასწავლო დაწესებულება – კავკასიის საბებიო ინსტიტუტი – მცირე შესაძლებლობებს იძლეოდა (აღნიშნული ინსტიტუტის საქმიანობას ქვემოთ განვიხილავთ). ამრიგად, სწავლის მსურველ ქალებს ერთადერთი გამოსავალი ჰქონდათ: უმაღლესი სამედიცინო განათლება საქართველოს ფარგლებს გარეთ უნდა მიეღოთ. ამის დასტურად პრესაში გვხვდება არაერთი სტატია პეტერბურგის, ციურიხისა თუ პარიზის უნივერსიტეტებში საქართველოდან წასული სტუდენტი ქალების შესახებ.

თუმცა, სამედიცინო სფეროში ქალთა განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობების განხილვამდე, საინტერესოა იმის ჩვენება, რას ფიქრობდა მაშინდელი საზოგადოება ექიმი ქალების შესახებ, როგორი იყო ქალის უმაღლესი განათლების და, მით უფრო, სამედიცინო განათლების მიღებასთან დაკავშირებით საზოგადოების დამოკიდებულება და როგორ შუქდებოდა ეს საკითხი ქართულ პრესაში. ვნახოთ რამდენიმე ამონარიდი:

> *„ჩვენში საზოგადოთ ქალებს უმაღლესი განათლების გზა სულ არა აქვთ, ამის გამო, რუსეთის და სხვა ქვეყნების ქალების მაგალითით, ციურიხში აპირებენ წასვლას, სადაც ქალებს უნივერსიტეტში შესვლის ნება აქვთო. მის მაგივრათ, რომ ჩვენს საზოგადოებას თანაგრძნობითა და სიხარულით მიეღო ეს ამბავი და წაექეზებინა ჩვენი ახალგაზდა ქალები ამ საქმეში, ჩვენ ყოველი მხრით გვესმოდა და ახლაც გვესმის ხან დაცინვითი და ხან უკმაყოფილო ლაპარაკი და აზრი ამ საგანზე. „თბილისის ნიგილისკებიო! მოდას აჰყოლიანო!“ ამბობდნენ ერთნი. „ეს რა ამბავი არის: ვინ ქალი და ვინ ექიმიო?! პანსიონი გაუთავებიათ, ქმრები შეირთონ და მოისვენონო!“ ამბობდნენ მეორენი“* („დროება,“ №32, 1872).

გაზეთებში ხაზგასმულია ის, რომ განათლების მსურველ ქალებს და სამედიცინო სფეროში ქალთა დასაქმების პერსპექტივებს საზოგადოების ფართო სპექტრთან ერთად ეჭვის თვალით უყურებდნენ ისინიც კი, ვისგანაც მათ ყველაზე მეტი მხარდაჭერა უნდა ჰქონოდათ – ექიმი მამაკაცები:

> *„დრო იყო, როცა ექიმნი მამა-კაცნი და მათთან ერთად თვით საზოგადოებაც ამბობდნენ, ქალს ექიმად ყოფნისათვის არც საჭირო ღონე აქვსო, არც მხნეობა და არც ნიჭიო, ამ მიზეზით ქალს ექიმობის სწავლის გზას უხშობდნენ. წარსულს ვინა ჰჩივის, უბედურება ის არის, რომ ამ ჟამადაც ისმის მაგნაირი ხმა, რომელსაც არც წარსულს დროში, არც აწინდელში საბუთს ვერ უპოვიან“* („ივერია,“ №11, 1877).

და მაინც, რა იყო ქალთა განათლების მოწინააღმდეგეთა მთავარი არგუმენტი? ეს კარგად ჩანს „დროებაში“ გამოქვეყნებული ერთ-ერთი სტატიიდან:

> *„ვითომ ქალებს მაღალ სწავლის მიღებისათვის საზოგადოდ და განსაკუთრებით ექიმობის შესწავლისათვის არც საჭირო ნიჭი აქვსთ და არც მხნეობა, ვითომ ქალს ექიმობის შესწავლაში უსათუოდ დაეკარგება ჩვილი გული და მანდილოსნური ნარნარობა, ვითომ ქალი, ამნაირად მიმართული შეარყევს ოჯახს და სხვანი და სხვანი“* („ივერია,“ №12, 1878).

ამ აზრის საპირისპიროდ, ქართული პერიოდული გამოცემები მხარს უჭერდნენ ქალებს, თანაუგრძნობდნენ მათ სურვილს – დასაქმებულიყვნენ სამედიცინო სფეროში და არაერთ სტატიას უძღვნიდნენ ამ თემას. ბევრ სხვა არგუმენტთან ერთად, გაზეთების კორესპონდენტები ექიმი ქალების შესახებ ისტორიულ მიმოხილვებს აქვეყნებდნენ იმის დასამტკიცებლად და საჩვენებლად, რომ ქალებს წარსულ დროშიც ჰქონდათ სამედიცინო სფეროში საქმიანობის გამოცდილება და წარმატებასაც აღწევდნენ ამ მიმართულებით. ასე, მაგალითად:

*„ჯერ ისევ ძველ დროს, როგორც ჰსჩანს „ილლიადიდამ და ოდისეიდამ" ძველს საბერძნეთში ყოფილან ქალები მკურნალობაში სახელ-განთქმულნი. შემდეგ საბერძნეთის მთელ ისტორიაშივე იხსენებიან სამკურნალო მეცნიერების მცოდნე: ოლიმპია ტებაისელი, ანოდისი და ასპაზია, რომელმაც დასტოვა რაოდენიმე თავისი საექიმო თხზულებანი. მეთოთხმეტე საუკუნეში იტალიაში, პალერმოში, ჰსცხოვრობდა ექიმი ქალი აბელლა, რომელმაც აგრეთვე დასტოვა ჩინებული თხზულებანი ლათინურ ენაზე, მეთხუთმეტე საუკუნეში იტალიაშივე ბოლონიის უნივერსიტეტში იყო პროფესსორად ექიმი-ქალი დოროტეა ბოკხი. მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე საუკუნეებში საფრანგეთისა და ინგლისის ისტორიებშიაც იხსენებიან ექიმი ქალები. წარსულ საუკუნეში ბოლონიის უნივერსიტეტში კიდევ იყო ქალი ანნა მობანდი მაცცოლინი ანატომიის პროფესსორად. თუმცა შესაძლოა კიდევ რაოდენიმე მაგალითის მოყვანა, მაგრამ მე მგონია, ზემოხსენებული მაგალითებიც საკმაოა იმის დასამტკიცებლად, რომ ქალებს ჰქონიათ მიდრეკილება ექიმობისადმი და კიდევაც შეჰსძლებიათ ექიმობა"* („ივერია," №11, 1877).

ვხვდებით სტატიებს უმაღლეს სასწავლებლებში საგანმანათლებლო პროცესში ქალთა მონაწილეობის შესახებაც. გაზეთების ცნობით:

*„იტალიამ პირველმა გაუხსნა გზა ქალებს უნივერსიტეტებში, მის მერე შვეიცარიამ, ამერიკამ, საფრანგეთმა და ბოლოს 1871 წელს დიდის ვაი-ვაგლახით ინგლისმაც. რუსეთში პირველმა ქალმა – უფ. კაშევაროვამ 1869 წ. დაასრულა პეტერბურგის საექიმო აკადემიაში და მის მერმე ნება არა ქალისათვის არ მიუციათ ლექციების სმენისათვის, მხოლოდ ამ აკადემიის პროფესსორმა უფ. გრუბერმა მისცა ქალებს ნება ანატომიის სწავლისა და ამაში თვითონ გუბერი ხელთ-მძღვანელობდა მათ. ამ ჟამად ზემოხსენებულ სახელმწიფოებში ბევრნი არიან ექიმი ქალები, რომელნიც შრომობენ საექიმო ასპარეზზე. რუსეთში ჯერ სულ ორნი არიან: ზემოხსენებული უფ. კაშევაროვა და სუსლოვა. უკანასკნელმა ექიმობა შეისწავლა ციურიხის უნივერსიტეტში. ორნივე პეტერბურგში ჰსცხოვრობენ და მრავალს ჰკურნავენ ქალთა შორის, რადგანაც მრავალი სნეული ქალნი მათ იწვევენ საექიმოდ"* („ივერია," №11, 1877).

ამრიგად, ქართული პრესა უპირობოდ ქალთა განათლების მხარდამჭერია. გაზეთის კორესპონდენტები არ ეთანხმებოდნენ იმ პერიოდში კრიტიკოსთა მიერ გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ ქალებს არ სურდათ სწავლა და რომ თითქოს ნაკლებად ინტერესდებოდნენ სამეცნიერო საკითხებით.

ამის დასტურად კიდევ ერთ ფაქტს მოვიხმობთ: 1870-იანი წლების თბილისში სხვადასხვა სამედიცინო და ანატომიურ საკითხზე პერიოდულად ატარებდა ლექციებს ცნობილი ფიზიოლოგი ივანე თარხნიშვილი. ამ ლექციებს კაცებთან ერთად ქალებიც ესწრებოდნენ, განსაკუთრებით კი – ახალგაზრდა ქალები, რაც, კორესპონდენტის აზრით, კარგად აჩვენებდა იმ ინტერესს, რომელიც მათ სამედიცინო თუ ზოგადად სამეცნიერო/აკადემიური საკითხებისადმი ჰქონდათ:

*„ის გარემოება, რომ შარშანწინ გახსნილს ქალების კურსებში პირველათ ასზე მეტი დაიარებოდნენ და სწავლობდნენ და ახლა კი, მგონი, ორმოცზე მეტი არ დაიარება, ზოგიერთებმა თავის სასარგებლოთ და ჩვენი ქალების ენაზე ახსნეს: ამბობდნენ: „აი, თქვენი ქალები! თუ სწავლის სურვილი აქვთ, რატომ ქალების კურსებში არ დაიარებიან? პირველთ მოდისთვის დადიოდნენ და შემდეგ, როცა მოწყინდათ, თავი დაანებესო!" პასუხის მიცემის მაგივრათ, დღეის შემდეგ მისთანა ჯიუტ პირებს ჩვენ შეგვიძლია მხოლოთ უფ. თარხნიშვილის ლექციებზე მივუთითოთ. ამ გარემოებამ უნდა დაარწმუნოს ისინი, რომ, თუ კარგათ და რიგიანათ ჰკითხულობენ ლექციებს, თუ თვითონ ქალები ინტერესსა და სარგებლობას პოულობენ გადმონაცემ მეცნიერებაში, – ისინი ყოველთვის ივლიან ამისთანა ლექციებზე და ეცდებიან ნამდვილი სწავლა შეიძინონ. ვისურვოთ, რომ უფ. თარხნიშვილისთანა ნამდვილი გზის მაჩვენებელნი და ხელმძღვანელნი ჩვენ საზოგადოებას და განსაკუთრებით იმის ახალგაზრდა წევრებს შემდეგშიაც არ მოაკლდეს"* („დროება," №44, 1871).

ცხადია, პრესის ასეთი დამოკიდებულების პირობებში, შესაბამისი იყო სარედაქციო პოლიტიკაც: ქართული ჟურნალ-გაზეთები აქტიურად აშუქებდნენ ექიმი და მეცნიერი ქალების წარმატების ინდივიდუალურ ისტორიებს, ასევე საგანმანათლებლო მიმართულებით მიმდინარე სიახლეებს როგორც საქართველოს, ისე მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ამრიგად, წინააღმდეგობის მიუხედავად, ქალები მიდიოდნენ საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მისაღებად. მაგალითისთვის, პრესაში ვხვდებით ცნობებს XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოდან შვეიცარიაში, ციურიხის უნივერსიტეტში, სასწავლებლად წასული ქალების შესახებ. ციურიხის უნივერსიტეტი იყო ერთ-ერთი პირველი უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ქალებს სწავლის ნება დართეს. ციურიხის უნივერსიტეტში საქართველოდან ჩასული სტუდენტების ისტორია გენდერის მკვლევარმა თამთა მელაშვილმა დაამუშავა. მან უნივერსიტეტის არქივი შეისწავლა. თამთა მელაშვილი წერს, რომ „ქალი სტუდენტები თბილისიდან სიაში 1872 წელს ჩნდებიან, როდესაც მედიცინის შესწავლას იწყებენ პელაგია ნაცვლიშვილი და ბარბარა ნადეჟდინა. პელაგიამ მედიცინა ორი სემესტრი ისწავლა, ბარბარამ — სამი." მისივე ცნობით: „1873 წელს ჩნდება და ერთი სემესტრი სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობს ეკატერინე მელიქიშვილი. 1870-იანი წლების მეორე ნახევრიდან 1880-იანი წლების ბოლომდე ქალ სტუდენტთა რიცხვმა რუსეთიდან საგრძნობლად იკლო. შესაბამისად, ქალი სტუდენტი 1889 წლამდე არ ჩანს. მოგვიანებით, 1897-1903 წლებში თბილისიდან სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტია ოლგა სუტიაგინა. ის საქართველოდან ერთადერთია, ვინც სწავლის დასრულება შეძლო და, შესაბამისად, ხარისხი მოიპოვა" (მელაშვილი თამთა, „ციურიხელი გოგოები, მე-19 საუკუნის ქართველი სტუდენტების კვალდაკვალ," კრებული: „ვის ეშინია ფემინიზმის საქართველოში," ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის ბიურო, სტატიების სერიის მეორე წიგნი, 2017, გვ. 123).

თამთა მელაშვილის სტატიაში დასახელებულ ქალთა შესახებ ცნობები ჩვენ მიერ დამუშავებული პრესის მასალებშიც გვხვდება, ასე, მაგალითად:

*„ციურიხიდამ გვწერენ, რომ თითქმის ყველა ჩვენებური ახალგაზდა კაცები და ახალგაზდა ქალები, რომლებიც შარშან და წელს წავიდნენ შვეიცარიაში, ციურიხის უნივერსიტეტში შესულან წელს ოქტომბერში და ლექციებს სმენულობენო. მომეტებულს ნაწილს ქალებთაგანს ჯერ არ გადაუწყვეტიათ თურმე – რომელი მეცნიერების შესწავლას უნდა დაადგნენ. ჯერჯერობით ყველანი ბუნებით საგნებზე დაიარებიან, მხოლოთ – ერთი ნაცვალოვის ქალი – ამთავითვე მედიცინის (ექიმობის) სწავლას შესდგომია"* („დროება," №48, 1872).

ციურიხის უნივერსიტეტის შესახებ სტატიები მხოლოდ ქართველ სტუდენტებთან დაკავშირებით არ გვხვდება. ქართული პრესა ინტერესით აშუქებდა უნივერსიტეტის საქმიანობას, იქ სხვა ეროვნების ქალთა მიღწევებსა თუ სტუდენტი ქალების მზარდ სტატისტიკას:

*„როგორც თვითონ ციურიხის უნივერსიტეტის რექტორი აცხადებს, ამ უნივერსიტეტის მედიკურ ფაკულტეტზე ამ ჟამად სულ 158 სტუდენტია და ამ რიცხვში 51 ქალი. მომავალ სემესტრში კი ჩვენს უნივერსიტეტში 100 სტუდენტი ქალთაგანი იქნებაო, 75 მედიკურ ფაკულტეტზე, 24 ფილოსოფიურზე და ერთიც პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტზე“* („დროება,“ №46, 1872).

1873 წელს „დროებაში“ გამოქვეყნდა ცნობა, რომ ქართველი სტუდენტები ორგანიზებულად ეხმარებოდნენ აქედან წასულ ახალგაზრდა ქალებს სხვადასხვა საგნის მომზადებაში. (ცნობილია, რომ 1873 წელს ციურიხში, საქართველოდან საზღვარგარეთ სასწავლებლად წასულმა ახალგაზრდებმა დააარსეს საზოგადოება „უღელი,“ ქართველი სტუდენტი ქალები ამ საზოგადოების აქტიური წევრები იყვნენ):

*„ციურიხიდამ გვწერენ, რომ ზოგიერთ აქედამ წასულ კაცებს უკისრნიათ იმ ახალგაზდა ქალების მომზადება ციურიხის უნივერსიტეტისთვის, რომელნიც აქედამვე არიან წასულნი და გიმნაზიის საგნები კი ნაკლებად იციან. რაღა თქმა უნდა, რომ ეს ძლიერ კარგი საქმეა, რადგან იმნაირი ხელისმომართვა ბევრად დაეხმარება იქაურ ჩვენ ახალგაზდა ქალებს, რომელნიც საზოგადოთ ძლიერ ნაკლებათ არიან უნივერსიტეტისათვის მომზადებული“* („დროება,“ №7, 1873).

ქართულ პრესაში გვხვდება ცნობა კიდევ ერთი ევროპული უნივერსიტეტის შესახებაც, სადაც ქართველმა ქალმა აკადემიური ხარისხი მიიღო სამედიცინო მიმართულებით. ესაა პარიზის უნივერსიტეტი. 1898 წელს „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნდა სტატიები მარიამ ბაქრაძის შესახებ სათაურით: „ნასწავლი ქართველი ქალი“:

*„პარიზის სამკურნალო უნივერსიტეტში სწავლა დაუმთავრებია ერთ ახალგაზდა ქართველ ქალს მარიამ ბაქრაძეს და დაუწერია დისერტაცია ამ შინაარსით: „სიდაბლის გამო მომხდარი სიკოჭლე და მისი წამლობა“. ეს დისერტაცია ცალკე წიგნად არის დაბეჭდილი პარიზში“ („ივ.“)* („ცნობის ფურცელი,“ №513, 1898).

მარიამ ბაქრაძემ პრაქტიკული გამოცდილება პარიზში – ბავშვთა სნეულების კლინიკებსა და პასტერის სადგურში მიიღო, შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და 30 წლის განმავლობაში თბილისის საავადმყოფოს ინფექციურ განყოფილებას ხელმძღვანელობდა, მანამდე კი ქალაქის სხვადასხვა სკოლასა და გედევანიშვილის სამკურნალოში მუშაობდა.

პრესის მასალებში ძალიან საინტერესოა ექიმი ქალების ინდივიდუალური ისტორიები და არა მხოლოდ საქართველოდან. მარიამ ბაქრაძის გარდა, ცხადია, გვხვდება სხვა ქალების შესახებ ცნობებიც, მათ შორისაა, მაგალითად, სალომე კერესელიძეც, სტომატოლოგი ქალი, რომელმაც ქუთაისში გახსნა სტომატოლოგიური კაბინეტი; ასევე, მარიამ იოსელიანი, რომელმაც „პეტერბურგის საქალებო სამკურნალო კურსები“ დაამთავრა და 1903 წელს ორდინატორად მიიწვიეს საბებიო ინსტიტუტში. მარიამ იოსელიანთან ერთად, გაზეთის ცნობით, „რამდენსამე ქუთათურ ახალგაზდა ქალს განუზრახავს სამკურნალო კურსებზე წასვლა,“ „ია-ვარდით გზა-ფენილი თქვენს განზრახვას და სურვილს, ქალებო!“ – წერდა გაზეთი „ივერია“ 1897 წელს.

საინტერესოა სტატია ბარბარე ყიფიანის შესახებ (ექიმი, პედაგოგი, ევროპაში მოღვაწე პირველი ქართველი ფსიქო-ფიზიოლოგი). ბარბარე ყიფიანი 1902 წელს ჩაირიცხა ბრიუსელის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. 1904 წელს მოხსენებით გამოვიდა ფიზიოლოგთა მეექვსე საერთაშორისო კონგრესზე (ამავე კონგრესზე მოხსენება წაიკითხა კიდევ ერთმა ქართველმა, პროფესორმა ივანე თარხნიშვილმა). სტატიაში ხაზგასმულია ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის წარმატება:

„ჩვენმა ახალ-გაზრდა მკვლევარმა ქალმა, რა აუხსნა კრებას, თუ რა გავლენა ჰქონდა შაქარს სამოძრაო ძარღვების მოქმედებაზე, თან თავის გამოკვლევის შედეგებს მიუყენა მათემატიკური ფორმულა, რომლითაც ნათლათ დაანახვა, თუ რა კანონით მოქმედობს შაქარი სამოძრაო ძარღვებზე. ეტყობოდა, კრება ძალიან დააინტერესა კითხვამ, რადგან ამ საგანმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია საზოგადოებაში. ხანგრძლივ ტაშის ცემით დააჯილდოვეს ჩვენი თანამემამულე და როცა კრებას თვალი მოვავლე, დავინახე, რომ ყველაზე მეტად პროფესორი თარხნიშვილი უკრავდა ტაშს და არ ვიცი რად – მესიამოვნა („ცნობის ფურცელი," N2600, 1904 წელი);

სტატიის ბოლოს ავტორი დანანებით აღნიშნავს, რომ ბარბარე ყიფიანი, სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო, უნივერსიტეტიდან გარიცხეს, რის შემდეგაც მას პოლონელი პროფესორი იოტეკო, დაეხმარა:

„მადლობელი უნდა ვიყოთ პროფესორის იოტეკოს ქალისა, რომელმაც სწავლის ფულის შეუტანლობის გამო, უნივერსიტეტიდან გამორიცხული ბარბარე ყიფიანი კერძოდ თავის ლაბორატორიაში მიიღო სამუშაოდ. ამის გამო, მგონია, საჭიროა ჩვენმა საზოგადოებამაც იცოდეს, რომ სათავად-აზნაურო ბანკის დამაარსებლის დიმიტრი ყიფიანის შვილი შვილებს უცხოეთში უცხოელნი პატრონობენ და თავად-აზნაურობამ კი მათ უარი უთხრა სტიპენდიაზე. ალბად, ასე ესმის თავად-აზნაურობას მადლის გადახდა და თავის მოვალეობა" („ცნობის ფურცელი," N2600, 1904 წელი);

საზოგადოების ერთი ნაწილი ცდილობდა, რომ სტუდენტ ქალებს ფინანსურად დახმარებოდა, ყველასთვის ცნობილი იყო, რომ სტუდენტების უმეტესობა მძიმე სოციალურ პირობებში ცხოვრობდა, ზოგიერთი მათგანი კი სწავლას თავს სწორედ სიღარიბის გამო ანებებდა. ქველმოქმედების საინტერესო ფაქტია თბილისის საქალებო კურსების მასწავლებელთა ინიციატივა, რომლებმაც უარი თქვეს გასამრჯელოს აღებაზე და გადაწყვიტეს, რომ „პეტერბურღის მედიკო-ხირურღიის აკადემიაში გავგზავნოთ რამდენიმე ქალი სწავლის გასაგრძელებლათაო" („დროება," №24, 1870 წელი).

თუმცა, ცხადია, ყველა ვერ ახერხებდა განათლების მიღებას და აკადემიური ხარისხის დაცვას, იყვნენ ისეთი ე. წ. შინაური, თვითნასწავლი ექიმებიც, რომლებიც პაციენტების მკურნალობას შესაბამისი განათლებისა და სამედიცინო ინვენტარის გარეშეც კი ახერხებდნენ. პრესის ფურცლებზე გვხვდება ასეთი ექიმების ამბებიც. ამ ექიმთა კვალიფიკაციას ხშირ შემთხვევაში მათ მიერვე მორჩენილი პაციენტების „მოწმობები" ადასტურებდა. ასეთი იყო გურიაში, სოფელ ბასილეთში, მცხოვრები ექიმი ფოტინე თავართქილაძეც:

*„ბასილეთში სცხოვრობს ერთი სოფლის ექიმი ქალი, ჯერ კიდევ ახალგაზდა, ფოტინე გიტოს ასული თავართქილაძისა, რომელიც ფრიად განთქმულია თვისის ექიმობით. ჩვენ თვითონ შემთხვევა გვქონდა გადაგვეთვალიერებია მისი მოწმობები, რომელიც მიუციათ მისთვის მისგან განკურნებულს სხვა-და-სხვა მძიმე ავადმყოფებს. მაგგვარი მოწმობა სოფლის მოხელე პირებისაგან შემოწმებული მას აქვს ოცზე მეტი. თითქმის ყველა მოწმობაში ნათქვამია, რომ ავადმყოფმა წინად მიჰმართა „დოხტურ-ფერშალს" და მათ რომ ვერ უშველეს, შემდეგ მიმართეს ქ. ფოტინე თავართქილაძის ასულს. სასურველია, რომ ჩვენი*

*ექიმები გამოიკვლევდნენ, თუ რას ხმარობს წამლად ეს ექიმი ქალი, რომ მეცნიერებას უმკლავდება შინაური განათლებით!“ /XX/* („ცნობის ფურცელი,“ №334, 1897).

გურიაში კიდევ ერთი თვითნასწავლი ექიმი ქალის – ანა ბოლქვაძის მიერ წარმატებით ჩატარებული ოპერაცია კავკასიის სამედიცინო საზოგადოების კრების განხილვის თემადაც კი იქცა. ექიმთა საზოგადოებამ მოიწონა ჩატარებული მკურნალობა, „ივერიაში“ კი აღნიშნულ ფაქტს ვრცელი სტატია მიეძღვნა:

*„ამას წინად გურიისგან ჩამოუყვანიათ მიხეილის საავადმყოფოში მძიმედ დაჭრილი პავლე დოლიძე, რომელსაც ნაწლავნი სულ ერთიანად გამოყრილი თურმე ჰქონდა ისეთნაირად იყო მუცელში დაჭრილი. ეს შემთხვევა გურიაში თურმე მოხდა. რადგან სოფლად ექიმი არ დაესწროთ, იქვე მეზობელ სოფლის ექიმ-ქალ, ანნა ბოლქვაძის ასულს, დოლიძის მეუღლეს მიჰმართეს, რომ რამე საშუალება აღმოეჩინა დაჭრილისთვის. ანნა დოლიძისამ მართლაც ისეთი საშუალება იხმარა თურმე, რომ კურსდამთავრებული ექიმიც ვერ მოახერხებდა ასე მეცნიერულად მოქცევას: გაურეცხა სისხლით შეღებილი ნაწლავები და ჩაუწყო თავისს ალაგასა, მაგრამ, სამწუხაროდ, უმთავრესი ნაწლავი ნახევრად გადაჭრილი ჰქონდა თურმე დოლიძეს. სოფლის ექიმი ქალი ისე გონიერად მოიქცა, რომ გადაჭრილ ნაწლავის ნაპირები მუცლის გაჭრილსავე ნაპირებს მიაკერა, რომ რასაც სჭამდა ან სვამდა, ყოველივე მუცლიდაგან გადმოსდიოდა ავადმყოფს. შემდეგ, როცა თავისი საქმე გაათავა, ანნა დოლიძისამ ურჩია ავადმყოფის პატრონთ, თავიანთი ავადმყოფი წაეყვანათ ტფილისში, სადაც ყველა საშუალებას აღმოუჩენდნენ მას. საექიმო კრებამ ერთხმად მოიწონა ამ უსწავლელ ქალის მოხერხებულობა და გამბედაობა და მასთან ის პატიოსანი საქციელი, რომ სხვა სოფლის ექიმივით თითონ არ იტვირთა მძიმედ დაჭრილის კაცის მორჩენა, და უფრო საიმედო ექიმებს გადასცა იგი“* („ივერია,“ №200, 1895).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში სამედიცინო საკითხებზე მსჯელობისას, შეუძლებელია არ ვახსენოთ ამიერკავკასიის საბებიო ინსტიტუტი და მასთან არსებული სამშობიარო ჰოსპიტალი. ამ საკითხზე ათობით სტატიაა ქართულ პრესაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თბილისში საბებიო ინსტიტუტი 1874 წელს გაიხსნა. რუსეთის მეფის ოჯახის წარმომადგენლის, ოლღა თეოდორეს ასულის, დაფინანსებით, ინსტიტუტთან დაიწყო ახალი სამშობიარო სახლის მშენებლობაც. გაზეთების ცნობით: ეს იყო ერთიანი სამედიცინო დაწესებულება, რომელიც „ორ განყოფილებას შეიცავდა – დედათ სამკურნალოს და სამეცნიეროს“ – ანუ სამშობიარო ჰოსპიტალსა და საბებიო ინსტიტუტს. ინსტიტუტის მიზანი ამიერკავკასიაში მცხოვრები ქალებისთვის პროფესიონალი მეანების/ბებიაქალების მომზადება იყო. ინსტიტუტის გახსნის ფაქტს „დროება“ გამოეხმაურა, რომელმაც მომდევნო წლებშიც არაერთი სტატია გამოაქვეყნა მისი საქმიანობის შესახებ:

*„ამ კვირის სამშაბათს იყო კურთხევა და გახსნა ჩვენს ქალაქში საბებიო ინსტიტუტისა. ექსარხოსისაგან სახლის კურთხევის შემდეგ, კავკასიის სამოქალაქო საექიმო ნაწილის გამგებელმა, უფ. რემერტმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც გამოსახა ის გაჭირება, რომელიც ყოველ ახალს საქმეში წინ უხვდება ხოლმე აქაურ საექიმო გამგეობას და რომელიც ამ ინსტიტუტის გახსნასაც აბრკოლებდა. შემდეგ ერთმა ექიმმა წაიკითხა თვითონ ინსტიტუტის წესდება, რომელშიაც სხვა მომეტებული ნაწილი შეგირდებისა ადგილობრივი ქალები უნდა იყვნენო“* („დროება,“ №112, 1874).

გაზეთის ცნობით, საბებიო ინსტიტუტის კურსდამთავრებულები ვალდებულნი იყვნენ, მინიმუმ 6 წლის ვადით დარჩენილიყვნენ კავკასიაში და ემუშავათ თავიანთი სპეციალობით. ინსტიტუტში რამდენიმე კატეგორიის დიპლომის მიღება იყო შესაძლებელი: ცალკე იყო სახელმწიფო სამსახურის მსურველი ექიმი ქალების, ასევე ქალაქისა და უეზდის ექიმების კვალიფიკაცია – ეს იყო ინსტიტუტის უმაღლესი კლასები, ხოლო ე. წ. მდაბალი კლასის მოსწავლეები იღებდნენ სოფლის ბებიის სტატუსსა და დიპლომს. შესაბამისად, მისაღები გამოცდის მოთხოვნებიც განსხვავებული იყო: პირველის შემთხვევაში ქალს უნდა სცოდნოდა: „რუსული ენიდამ მართლწერა და კითხვა, რუსულად დაწერა და თქმა წაკითხულისა; არითმეტიკიდამ ოთხი არითმეტიკული მოქმედება და დრობები." ხოლო მეორე შემთხვევაში: „იმან უნდა იცოდეს მხოლოთ რუსული წერა-კითხვა და წაკითხულის თავის სიტყვით თქმა" („დროება," №99, 1877 წელი).

გარდა მისაღები გამოცდებისა, ინსტიტუტში ჩასაბარებლად კიდევ ერთი აუცილებელი პირობა იყო მშობლების ან ქმრის ოფიციალური თანხმობა იმის შესახებ, რომ ქალს ნებას რთავდნენ, ესწავლა ამ სასწავლებელში. განსაზღვრული იყო სწავლის მსურველთა ასაკიც: „ქალი 16 (თექვსმეტის) წლის ნაკლებისა არ უნდა იყოს და 30 (ოც-და-ათზე) უხნესი" („დროება," №150, 1878 წელი).

გაზეთებში ქვეყნდებოდა ინფორმაცია საბებიო ინსტიტუტის საყოფაცხოვრებო პირობებისა თუ სწავლის საფასურის შესახებაც: მოსწავლე ქალებს შეეძლოთ ინსტიტუტის საცხოვრებელში ცხოვრება, ასეთ შემთხვევაში მათ „პანსიონერკებს" უწოდებდნენ და სწავლის ფასი გაცილებით მაღალი იყო: 240 მანეთი წელიწადში. იყვნენ სხვა სტუდენტებიც: ე. წ. მომსვლელი ქალები, რომლებიც ინსტიტუტის საცხოვრებლით არ სარგებლობდნენ, მათი სწავლის ღირებულება იყო: 40 მანეთი წელიწადში.

საბებიო ინსტიტუტის სასწავლო პროგრამა თავიდან შედარებით მწირი იყო, შემდეგ კი ასე ჩამოყალიბდა:

> *„სწავლა ორ წელიწადს გრძელდება; პირველ კურსში ასწავლიან: ანატომიას, ფიზიოლოგიას, ბებიობას, წამლების გამოცნობას და დამზადებას და დაჭრილების მოვლას. მეორე კურსში: ბებიობას, ქალის, ყმაწვილისა და სიფილისის ავათმყოფობის ექიმობას, გიგიენას და ყვავილის აცრას"* („ივერია," №218, 1889).

გაზეთები ეხმიანებოდნენ საბებიო ინსტიტუტის პირველ და შემდგომ გამოშვებებს, აქვეყნებდნენ სტატიებს როგორც ახალი სტუდენტების, ისე კურსდამთავრებულთა შესახებაც, წერდნენ, თუ რამდენი ქალი ამთავრებდა ინსტიტუტს სხვადასხვა წელს და ინტერესდებოდნენ იმითაც, სად საქმდებოდნენ კურსდამთავრებული ექიმები:

> *„გუშინწინ, კვირას, თფილისის საბებიო ინსტიტუტში, ეგზამენების შემდეგ, პირველად გამოუშვეს კურს-შესრულებულ ნასწავლი ბებია-ქალები. როგორც გვითხრეს, წელს ამ ფრიად სასარგებლო სასწავლებელში 25 ქალს შეუსრულებია კურსი. ეს ოც-და-ხუთი ნასწავლი ბებია კავკასიის სხვადასხვა გუბერნიის და უეზდის ქალაქებში იქნებიან დანიშნულნი და იმედია, რომ მაშინ მშობიარე ქალებს ისე არ გაუჭირდებათ ხეირიანი ბებიის შოვნა, როგორც ახლა უჭირთ და იძულებულნი არ იქნებიან სოფლის ბებიებსა და ექიმებს მიმართონ"* („დროება," №22, 1878).

საბებიო ინსტიტუტში ბევრი ღარიბი ქალი სწავლობდა, რომელთაც გულწრფელად თანაუგრძნობდა პრესა და მათი მძიმე სოციალური პირობების შესახებ წერდა:

> *„საბებიო ინსტიტუტში ძალიან ბევრი ღარიბი ქალები სწავლობენ თურმე, რო-*

*მელთაც ბებიაობის შესწავლით იმედი აქვსთ ლუკმა-პურის შეძენისა. ამ ღარიბ ქალების შემწევნელი არავინ არ არის, არც კერძო პირები, არც რომელიმე ქველ-მომქმედი საზოგადოება; ხაზინა კი იმათ მხოლოთ სწავლის მიღების საშვალებას აძლევს: მაგრამ როგორ უნდა ისწავლოს კაცმა, თუ ლუკმა-პური და ტანთ საცმელი აკლია?!"* („დროება," №38, 1881).

თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი საქველმოქმედო გზით ცდილობდა მოსწავლე ქალთა დახმარებას:

*„ამ ჟამად ტფილისში არსდება განსაკუთრებული საზოგადოება, რომელსაც აზრად ექმნება ჯეროვანი დახმარება აღმოუჩინოს უმაღლესს დედათა კურსებისა და დედათა სამკურნალო ინსტიტუტის მოსწავლეთ. რამდენიმე კაცი უკვე ადგენს ხსენებულ საზოგადოების წესდების პროექტს, რომელიც განსახილველად წარედგინა ამ საქმის თანა მგრძნობელთა კრებას და შემდეგ ტფილისის გუბერნატორს დასამტკიცებლად"* („ივერია," №57, 1898).

საგაზეთო სტატიებიდან ცხადი ხდება, რომ დროთა განმავლობაში საბებიო ინსტიტუტმა, სასწავლოს გარდა, სხვა ფუნქციებიც შეითავსა. მაგალითად, ქალაქში ნაპოვნ უპატრონო ახალშობილებზე სწორედ საბებიო ინსტიტუტში ზრუნავდნენ:

*„ტფილისში უპატრონო ბავშვებისა და მიგდებულ ყმაწვილების პატრონი საბებიო ინსტიტუტია და სამოწყალო სახლი, სადაც ამ გვარ ბავშვებს აგროვებენ და აღზრდიან"* („ივერია," №112, 1889).

ფართოვდებოდა ინსტიტუტიც და სამშობიაროც, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ინსტიტუტის სხვადასხვა განყოფილება (სამეანო, გინეკოლოგიური და ახალშობილთა) მოიცავდა 150 სამკურნალო ადგილს (საწოლს) და პაციენტებს იღებდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან და სოფლიდან. დაწესებულება ინფრასტრუქტურულადაც ფართოვდებოდა: 1899 წელს ინსტიტუტს საშრობი და სამრეცხაო დაემატა.

პრესა აღნიშნულ დაწესებულებას მოიხსენიებდა, როგორც: „ტფილისის დედათა საბებიო ინსტიტუტს," „სამშობიარო ღოშპიტალს," „ოლგას საბებიო ინსტიტუტს," „ამიერკავკასიის საბებიო ინსტიტუტს." XX საუკუნიდან დაწესებულება ოფიციალურად იწოდებოდა ამიერკავკასიის ოლღას სახელობის საბებიო ინსტიტუტად (მეოცე საუკუნეში ინსტიტუტში სხვადასხვა ცვლილება განხორციელდა, რამდენჯერმე შეიცვალა დაწესებულების დასახელებაც, 2010 წლიდან „ჩაჩავას კლინიკა" ეწოდა).

საბებიო ინსტიტუტმა მნიშვნელოვნად შეცვალა ვითარება, მშობიარე ქალებს შეეძლოთ კვალიფიციური მომსახურების მიღება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1886 წლიდან მმართველობამ განათლებამიღებულ ბებიაქალებს უფლება მისცა, საკუთარი კაბინეტებიც დაეარსებინათ, რითაც კერძო სამშობიაროების დაფუძნებას შეუწყო ხელი:

*„ამას წინად სამკურნალო რჩევამ გაარჩია და დაამტკიცა, რომ ბებიებსაც შეეძლოთ გამართონ ცალკე სადგომები, სადაც ორსულ-დედაკაცებს მოლოგინება შეეძლებოდეთ. ამ საქმის შესახებ რჩევამ წესები შეადგინა და დაურიგდა ყველა საგუბერნიო სამკურნალო განყოფილებათა"* („ივერია," №115, 1886).

ხაზგასასმელია ისიც, რომ პანდემიებისა და ეპიდემიების დროს ბებიაქალები ერთვებოდნენ ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლაშიც, მაგ.: 1893 წელს, ქოლერის ეპიდემიის დროს, ბებიაქალები მონაწილეობდნენ სამკურნალო რაზმების მუშაობაში:

*„კავკასიის სამკურნალო უწყების მმართველობა აცხადებს, რომ კერძო მკურნალთა, ფერშალთა და ბებია-ქალთა, რომელთაც-კი სურთ მიიღონ წელს მო-*

*ნაწილეობა ხოლერასთან ბრძოლაში, 1 მარტამდე უნდა გამოგზავნონ ამის შესახებ ცნობაო. (ტფილისი, საპიორის ქუჩა, სახლი ისარლოვისა); მკურნალთა და ფერშალთ შეუძლიანთ მიიღონ მონაწილეობა ახლავე ხოლერის წინააღმდეგ სასანიტარო და სადეზინფექციო ღონისძიებათა განხილვა-გამოკვლევაში, რომელსაც შესდგომია უკვე კავკასიის სამკურნალო საზოგადოება. ხოლო ბებია-ქალთათვის, რომელნიც სურვილს გამოაცხადებენ ხოლერასთან მებრძოლ რაზმში ჩაწერისას, მიხეილის სამკურნალოს დარბაზში ლექციები იქმნება წაკითხული ხოლერის შესახებ. ყველა მოხელენი ხოლერასთან მებრძოლ რაზმებისა დაჯილდოებულ იქმნებიან 1876 გამოცემულის კანონდებულების მე-III ტომის 637 მუხლის თანხმად"* („ივერია," №25, 1893).

მეოცე საუკუნის დასაწყისში მშობიარეთათვის განკუთვნილი სერვისები კიდევ უფრო დაიხვეწა, მომსახურება კი უფრო მეტად ორგანიზებული გახდა, მაგ.: თბილისში ფუნქციონირებდა ბებიაქალთა დამხმარე საზოგადოება, დაწესდა მორიგეობა მშობიარეთა მისაღებად და ა.შ.:

*„დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებია-ქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და ოლგის საბებიო ინსტიტუტში. ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი"* („ივერია," №213, 1903).

თუმცა, ცხადია, პრობლემები მაინც არსებობდა და როგორც საბებიო ინსტიტუტი, ისე კურსდამთავრებული ბებიაქალები სხვადასხვა დროს არაერთხელ გამხდარან პრესის კრიტიკის ობიექტი:

*„მე მინდა ორიოდე სიტყვა მოვახსენო მკითხველებს ჩვენს ქალაქში დაწესებულ ამ თექვსმეტის წლის წინად საბებიო ინსტიტუტის შესახებ. ამ თექვსმეტს წელიწადში ფული კარგა ბლომად დახარჯულა ამ სასწავლებლისათვის და ყოველ წლივ თითქმის თხუთმეტამდის ბებია ათავებს სწავლას. ერთი თვალი გადავავლოთ, თუ სად მოღვაწეობენ ეს ქალები და ან ცოტაოდენი სარგებლობაც არის მოაქვთ ხალხისთვის, თუ არა? უმეტესი ნაწილი კურს-შესრულებულ ბებიებისა რჩება აქვე, ტფილისში, გარდა იმ ზოგიერთებისა, რომელნიც იგზავნებიან კავკასიის სხვა-და-სხვა მაზრაში. იმათ გამრავლებას ტფილისში ცუდი შედეგი მოაქვს: ძველი ბებიები, უფრო გამოცდილები, ახლებს გზას არ აძლევენ და ესენიც ხშირად ლუკმა-პურის მოსაპოვებლად უადვილებენ ქალებს თავიანთის დედობრიულის მოვალეობის აცდენას და ამ გვარად ახშირებენ დედაკაცურს ავადმყოფობას. რაც შეეხება იმ ბებიებს, რომელნიც მაზრის ბებიებად ინიშნებიან, უნდა მოტეხილი ვსთქვათ, რომ იმათ სრულებით ტყუილ უბრალოდ ეძლევათ ჯამაგირი და დაბალის ხალხისათვის გამოსადეგნი არ არიან"* („ივერია," №218, 1889).

ამრიგად, საბებიო ინსტიტუტი და სამშობიარო ჰოსპიტალი იყო ერთ-ერთი ყველაზე მთავარი სამედიცინო დაწესებულება და ქალთათვის ძირითადი სამედიცინო სასწავლებელი იმ პერიოდის საქართველოში.

თუმცა, განსხვავებული პროფესიის ქალები ასევე ცდილობდნენ, სამედიცინო საკითხებზე ცოდნა სხვადასხვა გზით მიეღოთ. ამის კარგი მაგალითია ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები ივანე თარხნიშვილის საჯარო ლექციები. ასეთი შეხვედრების შესახებ სტატიები მომდევნო პერიოდის მასალაშიც გვხვდება: 1887 წელს თბილისის „რეალური სასწავლებლის საფიზიკო კაბინეტში" მასწავლებელი ქალებისთვის ექიმმა ქალმა სა-

მოილოვიჩმა წაიკითხა ლექციები ფიზიოლოგიასა და ანატომიაში („ივერია," №9, 1887 წელი).

„*მასწავლებელ ქალთა ურთიერთის დამხმარებელი საზოგადოება, როგორც მკითხველს უკვე ეცოდინება ჩვენის გაზეთიდამ, დიდს მეცადინეობას იჩენს, რომ თავისი საქმეები კარგად წაიყვანოს. სხვათა შორის ამ საზოგადოებამ მიჰმართა რამდენსამე მასწავლებელს, რომ ამათ უკითხონ პედაგოგ-ქალებს ლექციები შესახებ ბუნების მეტყველებისა, ქიმიისა, ისტორიისა, პედაგოგიისა და სხვანი*" („ივერია," №259, 1889).

თუმცა იქვე ვხვდებით ექიმების კრიტიკასაც, რომლებიც საკმაოდ მაღალ გასამრჯელოს ითხოვდნენ მასწავლებელი ქალებისთვის ლექციების ჩატარების სანაცვლოდ.

ზოგჯერ სხვადასხვა სამედიცინო საკითხზე ქალებისთვის ინფორმაცია და რჩევები გაზეთებშიც ქვეყნდებოდა. ასე, მაგალითად, 1894 წელს „ივერიამ" გამოაქვეყნა ამერიკელი ექიმი ქალის, მის კეტი ფილდის, რჩევები „მუცლის გიმნასტიკასთან" დაკავშირებით, რაც, სტატიის თანახმად, ქალებისა და მათი შვილების ჯანმრთელობას უწყობდა ხელს:

„*სწორედ ამ აზრითვე ურჩევენ ზოგიერთი ექიმები ქალებს, რომ მუცელზედ ზარბაზნის ტყვია იგორავეთ. აქეთ-იქით რომ გააგორებს ტყვიას, მუცელს დაჰზალავს კარგად და ეს მუცლის გიმნასტიკა ძალიან ჰშველის ჯან-საღობასაო*" („ივერია," №55, 1894).

გვხვდება რჩევები ფეხმძიმე ქალებისთვისაც:

„*მოვლა ფეხმძიმობის დროს. ნუ გაიქანჩავთ წელს და მუცელს კორსეტით, როგორც გიცხოვრნიათ, ისე განაგრძეთ, თუ იგი მავნედ საზარალო არ იყო თქვენთვის, მაგრამ გამოიცვალეთ ფარეზობა. იმუშავეთ ისევ ერთგულად, მაგრამ არა ძრიელ, ხშირათ იბანავეთ. სისუფთავე დიდი რამ არის, დაეჩვიეთ ცივს წყალს, ნუ ატარებთ ძრიელ მძიმე და ვიწრო ტანსაცმელს, იარეთ ყოველ დღე სუფთა ჰაერზე, მჟავეს ნუ სჭამთ, ადრე დაწექით და ადრევე ადექით, სიცივე-სინოტივეს ერიდეთ, ნუ დალევთ ყავას, ნუ უგდებთ ჭორებს ყურს და თქვენსავე საზარალოდ ნუ მიბაძავთ მოდებს. მშობიარეს აძლევენ წყალს, ხილის წვენს, ლიმონათს, ფორთოხალს, რძეს, ყავას, რძით ჩაის და სუხარს. საჭიროა სიმშვიდე და გულის სიმაგრე. შობის შემდეგ მშობიარე ლოგინში ერთ კვირასაც რჩება. ამ ხნის განმავლობაში უნდა იყვეს მშვიდად, ერიდოს გაჯავრებას, აღელვებას, ვნებას, აღტაცებას და გაცივებას. საჭიროა სუფთა ჰაერი, ყოველ დღე სუფთად და ფრთხილად გაბანვა საშვილოსნოსი. არ სვას ღვინო, არაყი, არამედ რძე და ხილის საჭმელი. პირველი სამი დღე ზურგზე უნდა იწვეს, რის შემდეგ შეუძლიან გვერდზე გადაბრუნდეს. თუ ბებია ყოყმანობს საჭიროა ექიმის მოყვანა. განთავისუფლების შემდეგ მუცელი თბილად უნდა შეუხვიონ და თუ ადგომა მოისურვა, თბილად ჩააცვან*" („ცნობის ფურცელი," №480, 1898).

# მსოფლიო ამბები

წარმოდგენილი მასალის დიდი ნაწილი მოიცავს მსოფლიო ამბებს. გაზეთების ყოველ ნომერში იბეჭდებოდა სხვადასხვა ინფორმაცია ამა თუ იმ ქვეყნიდან. ქართული პრესის განსაკუთრებული ინტერესის ობიექტი იყო სამედიცინო სფეროში ქალთა ჩართულობის საკითხი. გაზეთების წყარო ძირითადად სხვადასხვა ქვეყნიდან დეპეშით მოსული ახალი ამბები და უცხოეთის პრესა იყო.

პრესის მასალებში გვხვდება ათეულობით ექიმი ქალის ისტორია, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგამდნენ პროფესიულ მედიცინაში. მათ შორისაა, მაგალითად: ელიზაბეთ ბლექველი – ამერიკელი მედიკოსი და პირველი ქალი, რომელმაც სამედიცინო აკადემიური ხარისხი მიიღო აშშ-ში; ის ოდესელი ქალები, რომლებიც საკუთარი ხარჯით გეგმავდნენ საექიმო-პედაგოგიური სასწავლებლის გახსნას; შვეიცარიელი ინჟინერი ქალი, რომელმაც ქალაქის მთავარი საავადმყოფოს შენობა ააგო; უცნობი ციმბირელი ქალი, რომელმაც მნიშვნელოვანი თანხით დააფინანსა რუსეთის საექიმო აკადემია; პირველი ფერადკანიანი ექიმი ქალი, რომელსაც ამერიკაში მკურნალობის უფლება მიეცა; პარიზელი ქალები, რომლებმაც სედანის ბრძოლის დროს გასაოცარი გამბედაობა გამოიჩინეს დაჭრილთა გადასარჩენად თუ ინგლისელი ექიმი ქალი, რომელმაც ურთულესი ქირურგიული ოპერაცია ჩაატარა:

> „ამ ცოტა ხანში, როგორც გვატყობინებს გაზ. „Kunjer Warszawski", ერთს ექიმ ქალს, შთამომავლობით ინგლისელს, ერთი ისეთი შესანიშნავი და ძნელი აპერაცია შეუსრულებია: ქალისთვის საშვილოსნო გამოუჭრია და ავადმყოფი ქალი ცოცხალი დარჩენილა. ჩვენი ექიმები თუ კაცებია, ნეტავი ვისმე ფრჩხილი ისე მოსჭრან, რომ საიქიოს არ გაისტუმრონ" („დროება," №103, 1883).

ქართული გაზეთები ეხმიანებოდნენ ამა თუ იმ უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე ქალების სწავლის ყოველ ახალ შესაძლებლობას და პრაქტიკას სხვადასხვა ქვეყანაში, აქვეყნებდნენ სტატიებს, მაგალითად, ვარშავის საფარმაცევტო ინსტიტუტის საქმიანობის, ლონდონის სამკურნალო უნივერსიტეტისა თუ რუსეთის საექიმო აკადემიის შესახებ:

> „ქალებს მიეცათ ნება ედინბურგის უნივერსიტეტში (ანგლიაში) მედიცინის ლექციების სმენისა; მაგრამ იმათთვის ცალკე ოთახები იქმნება უნივერსიტეტის სადგომში დანიშნული" („დროება," №32, 1869);

> „შვეციაში ქალებს აქვთ მიცემული ნება ექიმობაზე ეგზამენის დაჭერისა, და იქ ეხლა ბევრი ექიმი-ქალები მოიძებნებიან; გაზეთებში სწერენ, რომ ეხლა საქალებო გიმნაზიები ისე უნდათ გარდააკეთონ, რომ იქიდან პირდაპირ უნივერსიტეტებში შესვლა შეეძლოთ. ისე როგორც კაცების გიმნაზიიდანო" („დროება," №35, 1869);

> „ფინლანდიის გაზეთები სწერენ, რომ ხელმწიფე იმპერატორმა ერთს იქაურს ქალს მისცა ნება აფთიექრობაზე ეგზამენის დაჭერისა" („დროება," №45, 1869);

> „ვარშავაში განზრახულ საფარმაცევტო საქალებო ინსტიტუტს, როგორც ისმის, მხოლოდ მოსამზადებელ სასწავლებლის ხასიათი ექმნება. ვინც მასში სწავლას დაამთავრებს, მიიღებს პროვიზორის თანაშემწისა და პროვიზორის წოდებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეკზამენს მოიხდის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზედ ანუ სამხედრო-სამკურნალო აკადემიაში" („ივერია," №151, 1899);

*„არც ერთს უმაღლესს სასწავლებელში არა სწავლობს იმდენი ქალი, რამდენიც ლონდონის სამკურნალო ინსტიტუტში. იქ სწავლა-დამთავრებული ქალები მთელს დედამიწის ზურგზედ არიან გაფანტულნი. ზოგი ველურსა და გაუნათლებელთა შორის ერთსა და იმავე დროს მკურნალობასაც ეწევა და მისიონერობასაც. ინდოეთის თითქმის ყველა ქალაქში შეჰხვდებით მკურნალ-ქალს ლონდონის ინსტიტუტში სწავლა-დამთავრებულს. ბლომად არიან მკურნალი ქალები ჩინეთსა, აფრიკასა და სპარსეთშიაც კი. თვით ინგლისში სამკურნალო ინსტიტუტიდგან გამოსული ქალები უმთავრესად დამზღვევ საზოგადოებებსა და საფოსტო დაწესებულებებში მსახურებენ მკურნალებად“* („ივერია,“ №70, 1900).

თუ XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ქალების უმაღლეს განათლებას, განსაკუთრებით კი – სამედიცინო სფეროში, უმეტეს შემთხვევაში კრიტიკულად განიხილავდნენ, გაზეთების ცნობით, უკვე XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე, მაგალითად, ჟენევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე მოსწავლე ქალების რიცხვი მნიშვნელოვნად აღემატებოდა სტუდენტი მამაკაცების რიცხვს:

*„სამკურნალო ფაკულტეტზედ მოსწავლე ქალთა რიცხვი 197-თა სჭარბობს ვაჟთა რიცხვს. უმრავლესობას რუსეთის ქვეშევრდომნი შეადგენენ“* („ივერია,“ №26, 1901).

გაზეთებში ქვეყნდებოდა სტატისტიკური ინფორმაციაც, თუ რომელ ქვეყანაში რამდენი ექიმი ქალი იყო დასაქმებული, მაგალითად:

*„ამერიკაში 1870 წელს სულ 527 მკურნალი-ქალი იყო, დღეს-კი, როგორც სტატისტიკურის ცნობებიდგანა სჩანს, მათი რიცხვი 4,500 აღემატება. ერთი ქალი – ანიტა ნიუკომბ მაკ-ჯი იქ სამხედრო ექიმის თანამდებობასაც-კი ასრულებს. მაკ-ჯი პროფესორის ქალია და პროფესორისავე ცოლი, სწავლა 1892 წელს დაამთავრა ვაშინგტონის უნივერსიტეტში“* („ივერია,“ №95, 1899);

*„მთელ დედამიწაზედ 8,000 მკურნალი ქალი ყოფილა, აქედგან შეერთებულ შტატებში – 6,000, ინგლისის იმპერიაში – 400, რუსეთში – 700, საფრანგეთში – 85, იტალიაში – 20. ინდოეთში 133 საავადმყოფოში მკურნალებად მხოლოდ ქალები არიან. ერთი მკურნალი ქალი ქაირშია, ერთიც ალექსანდრიაში, ერთი შვეიცარიელი ქალი მკურნალად არის აბაშეთის ნეგუს მენელიკთან. იტალიის დედოფლის ლეიბ-მკურნალიც ქალია“* („ივერია,“ №219, 1901).

გაზეთები არ წერდნენ მხოლოდ თანამედროვე ამბებზე, კორესპონდენტები ხშირად მოიხმობდნენ მსოფლიო ისტორიას სამედიცინო სფეროში ქალების წარმატების დასასაბუთებლად:

*„რომაელმა ქალმა უფრო გაითქვა სახელი საექიმო საგნების შესწავლასა და მკურნალობაში. აქ იყო 5 ნაფიცი ექიმი-ქალი* (midicae iuratae), *რომელთა ვალდებულებასაც შეადგენდა შემოწმება ქალისა ყველა საჭირო შემთხვევაში; გარდა ამისა იყვნენ ნასწავლნი ბებიებიც* (obsestrices). *მეცნიერების წინ სვლაშიაც მიიღო ქალმა მონაწილეობა. იტალიაში 1400 წელს ქალს დოროტეა ბუკკას ეჭირა ბოლონის უნივერსიტეტში კათედრა საექიმო საგნებისა და ფილოსოფიისა; იმავე უნივერსიტეტში იყო ანატომიის პროფესორად ანნა მეცოლინი მირანდი (1717-1774). ეს ქალი ითვლებოდა აგრეთვე მრავალ სამეცნიერო საზოგადოების წევრად; მარია მაგდალინი პეტრაჩინი (1759-1791) იყო განთქმული მცოდნე საექიმო საგნებისა“.* („ივერია,“ N97, 1889).

ექიმი ქალები, მსოფლიო მასშტაბით, მხოლოდ თავიანთ პროფესიულ საქმეს არ ემსახურებოდნენ. საქართველოშიც და სხვა ქვეყნებშიც ისინი აქტიურად გამოდიოდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე, იცავდნენ ქალთა უფლებას სხვადასხვა მიმართულებით, მონაწილეობდნენ და ორგანიზებას უწევდნენ ღონისძიებებს ქალთა უფლებების დაცვის მიზნით.

ქალების განათლებასა და დასაქმებასთან ერთად მთელ მსოფლიოში აქტუალური გახდა მათი შრომითი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხიც – საქმიანობის შესრულებისას. ამავე თემებზე საუბრისას იწყებოდა მსჯელობა: შრომითი კანონმდებლობის, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის, ქალთა დეკრეტული შვებულების აუცილებლობის შესახებ. ქართულ პრესას არც ეს მნიშვნელოვანი თემა დარჩენია ყურადღების მიღმა:

> *„ფაბრიკებზე მომუშავე ქალების შესახები კანონები უვარგისია, რადგან არ იცავენ მათ ჯანმრთელობას განსაკუთრებულის წესებით, როგორც მიღებულია უფრო განვითარებულ სახელმწიფოთა კანონმდებლობაში“* („ცნობის ფურცელი,“ №2139, 1903).

ამრიგად, წარმოდგენილ მასალებში კარგად ჩანს, რომ სამედიცინო სფეროში ქალთა ჩართულობის საკითხს ქართული პრესა აქტიურად აშუქებდა. კორესპონდენტებისთვის საინტერესო იყო როგორც საქართველოში მიმდინარე მოვლენები, ისე მთელი მსოფლიოს მასშტაბით არსებული სიახლეები. შესავალ სტატიაში ჩვენ მიერ წარმოდგენილი თემატური დაჯგუფება პირობითია, განათლების, დასაქმების, ქალთათვის სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობის გარდა, მოცემულ მასალაში ბევრი სხვა საკითხიც იკვეთება, რაც, ვიმედოვნებთ, თემით დაინტერესებული მკვლევრებისთვის შემდგომი ძიების საგანი გახდება და წარმოდგენილი ბროშურა სასარგებლო რესურსი იქნება მათთვის, აღნიშნულ თემებზე სხვადასხვა პერიოდის ქართული პრესის შესწავლა კი მომავალშიც გაგრძელდება.

# საარქივო პრესის მასალები (1866-1909 წლები)

**თბილისის სამკურნალო**

(4 აპრილის სახსოვრად) ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე. კვირის გარდა, დილის 9 საათიდამ ვიდრე 1 საათამდი. ორშაბათს: ექიმი მინკევიჩი — ხირურგიის, **პარჟნიცკი — ყმაწვილების, ქალებისა და ვენერიული ავათმყოფებისათვის,** გარალევიჩი და ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფობისა. სამშაბათს: **პარჟნიცკი — ყმაწვ,. ქალებისა და ვენერიული ავათმყოფობისათვის. ხუთშაბათს: პარჟნიცკი — ყმაწ,. ქალებისა და ვენერიული ავათმყოფობისა,** მარკაროვი და ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის. პარასკევს: მინკევიჩი — ხირურგიისა, **პარჟნიცკი — ყმაწ,. ქალების და ვენერ. ავათმყოფ,** ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის. შაბათს: მარკაროვი და ლისიცევი შინაგანი ავათმყოფობისათვის. („დროება," N12, 1866 წელი);

* * *

დირექცია სამკურნალოისა (лечебницы), რომელიც ტფილისის მოქალაქეებმა დაარსეს სახსოვრად 4-ის აპრილის, საყოველთავოდ აცხადებს, რომ ეს სამკურნალო არის გაღებული ყოველდღე 8 საათიდგან 12 საათამდე, კვირა-დღეებს გარდა. რვა საათიდგან ათამდე მიიღებენ **კაცებსა, ათ საათიდგან თორმეტამდე ქალებს და ყმაწვილებს.** თვითონ სამკურნალო იმყოფება სადოვის ქუჩაზე, შადინოვის სახლში. („დროება," N42, 1867 წელი);

**დოკტორი ქალი სუსლოვი**

ამ რამდენსამე წლის წინათ რუსეთში ქალებს ნება ჰქონდათ, რომ უნივერსიტეტებში სწავლა მიეღოთ, მასუკან კი აუკრძალეს მთავრობის განკარგულებით. რუსეთის უნივერსიტეტებში და პეტერბურღის საექიმო აკადემიაში დადიოდნენ საკმაოთ ქალები, რამდონიც კი პირველად დაწყება შეიძლება. ამ ხუთი წლის წინათ პეტერბურღის ერთს გემნაზიაში დაიჭირა ეგზამენი სუსლოვის ქალმა (რადგანაც მაღალ სასწავლებელში კურსის შესრულებისათვის გემნაზიის კურსის ატესტატი უნდა ჰქონდეს), მსურველად მასუკან საექიმო აკადემიაში შევიდა. მანამ ქალებს აუკრძალეს სიარული, იქა სწავლობდა. ეხლა სწერენ, რომ ამ ქალს ევროპის ერთ უნივერსიტეტში (შვეიცარიაში ციურიხის ქალაქში) დაუსრულებია დოქტორათა (მედიცინის დოქტორათა). აქედამა სჩანს, რომ კარგა დაუსრულებია, რადგანაც დოკტორობა მეტი ხარისხია ისე ჰექიმობაზე, ლეკრობაზე. ეს შემთხვევა პირველი შემთხვევაა რუსეთში. ამის მეტათ რუსეთში მაღალ სასწავლებელში დასრულებული ქალი ჯერ არა ყოფილა. ჰექიმის სწავლას, რადგანაც მეტი ბეჯითობა უნდა და მოთმინება, ეს შემთხვევა შესანიშნავია. ხუთ წელიწადს კარგი შრომა და თავის დადება უნდა, რომ ასე დაასრულოს კაცმა. („დროება," N36, 1867 წელი);



**დოკტორი ქალი სუსლოვი.** ამ რამდენსამე წლის წინათ რუსეთში ქალებს ნება ჰქონდათ, რომ უნივერსიტეტებში სწავლა მიეღოთ, მასუკან კი აუკრძალეს მთავრობის განკარგულებით. რუსეთის უნივერსიტეტებში და პეტერბურგის საექიმო აკადემიაში დადიოდნენ საკმაოთ ქალები, რამთონიც კი პირველად დაწყება შეიძლება. ამ ხუთი წლის წინათ პეტერბურღის ერთს გემნაზიაში დაიჭირა ეგზამენი სუსლოვის ქალმა (რადგანაც მაღალ სასწავლებელში კურსის შესრულებისათვის გემნაზიის კურსის ატესტატი უნდა ჰქონდეს,) მსურველსადა მასუკან საექიმო აკადემიაში შევიდა. მანამ ქალებს აუკრძალეს სიარული, იქა სწავლობდა. ეხლა სწერენ, რომ ამ ქალს ევროპის ერთ უნივერსიტეტში (შვეიცარიაში ციურიხის ქალაქში) დაუსრულებია დოქტორათა (მედიცინის დოქტორათა). აქედამა სჩანს, რომ კარგა დაუსრულებია. რადგანაც დოკტორობა მეტი ხარისხია ისე ჰექიმობაზე, ლეკრობაზე. ეს შემთხვევა პირველი შემთხვევაა რუსეთში. ამის მეტათ რუსეთში მაღალ სასწავლებელში დასრულებული ქალი ჯერ არა ყოფილა. ჰექიმის სწავლას, რადგანაც მეტი ბეჯითობა უნდა და მოთმინება, ეს შემთხვევა შესანიშნავია. ხუთ წელიწადს კარგი შრომა და თავის დადება უნდა, რომ ასე დაასრულოს კაცმა.

**გაზეთი „დროება“, 1867 წელი**

### სხვა და სხვა ამბავი

დოქტორი, ამერიკელი ქალი, ანნა დენემორი. ჯერ მისს მერი უოკერს (ქალია) ატლანტიკის ოკეანი არ გაევლო და ევროპიდგან თავისს სამშობლოში არ დაბრუნებულიყო, რომ ანგლიაში კიდევ მოვიდა ამერიკიდგან ერთი დოქტორი ქალი. დოქტორი ანნა დენემორი სადედაკაცო მედიცინის კოლლეგიის აკუშერობის (საბებიოს) პროფესორია ნიუ-იორკში, და ისეთი აქიმობის ალაგი უჭირავს, რომ ბევრს დოქტორს კაცს შეშურდება. ანნა დენემორს კაცური ტანისამოსი არ აცვია და არც შეყრილობაში ყოფნა უყვარს. განთქმულნი ექიმები ამბობენ, რომ ამ ქალმა თავისი საქმე ძლიერ კარგათ იცისო. ანნა დენემორი ფრიად საამო შეხედულობისა არის. („დროება,“ N41, 1867 წელი);



## სხვა და სხვა ამბავი.

დოქტორი, ამერიკელი ქალი, ანნა დენემორი. ჯერ მისს მერი უოკერს (ქალია) ატლანტიკის ოკეანი არ გაევლო და ევროპიდგან თავისს სამშობლოში არ დაბრუნებულიყო, რომ ანგლიაში კიდევ მოვიდა ამერიკიდგან ერთი დოქტორი ქალი. დოქტორი ანნა დენემორი სადედაკაცო მედიცინის კოლლეგიის აკუშერობის (საბებიოს) პროფესორია ნიუ-იორკში, და ისეთი აქიმობის ალაგი უჭირავს, რომ ბევრს დოქტორს კაცს შეშურდება. ანნა დენემორს კაცური ტანისამოსი არ აცვია და არც შეყრილობაში ყოფნა უყვარს. განთქმულნი ექიმები ამბობენ, რომ ამ ქალმა თავისი საქმე ძლიერ კარგათ იცისო. ანნა დენემორი ფრიად საამო შეხედულობისა არის.

*გაზეთი „დროება“, 1867 წელი*

### შინაგანი ცნობები

ჩვენ გავიგონეთ, რომ ტფილისში ამ ზამთრით რამდონიმე პირის თაოზით გაიხსნებაო საქალებო კურსები. როგორც ამბობენ ლექციები წაიკითხებიან ვაჟების გიმნაზიების პროგრამმით. **მხოლოთ პედაგოგიას, ჰიგიენას და სხვა ქალებისათვის უფრო საჭირო საგნებს ექნებაო მიქცეული მომატებული ყურადღება.** უეჭველია, ყველასათვის სასიამოვნო იქნება, რომ ეს ხმები გამართლდნენ და ზემოხსენებული საქმე მოვიდეს სისრულეში. ჩვენ არ გაგვიგია ჯერ ნამდვილათ ლექციების სმენა უფასოთ იქნება თუ ფასითა. დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ნაირი კურსები, თუ რიგიანად გამართეს ძალიან დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს სწავლის საშუალების მოკლებულს, დედებსა და დებს. („დროება,“ N3, 1869 წელი);

* * *

აი რას სწერენ ქალებზე ჟურნალში „Дело»: ამ ცოტა ხანში გაათავეს აქ (პეტერბურღში) სწავლა იმ ქალებმა, რომლებიც პედაგოგიურ ლექციებს სმენულობდნენ მარიამის საქალებო გიმნაზიაში. დიდი ხანი არ არის, რაც ამ გიმნაზიაში დაიწყეს ბუხლალტერიის (ანგარიშის დაჭერის) სწავლა, იმისთვის რომ იქიდგან გამოსრულს ქალებსა შეეძლოსთ სამსახური მისს დიდებულების კანცელარიის კონტროლის ნაწილში; შემდეგ კი, თუ კარგათ წაიყვანენ საქმეს, კიდევ უკეთესს ადგილებსა ჰპირდებიან; ეხლა ეძლევა იმათ ჯამაგირი 900 მანეთამდი. ერთმა მმართებლობის წარმომადგენელმა პირმა სთქვა მარიამის გიმნაზიაში აქტის დროს, რომ თუ ამ პირველად გამოშვებულებმა გაამართლეს მმართველობის მოლოდინი და კარგათ წაიყვანეს საქმე სამსახურში, მაშინ ქალებს მისცემენ იმისთანა ადგილებს, რომლებიც მარტო კაცებს ეჭირათ. „ამბობენ, რომ ქალებს მიიღებენ სამსახუროთ ფოჩტაში და სახელმწიფო ბანკში. ჩვენ დარწმუნებული ვართო, ამბობს „Дело“ რომ როგორც სახელმწიფოს ბანკი, ისე განსაკუთრებით, ფოჩტა ბევრს მოიგებს ამით. **„მაშ ჩვენ გვყავს ეხლა ქალებთ შორის სწავლულები, ექიმები, ტელეგრაფისტკები და ჩინოვნიკები. თუ ჩინოვნიკი-ქალის საქმე პირველშივე ისე კარგათ წავიდა, როგორც ექიმი-ქალისა, მაშინ საზოგადოთ ქალებს მოელის იმისთანა საქმეების ხელში ჩაგდება, რომლებიც უწინ მარტო კაცებს ეჭირათ, და ამ რიგათ ისინი მიაღწევენ თავიანთ წადილსა.** ეხლა

ისინი, რომელნიც ეწინააღმდეგებოდენ უწინ ამ საქმეს, თვითონ დარწმუნდნენ მასში, რომ დედა-კაცსაც ისე კარგათ შეუძლიათ სწავლა და წარმატების მიღება, როგორც მამა-კაცებს. **იყვნენ იმისთანა პირები, რომელნიც ამბობდნენ, რომ ქალს ექიმობის სწავლა არ შეუძლიაო; ეხლა თვითონვე ამისთანა კაცები მიიწვევენ ხოლმე ერთს ექიმობაში განსწავლულ ქალს თავის ცოლ-შვილის საწამლავათ; ამ ჟამათაც გვესმის ჩვენ პეტერბურღში სინანულის ხმები; ამბობენ ნეტავი მეტი ქალები-ექიმები იყვნენ, თორემ ერთი სუსლოვა არ გვყოფნისო.** ჩინოვნიკს-ქალებსა და აგრეთვე სხვებსაც შეუძლიანთ ამოფხვნან საზოგადოებაში ის ამაოთმორწმუნება, რომ ქალები ჩინოვნიკებათ არ ივარგებენო. („დროება,“ N29, 1869 წელი);

* * *

ქალებს მიეცათ ნება ედინბურგის უნივერსიტეტში (ანგლიაში) მედიცინის ლექციების სმენისა; მაგრამ იმათთვის ცალკე ოთახები იქმნება უნივერსიტეტის სადგომში დანიშნული. („დროება,“ N32, 1869 წელი);



ქალებს მიეცათ ნება ედინბურგის უნივერსიტეტში (ანგლიაში) მედიცინის ლექციების სმენისა; მაგრამ იმათთვის ცალკე ოთახები იქმნება უნივერსიტეტის სადგომში დანიშნული.—

**გაზეთი „დროება,“ 1869 წელი**

* * *

შვეციაში ქალებს აქვთ მიცემული ნება ექიმობაზე ეგზამენის დაჭერისა, და იქ ეხლა ბევრი ექიმი-ქალები მოიძებნებიან; გაზეთებში სწერენ, რომ ეხლა საქალებო გიმნაზიები ისე უნდათ გარდააკეთონ, რომ იქიდან პირდაპირ უნივერსიტეტებში შესვლა შეეძლოთ. ისე როგორც კაცების გიმნაზიიდანო. თუ მართებლობა უმაღლესი სწავლის მიღების ნებას აძლევს ქალებს, მაშ, ცხადია, იმ ნაირ ღონისძიებასაც მიიღებს, რომ ამ სწავლამ იმათ ტყუილ-უბრალოთ არ ჩაუაროს; ესე იგი, იმედია, რომ იმათაც მიიღებენ შემდეგში იმისთანა ადგილებზე -სამსახურში, სადაც აქამდი მარტო კაცები იყვნენ. („დროება,“ N35, 1869 წელი);

* * *

ფინლანდიის გაზეთები სწერენ, რომ ხელმწიფე იმპერატორმა ერთს იქაურს ქალს მისცა ნება აფთიექრობაზე ეგზამენის დაჭერისა. ეს ამბავი მოგვაგონებს ჩვენო, ამბობენ პეტ. უწყ., იმას, რომ ამას წინეთ რამდენიმე ახალგაზდა ქალი, რომელთაც გაათავეს პედაგოგიის კურსი მარიამის გიმნაზიაში, მიიღეს. კონტროლის დეპარტამენტში და მუშაობენ იმ იმედით, რომ შემდეგში იმათ ჩარიცხავენ სახელმწიფო სამსახურში. ყველა ესენი წარმატების ნიშნებია. („დროება,“ N45, 1869 წელი);

* * *



საქართველო

„დროების“ მე-21 №-ში დავბეჭდეთ, რომ ის ათას ექვსასი მანეთი, რომელიც მორჩენია იქაურ ქალების კურსების შემოსავალს და რომელიც მასწავლებლებს თავის შრომის ფასად უნდა წაეღოთ, იმათ ამ საქმის წარმატებისთვის შეუწირავთ. ამ ამბავს უნდა დაუმატოთ ახლა, რომ, როგორც ამბობენ, მასწავლებლებს გადაუწყვეტიათ, რომ შეწირული ფულებით პეტერბურღის მედიკო-ხირურღიის აკადემიაში გავგზავნოთ რამდენიმე ქალი სწავლის გასაგრძელებლათაო. — ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ამ აკადემიაში წლევანდელი წლიდგან ქალებს მიეცათ, სტუდენტებთან ერთად, ბებიობის სწავლის ნება.

**გაზეთი „დროება“, 1870 წელი**

„დროების“ მე-21 N-ში დავბეჭდეთ, რომ ის ათას ექვსასი მანეთი, რომელიც მორჩენია იქაურ ქალების კურსების შემოსავალს და რომელიც მასწავლებლებს თავის შრომის ფასად უნდა წაეღოთ, იმათ ამ საქმის წარმატებისთვის შეუწირავთ. ამ ამბავს უნდა დაუმატოთ ახლა, რომ, როგორც ამბობენ, მასწავლებლებს გადაუწყვეტიათ, რომ შეწირული ფულებით პეტერბურღის მედიკო-ხირურღიის აკადემიაში გავგზავნოთ რამდენიმე ქალი სწავლის გასაგრძელებლათაო. ჩვენმა მკითხველმა იციან, რომ ამ აკადემიაში წლევანდელი წლიდგან ქალებს მიეცათ, სტუდენტებთან ერთად, ბებიობის სწავლის ნება. („დროება,“ N24, 1870 წელი);

### ნარევი

ქალებმა პარიჟში კამიტეტები შეადგინეს და გამოაცხადეს, რომ ისინი მოუვლიან დაჭრილებსა ლაზარეთებში და, თუ საჭირო იქნება, თოფ-იარაღითაც გამოვლენ პარიჟის ციხეებზე თავის სამშობლოს დასაცველათა და ნემცების დასამარცხებლათ. („დროება,“ N39, 1870 წელი);

### რუსეთი, მოსკოველი ახალგაზდა ქალები

ამას წინეთ მოსკოვის უნივერსიტეტის რჩევამ გამოაცხადა თავის აზრი ქალების უნივერსიტეტში შესვლის თაობაზე. შესანიშნავია, რომ მოსკოვის უნივერსიტეტი, რომელიც ყველა რუსულ უნივერსიტეტებზე უფრო კონსერვატიულია, აცხადებს, რომ ქალებისთვის უნივერსიტეტში ლექციების სმენის ნების მიცემა აუცილებლათ

საჭირო და სასარგებლო საქმე იქნებაო. მაგრამ ამასთანავე მოსკოვის პროფესორები ამბობენ, რომ ცალკე ლექციების გამართვა ქალებისთვის ძნელი საქმე იქნებაო, რადგან პროფესორებს ცალკე ქალებისთვის ლექციების კითხვა გაუჭირდებათო; **ამის გამო, რჩევის აზრით, ყველას ემჯობინება, ქალებმა და სტუდენტებმა მედიკურ ფაკულტეტზე ერთად რომ ისმინონ ლექციებიო, ეს აზრი მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორებს სახალხო განათლების მინისტრისთვის წარუდგენიათ, რომელზედაც ამ საქმის საბოლოოთ გადაწყვეტა დამოკიდებულია.** როგორ გულ-მხურვალეთ მისდევენ სწავლას მოსკოვის ახალგაზდა ქალები შემდეგი მაგალითი გვიმტკიცებს: ეს სამი წელიწადია, რაც იქაურ მეორე გიმნაზიასთან, თვითონ ქალებისავე მეცადინეობით, საქალებო კურსები (ლექციები) გაიხსნა, ისეთი როგორიც თფილისის კლასიკურ გიმნაზიასთან არის. ამ კურსებზე მოწვეული მასწავლებელი ვაჟების გიმნაზიის საგნებს ჰკითხულობენ. თუმც კურსები არავითარ უფლებას არ აძლევს ქალებს, მაგრამ ისინი მაინც ძალიან ბევრნი დაიარებიან. რასაკვირველია, ზოგიერთები შეიძლება მხოლოთ იმისთვის დაიარებოდნენ, რომ სადმე სთქვან: „მე კურსებში დავიარებიო." ზოგი თავის გამოსაჩენათ და სხვის სანახავათ შეიძლება მოდიოდნენ ამ ლექციებზე, მაგრამ მომეტებული ნაწილი კი, უეჭველია, მხოლოთ სწავლისათვის და თავის გონების გასახსნელათ დაიარება. ეს სხვათა შორის იმათაც ცხადათ სჩანს, რომ ძალიან ბევრი 2 და 3 ვერსიდამ მოდიან აქ კურსებზე ლექციების სასმენელათ. კურსები ისე კარგათ მიდის, რომ სრულიად მმართებლობისდა დაუხმარებლათ არსებობს: მასწავლებლის ჯამაგირს და სხვა ყველა გასავალს ქალებისგან შემოსული სწავლის ფულები აუდის. ორი წლის განმავლობაში ქალებს მშვენიერათ შეუსწავლიათ ამ კურსებზე ყველა საგნები, რომელთაც ვაჟების გიმნაზიებში გადიან. განსაკუთრებით მათემატიკის სწავლა მიდის თურმე კარგათ. ასე რომ წელს ერთი უნივერსიტეტის პროფესორი მოუწვევიათ უმაღლესი მათემატიკის საკითხავათ და ამნაირათ ამ კურსებზე ქალები ისე გადიან მათემატიკას, როგორც უნივერსიტეტის პირველს და მეორე კურსში ასწავლიან ხოლმე. ათასი ამისთანა მაგალითის შემდეგ. ზოგიერთები კიდევ ჩნდებიან, რომელნიც ამბობენ ქალებს არა ჰსურთ, ან არ შეუძლიან სწავლის მიღებაო!.... („დროება," N39, 1871 წელი);

### მკითხავების ექიმობა

ამ წლის იანვრის 14 დღესა, როდესაც მე შინ არ გახლდით, ავათ გამხდომოდა ცხრა თვის ყმაწვილი ასე, რომ სრულებით გრძნობა დაეკარგნა, მასთან მოძრაობა და სუნთქვა სრულებით აღარ უჩანდა. ეს რომ დედაჩემს უნახავს, საშინლათ შეშინებია, ყმაწვილი უპატრონობით და უზიარებლად არ მომიკვდესო; ამის მეტი ველარა მოუგონია რა, ყმაწვილისთვის უსხამს წყალი და უგლეჯია თმა და ყურები, მაგრამ მაინც ვერ მოუბრუნებია. ამ წივილ-კივილში მოგროვილან დედაკაცები და ზოგს უთქვამს ანთება მოსვლიაო და ზოგს, უფრო მამეტებულს, ბნედა მოსვლიაო. უსწავლებიათ, **კუკიის ხიდთან ერთი დედაკაცი სდგას, რომელიც მაგისთანა ავათმყოფობას კარგად არჩენსო.** როგორც მოგეხსენებათ დედაკაცისაგან ფაცხა-ფუცხით გაჭრილა მკითხავ ოსანასთან და შეუჩივლნია ყმაწვილის ავათმყოფობა: თუ რამ იცი, გვიშველეო. ოსანას გადმოუღია რაღაც დავთარი და თავისებურათ უტუტუნია რაღაცებიც, ამის შემდეგ უთქვამს: ოჰ, რა მალხაზი ყმაწვილი ყოფილაო, ეს ბავშვი სხვაგანა გყოლიათ ღამე და წამოყვანის დროს ავ ქარს დაუკრავს წინიდგანაო.. უკეთუ ზურგიდგან ჰქონდეს, მე იმის მორჩენას ველარ შევძლებდიო; ფიქრი ნუ გაქვს, ორ კვირას განვათავისუფლებ იმ სენიდგანაო.დედაჩემს სიხარულით შინ მოუყვანია ეს დედაკაცი და უჩვენებია ყმაწვილი; ამ ფლიდს თავი გადაუგდია და გადმოუგდია: — იჰ! ეს რა ძალიან მოსვლია! აფსუს ყმაწვილო, უდროოდ წამხდარხარ! მე თუ ამას მალე არ უწა-

მლე, გაუცხოვლდება და დიდობამდიმ შეჰყვებაო. ეხლა მამეცი სამი მანეთი და ერთი უნიშნო ქათამი; სამი მანეთის მუშკი უნდა ვიყიდო, ქათმის სისხლში უნდა გავლესო, შეულოცო და ქაღალდზეც ის დავწერე, რომ ყმაწვილს ასვა ხოლმეო. დედაჩემს სამი მანეთი და დედალი სიხარულით მიუცია. საღამოს ამ დედაკაცს ერთი წიგნი იღლიაში ამოეჩარა და ისე მოსულა ჩვენსა. ამ დროს მეც მიველი შინ და დედაჩემმაც შემატყობინა ეს ამბავი. ოსანამ რომ დამინახა, როგორღაც არ ეჭაშნიკა. მე ამ დედაკაცს კარგა ხანი უცქეროდი ისე, როგორათაც ფლიდს და მატყუარს. რო ველარ მევითმინე ხმა დაბლათ უთხარი: ყველა კარგი, ფული-ფული იყო, მაგრამ დედალი რაღასთვის გინდოდა, მეთქი. ამის პასუხი ეს მითხრა: იცი, შვილო! ფულისა მუშკი უნდა ვიყიდო, ქათმის სისხლში უნდა გაურიო და ისე უნდა დავწერო; იმ დაწერილებიდან ზოგი უნდა ასვათო, ზოგი ზედ უნდა დააკეროთო, და ერთი კი ჯვარედინ გზაში ჩაფლათო; — რომ ავი მავნე განშორდეს სამარადოთო; ამასთანავე აი, ეს არაბული წიგნი იმიტომ მოვიტანე, რომ ამითი შეულოცო, გადაუაროს ავმა ქარმა და მიეცეს მშვიდი ძილიო! მართლაც იმან გადაშალა მოტანილი წიგნი და დაიწყო, რაღაც ბურდღუნი, მანამ ბურდღუნს გაათავებდა, მომდიოდა ჯავრი, რომ ასე თვალ და თვალ მატყუებდა; მაგრამ რა გაეწყობოდა: დედა-კაცების ხელში ყოფნა ძნელია. წიგნს ჩავხედე; ვნახე, რომ ნამდვილი თათრული დაბეჭდილი წიგნი იყო, და არა არაბული და ამასთანავე ბუტბუტებდა ქართულათ, გავიქნიე თავი და წავიბურტყუნე: რა დრობის დედაკაცი რა დროებაში მყოფს გვატყუებს და! ოსანამ შემატყო, რომ მრისხანის სახით დაუხვდი და ეჭვნეულით უყურებდი იმის ექიმობას. იმან მოინდომა ჩემი მოსყიდვა მუსაიფითა და რაღაც არაბულს ისტორიას მომიყვა. სხვათაშორის სთქვა ვითომ ერთ დიდკაცს უკითხვინებია იმისთვის და იმას ეთქვას, რომ გომბორის ციხეში ხაზინა მარხიაო. მაგრამ ჩემს მეტს იმის ამოღება არავის შეეძლება რაკი სახელწიფო საქმეაო. თუ არა გჯერათ, მამეცით ყაზახები, წავალ და რომ ამოვიღო, მაშინ რისაც ღირსი ვიყო, ისე წარმადგინეთო. ოსანას ლაპარაკით, ვითომც იმ კაცს ამისათვის ყაზახები გაუტანებია და მათთან ერთი ჩინოვნიკიცა. რა გომბორის ციხეს მიახლოვებულან, ოსანა ჩამომხტარა, მაშინათვე თავის ლოცვის წიგნი გაუშლია და დაუწყია შელოცვა, რომ ავი მავნე იმ ხაზინას განშორებოდა და შესძლებოდა იმის ამოღება. ნახევარ საათის შემდეგ. ერთი მომსხო მცურავი გადმოსრიალებულა და ამ დედაკაცს ზედ კისერზედ შემოხვევია. ეს მცურავიც ლოცვით ჩამოსულა, ასე რომ არავისთვის არა უვნია რა და შემძვრალა ყორეში. ოსანას დაუკვრევინებია ბარი იმ ადგილას, ამოუთხრევინებია და ამოუღიათ სხვა და სხვა ნივთები. ეს ნივთები მიუტანიათ ქალაქში, დედაკაციც გადაულებინებიათ და წარუდგენიათ მთავრობასთან და მოუხსენებიათ: ამ ნივთების მპოვნელი ეს დედაკაცი გახლავთო! ამ პოვნის შემდეგ თერთმეტს წელიწადს გაუვლია და ოსანას არავითარი პასუხი არ გაუგია მთავრობისაგან. ამაზედ უჩივლია, და მთავრობამ ვითომ 25 მანეთი დაუნიშნა იმას პენცია; ამას არ დაჯერებულა და მეორეთ რომ უჩივლა, ვითომც მაშინ მთავრობას ეთქვას: აქამდინ დაგვავიწყდი, მაგრამ არა უშავსრა, შენთვის უფრო კარგიაო, სამას თუმანს ერთად მიიღებო. — მაგრამ ამ სამას თუმანსაც არ დაჯერებულა: მე ფული არ მინდაო, გთხოვთ რისაც ღირსი ვიყო, იმითი დამაჯილდოვეთო, რაკი მე ესეთი ნიჭი მაქვს. ჩემ ნიჭიერებას სხვანაირი ჯილდოც უნდაო, ანუ ჩინიო. ამის პასუხად მთავრობას ვითომც უთქვამს: შენ ხომ კაცი არა ხარ, რომ ჩინი მოგცეთო; და აუ, რაკი დედაკაცი ხარ, ამ მედალის მეტი არ შეიძლებაო, ეს არის შენი ხარისხიო! ეხლა გასინჯეთ ამის სიმართლე: სამასი თუმანი არ გამოურთმებია და მედალი კი სიხარულით არ მიუღია? ამ დედაკაცის ვადის გასვლამდინ, ჩვენი ქათმის სისხლით ნაწერი ქაღალდები ალბეს და ასვეს ყმაწვილს. ბოლოს ვნახე, რომ ვადა გავიდა და ყმაწვილი მაინც არ მორჩა; არა თუ მორჩა, არამედ სატკივარმა მოუმატა; ასე რომ წოვნის დროს, რძე ყელზედ ადგებოდა, ველარა ყლაპამდა, და ამითი გული უწუხდებოდა. ერთხელ ყმაწვილი ავიყვანე ხელში და ვნახე,

რომ ყელი გასივებოდა, და მასთან ალკატი გასჩენოდა სასაზედ. დაუძახე დედაჩემს, რომელმანც ჩასტაკა სასაში ხელი. გამოურწყო ის მუწუკი, და ორი დღის შემდეგ ყმაწვილი სრულიად მორჩა. შემდეგ კიდევ მოსულიყო ეს მკითხავი და ეთქვა ჩვენებისთვის: ყმაწვილი თუ არ მორჩენილა, ცხრა მანეთი კიდევ მომეცითო, ჩლაში ჩავჯდებიო, ექვსი წლის ქალიც ჩლაში ჩამაყოლეთო, რომ წყალში რაც გამოჩნდეს, იმან მითხრას და ისე უწამლოო. ამ სიტყვაზედ დედაჩემს დაუტატანებია, და უთქვამს: როგორც თათრულის წიგნით ყმაწვილი მამირჩინე, ისეც ჩლაში ჩაჯდომით მოარჩინეო; უმჯობესია მალე წახვიდე აქედამაო. ახლა წარმოიდგინეთ, თავის ფლიდობით რამდენს სხვას მოატყუებდა ეს დედაკაცი, რამდენს ღარიბსა და ღატაკს გამოსტყუებდა უკანასკნელ კაპეიკს და მორჩენის ნაცვლათ რამდენ ავათმყოფს შავ დღეს დაუყენებდა!... ამისთანები სხვაც რამდენია ჩვენს ქალაქში? სოფლებში ხომ იმათგან ხალხს შველა არა აქვს... კ. ბერძენოვი, თფილისი, 1872 წელი, მარტის 13. („დროება," N14, 1872 წელი);

**საქართველო**
**ჩვენი ქალები და უმაღლესი განათლება**

ამბობენ, რომ ჩვენი საზოგადოება ძალიან განზე უყურებდა იმ თითო-ოროლა ყმაწვილ-კაცებს, რომელთაც ამ ოცი-ოცდაათი წლის წინათ განაცხადეს სურვილი უმაღლეს სწავლის მიღებისა და რუსეთის უნივერსიტეტებში წავიდნენო. მაშინდელ ჩვენ მამებს არ მოსწონდათ, რომ მათი შვილები არ სჯერდებოდნენ იმ სწავლას, რომლის მიღება მაშინ აქაურს სასწავლებლებში შეეძლოთ. „რა გამოვა, ბატონო, იმათი სწავლით? წავლენ, რაღაც აჭია-ბაჭიას ისწავლიან და ჩვენ ოჯახს კი აღარ გამოადგებიანო! ჩვენ თუ რაღაც უნივერსიტეტში არ გვისწავლია, რა გვიშავსო!" ასე ამბობდნენ მაშინ ჩვენი მამები, მაგრამ შემდეგში, როდესაც დარწმუნდნენ, რომ ამ „უნივერსიტეტიდამ" გამოსული ზოგიერთი ყმაწვილები ცოტა არ იყოს გამოსადეგნი შეიქნენ ოჯახისთვის, იმათ ცოტა-ცოტათ შეიცვალეს აზრი. დროებამ და გამოცდილებამ თავისი გავლენა იქონია ჩვენს საზოგადოებაზე, და ახლა ძნელათ თუ ნახავთ ისეთს მამას, რომელიც, თუ შეძლება კი აქვს, არ სცდილობდეს თავის შვილის უნივერსიტეტში გამოზრდასა. ამნაირათ მოდის ახლა ჩვენი ახალგაზდა ქალების უმაღლესი განათლების საქმესაც: **ამ ერთი წლის წინათ ჩვენს საზოგადოებაში დაიწყეს ლაპარაკი, რომ რამდონიმე ჩვენებური ახალგაზდა ქალი სამზღვარ გარეთ აპირებს წასვლას, უმაღლესი განათლების მისაღებათაო. რადგანაც რუსეთში და ჩვენში საზოგადოთ ქალებს უმაღლესი განათლების გზა სულ არა აქვთ, ამის გამო, რუსეთის და სხვა ქვეყნების ქალების მაგალითით, ციურიხში აპირებენ წასვლას, სადაც ქალებს უნივერსიტეტში შესვლის ნება აქვთო. მის მაგივრათ, რომ ჩვენს საზოგადოებას თანაგრძნობითა და სიხარულით მიეღო ეს ამბავი და წაექეზებინა ჩვენი ახალგაზდა ქალები ამ საქმეში, ჩვენ ყოველი მხრით გვესმოდა და ახლაც გვესმის ხან დაცინვითი და ხან უკმაყოფილო ლაპარაკი და აზრი ამ საგანზე. „თბილისის ნიგილისკებიო! მოდას აჰყოლიანო!" ამბობდნენ ერთნი. „ეს რა ამბავი არის: ვინ ქალი და ვინ ექიმიო?! პანსიონი გაუთავებიათ, ქმრები შეირთონ და მოისვენონო!" ამბობდნენ მეორენი.** როდესაც კაცი იმისთანა საზოგადოებაში სცხოვრებს, რომელიც სდევნის ყოველ ახალ ნაბიჯს, ახალ რომელსამე მოვლენასა და აზრს, თუ დიდი ზნეობითი ძალა არა აქვს ადამიანს, ძნელათ შეუძლია იმას რომლისამე ახალი საქმის ხელის მოკიდება და დაწყება. ღვთის მადლით, ამისთანა პირი ჯერ-ჯერობით ერთი მაინც აღმოჩნდა ჩვენში: მკითხველმა იცის, რომ ამ ერთი თვის წინათ თფილისიდამ ნაცვალოვის ქალი წავიდა ციურიხში, უმაღლესი სწავლის მისაღებათ და ჩვენ დარწმუნებით ვიცით, რამ ამავე გზაზე დადგომას რამდონიმე სხვა ქართველი ქალიც აპირებს.

ამისთანა ამბავი ჩვენს დარბაისელ მამებსა და დედებს, უეჭველია არ ეჭაშნიკებათ და ეუცხოებათ, იმათ არც კი გაუგონიათ, რომ ახალგაზდა, გასათხოვარი ქალი თავის კერას სტოვებდეს და სადღაც უცხო ქვეყანაში უმაღლესი განათლებისათვის მარტოთ-მარტო მიდიოდეს, და ახლა კი ამას თავის საკუთარი თვალებით ხედავენ! როგორ არ იფიქრებენ რომ ეს მეორეთ-მოსვლის და ქვეყნის უკუღმა დაბრუნების ნიშანი არისო? მაგრამ ნუ შეშინდებიან ჩვენი დედ მამები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს მოვლენა მეორეთ-მოსვლისა და ქვეყნის უკუღმა დაბრუნების ნიშანი კი არ არის, ეს არის სიკეთისა და ჩვენი ქვეყნის წარმატების ნიშანი. და ეს რომ ასე არის, ამაში ჩვენ თვითომ ის ქალები დაგვარწმუნებენ, რომელნიც ახლა სამზღვარ გარეთ მიდიან, როდესაც გასწავლულნი დაბრუნდებიან უკან და თავის ცოდნითა და გონიერი ცხოვრებით არა მცირედ სარგებლობას მოუტანენ ჩვენს საზოგადოებას. ამ უკანასკნელი აზრის გამოთქმა ჩვენ არ გვაშინებს: დარწმუნებულნი ვართ, რომ ის ქალები. რომელნიც წინაღუდგნენ საზოგადოების ბრმა აზრსა და მოახერხეს თავის გონიერს გზაზე დადგომა, ამისთანა ქალებს იმდენი ზნეობითი ძალა კიდევ ექნებათ, რომ თავიანთი გულითადი წადილი შეასრულონ და განსწავლულნი დაბრუნდნენ უკან, თავიანთ ქვეყანაში. ამასთანავე ჩვენს მშობლებს უნდა ჰქონდესთ მხედველობაში, რომ ეს ჩვენი ქალები საზოგადოთ გაუკვალავ გზაზე არ ადგანან. ეს გზა დიდი ხანია გაკვალული და გათელილია: ჩვენ არაფერს ვიტყვით ამერიკაზე, სადაც ქალებისთვის ცალკე უნივერსიტეტები და სხვა უმაღლესი სასწავლებლებია გამართული და სადაც ისინი პროფესორებათ, ყოველ გვარი შკოლების მასწავლებლათ და ჩინოვნიკებათ არიან. ჩვენ მოვიგონებთ მხოლოთ შვეიცარიას, ანუ უკეთ ვსთქვათ, ციურიხის უნივერსიტეტს, სადაც ეს რვა წელიწადია თავისუფლათ იღებენ ქალებსა და უმაღლესი სწავლის მიღების ნებას აძლევენ. ციურიხის უნივერსიტეტში ამჟამად, როგორც ამბობენ, 80 ქალია და ამათ რიცხვში 54 რუსის ქალები თუ პეტერბურღიდამ და თუ სხვა რუსეთის ქალაქებიდამ მისულნი. სადაც ამდენი ქალები ერთად არიან და სასარგებლოთ ჰპოვებენ სწავლის მიღებას, იქ, იმედია, არც ჩვენებურ ქალებს გაუჭირდებათ რამე და ტყუილთ-უბრალოთ არც ისინი დაკარგავენ დროებას. თვით ჩვენმა მმართველობამ დაინახა საჭიროთ და სასარგებლოთ, რომ ქალებს უმაღლესი სწავლის საშუალება მიეცეს. **ამაში გვარწმუნებს ჩვენ ის გარემოება, რომ წელს სექტემბრიდამ პეტერბურღის მედიკო-ხირურგიის აკადემიასთან გაიმართება ქალებისათვის განსაკუთრებული კურსი, სადაც „ნასწავლი ბებიები" უნდა მოემზადნენ და სადაც, ცოტაოდენ განსხვავებას გარდა, თითქმის ისეთ სწავლას აძლევენ, როგორც ყმაწვილ-კაცებს ამავე აკადემიაში.** მაგრამ ამ კურსებზე ჩვენ შემდეგში უფრო დაწვრილებით მოვილაპარკებთ. ამნაირათ, ჩვენ დიდის სიამოვნებით ვხედავთ, რომ ჩვენს ქალებშიაც იწყება მოძრაობა და ლტოლვილება უმაღლესი განათლებისათვის; ვხედავთ, რომ ეს ლტოლვილება ზოგიერთებს, მარტო სიტყვით კი არა, თვით საქმით მოჰყავთ სისრულეში. მაშ ვისურვოთ, რომ ამ მოძრაობას უფრო ხანგრძლივი სიცოცხლე ჰქონდეს, ვიდრემ საზოგადოთ ზოგიერთ ჩვენ კეთილ ლტოლვილებაებსა აქვს; ვისურვოთ, რომ ამ მოძრაობას თან-და-თან უფრო ნაკლები დამაბრკოლებელი მიზეზები შეხვდეს, თავის გზაზე მსვლელობის დროსა და ის სარგებლობა მოეტანოს ჩვენთვისაც, რაც ჩვენზე უფრო დაწინაურებულ ქვეყნებს მოუტანა. („დროება,“ N32, 1872 წელი);

* * *

ამ მოკლე ხანში ყაზანიდამ ოთხი ახალგაზდა რუსის ქალი წასულა შვეიცარიაში, ციურიხის უნივერსიტეტში შესასვლელად; სამი ამ ქალთაგანი მედიცინის (ექიმობის) სასწავლათ წასულა და ერთიც იქაური მათემატიკის Фაკულტედზე შესასვლელად. („დროება,“ N24, 1872 წელი);

*   *   *

ამ კვირის სამშაბათს, ივლისის 18-ს, ჩვენი ქალაქიდამ ოთხი ახალგაზდა ქალი წავიდა ციურიხში (შვეიცარიაში) უმაღლესი სწავლის მისაღებად. ეს ქალები არიან: ნაცვალოვის ქალი (ქართველი), რომელიც თავის დედითა და ორი პატარა ძმით წავიდა, ნადიოუდინის ქალი (რუსი), ზემიანსკის ქალი (პოლშელი) და ტისჩენკოს ქალი (აგრეთვე რუსი). ჩვენ გავიგონეთ, რომ ყველა ესენი წასულან ციურიხის უნივერსიტეტში, სადაც, როგორც მკითხველებმაც იციან, ქალებს უეგზამენიოთ იღებენ და მხოლოთ კურსის გათავების შემდეგ აჭერინებენ ეგზამენს და 84 დიპლომსაც აძლევენ. ამას გარდა ამბობენ, რომ სამიოდ ქალი და რამდონიმე ყმაწვილი კაცი კიდევ ემზადებიან ჩვენი ქალაქიდამ იქვე წასვლასო და ორი და თუ სამი ქუთაისიდამაცაო. წასულებისთვის გზა დაგვილოცავს. ღმერთმა ინებოს, რომ ისინი კარგათ გასწავლულნი და მომზადებულნი დაბრუნებულიყვნენ ისევ ჩვენში და თავის ცოდნითა და სამაგალითო ცხოვრებით ჩვენი საზოგადოებისთვის სარგებლობა მოეტანოთ. იმათთვის, ვინც წასვლას ემზადებიან, ვინატრით, რომ ღმერთმა მალე აუსრულოს ეს ყოველ შემთხვევაში გონიერი და კეთილი სურვილი და განზრახვა. („დროება,“ N28, 1872 წელი);

*   *   *

ქალების კურსებზე, რომელიც პეტერბურღის მედიკო-ხირურღიის აკადემიასთან გაიხსნა და რომლიდანაც ნასწავლი ბებიები უნდა გამოვიდნენ, 86 ქალს დაუჭერია კარგათ შესასვლელი ეგზამენი. სულ მსურველები ასზე მეტი ყოფილა. მკითხველმა იცის, რომ ამ კურსებზე ოცი წლის ნაკლების ქალებს არ იღებენ. ამ წესის თაობაზე გაზ. «პეტერბურღის უწყებები» ამბობს, რომ ეს წესი ძლიერ ურიგო და მავნებელიაო; ახალგაზდა ქალები საშუალო სასწავლებლებში (ინსტიტუტებში და ზავედენიებში) საზოგადოთ 16-17 წლისანი ათავებენ კურსს და იმათ რომ მოინდომონ ამ კურსებზე ლექციების სმენა, ნება არა აქვთ და უკანასკნელი სამი წელიწადი მაინც უნდა დაკარგონ დროო. თუ 17 წლის ვაჟებს უნივერსიტეტში შესვლის უფლება აქვთ, იმ ხნისვე ქალებს რატომ ამ კურსებში შესვლის ნება არ უნდა ჰქონდესთო?... („დროება,“ N45, 1872 წელი);

*   *   *

„ციურიხიდამ გვწერენ, რომ თითქმის ყველა ჩვენებური ახალგაზდა კაცები და ახალგაზდა ქალები, რომლებიც შარშან და წელს წავიდნენ შვეიცარიაში, ციურიხის უნივერსიტეტში შესულან წელს ოქტომბერში და ლექციებს სმენულობენო. მომეტებულს ნაწილს ქალებთაგანს ჯერ არ გადაუწყვეტიათ თურმე-რომელი მეცნიერების შესწავლას უნდა დაადგნენ. ჯერჯერობით ყველანი ბუნებით საგნებზე დაიარებიან, მხოლოთ-ერთი ნაცვალოვის ქალი — ამთავითვე მედიცინის (ექიმობის) სწავლას შესდგომია („დროება,“ N48, 1872 წელი);



* * *

ციურიხიდამ გვწერენ, რომ თითქმის ყვე-
ლა ჩვენებური ახალგაზდა კაცები და ახალ-
გაზდა ქალები, რომელნიც შარშან და წელს
წაიდნენ შვეიცარიაში, ციურიხის უნივერ-
სიტეტში შესულან წელს ოქტომბერში და
ლექციებს სმენულობენო. მომეტებულს ნა-
წილს ქალებთაგანს ჯერ არ გადაუწყვეტიათ
თურმე—რომელი მეცნიერების შესწავლას
უნდა დაადგნენ; ჯერ-ჯერობით ყველანი
ბუნებითი საგნების ლექციებზე დაიარები-
ანო. მხოლოთ ერთი—ნაცვალოვის ქალი—
ამთავითვე მედიცინის (ექიმობის) სწავლას
შესდგომია.

**გაზეთი „დროება", 1872 წელი**

* * *

„როგორც თვითონ ციურიხის უნივერსიტეტის რექტორი აცხადებს, ამ უნივერსიტეტის მედიკურ ფაკულტეტზე ამ ჟამად სულ 158 სტუდენტია და ამ რიცხვში 51 ქალი. მომავალ სემესტრში კი ჩვენს უნივერსიტეტში 100 სტუდენტი ქალთაგანი იქნებაო, 75 მედიკურ ფაკულტეტზე, 24 ფილოსოფიურზე და ერთიც პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტზე." („დროება," N46, 1872 წელი);

* * *

მაისის 24 პეტერბურღის მედიკო-ხირურგიის აკადემიაში ყოფილა პირველი ეგზამენი იმ ქალებისა, რომელნიც ამ აკადემიაში ლექციებს ისმენენ და ნასწავლ ბებიებად ემზადებიან. ერთი რუსული გაზეთი ამბობს, რომ ორმოცი ქალი იყო ეგზამენის დაჭერის მოსურნე და ამათში მხოლოთ სამმა ვერ დაიჭირა ხეირიანათ ეგზამენიო. („დროება," N23, 1873 წელი);

* * *

ერთ გელსინგფორსის (ფინლანდიურ) გაზეთში იწერებიან, რომ შემოდგომაზე ამ ქალაქში უმაღლესი სასწავლებელი ანუ აკადემია გაიხსნება ქალებისათვის. ამ აკადემიას კერძო პირები ხსნიან თავის ხარჯით და იქაური უნივერსიტეტის პროფესორები ლექციების კითხვას აპირებენ. ამ საქალებო აკადემიაში ორი წლის კურსი ექნება და სხვათა შორის ასწავლიან: სამშობლო და საზოგადო ლიტერატურას, მათემატიკას, **პსიხოლოგიას, ფიზიოლოგიას,** ფიზიკას და ფინლანდიის კანონთ-მეცნიერებას. („დროება," N23, 1873 წელი);

* * *

რუსული გაზეთი „ახალი დროება“ გვაცნობებს, რომ პეტერბურღში სდგება უმაღლესი წოდების ქალებისაგან ისეთი საზოგადოება, რომელსაც ჰსურს, რომ მედიკო-ხირურგიის აკადემიის კურსებში მყოფს ახალგაზდა ქალებს ხელი მოუმართოს. ეს საზოგადოება, სხვათა შორის, სტიპენდიებს დაუნიშნავს და დროებით ასესხებს ფულებს ამ კურსებში მყოფ ღარიბ ქალებსა. („დროება,“ N10, 1873 წელი);

* * *

ამ კვირის სამშაბათს იყო კურთხევა და გახსნა ჩვენს ქალაქში საბებიო ინსტიტუტისა. ექსარხოსისაგან სახლის კურთხევის შემდეგ, კავკასიის სამოქალაქო საექიმო ნაწილის გამგებელმა, უფ. რემერტმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც გამოსახა ის გაჭირება, რომელიც ყოველ ახალს საქმეში წინ უხვდება ხოლმე აქაურ საექიმო გამგეობას და რომელიც ამ ინსტიტუტის გახსნასაც აბრკოლებდა. შემდეგ ერთმა ექიმმა წაიკითხა თვითონ ინსტიტუტის წესდება, რომელშიაც სხვა მომეტებული ნაწილი შეგირდებისა ადგილობრივი ქალები უნდა იყვნენო. („დროება,“ N112, 1874 წელი);

* * *

თუ რამდენათ გავრცელებულია ინგლისში ქალის შრომა, შემდეგი ანგარიში გვიჩვენებს: ამ ჟამად იქ არის: 47 ექიმი ქალი, 274 მაღაზიების გამგებელი ქალი, 16 სტენოგრაფი, 419 ასოს-ამწყობელი და ტიპოგრაფიის პატრონი. მთელს ინგლისში 3,580 მწერალი ითვლება და ამ რიცხვში 185 ქალია. თითქმის ნახევარი ყველა ინგლისური რომანებისა ქალებისაგან არის დაწერილი. („დროება,“ N18, 1875 წელი);

* * *

პეტერბურღის უეზდის ზოგიერთ სოფლებს ამ გუბერნიის ერობისათვის ეთხოვნათ, რომ ჩვენში საქალებო შკოლები გახსენითო. ერთს სოფელს გამოუცხადებია სურვილი, რომ საქალებო შკოლასთან ისეთი საექიმო სასწავლებელიც გახსენითო, რომ ჩვენ ქალებმა ზოგიერთი უბრალო ავათმყოფობის ექიმობა შეისწავლონო. ამ შკოლების გასახსნელად რაც ფულები იქნება საჭირო, თვითომ სოფლები ჰკისრულობენ. („დროება,“ N94, 1875 წელი);

**დღიური**

ერთი სასარგებლო დაწესება დაფუძნდა ამ ერთი წლის წინ ჩვენს ქალაქში: ჩვენ ვამბობთ „საბებიო ინსტიტუტზე და იმასთან გახსნილს სამშობიარო ღოსპიტალზე.“ ინსტიტუტის მიზანი, როგორც „კავკაზის“ უკანასკნელს (70 ნომერშია) დაბეჭდილი ის არის, რომ აქაურ ადგილობრივ ქალებს თეორიტიული და პრაქტიკული განათლება მისცეს ბებიობაში; და სამშობიარო ღოშპიტალში კი ღარიბ ორსულ ქალებს დააწვენენ, მოუვლიან და საშუალებას მისცემენ, რომ მშობიარობისაგან გაათავისუფლონ. პირდაპირ ბებიაობის შესახებ საგნებს გარდა, ამ ინსტიტუტის მოწაფე ქალებს ასწავლიან აგრეთვე ვენერიული ავადმყოფის წამლობისა და ყვავილის აცრას.

ჩვენში, სადაც კაცების, აკუშერების მოწვევა ასე ერცხვინებათ ქალებს, ამ ინსტიტუტისა და ღოშპიტალის გახსნას, უეჭველია, დიდი მნიშვნელობა ექნება თუ ხეირიანად წაიყვანეს. („დროება,“ N70, 1875 წელი);

* * *

პეტერბურღში არის ახლა ორი ოდესელი ქალი, რომელნიც მმართველობასთან შუამდგომლობენ თურმე, რომ იმათ ოდესსაში უმაღლესი საქალებო სასწავლებლის გახსნის უფლება მიესცათ. ამ სასწავლებელში ორი განყოფილება უნდა იქნეს: პედაგოგიური და საექიმო. თოთხმეტი მდიდარი ქალი არიან თურმე ოდესსაში, რომელნიც თავის ხარჯით ხსნიან ამ სასწავლებელს. („დროება," N75, 1875 წელი);

**დღიური**

წელს პირველ ფრანცუზის ქალს გაუთავებია ექიმობის კურსი პარიჟის საექიმო უმაღლესს შკოლაში. გათავებისა თანავე, ეს ქალი ოსმალოს ხონთქარს მიუწვევია თავის არემში საცხოვრებლად და არემის ქალების საექიმოთ. ქალი ჯერ არ დათანხმებულა, მაგრამ ბოლოს გადაუწყვეტია იმ პირობით წასვლა სტამბოლს, რომ თვითონ არემში არ იცხოვრებს და უფლება ექნება, არემის ქალებს გარდა, სხვებსაც უაქიმოს. იმას ექნება ხონთქრისაგან წელიწადში 40 000 ფრანკი (12 000 მანეთამდე). („დროება," N82, 1875 წელი);

* * *

იმ საბებიო ინსტიტუტში, რომელიც წელს გაიხსნა ჩვენს ქალაქში და რომელზედაც „დროების" N70-ში იყო რამდენიმე სიტყვა, ამ ჟამად ეგზამენებია დანიშნული, რომელიც ამ 1 ენკენისთვემდი გარძელდება. აქვე მოგვყავს კიდევ რამდენიმე ცნობა ამ ინსტიტუტის თაობაზე: ვინც რუსული წერა-კითხვა და არითმეტიკის ოთხი მოქმედება იცის, ის მხოლოდ ორ წელიწადს რჩება ინსტიტუტში და ბებიობის დიპლომს მიიღებს და შეუძლია სახელმწიფო სამსახურში ჩაერიცხოს; ვინც არა, სამი წელიწადი დარჩება და შეუძლია სოფლის ბებიის მოწმობა მიიღოს. ორთავენი ვალდებულნი არიან, რომ ექვსი წლის განმავლობაში კავკასიაში იქონიონ პრაქტიკა. ვინც მხოლოდ ივლის ინსტიტუტში სასწავლებლად, იმათ წელიწადში ოთხი თუმანი გადახდებათ სწავლის ფასად, და ვინც ინსტიტუტში იცხოვრებს სრულის ხარჯით (პანსიონერკათ), იმათ კი წელიწადში ხუთმეტი თუმანი. მოსწავლე 16 წელიწადზე უმცროსი და 30-ზე უხნიერესი არ უნდა იყოს. სწავლა ენკენისთვის (სექტემბრის) 15-იწყება. („დროება," N95, 1875 წელი);

**დღიური**

კავკასიის საბებიო ინსტიტუტი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ავათმყოფების მიღება ინსტიტუტში, კვირას გარდა, ყოველ დღეს არის, დილის 8 საათიდამ ვიდრე 9 ½-მდინ. მშობიარეების მიღება კი ყოველ დღე და ყოველ ჟამს შეიძლება. სამშობიარო ღოშპიტალში, საზოგადო ოთახებს გარდა, სადაც მშობიარე ავათმყოფნი დღეში შენახვისა და ექიმობისათვის ათ შაურს იხდიან და ღარიბები კი არაფერს, არის კიდევ ცალკე – საიდუმლო ოთახები, თვეში 30-50 მანეთის ფასით. („დროება," N126, 1875 წელი);

**კავკასიის საბებიო ინსტიტუტი სამშობიარო ღოშპიტლით**

(ვერაზე, ფოჩტის სტანციის მახლობლად) მშობიარე ქალებს ყოველ დროს დღე და ღამე მიიღებენ. აქიმობისთვისა და საწოლისთვის დღეში ათი შაურია; ღარიბები მუქთად. ღოშპიტალში არის ცალკე (საიდუმლო) ოთახები თვეში 30-50 მანეთად.

რჩევისათვის ავათმყოფებს ყოველდღე მიიღებენ, კვირის გარდა; ვიზიტისა და წამლის ფასი ექვსი შაური; ღარიბები მუქთად.

ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 9½-მდი დოქტორი არტემიევი და 9½ -დამ 11-მდი დოქტორი ანანოვი.

ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის 11 საათიდამ 12-მდი დოქტორი ალბანუსი და კაპპელერი.

ოთხშაბათობით, 12 საათზე რჩევა რემერტისა, ალბანუსისა, ანანოვისა და არტემიევისა. („დროება,“ N110, 1876 წელი);


კავკასიის საბებიო ინსტიტუტი
სამშობიარო ღოშპიტლით
(ვერაზე, ფოჩტის სტანციის მახლობლად)

მშობიარე ქალებს ყოველ დროს დღე და ღამე მიიღებენ. აქიმობისთვისა და საწოლისთვის დღეში ა თ ი შაურია; ღარიბები მუქთად. ღოშპიტალში არის ცალკე (საიდუმლო) ოთახები თვეში 30-50 მანეთად.

რჩევისათვის ავათმყოფებს ყოველდღე მიიღებენ, კვირის გარდა;

გაზეთი „დროება,“ 1876 წელი

**დოქტორი და აკუშერი უ. გავრონსკი**

მიიღებს მოსარჩენათ ავათმყოფს ქალებს და ვაჟებს ყოველ დღე გარდა კვირადღისა, დღით დაწყობილი პირველ საათიდგან ვიდრე სამ საათიმდინ; მხოლოდ ღარიბ ხალხს უფასოთ, სამშაბათობით და პარასკეობით იმავე საათებში.

ბინა აქვს ხანის ქუჩაზედ, მანტაშოვის სახლში, მეშვიდე ნომერი, რომელშიაც იდგა უბარანოვსკი. („დროება,“ N112, 1876 წელი);


ნარევი

პარიჟის უმაღლესს საექიმო სასწავლებელში ამ ჟამად 28 ქალი სწავლობს. მომეტებული ნაწილი ამათგანი უცხო ქვეყნიდამ არიან მოსულნი პარიჟში, რადგან აქაური „საექიმო შკოლა“ ყველა სხვა ამ გვარ უნივერსიტეტებზე უფრო განთქმულია და გამოჩენილი.

გაზეთი „დროება,“ 1876 წელი

### განცხადებანი: კავკასიის აქეთა მხრის საბებიო ინსტიტუტისაგან

ვისაც ამ ინსტიტუტში, ბებიობის სასწავლებლად, შესვლა სურს თხოვნა უნდა შეიტანოს მედიცინის ნაწილის სამოქალაქო უწყების მმართველის სახელობაზედ (საპიორის ქუჩაზე, თ. რ. ანდრონიკოვის სახლებში).

ვინც ინსტიტუტის უმაღლესს კურსში შედის და სურს, რომ მიიღოს დიპლომი, ქალაქის სახელმწიფო სამსახურში შესვლის უფლებისა და ქალაქისა და უეზდის ბებიის თანამდებობის მიღების უფლებისა, იმან უნდა იცოდეს: რუსული ენიდამ მართლწერა და კითხვა, რუსულად დაწერა და თქმა წაკითხულისა; არითმეთიკიდამ ოთხი არითმეტიკული მოქმედება და დრობები.

ვისაც ინსტიტუტის მდაბალ კლასში შესვლა სურს და მიღება სოფლის ბებიის ექიმისა, იმან უნდა იცოდეს მხოლოთ რუსული წერა-კითხვა და წაკითხულის თავის სიტყვით თქმა. ინსტიტუტში შესვლის მსურველი ქალი უნდა იყოს არა უმცირესი 16 წლისა და არა უხნესი 30 წლისა. თხოვნასთან უნდა იყოს: მეტრიკული მოწმობა დაბადებისა, მონათვლისა და ნებართვა მშობლებისა ანუ ქმრისა (თუ ქმრიანია), რომ არ უშლიან ინსტიტუტში შესვლას.

ფასი სწავლისათვის: მომსვლელი ქალებისათვის 40 მან. წელიწადში, პანსიონერკებისთვის, რომელნიც ინსტიტუტის ხარჯით იქნებიან და იქვე იცხოვრებენ წელიწადში – 240 მან. და ამას გარდა შესვლისა თანავე პირველ-გასაწყობად – 60 მან. სწავლის ფასი იმ თავათვე უნდა იქნეს შეტანილი და უკან აღარ დაუბრუნდება შაგირდს, წლის შესრულებამდინაც რომ გამოვიდეს ინსტიტუტიდამ. შესასვლელი ეგზამენები იწყება 16 აგვისტოს და თხოვნის შემოტანა, მიღების თაობაზე, ამ განცხადების დაბეჭდვის დღიდამ. („დროება," N99, 1877 წელი);

### წერილი პეტერბურგიდამ

თუ არ ვცდები, ჯერ ჩვენს მწერლობაში სრულებით არა თქმულა რა შესახებ საექიმო კურსებისა, რომელნიც აქ ქალებისათვის არის დაარსებული. ამ კურსების ვითარება და გარემოება დაწვრილებით ვიცი, ისიც ვიცი რა რიგად საჭიროა ქალი-ექიმი საზოგადად ყველგან და უნამეტნავესად ჩვენში, საქართველოში. მე ვამბობ: ნამეტნავად საქართველოში შედარებით უფრო ბევრი უბედურება ხდება ხოლმე მარტო იმის გამო რომ სნეული, ავად-მყოფი ქალი მორცხობს და არ იწვევს მამა-კაცს ექიმსა. მე ჩვენში გამიგონია უკანასკნელ დღეში მყოფის მშობიარის ქალის ქმრისაგან: „რაც უნდა ღმერთი გამიწყრეს, ექიმს არ მოვიყვან, ცოლს არ გავასინჯებო და საქვეყნოდ თავს არ შევირცხვენო." თუნდა ქმარი დააჯეროთ, თვით ავად-მყოფსა ანუ მის მახლობელთ ხშირად ვერას გზით ვერ დაითანხმებთ, რომ ექიმს უჩვენოს, გაასინჯოს სატკივარი, ექიმი ქალები რომ იყვნენ ეს მაგალითები აღარ იქნებოდნენ და ვინ იცის რამდენი სული დაიხსნიდა თავის-თავს უდროო სიკვდილისაგან, ქალი ექიმ-ქალს არ მოერიდებოდა, რადგანაც აქ მორცხობას ადგილი არ ექნებოდა, დრო იყო, როცა ექიმნი მამა-კაცნი და მათთან ერთად თვით საზოგადოებაც ამბობდნენ, ქალს ექიმად ყოფნისათვის არც საჭირო ღონე აქვსო, არც მხნეობა და არც ნიჭიო, ამ მიზეზით ქალს ექიმობის სწავლის გზას უხშობდნენ. წარსულს ვინა ჰსჩივის, უბედურება ის არის, რომ ამ ჟამადაც ისმის მაგნაირი ხმა, რომელსაც არც წარსულს დროში, არც აწინდელში საბუთს ვერ უპოვიან. ჯერ ისევ ძველ დროს, როგორც ჰსჩანს „ილლია-დიდამ და ოდისეიდამ" ძველს საბერძნეთში ყოფილან ქალები მკურნალობაში სახელ-განთქმულნი. შემდეგ საბერძნეთის მთელ ისტორიაშივე იხსენებიან სამკურნალო მეცნიერების მცოდნე: ოლიმპია ტებაისელი, ანოდისი და ასპაზია, რომელმაც დასტოვა რაოდენიმე თავისი საექიმო თხზულებანი. მეთოთხმეტე საუკუნეში იტალი-

აში, პალერმოში, ჰსცხოვრობდა ექიმი ქალი აბელლა, რომელმაც აგრეთვე დასტოვა ჩინებული თხზულებანი ლათინურ ენაზე, მეთხუთმეტე საუკუნეში იტალიაშივე ბოლონიის უნივერსიტეტში იყო პროფესსორად ექიმი-ქალი დოროტეა ბოკხი. მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე საუკუნეებში საფრანგეთისა და ინგლისის ისტორიებშიაც იხსენებიან ექიმი ქალები. წარსულ საუკუნეში ბოლონიის უნივერსიტეტში კიდევ იყო ქალი ანნა მობანდი მაცოლინი ანატომიის პროფესსორად. თუმცა შესაძლოა კიდევ რაოდენიმე მაგალითის მოყვანა, მაგრამ მე მგონია, ზემოხსენებული მაგალითებიც საკმაოა იმის დასამტკიცებლად, რომ ქალებს ჰქონიათ მიდრეკილება ექიმობისადმი და კიდევაც შეჰსძლებიათ ექიმობა. იტალიამ პირველმა გაუხსნა გზა ქალებს უნივერსიტეტებში, მის მერე შვეიცარიამ, ამერიკამ, საფრანგეთმა და ბოლოს 1871 წელს დიდის ვაი-ვაგლახით ინგლისმაც. რუსეთში პირველმა ქალმა – უფ. კაშევაროვამ 1869 წ. დაასრულა პეტერბურგის საექიმო აკადემიაში და მის მერმე ნება არა ქალისათვის არ მიუციათ ლექციების სმენისათვის, მხოლოდ ამ აკადემიის პროფესსორმა უფ. გრუბერმა მისცა ქალებს ნება ანატომიის სწავლისა და ამაში თვითონ გუბერი ხელთ-მძღვანელობდა მათ. ამ ჟამად ზემოხსენებულ სახელმწიფოებში ბევრნი არიან ექიმი ქალები, რომელნიც შრომობენ საექიმო ასპარეზზე. რუსეთში ჯერ სულ ორნი არიან: ზემოხსენებული უფ. კამევაროვა და სუსლოვა. უკანასკნელმა ექიმობა შეისწავლა ციურიხის უნივერსიტეტში. ორნივე პეტერბურგში ჰსცხოვრობენ და მრავალს ჰკურნავენ ქალთა შორის, რადგანაც მრავალი სნეული ქალნი მათ იწვევენ საექიმოდ. 1872 წ. აქაურ საექიმო აკადემიაში დაარსდა ქალებისთვის საექიმო კურსები. ეს კურსები დაარსდა რაოდენიმე კერძო პირების მეცადინეობით და სამხედრო მინისტრის უფ. მილიუტინის თაოსნობით. ამბობენ ვითომც ამ კურსების დადგენისათვის 50,000 მ. შესწირა ერთმა ციმბირში მცხოვრებმა ქალმა, რომლმაც არ ისურვა თავისის სახელის გამოცხადება. პირველად ამ კურსებს ის დანიშნულება ჰქონდათ ნასწავლნი ბებია ქალები (ученныя акушерки), ამ დანიშნულებისადაგვარად ზემოხსენებულის კურსების სქემაში მიღებულ იქმნა თითქმის ყველა საგნები, რომლებსაც ასწავლიან იმავე აკადემიის სტუდენტებს, მაგრამ უმეტესი ყურადღება იყო მიქცეული ბებიაობასა და განსაკუთრებით ქალების სნეულებაზე. ამ კურსების წესდებულებით ნება ჰქონდა კურსებში შესვლის ოღონდ იმ ახალგაზრდა ქალებსა, რომელნიც წარუდგენენ მოწმობას ქალების გიმნაზიის, ანუ ინსტიტუტის დასრულებისას ანუ შინაურის ოსტატობის მოწმობასა (свидетельство на домашную учительницу). ამას გარდა უნდა დაეჭირათ ეგზემენიები არითმეტიკიდამ, გეომეტრიიდამ, ალგებრიდამ, ისტორიიდამ, გეოგრაფიიდამ, რუსულისა და ფრანციულისა, ანუ ნემეცურის ენებიდამ. მხოლოდ გეომეტრიის და ალგებრის ცოდნას კი ქალების გიმნაზიების სქემის ოდენათ. გამოცხადდა თუ არა გაზეთებში ამ კურსების დაარსება, ქალებმა განუსაზღვრელის სიხარულით მიიღეს ეს ამბავი და სამის თვის განმავლობაში 130 თხოვნა შემოიტანეს სასწავლებლად მიღებისათვის, ამ რიცხვიდამ, ეგზამენიების შემდეგ მიიღეს 87, თუმცა კურსების მმართველობა პირველ წელიწადს სამოცდა-ათზე მეტის მიღებას არ აპირებდა. ლექციების კითხვა დაუწყეს ზოგიერთმა პროფესორმა აკადემიისამ და ამას გარდა რამოდენმა აქაურმა გარეშე ექიმთაცა აკადემიისვე აუდიტორიებში, მხოლოდ ამ დროს, როცა ეს აუდიტორიები თავისუფალნი იყვნენ სტუდენტებისაგან. ქალები ვალდებულ იქმნენ ლექციების სმენისათვის ყოველ წლივ ხუთი თუმანი შაეტანათ. პირველ ორ კურსში მათ უკითხავდენ ანატომიას და სხვა ბუნება-მეტყველების მეცნიერებასა ისე, როგორც იმავე აკადემიის სტუდენტებს, დანაშთენს ორს კურსში კი ასწავლიდნენ საექიმო საგნებსა, რომლებიდანაც უმეტესს ყურადღებას აქცევდნენ ბებიობას და განსაკუთრებით ქალების სნეულობის მკურნალობასა. რიცხვი მოსწავლეთა მსურველთა ამ კურსებში ყოველწლივ მატულობს, მაგალითებრ 1873 წ. 88 ქალი მიიღეს, 1874 წ.-90, 1875 წ.-94 და 1876 წ.-145. წელს ყველა კურ-

სებში სულ 430 ქალია. პირველი კურს-დასრულება ნასწავლის ბებიებისა უნდა ყოფილიყო შარშან მაისში. მაგრამ შარშან მარტში გამოვიდა უმაღლესი ბრძანება, რომ 1) ეს კურსები აკადემიიდამ გადიტანონ აქაურ ნიკოლაევის სამხედრო სამკურნალოში, 2) მიუმატონ მეხუთე კურსი, 3) კურს გათავებულ ქალებს აძლიონ დიპლომი, რომლის ძალითაც მათ ჰქონდეთ ნება ბებიაობისა და ამის გარდა ყმაწვილების სნეულების მკურნალობისა, 4) კურსებისთვის საჭირო ფულები ყოველ წლივ აძლიონ სახელმწიფო ხაზინიდამ და 5) კურსები დასტოვონ სამხედრო მინისტრის მხედველობის ქვეშ. შარშან ზაფხულში გამართეს კურსებისთვის ნიკოლაევის სამკურნალოში ანატომიის თეატრი, *) აუდიტორიები და სხვა ყველა საჭირო მოწყობილობა, და ოკტომბერში ქალებმა იქ დაიწყეს ლექციების სმენა. წელს მოუმატეს კიდევ ორი-სამი საგანი სასწავლებლათ. ლექციებს უკითხავენ თითქმის იგივე პროფესსორები და ექიმები, რომელნიც ადრე აკადემიაში უკითხავდენ. პირდაპირი გამგე კურსებისა ეხლა ნიკოლაევის სამკურნალოს უფროსი ექიმია, ამის გარდა ქალებზე ზედამხედველობა აქვს ორს ინსპექტორსს. ამ ჟამად მეხუთე კურსში 60 ქალია. დასასრული ეგზამენიები მათთვის დანიშნული იყო ამ მაისში, მაგრამ მერმე გადადეს სეკტემბრამდის, როგორც გავიგე პეტერბურგის სამკურნალო მაზრის ინსპექტორი თურმე ცდილობს, რომ ამ კურსებში კურს დასრულებულ ქალებს მიანიჭოს ყველა ის უფლება, რაიც მამაკაცთ-ექიმებსა აქვთ. უმეტესს ნაწილს კურსების მსმენელთაგანს სახლიდამ 20-30 მანეთამდე მოსდის, იმისთანებიც არიან მათ შორის, რომლებსაც სახლიდამ ფულები სრულებით არ მოდით და ცხოვრების სახსარს შოულობენ მით, რომ სხვებს ასწავლიან და ამაში ფულს იღებენ. ამ ჟამად ოცდა ათი სტიპენდიებია დადგენილი ზოგი კერძო პირებისაგან და ზოგი სხვა და სხვა გუბერნიების ერობისაგან. გარდა ამისა ორი სამი წელიწადია რაც შესდგა აქ ერთი საზოგადოება, რომელიც შეძლებისდაგვარად ეხმარება ღარიბთა მოსწავლეთა ქალთ, მით რომ ზოგის მაგიერად თვით საზოგადოება იხდის წელიწადში ხუთს თუმანს ლექციების სმენისათვის დანიშნულს და ზოგს მოსწავლე ქალსა თვე და თვე ფულით შემწეობას აძლევს. ქართველ-ქალებთაგანი ჯერ არავინ არ არის ამ კურსებში, მაგრამ ჩვენ გავიგეთ, რომ ორი ქუთათური ქალი თურმე ამ ჟამად აქ კურსებში შესასვლელად ემზადებიან. /ი.. გ-ძე/. *) ოთახი, რომელიც არის დანიშნული მკვდრების საჭრელად და ანატომიის სასწავლებლად. („ივერია," N11, 1877 წელი);

### რუსეთი: 1878 წ. პეტერბურღი. („ივერიის" კორრესპოდენცია)

შარშანდელ „ივერიის" მეთერთმეტე ნომერში მე წარვუდგინე მკითხველს წერილში პეტერბურღიდამ, შეძლებისა და გვარად, ვრცლად აქაურ საექიმო ქალაქების მნიშვნელობაზე საზოგადოდ ყველგან და მეტადრე ჩვენში, აგრეთვე ვსთქვი იმ უსაფუძვლოდ გავრცელებულ ჰაზრზე ბევრად თუ ნაკლებ ყოველ საზოგადოებაში, ვითომ ქალებს მაღალ სწავლის მიღებისათვის საზოგადოდ და განსაკუთრებით ექიმობის შესწავლისათვის არც საჭირო ნიჭი აქვსთ და არც მხნეობა, ვითომ ქალს ექიმობის შესწავლაში უსათუოდ დაეკარგება ჩვილი გული და მანდილოსნური ნარნარობა, ვითომ ქალი, ამნაირად მიმართული შეარყევს ოჯახს და სხვანი და სხვანი.

რომ ქალებს შეუძლიანთ ექიმობის შესწავლა და მით კაცობრიობისათვის კიდევაც სარგებლობის მოტანა, ამაზე მე რამოდენიმე მაგალითები მოვიყვანე შარშანდელ წერილში წარსულიდანაც და აწმყოდამაც. ამ მოკლე ხანში რუსეთ და ოსმალეთ შუა ომიანობის დროს აქაურ ქალების საექიმო კურსების მსმენელებთან აშკარად დაამტკიცეს როგორც ცოდნა თავიანთი საქმისა, აგრეთვე გამოიჩინეს თავგამომეტებული და დაუღალველი მეცადინეობა დაჭრილების და ავათმყოფების ტანჯვის მოსასპობლად, ან და შესამსუბუქებლად. შარშან დაიწყო თუ არა ბრძოლა რუსეთს

და ოსმალეთს შუა, რუსეთის „წითელის ჯვრის საზოგადოებამ“ ისურვა თავის ხარჯით ბრძოლის ველზე გაგზავნა მეხუთე და მეოთხე კურსების ექიმი სტუდენტებისა და აგრეთვე იმავე კურსების ქალებისა. გამოცხადდა თუ არა ეს სურვილი ზემოხსენებულ საზოგადოებისა, რასაკვირველია, იმ წამსვე დიდის სიხარულით მიაწყდნენ ამ საზოგადოებას მრავალნი, სტუდენტები და აგრეთვე სტუდენტნი ქალნი ე.ი. მსმენელნი ზემოხსენებულ კურსებისა, სამ-ოთხ თვის განმავლობაში „წითელის ჯვრის საზოგადოებამ“ მარტო აქაურ საექიმო აკადემიიდამ 80-მდი სტუდენტები და 30-მდი სტუდენტი ქალები გაგზავნა, თითქმის ყველანი, რუმანიაში და ბოლგარიაში, სადაც ისინი ჩაიყვანეს საშრომლად სამხედრო დროებით საავად-მყოფოებში პროფესორების და გამოცდილ ექიმების ხელმძღვანელობის ქვეშ. ყოველ სტუდენტს ქალსა თუ კაცსა ებარა სამკურნალოდ 20-40 და დიდი ბრძოლის შემდეგ უფრო მეტიც-დაჭრილი თუ ავად-მყოფი. თავიანთ დანიშნულების ასრულებაში სტუდენტნი ქალნი არაფერში არ ჩამორჩებიან სტუდენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საჭირო იქნებოდა ხოლმე ვაჟკაცის ღონე. უნდა გენახათ, რა ნაირად ახალ-გაზდა, ნაზი და სუსტი ქალი უვლიდა თავის ავად-მყოფებს თითქმის წელ-გაუმართველად დილიდამ საღამომდის.

უკანასკნელ დროში რუსულ გაზეთებში არა ერთხელ იყო ნათქვამი მათ სასარგებლო შრომაზე, და ამას მეც ვემოწმები, როგორც ბოლგარიაში ნამყოფი ამ ზაფხულში და მნახველი მათის შრომისა, 7-ს თებერვალს ზემოდ მოხსენებულ კურსებს 36 ქალმა გაათავა უკანასკნელი დასრულების ეგზამენია. ყოველ ეგზამენზე პროფესორების გარდა გარეშე პირებიც დამსწრენი იყვნენ. ეგზამენების დროს და შემდეგაც რაოდენიმე აქაურ გაზეთებში იბეჭდებოდა წერილები, რომლებშიაც ძალიან აქებდნენ ქალების ცოდნასა და ამტკიცებდენ, რომ თუ ამ ქალებს სრული ექიმობის დიპლომები არ მისცენო, დიდი უსამართლობა იქნებაო. ზოგიერთმა გაზეთებმა კიდეც ნამეტნავად შეასხეს ქება მათს ცოდნას, რასაკვირველია, იმ განზრახვით, რომ მათ გავლენა ექონიათ ქალების სასარგებლოდ იმ პირებზე, რომელთა ზედაც დამოკიდებულია — მიანიჭონ თუ არა ექიმ ქალებს სრული ნება, რომ აღასრულონ იგივე თანამდებობანი, რომელსაც ასრულებენ ექიმი კაცები, თუ მარტო ბებიაობისა, ქალებისა და ყმაწვილების რჩენის ნება მიჰსცენ. რითი გადაწყდება მათი ბედი, ჯერ არავინ იცის, თუმც პეტერბურღის საექიმო მაზრის ინსპექტორი არწმუნებს მათ, რომ იმავე უფლებას მოგცემენო, როგორიც ექიმ-კაცებს ეძლევათო. დღე დღეზე ელიან გადაწყვეტილებას ამ საგანზე.

ამ ჟამად ოთხის გარდა ყველა სტუდენტი ქალი უკანასკნელის კურსისა დაბრუნდნენ პეტერბურღში. ამ კვირაში დაუნიშნეს დანარჩენ 15 ქალს დასრულების ეგზამენი. იმ ოთხს კი, რომელნიც დღემდის ბოლგარიაში არიან, ნება მისცეს ეგზამენების დაჭერისა სეკტემბერში. ცხადია, რომ თითქმის ყოველის ახალის საქმის დაწყება და მით უფრო მისი ბოლომდის მიყვანა დამწყებისათვის უფრო ძნელია, ვინემ ამყოლისათვის, რადგანაც ეს უკანასკნელი უფრო მომზადებულს და გატკეპნილს გზაზედ წავა, მაშინ როდესაც პირველმა გზა თვითონ უნდა გაიკაფოს.

ამ კურსების შეძლება დღემდისაც არ შეჰფერის საექიმო მაღალ სასწავლებელის მოთხოვნილობას, მაგალითებრ, ჯერ კიდევაც არა აქვთ კარგად გაწყობილი კაბინეთები და ლაბორატორიები, რომელნიც, რასაკვირველია, უადვილებენ მოსწავლეებს საგნების შესწავლას. ამის გამო ღარიბ მოსწავლე ქალთათვის თავის გამოკვება უფრო გასაჭირია, ვიდრე ღარიბ სტუდენტებისათვის, რადგან სტიპენდიები, შედარებით ვაჟების მაღალ სასწავლებელთან, ჯერჯერობით ნაკლებათა აქვთ და ამასთანავე უმეტესობა აქაურ საზოგადოებისა ჯერ კიდევ ხამად უყურებს ამ ახალ საქმესა, დაარსება ზემოხსენებულ კურსებისა მარტო მით კი არ არის სასიამოვნო, რომ ჩვენ

დღეის იქით გვეყოლება ექიმი ქალები; არა, ეს ამბავი უფრო მით არის სასიხარულო, რო გვიჩვენებს იმ დროის მოახლოებას, როცა ჩვენის ქალებისათვის ფართოდ გაიღება კარები სხვა მაღალ სასწავლებლებისაც. /ა. ი. გ-ძე/. („ივერია," N12, 1878 წელი);

**დღიური**

გუშინწინ, კვირას, თფილისის საბებიო ინსტიტუტში, ეგზამენების შემდეგ, პირველად გამოუშვეს კურს-შესრულებულ ნასწავლი ბებია-ქალები. როგორც გვითხრეს, წელს ამ ფრიად სასარგებლო სასწავლებელში 25 ქალს შეუსრულებია კურსი. ეს ოცდა-ხუთი ნასწავლი ბებია კავკასიის სხვადასხვა გუბერნიის და უეზდის ქალაქებში იქნებიან დანიშნულნი და იმედია, რომ მაშინ მშობიარე ქალებს ისე არ გაუჭირდებათ ხეირიანი ბებიის შოვნა, როგორც ახლა უჭირთ და იძულებულნი არ იქნებიან სოფლის ბებიებსა და ექიმებს მიმართონ. („დროება," N22, 1878 წელი);

**† პელაგია ნაცვალოვი, ნეკროლოგი**

აი კიდევ ახალი მსხვერპლი უსამართლო სიკვდილისა! მაისის თვრამეტს გარდაიცვალა ციურიხში ყველა მისი ნაცნობების დიდათ სამწუხაროდ პელაგია ნაცვალოვი. ამ ქალმა ადრე გაიგო ქალების საზიზღარი დამოკიდებული მდგომარეობა და გადასწყვიტა ან თავი დაახწიოს ამ მდგომარეობას და ან თან გადაჰყვეს. ამ აზრით წავიდა ის ამ ექვსი წლის წინათ სამზღვარ გარეთ და ყველა მისი ნაცნობები დაამტკიცებენ, რომ განსაკუთრებული ენერგიით მიჰყო სწავლას ხელი. ბევრსაც მოასწრებდა ის და ჩვენში არც ერთ ქალს არ ჩამორჩებოდა; მაგრამ ვაი რომ ჯერ სხვა და სხვა გვარმა უბედურებამ და მერმე სიკვდილმაც არ დააცადეს და ბოლო მოუღეს ოც და ოთხი წლის ქალსა რომლის გულშიაც, შემიძლიან დავიფიცო თავი დღეში არა გვარ სიბოროტეს არ გაუვლია და რომელიც მუდამ იმას სცდილობდა, რომ დახმარებოდა თავის მოხუცებულ მშობლებს. ის თავის ძმებით და დედით იყო საზღვარს გარეთ, და იმის აქ მისვლის პირველ თვიდგან სულ აქამდის პელაგია ნაცვალოვის ამარად იყო მთელი სახლობა, რომელიც მუდამ ავათმყოფობდა. ის მეტათ კეთილი გულის ქალი იყო. მე ხშირათ დავსწრებივარ, რომ იმას მთლად თავის სახარჯო ფული, რომელიმე გაჭირებულისათვის მიეცეს ან მიესესხებინოს და თვით ყოველ გვარი ნაკლულევანება მხნეთ აეტანოს. მე შემხვედრია მენახოს, რომ ის მატერიალურად ძრიელ შეწუხებული ყოფილიყოს და ამ მიზეზს არ დაეშალოს იმისთვის გულ-და-გულ ლექციების მოსმენა და მათი გამეორება. ერთხელ ერთმა დაახლოვებულმა ნაცნობმა უთხრა იმას ჩემო, (მიცვალებულს ასე ეძახოდნენ), რა კი აგრე გულით და სულით მოგინდომებია სწავლის შესრულება პატარა ხანს მაგ შენს გულ-კეთილობა მოუკელი, მატერიალურად სხვებს კი ნუ ეხმარები შენსავ თავს დაეხმარე. ჯერ შენს მიზანს მისწვდი და მერე გააკეთე რაც კეთილი საქმე გინდოდეს. აი იმან რა უპასუხა: ეს იმას ემსგავსება, რომ ვინმემ თქვას ჯერ სხვებს გავქურდავ, გამდიდრდები და მერე გაჭირებულებს დავეხმარები. არა ჩემო მეგობარო, მე მატერიალური ნაკლულევანება არ მაშინებს, იმდენი ყოველთვის მაქვს, რომ კუჭის ცარიელობამ სწავლაში არ დამაპრკოლოს და თუ ყველა გვარ შეძლებას მოკლებული ვარ ეს უფრო გულ-და-გულ მამუშავებს, რომ ჩქარა ჩემი სწავლით მეტი შევიძინო და მეტის გაკეთებაც შემეძლოს. შენ გააწყვე ისე, რომ მე ჩემი საზრდოების მდგომარეობა არ მიშლიდეს; მოაწყე ისე, რომ მუდამ თვალის წინ არ მიდგეს უბედური დედ-მამა, რომლების სიხარულსაც მხოლოდ შვილები შეადგენენ და ეს შვილებიც ერთი მეორეზე გამოეცალოთ ხელში, სამი შვილი კიდევ ჰყავსთ. ერთი შეშლილი, მეორე ხმა დაკარგული და მესამეც მე, რომელსაც ამდენი დარდი და მწუხარება მგონი მალე მომიღებს ბოლოს. ნუღარ შეემთხვევა ამ

ჩემს მშობლებს ახალი უბედურება და გაძლევ სიტყვას სხვა მიზეზი ჩემს სწავლას არ დააპრკოლებს. აი მეც რას ვწერდი: ის საცოდავი ამ ერთი წლის წინათ მე რომ დედ-მამა არ მებრალებოდეს სწორედ ბოლოს მოუღებ ჩემს სიცოცხლეს. მაინც რა არის ჩემი ცხოვრება? ერთი უბედურება მეორეზე მომდიან, მიშლიან ჩემი მიზნის მიხწევას და მასუსტებენ. არ ვიცი მე ვარ ისე სუსტი რომ ძნელად ვიტან ამდენ უბედურებაებს, თუ გარემოება არის უსამართლო და მოიცალა ჩემთვის რომ ერთი უბედურება მეორეზე დამატეხოს თავზე. ერთი იგივე მეორეს არ მიმიყვანა. ერთს უბედურებას თავიდგან ავიცდენ, მგონია აი ახლა შეუდგები ჩემს საქმეს და ერთს წელიწადში შევასრულებ, ჩავიწერები უნივერსიტეტში, დავიწყებ ლექციებზე სიარულს და გულ-და-გულ სწავლას. სიხარულითაც, რომ ჩემს მიზანს ჩქარა მივახწევ მეთქი, ჩემს სახესაც კი სხივი გადაჰკრამს, ჩემს თავს სრულ ბედნიერად ვხედავ. ვცდილობ წარსული დავივიწყო და მომავალში ბედნიერათ ვიცხოვრო ამ დროს ახალი უბედურება მატყდება თავზე და სულ მიშფოთებს გულს და გონებას. შეიძლება მე სუსტი ვიყო, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ ჩემს ადგილზე რომელი თქვენგანიც უნდა ყოფილიყო დიდი ხნით რამე აუტყდებოდა. თუნდ ახლაც მწერდა ის, ჩემს ხელზე კვდება ჩემი უმცროსი ძმა, უკანასკნელი იმედი ჩემის დედ-მამისა. დოქტორებმა ხელი აიღეს და იცოდე თუ ამას რამე დაემართა მე თავს არ გადავირჩენო. ძმა გადარჩა და ისიც ცოცხალი დარჩა. ახლა კი გასჩენია ჭლერქი და მოუღია ბოლო. ბევრი მიზეზი ჰქონდა იმ ქალს ამ სნეულების მისაღებათ, ბევრი დარდი მწუხარება და თან ციურიხის ცუდი ჰავა. როდის გველირსება, რომ თვითონ ჩვენში გვექნეს უდიდესი სწავლის მისაღები ადგილი, რომ ამდენი არ იხოცებოდნენ ჰავის მიზეზით. პეშო ნაცვალოვი პირველი მაგალითი არ არის. სხვებიც უანგარიშონი დაიხოცნენ სხვა-და-სხვა ქალაქებში. თვითონ ამ პატარა სასაფლაოზედაც ციურიხში ეს მესამე კავკაზიელი საფლავდება. მშვიდობით საყვარელო მეგობარო პეშა! ვისურვებ, რომ სხვა შენისთანა პატიოსანი და კარგი მიმართულების ქალს შენზე უკეთესი ხვედრი რგებოდეს. შენი მეგობრები მხოლოდ იმით ვნუგეშობთ, რომ ბევრის სიცოცხლეს შენი სიკვდილი სჯობია. მშვიდობით, საუკუნოთ იყოს შენი ხსენება. ყველა შენი მეგობრები გულით გგლოვენ. /ო. ნ/. („დროება," N138, 1878 წელი);

### კავკასიის საბებიო ინსტიტუტისაგან

ვისაც იმ ინსტიტუტში შესვლა ჰსურს ბებიობის სწავლისათვის, თხოვნა უნდა მისცეს კავკასიის სამოქალაქო საექიმო უწყების გამგებელს (საპიორის ქუჩაზე, თ. რ. ანდრონიკაშვილის სახლებში).

ინსტიტუტში კურს გათავებულებს ეძლევათ ქალაქის და უეზდის ბებიობის დიპლომი და იმათ სახელმწიფო სამსახურში მიიღებენ.

ინსტიტუტის უმაღლესს განყოფილებაში შესვლის მსურველმა უნდა იცოდეს: რუსული ენიდამ: მართლ-წერა და კითხვა, სიტყვიერად თქმა და დაწერა წაკითხულისა; არითმეტიკიდან: პირველი ოთხი არითმეტიკული მოქმედება, სახელობითი რიცხვნი და სრულის ნაწილები (დრობები). ვინც ინსტიტუტის მდაბალ განყოფილებაში შედის, იმას მოეთხოვება მარტო რუსული წერა-კითხვის ცოდნა და სიტყვიერად ახსნა წაკითხულისა. ამ განყოფილებაში კურს-შესრულებულთ ეძლევათ სოფლის ბებიობის დიპლომი (მოწმობა).

ინსტიტუტში შესასვლელი ქალი 16 (თექვსმეტის) წლის ნაკლებისა არ უნდა იყოს და 30 (ოც-და-ათზე) უხნესი. თხოვნასთან ერთად უნდა იქნეს წარდგენილი: მეტრიკული მოწმობა დაბადებაზედ, მონათვლისა და ამას გარდა დედ-მამის ნებართვა და ქმრისა, თუ ქმრიანია, რომ ისინი დაბრკოლებას არ აძლევენ ინსტიტუტში შესვლისათ-

ვის. სწავლის ფასი: მომსვლელ შაგირდებისათვის წელიწადში 40 (ორმოცი) მანეთი, პანსიონერკებისა, რომელნიც ინსტიტუტის სრულს ხარჯზე იქნებიან, 200 (ორასი) მანეთი წელიწადში და ამას გარდა შესვლისთანავე ჩაცმა-დახურვისათვის კიდევ 60 (სამოცი) მან. სწავლის ფასი მთელის წლისა წლის დამდეგს უნდა იქნეს შეტანილი.

სწავლა ორ წელიწადს გრძელდება; პირველ კურსში ასწავლიან: ანატომიას, ფიზიოლოგიას, ბებიობას, წამლების გამოცნობას და დამზადებას და დაჭრილების მოვლას. მეორე კურსში: ბებიობას, ქალის, ყმაწვილისა და სიფილისის ავათმყოფობის ექიმობას, გიგიენას და ყვავილის აცრას. ეგზამენები ინსტიტუტში მისაღებ ქალებისათვის დანიშნულია 22 აგვისტოს. („დროება," N150, 1878 წელი);

**დოქტორი – აკუშორი ნ. დ. გავრონსკი**

დაბრუნდა თფილისში და მიიღებს ავათმყოფებს ყოველ დღეს დილის 9 საათიდან 11 საათამდინ გარდა კვირა-დღისა. სახლი მისი: ზანოვის ქუჩაზედ, № 7. ჰამერჩესკის ბანკის გვერდით. („დროება," №209, 1878 წელი);

**დღიური**

ჩვენს ქალაქში იმყოფება ამჟამად გამოჩენილი ვენის პროფესსორი ქალის ექიმი მაიერხოფერი. მთელმა ქალაქმა უკვე შეიტყო იმის აქ ჩამოსვლა, რადგან ამის აქიმობა ბევრს უხდება. ამბობენ, ერთი მინუტი მოსვენება არა აქვს, იმდენი პრაქტიკა გაუჩნდაო.

თუმცა თითო ვიზიტში უფ. მაიერხოფერი, ვინც იმასთან მიდის, ნახევარ თუმანს ახდევინებს და ვისთანაც თვითონ მიდის, თუმან-ნახევარს, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, ბევრ ღარიბებსაც მუქთად ექიმობს და საზოგადოთ სრულებით ისეთი ფულის ხარბი არ არის, როგორც ზოგიერთი ჩვენი ექიმები. („დროება," №227, 1878 წელი);



დღიური

*** გუშინწინ, კვირას, თფილისისი საბებიო ინსტიტუტში, ეგზამენიების შემდეგ, პირველად გამოუშვეს კურს-შესრულებულ ნასწავლი ბებია-ქალები. როგორც გვითხრეს, წელს ამ ფრიად სასარგებლო სასწავლებელში 25 ქალს შეუსრულებია კურსი.

ეს ოც-და-ხუთი ნასწავლი ბებია კავკასიის სხვა-დასხვა გუბერნიის და უეზდის ქალაქებში იქნებიან დანიშნულნი და იმედია, რომ მაშინ მშობიარე ქალებს ისე არ გაუჭირდებათ ხეირიანი ბებიის შოვნა, როგორც ახლა უჭირთ და იძულებულნი არ იქნებიან სოფლის ბებიებსა და ექიმებს მიმართონ.

გაზეთი „დროება," 1878 წელი

* * *

კავკასიის მედიცინის საზოგადოება აცხადებს, რომ ტაინა სოვეტნიკის ე. რ. გომბლატის სახელობაზედ ქალების გიმნაზიაში დანიშნული სტიპენდია ამ ჟამად თავისუფალია, დაუჭერელია და ვისაც ამ სტიპენდიის მიღება ჰსურს, შეუძლია მიმართოს ხსენებული საზოგადოების სეკრეტარს უფ. ნ. ნ. უშაკოვს. (კოლონიაში, სახლის N45). („დროება,“ N217, 1879 წელი);

**საავათმყოფო**

ავათმყოფები მიიღებიან დილის 9 საათიდამ 1 საათამდი.

ორშაბათს. **გავრანსკი: ექიმი ბებიობისა და ქალების ავათმყოფობისა;** გორალევიჩი და ლისიცოვი შინაგანი ავათმყოფობისა; **როტინიანცი ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა;** ბაბაევი ძარღვების სისუსტისა და შინაგან ავათმყოფობისა; შტემბორსკი ვენერიული და ტყავის ავათმყოფობისა; ქიუჩარიანცი ხირურგიული და თვალების ავათმყოფობისა.

სამშაბათს. მინკევიჩი: ხირურგიული ავათმყოფობისა; რეიხი: თვალების ავათმყოფობისა; **ბახუტოვი: ბებიობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა;** ლისიცოვი და ვერმიშოვი: შინაგან ავათმყოფობისა; პეტროვსკი: ვენერიულ ავათმყოფობისა.

ოთხშაბათი. კრასნოგლიადოვი და ლისიცოვი: შინაგან ავათმყოფობისა; ქიუჩარიანცი და შტემბორსკი: სიფილიტიკური და ტყავის ავათმყოფობისა.

ხუთშაბათი. **გავრონსკი: ბებიობისა და ქალების ავათმყოფობისა; როტინიანცი: ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა;** ბაბაევი ძარღვების სისუსტისა და ელექტრო-ტერაპიისა ლისიცოვი და პეტროვსკი: შინაგან ავათმყოფობისა; ქაუჩარიანცი 1-ლი სიფილისტიკური ავათმყოფობისა.

პარასკევი. მინკევიჩი: ხირურგიულ ავათმყოფობისა; **ბახუტოვი: ბებიობისა, ქალებისა და ყმაწილების ავათმყოფობისა;** კრასნოგლიადოვი, ლისიცევი და ვერმიშოვი: შინაგან ავათმყოფობისა; შტემბორსკი: ვენერიული და ტყავის ავათმყოფობისა.

შაბათი. ლისიცოვი: შინაგან ავათმყოფობისა. რეიხი: თვალების ავათმყოფობისა; ბაბევი: ძარღვების სისუსტისა და შინაგან **ავათმყოფობის; ქიუჩარიანცი 2-რე: ქალებისა და შინაგან ავათმყოფობისა.**

ობრესტი: კბილების ავათმყოფებს მიიღებს თავის სახლში მუდამ დროს ღარიბებს საავათმყოფოს ბარათებით. („დროება,“ N16, 1881 წელი);

* * *

ჩვენ გვაცნობებენ, რომ ამ დღეებში ერთს ახალგაზდა ქალს, საბებიო ინსტიტუტში მოსწავლეს, თავი მოუწამლავს და, თუმცა ექიმებს ყოველი ღონის-ძიება უხმარიათ, მაგრამ ვეღარ მოუბრუნებიათ; რამდენიმე საათის შემდეგ მომკვდარა. მიზეზს ამ ქალისაგან თავის-მოკვლისას სხვა-და-სხვას ამბობენ; ზოგი ამბობს, სიღარიბეს ვერ გაუძლო და იმიტომ მოიწამლა თავიო და ზოგი კი უიმედო სიყვარულს აბრალებს... („დროება,“ N38, 1881 წელი);

* * *

როგორც ჩვენ ნამდვილად ვიცით, ამ ზემოხსენებულს თფილისის საბებიო ინსტიტუტში ძალიან ბევრი ღარიბი ქალები სწავლობენ თურმე, რომელთაც ბებიაობის

შესწავლით იმედი აქვსთ ლუკმა-პურის შეძენისა. ამ ღარიბ ქალების შემწევნელი არავინ არ არის, არც კერძო პირები, არც რომელიმე ქველ-მომქმედი საზოგადოება; ხაზინა კი იმათ მხოლოთ სწავლის მიღების საშვალებას აძლევს: მაგრამ როგორ უნდა ისწავლოს კაცმა, თუ ლუკმა-პური და ტანთ საცმელი აკლია?! („დროება,“ N38, 1881 წელი);

* * *

ჩვენ გვაცნობებენ, რომ ერთი ექიმი დედაკაცი სცხოვრებს თურმე ვერაზე, რომლის განსაკუთრებული ხელობა ის არისო, რომ ორსულ დედაკაცებს მუცელს უხდენს. ამ საძაგელ საქმის შესასრულებლად ის დედა-კაცი ხარის-ძირას აძლევს თურმე ორსულს, რომლისგანაც საშინლად ავად ხდებიან და ბოლოს, დიდის წვალების შემდეგ, მკვდარ ყმაწვილს ჰშობენო. ურიგო არ იქნება, რომ ჩვენმა ადმინისტრაციამ და ექიმებმა მიაქციონ ამ გარემოებას ყურადღება და აუკრძალონ ამ დედა-კაცს ეს საძაგელი ხელობა. („დროება,“ N45, 1882 წელი);

### ახლად ჩამოსული ბებია-ქალი

რომელსაც აქვს იმპერატორის მოსკოვის უნივერსიტეტის დიპლომი, რომელიც ათი წელიწადი მუშაობდა ქ. სარატოვში და რომელსაც აქვს ამ ქალაქის საექიმო გამგეობისაგან რამოდენიმე მოწმობები თავის ხელობისა, – მიიღებს ავად-მყოფ და ორსულ ქალებს თავის სადგომზე, სადაც აქვს მათთვის დამზადებული ოთახები. ადრესი: ელისავეტინის ქუჩა, სახლი 60. ბებია-ქალი დობროდეევა – კაჟინსკისა. („დროება,“ N64, 1882 წელი);

### საქალებო საექიმო კურსების შესახებ

„დროების“ მკითხველები უკვე წაიკითხავდნენ ტელეგრამას, რომელმანც გვაცნობა პეტერბურღში საქალებო უმაღლესი საექიმო კურსების მოსპობა უზენაესი ბრძანების ძალით. ეს გარემოება დიდად სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს მთელი რუსეთისათვის, და, აი, ამისთვის გვსურს მოველაპარაკოთ მის თაობაზედ მკითხველებს.

რუსეთში ქალებისთვის განათლების საჭიროება დამტკიცდა სამუდამოდ ამ ოცი წლის განმავლობაში; თვით რუსეთის ცხოვრება ისეთ ნაირად იქმნა მოწყობილი, რომ ქალების განათლების შემოღება აუცილებელი შეიქმნა: თავის დროს რუსულ მწერლობამ დიდი, დაუვიწყარი და ნაყოფიერი სამსახური გაუწია რუსეთს ესრეთ წოდებულ „საქალებო კითხვის“ აღძვრით და მისი საფუძვლიანი შემუშავებით – და ბევრი ღვაწლი დასდო მისთვის. ამის წყალობით არამც თუ რუსეთის საზოგადოების საუკეთესო ნაწილი, არამედ თვით მართებლობაც დარწმუნდა იმ ჭეშმარიტებაში, რომ ქალებისთვის საჭიროა ისეთივე აღზრდა და განათლება, როგორიც საჭიროა ვაჟებისთვის. თვით ქალებში გაძლიერდა სურვილი სწავლისა, რადგანაც ეს შეადგენდა ცხოვრების აუცილებელ მოთხოვნილებას. რადგანაც იმ დროებში თვით რუსეთში შეუძლებელი იყო ქალებისთვის სწავლის სურვილის დაკმაყოფილება, ამისთვის მრავალნი მათგანნი მიესწრაფებოდნენ სამზღვარ გარეთისაკენ, შვეიცარიაში და საფრანგეთში, განათლების მისაღებად. იმ დროებში თითქმის მოდად გაიქცა ჩვეულება სამშობლო ქვეყნიდგან გამგზავრებისა იმის საძებნელად, რისიც მოპოება მხოლოდ უცხოეთში შეიძლებოდა – და არა რუსეთში. ეს გარემოება არაფრად ეჭაშნიკა რუსეთის მართებლობას; იგი ფიქრობდა, რომ ქალების ახალი თაობა შეიჭურვება ესრეთ მის მიერ წოდებულ მავნე აზრებით და მით შემოიტანს რუსეთის ხალხის ცხოვრე-

ბაში ამ უკანასკნელის ბურჯების შემარყეველ ელემენტს. მართებლობამ „სამწუხარო მოვლენის“ მოსასპობლად გამოსცა ბრძანება, რომლითაც გამოიწვევდა სამზღვარ გარეთ წასულ ქალებს. მან იკისრა სამხედრო სამინისტროს ხელით დაფუძნება ქალებისთვის უმაღლესი საექიმო კურსებისა, რომლებმაც სახელი გაითქვეს, პატივი დაიმსახურეს და ამ ჟამად უზენაესი ბრძანებით სული დალიეს.

რასაკვირველია, რუსეთში ამისთანა სასწავლებლის დაარსება დიდად სასარგებლო იყო თვით ქალების ახალი თაობისათვის, რადგანაც უცხოეთში განათლების მიღება უმრავლესობისათვის დიდად გასაჭირი იყო ბევრის მხრით; მაგალითად, უცხო ენების უცოდინარობა, მატერიალური საშუალების ნაკლებობა და სხვ. შეადგენდნენ დიდად დამაბრკოლებელ მიზეზებს ქალებისთვის უცხოეთში განათლების მიღებისათვის. როცა კი საექიმო კურსები დაფუძნდნენ პეტერბურღში, მას მერმედ, თან-და-თან მცირდებოდა უცხოეთში მიმავალ ქალების რიცხვი. თავისი მოქმედებით მმართებლობამ დასდო პატივი საზოგადოების და მთელი რუსეთის სურვილს და მოთხოვნილებას. ამით მიეცა ფართო გზა საქალებო განათლებას რუსეთში და საუკეთესო ნაწილი რუსთ ქალებისა სიმხურვალით, აღტაცებით და თავგანწირულად მიეცა განათლებას, თუმცა მას შეხვდა მრავალი დაბრკოლება თავისი წმინდა მიზნის მისაღწევად. საქალებო განათლებას თუ მხურვალე მომხრენი ჰყავდა რუსეთში, მაგიერადაც ბევრი მოსისხლე მტერებიც აღმოუჩნდნენ არა მარტო საზოგადოებაში, არამედ თვით მწერლობაშიაც. ამასთან ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ყოველი ახალი აზრი თავის შექმნის და აღორძინების დროს ასტეხს ცხოვრებაში ერთს აყალ-მაყალს, და ბევრნი შესცქერიან მას თრთოლვით და შიშით. ამისთანა შემაფერხებელ მიზეზების გარდა, უნდა მივიღოთ მხედველობაში სიღარიბე იმ წრისა, რომლიდგანაც გამოდიოდა უმეტესი ნაწილი სწავლის მსურველთ ქალებისა. ამ გვარ შეუნატრელ გარემოებათა ვერ შეაშინეს ახალ-გაზდა ქალები და ვერ შემუსრეს მათი სწავლისადმი ლტოლვილება. ახლად-დაარსებული კურსები მალე აივსნენ მსმენელ ქალებითა, რომელთაც გამოიჩინეს ბევრი მეცადინეობა და მოთმინება ცხოვრებასთან ბრძოლაში. თან-და-თან ამ კურსებმა დაიმსახურეს საზოგადოების და მთავრობის ყურადღება და თან-და-თან მატულობდა რიცხვი მსურველთა სწავლისა, რადგანაც ერთის მხრით თვით რუსეთის ცხოვრებაში და საზოგადოებაში იზრდებოდა საქალებო განათლების მოთხოვნილება და საჭიროება, მეორეს მხრით თვით საფუძვლიანად დაარსებულმა კურსებმა შეიძინეს პატივი საზოგადოების წინაშე.

ამ კურსებმა სახელი მეტად გაითქვეს წარსული ომიანობის დროს, როცა მმართებლობას დასჭირდა ექიმები ჯარებისა და საავადმყოფოებისთვის. ამ დროს მოსწავლე ქალებმა იკისრეს დიდი და მძიმე ვალი; იმათ გაემგზავრნენ ომის ველისაკენ და თავგანწირულად უვლიდნენ და ექიმობდნენ ავადმყოფებს და ემსახურებოდნენ იმ მაღალ და დიდებულ მიზანს, რომლის მისაღწევად იდვეს კისრად იმოდენა ტანჯვა, რამოდენაც რგებია საზოგადოდ მთელს მრავალ ტანჯულ ახალგაზდობას. რუსულ მწერლობამ მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას და ქებას შეასხამდა რუსეთის ქალის თავ-განწირულებას, მამულისადმი სიყვარულს და განუსაზღვრელ კაცობრიულ გრძნობებს. მმართებლობაც ცხადად და აშკარად დარწმუნდა ამ ჭეშმარიტებაში. ყველა, ვისაც გონების დაღი ედო შუბლზე, დარწმუნდნენ საქალებო საექიმო კურსების სარგებლობაში და საჭიროებაში; ყველა ჰფიქრობდა, რომ საქალებო განათლებამ გაიდგა რუსეთში მაგარი ფესვები.

ომიანობის შემდეგ მრავალმა გამოჩენილმა პროფესსორებმა, რომლებიც დაესწრნენ კურსების მსმენელთა გამოცდაზე (ეგზამენი), დარწმუნდნენ ახალ-გაზდა ქალების საფუძვლიან ცოდნაში და საზოგადოდ აღიარეს თავის აზრი მწერლობის საშუალებით.

მის შემდეგ, როცა ზოგიერთმა ქალებმა დაასრულეს კურსი და გავიდნენ ცხოვრების ასპარეზზე, ხშირად იწერებოდნენ გაზეთებში ახალგაზდა ექიმი ქალების სინიდისიანობაზე და შრომაზე; ზოგიერთმა მათგანმა შეადგინეს მეცნიერული თხზულებანი და მიიქციეს სწავლულების ყურადღება. ერთი სიტყვით საექიმო კურსებმა დაიმსახურეს დიდი ყურადღება და თვალში ჩხირად ედოთ იმათ ვისაც ქალების განათლება მათი გონებითი და ზნეობითი გარყვნად მიაჩნიათ.

ამის შემდეგ გავიდა რაოდენიმე წელიწადი, შეიცვალა სცენა, მისი მორთულობა და ეწია სხვა არა შესაფერი ბედი საექიმო კურსებისა. ამ მოკლე ხანში სამხედრო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ მას არ შეუძლია კურსების შენახვა, რადგანაც ეს არ შეეხება მის პირად მოვალეობას. პეტერბურღის თვით-მართველობამ განაცხადა საექიმო კურსების მიღების სურვილი თავის გამგეობაში. სამინისტრომ თანხმობა განაცხადა. საზოგადოების გონიერ ნაწილმა აცქვიტა ყურები და იკისრა მატერიალური საშუალების მოპოება და მით კურსების დახმარება. გავიდა ცოტაოდენი ხანი და ერთბაშად გამოვიდა ბრძანება, რომლის ძალითაც მოისპო საექიმო კურსები; არც პეტერბურღის თვით-მმართველობის თხოვნა და სურვილი, არც საზოგადოების გულითადი წადილი, არც მწერლობის ღაღადება არ იყვნენ მიღებული მხედველობაში, და განქრა დედამიწის ზურგიდგან ის მშვენიერი ქმნილება, რომლითაც რუსეთს შეეძლო ეამაყნა მთელი განათლებული ევროპის წინაშე; ამით აღსრულდა გულითადი წადილი იმ ქვემძრომლებისა და სიბნელის მოყვარეთა, რომლებსაც ყოველი სხივ-სინათლისა უბრმავებს თვალთა მხედველობას და უფანტავს გონებას. საფიქრებელი იყო, რომ საზოგადოების სურვილი, მისი წარმომადგენლების თხოვნა და მწერლობის ხმა მიღებულ იქმნებოდნენ სახეში, მაგრამ მოხდა წინააღმდეგი; რუსეთში ხშირად შეხვდება კაცს იმისთანა საგნების გმობა, რომელნიც აღიარებულ არიან ზოგიერთ სხვა ქვეყნებში ხალხის კეთილ დღეობის და ბედნიერი მომავლის ბურჯად. საექიმო კურსების მოსპობით საქალებო განათლებას მიეცა დიდი ზიანი, რადგანაც უმთავრესს საჭიროებას რუსეთის ცხოვრებისას არ მიეცემა დაკმაყოფილება. ამით, რასაკვირველია, ვერ მოისპობა საზოგადოების მოთხოვნილება, რომელიც კარგი ხანია რაც არის აღძრული და არის კანონიერი შედეგი მე-60 წლების რეფორმებისა. დაუკმაყოფილებული მოთხოვნილება საზოგადოებისა თავის გზასაა და განაგრძობს არსებობას. კიდევ გაგრძელდება ის მოვლენა, რომელიც მოსპო რუსეთში საქალებო კურსების დაარსებამ, კიდევ გაესწრაფებიან სპეციალური სწავლის მსურველნი ქალები უცხოეთისაკენ; ამით მხოლოდ შეფერხდება საქალებო განათლება რუსეთში და მოსპობით კი ვერ მოისპობა სურვილი სწავლისა. აღსრულდა გულითადი წადილი იმათი, რომელიც სცდილობს, რომ ყოველი წინ წადგმული ნაბიჯის მაგიერ ერთი ან ორ ნაბიჯი უკანვე წაადგმევინონ ხალხსა და საზოგადოებისა. /ა. ნა-ლი/. („დროება," N179, 1882 წელი);

**კერძო საავადმყოფო**

კუკიაში, სემიონოვის ქუჩა, ახვერდოვის სახლი. ავადმყოფებს მუდამ დღე მიიღებენ. დილით: 9 საათიდამ 10½-მდინ **ნოვოსარტიანცი – ხირურგიულ და ვენერიულ ავადმყოფისა და რუდკოვსკი – ქალის, ყმაწვილის და შინაგან ავადმყოფ.;** 10½ საათიდამ 12 საათ. შახ-აზიზ – შინაგან ავადმყოფობისათვის. 12 საათიდამ 1 საათ. თვალის ავადმყოფ. ლარიონოვი მუდამ დღე კვირასა და ოთხშაბათს გარდა, და რეიხი ოთხშ. და კვირას.

საღამოს: 5 საათიდამ 7-მდინ უშაკოვი – ყმაწვილების და ყელის ავადმყოფობ. სამშაბათობით, ხუთშაბ. და შაბათობით. ნერვების, პსიხიური ავადმყოფ. და ელექტრო – ტერაპიისა – არუთინოვი მუდამ დღე და კონსულტანტად ბაბაიევი სამშაბათობით

და შაბათობით. საზოგადო კონსულტაცია ექიმებისა სამშ. – შაბათობით საღამოს 7 საათ. 8-მდინ. მუდამი კრავატები.

ფასი რჩევისათვის – 50 კაპ., კონსულტაციისა – 3 მან. ღარიბებს უფასოდ. საავადმყოფოს დირექტორი ექ. ნოვოსარტიანცი. (თვით საავადმყოფოში დგას). საავადმყოფოში ამ მოკლე ხანში გაიხსნება წყლით საექიმო განყოფილება ექ. ტელიაფუსის ხელმძღვანელობით. („დროება," N53, 1883 წელი);

### საავადმყოფო ექიმის პავლოვსკისა

კუკია, მოსტოვაიას და ელისავეტის ქქ. კუთხეში, ადრინდელი სახლები სლინკოსი, ვარანცოკის ძეგლის მახლობ. მუდამ დღე იღებს ავად-მყოფებს: დილით 9 – 10 საათ.: მ. ვ. ლუნკევიჩი თვალის, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყ., **5 – 11 ½-დის ქალი-ექიმი ა. ვ. სამოილოვიჩისა ქალის და ყმაწვილის ავადმყ.,** 11½ – 12½ საათამდის ა. ა. პავლოვსკი, ნერვულ და შინაგან ავადმყ.; საღამოს: 4 – 5 საათამდის ე. ს. ბაბოვი შინაგან ავადმყ., 5 – 6-მდის ა. ა. პავლოვსკი ელექტროტერეპიიდამ. ფასი რჩევისათვის 50 კ. ღარიბთ მუქთად ეძლევათ რჩევანი. ავადმყოფის სურვილით შესდგება კონსულტაცია. საავადმყოფოში არის კეფირი. დირექტორი, ექიმი ა. პავლოვსკი. („დროება," N82, 1883 წელი);

* * *

რუსის ქალებმა იმდენი შრომა და გამჭრიახობა გამოიჩინეს, რომ განათლების უფლება, თითქოს სამუდამოდ დაიმკვიდრეს; მაგრამ ამ ქვეყანაში მკვიდრი არა ყოფილა რა. ქალების სამკურნალო კურსების არსებობა წრეულს ძალიან საეჭვო გახდა: ჯერ თითქმის სულ უნდოდათ დაეკეტათ, მერე ის მცირე უფლებები, რომელიც ქალებმა თითქმის ბრძოლის ველზედ დაიმსახურეს, უნდოდათ შეემცირებინათ, მაგალითებრ: დაუპირეს იმ ნიშნის წართმევა, რომელიც ომის შემდეგ მისცეს ქალებს გულზედ სატარებლად, ექიმობის მაგიერ ქალებს უნდა დარქმევოდა ნასწავლი ბებიები. ამ ხმებმა საზოგადოებაზედ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. საზოგადოებამ პროტესტი იმითი გამოაცხადა, რომ რუსეთის ყველა კუთხეებიდან, როგორც კერძო პირთაგან, ისე მთელი მაზრებიდან ზღვასავით მოსქდა შესაწევარი კურსებისთვის. ეტყობა საზოგადოების ესეთმა გაღვიძებულმა თანაგრძნობამ იმოქმედა მართებლობაზედ და ეხლა, როგორც გაზეთებიდან ვტყობულობთ, ქალების სამკურნალო კურსები ისევ ძველებურ საფუძველზედ დარჩება, მხოლოდ იმ კურსებზედ შესასვლელ ქალებს უფრო მეტი სწავლა-განათლება მოეთხოვებათ, მაგ. ქალს უნდა ჰქონდეს მოწიფულების ატესტატი" (атестать зрвлости), რომლის მისაღებადაც საჭიროა ლათინური და ბერძნული ენების ცოდნა. მგონია ქალებს ისევ ის ერჩივნათ, გულზედ სატარებელი მენდალი წაერთმიათ და ამ ლათინური და ბერძნული ენებით კი არ გაებედნიერებინათ. („დროება," N57, 1883 წელი);

* * *

ამ ცოტა ხანში, როგორც გვატყობინებს გაზ. „Kunjer Warszawski," ერთს ექიმ ქალს, შთამომავლობით ინგლისელს, ერთი ისეთი შესანიშნავი და ძნელი აპერაცია შეუსრულებია: ქალისთვის საშვილოსნო გამოუჭრია და ავადმყოფი ქალი ცოცხალი დარჩენილა. ჩვენი ექიმები თუ კაცებია, ნეტავი ვისმე ფრჩხილი ისე მოსჭრან, რომ საიქიოს არ გაისტუმრონ. („დროება," N103, 1883 წელი);



დოკტორი მედიცინისა და აკუშერი ი. გ. მელიკოვი სწამლობს დედაკაცების და ყმაწვილების ავადმყოფობას. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დილით 9½—11 საათამდინ.
(3—1)

გაზეთი „დროება", 1883 წელი



ამ ცოტა ხანში, როგორც გვატყობინებს გაზ. „Kunjer Warszawski", ერთს ექიმ ქალს, შთამომავლობით ინგლისელს, ერთი ისეთი შესანიშნავი და ძნელი ოპერაცია შეუსრულებია: ქალისთვის საშვილოსნო გამოუჭრია და ავადმყოფი ქალი ცოცხალი დარჩომილა.

ჩვენი ექიმები თუ კაცებია, ნეტავი ვისმე ფრჩხილი ისე მოსჭრან, რომ საიქიოს არ გაისტუმრონ.

გაზეთი „დროება", 1883 წელი

* * *

ოპერატორს, მედიცინის დოქტორს ქიუჩარიანცს აქვს ბაღის ქუჩაზედ (Садовая ул.) განსაკუთრებული სამუდამო სადგური ავადმყოფებისათვის, რომელთაც სიფილისი სჭირთ, ან შარდისა და საშვილოსნო ორგანოები სტკივათ, ან კიდევ ხირურგიული ოპერაციები ეჭირვებათ. („დროება", N 229, 1883 წელი);

* * *

ხვალ, პირველ დეკემბერს, ქუთაისში დაიწყება ფრიად საინტერესო საქმე შინაურ ექიმის თურმანიძისა, რომელსაც ძალად მუცლის წახდენას აბრალებენ. („დროება", N241, 1883 წელი);

* * *

ქ. თბილისში, ხარფუხს, როგორც გაზ. „მშაკი" იწერება, ადგილობრივი უმეცარი ბებიის წყალობით, მომკვდარა ერთი ახალგაზდა მელოგინე ქალი. საქმე ის არის, რომ ხარფუხში არა ჰყავთ არც ერთი ექიმი დ არც ნასწავლი ბებია. („დროება," N15, 1884 წელი);

* * *

საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშევი ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად ამ ოქტომბრის 5-დგან შემოღებული იქნება მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამ-ღამობით მორიგად ყოფნა ექიმთა ბებიათა.

ექიმები: არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

კორონა, სამშაბათობით და შაბათობით. მელიქ-ფარსადანოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბებიები: ფილჩაკოვისა, სამშაბათობით. ბაგინოევისა, ორშაბათობით, და პარასკევობით. სტეფანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლოქშისა, ხუთშაბათობით და კვირაობით. („დროება," N221, 1884 წელი);

* * *

ერთი ახალგაზდა ქალი ქმრის ცუდად ქცევამ დააჭლექა, მაგრამ ჯერ კიდევ სასიკვდილო არაფერი უშავდა, როცა ერთს დღეს ეწვია მას ექიმი დედაკაცი მახლობელი სოფლიდან, მაღლაკიდან, და ურჩია თავად მოსუსტებულ ქალს კიდევ სისხლები გამოეშვა. ასე ეთქვა: „შენს ტანში მავნე სისხლი ტრიალობს და თუ მარტს დავასწარით და ახლა გამოვუშვით, სამუდამოდ გამრთელდებიო. საბრალო ქალი შემცდარა (ქმარი იმ დღეს ქუთაისში ყოფილა) და რამდენსამე ალაგს სისხლი გაუშვებინებია... როცა კარგად გაუწრეტია სისხლისაგან თავისი მსხვერპლი, ექიმი-ქალი, რასაკვირველია, დასაჩუქრებული წაბრძანებულა შინ, მაგრამ მისს მსხვერპლს კი იმ ღამესვე დაულევია სული..." („დროება," N39, 1884 წელი);

* * *

გაზეთს „კავკაზს" ატყობინებენ, რომ თბილისის ქალაქის საავადმყოფოს საქალებო განყოფილებაში მომვლელი ქალები ძალიან ცუდად იქცევიანო. მომვლელნი თავიანთ ადგილზედ ყოველთვის არ იმყოფებიან და ავადმყოფებს ყურის მგდებელი არავინა ჰყავთ. მაგალითად ამას წინად ერთი ქალი მივიდა ავადმყოფის სანახავად და მის თვალ-წინ შემდეგი შემთხვევა მოხდა: ერთს ავადმყოფს ქალს კრაოტზედ წამოჯდომა უნდოდა და როდესაც წამოიწია, ძირს ჩამოვარდა და ვინ იცის რამდენხანს ეგდებოდა იატაკზედ, თუ რომ მიმსვლელს ქალს თვითონ არ მოეძებნა მომვლელი ქალები, რომელნიც საავადმყოფოს ეზოს კარების წინ დასეირნობდენ. როგორც ავადმყოფები ამბობენ, ამისთანა შემთხვევა ხშირად ხდება და ავადმყოფი ქალები მომვლელი ქალების უგულო ქცევას ისე შეჩვეულნი არიან, რომ ცდილობენ უმათ-შემწეობოდ იოლად წავიდენო. იმასაც ამბობენ, რომ მოსამსახურე ქალები ავადმყოფებზედ ხანდისხან ძალასაც ხმარობენო და მხოლოდ იმ ავადმყოფებს ექცევიან კარგად, რომელთაც შეუძლიანთ «მადლობის» გადახდაო. ნუ დაივიწყებთ, რომ საავადმყოფოში მომეტებულად უფრო ღარიბები შედიან მოსარჩენად. იმედი გვაქვს,

რომ საავადმყოფოს გამგებელნი ყურადღებას მიაქცევენ ამ ჩვენს შენიშვნას და ეცდებიან გააუმჯობესონ ავადმყოფების მოსვლის წესი. („დროება,“ N148, 1884 წელი);

* * *

კნეინა ბარბარე ჯორჯაძისა ადგენს თურმე კარაბადინს ჩვენის ხალხის წამლობისას და იხსენიებს მხოლოდ იმისთანა მაგალითებს ავადმყოფობის მორჩენისას, რომელნიც თავის თვალით უნახავს, ან ფრიად სარწმუნო პირებისაგან გაუგონია. კარგი იქმნება, რომ პატივცემული კნეინა ჯორჯაძის მიბაძვით ვინც კი ამისთანა შემთხვევები იცის, რაიმე გზით გამოაქვეყნოს; გამეორება საჭირო აღარ არის, რომ უბრალოდ ექიმები ხანდისხან იმისთანა სენს უმკურნალებენ ხოლმე, რომლის მორჩენა სწავლულ ექიმებს უჭირდებათ და ქვეყნის სარგებლობა მოითხოვს, ესეთი მაგალითები შეუნიშნავნი არ დარჩნენ. („დროება,“ N195, 1885 წელი);

### ბიბლიოგრაფია:

**Научныя бесьды врачей Закавказского повивальнаго Института, годь первый**

ამ სახელ-წოდების წიგნი საბებიო ინსტიტუტის ექიმებმა დაბეჭდეს. მთელ ამიერ კავკასიაში ერთად ერთი საბებიო ინსტიტუტია, რომლის არსებობა ბევრმა არც კი იცის. ეს ინსტიტუტი ტფილისშია და ორ განყოფილებას შეიცავს – დედათ სამკურნალოს და სამეცნიეროს. უმთავრეს დანიშნულება ხსენებულ ინსტიტუტისა ხალხისათვის ნასწავლის ბებიების მომზადებაა. სამწუხაროდ ინსტიტუტში ბებიობის მოსწავლე ქალებზე ამ წიგნში სიტყვაც არ არის ნათქვამი, ამისთვის მკითხველიც ვერას ვეტყვით ამ საგანზე. ინსტიტუტში რამდენიმე ექიმია: ბებიობისა, დედათ ავად-მყოფობისა და ყრმათა ავად-მყოფობის ზედმიწევნით მცოდნენი. ხსენებული ექიმები თვეში ერთხელ იკრიბებიან სამეცნიერო საგნების გამო საბაასოდ; ეს წესი შარშან შემოუღიათ ინსტიტუტში, და როგორც ჩანს ამ წიგნიდგან, ამ ჩვეულებას ნაყოფიც მოუტანია.

სხვათა შორის ექიმ ბაბანასიანცის შრომაა ამ წიგნში საყურადღებო. 1,000 ახლად დაბადებულთ სიგრძე-სიმძიმე გამოუკვლევია ამ ექიმს და შეუმჩნევია, რომ 1) ტფილისში ახლად-დაბადებული ქართველები ევროპიელებს უფრო გვანან სიგრძით და სიმძიმით, ვიდრე რუსებს; 2) ტფილისში ახლად დაბადებული ქართველები სიმძიმით და სიგრძით ყველა ერის ახლად დაბადებულებზე მეტნი არიან; 3) ტფილისში ახლად დაბადებული რუსები, რუსეთში დაბადებულებს არა ჰგვანან და ქართველ ყმაწვილებზედ ბევრად ნაკლებნი არიან; 4) ქართველ ყმაწვილებს შემდეგ სიგრძით და სიმძიმით ფრანცუზებს, ნემცებს და პოლიაკებს მეორე ადგილი უჭირავთ; 5) ახლად დაბადებული სომხები სიგრძე-სიმძიმით ყველა ყმაწვილზედ პატარები არიან.

ამას გარდა საყურადღებოა „ივერიის“ მკითხველთათვის ინსტიტუტის ექიმებისგან შედგენილი პროგრამმა ქართულ, სომხურ და რუსულ ენაზედ. პროგრამა ძრიელ ვრცელია და ორსულობის, მშობიარობის და ყმაწვილის აღზრდის შესახებ კითხვებია მარტო მოხსენიებული.

დაბეჭდილი პროგრამები სოფლის ექიმებს, ბებიებს და მღვდლებს გაუგზავნეს აღნიშნულ კითხვებზე პასუხის მისაცემად. კითხვები კარგად არის შედგენილი, და იმედია, როცა ამ კითხვებზე პასუხს მიიღებენ, ინსტიტუტის ექიმები ამ პასუხს დაუფიქრდებიან და ფრიად საინტერესო წიგნს დაჰბეჭდავენ, რადგანაც ხელთ ექმნე-

ბათ მდიდარი მასალა. ინსტიტუტში ბებიობის მოსწავლეთათვისაც ძრიელ საჭიროა იცოდნენ ხალხის ზნე-ჩვეულებები ბებიობის შესახები. ბევრი ამ ჩვეულებათაგანი ძრიელ მავნებელია, როგორც მშობიარეს სიმრთელისთვის, აგრეთვე ყმაწვილის მართალ-აღზრდისათვის. როგორ შეძლებენ განათლებული ბებიები ამ ჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლას, თუ მათ წინადვე არ გაიგეს ამ ჩვეულებათა მავნებლობა.

ამას წინად სოფლის ბებიების უმეცრებისა და მავნებლობის შესახებ შესანიშნავ ამბავს იწერებოდნენ რუსეთიდგან. ტვერის გუბერნიაში თურმე ხუთი დღე და ღამე იტანჯებოდა მშობიარე, სოფლის ბებიების უმეცრებით. ყმაწვილი მაგრად გაჩერებულიყო და არ იბადებოდაო. მიიწვიეს რასაკვირველია, ძრიელ გვიან, ნასწავლი ბებია, რომელსაც მშობიარეს უკანა კარიდგან დახვეული მჭვრები გამოელო. ეს ჩვრები უბრალო სოფლის ბებიებს განგებ მიეცათ მშობიარესთვის იმ აზრით, რომ ბავშვი უკანა კარიდგან არ დაბადებულიყო (Чтобы ребенокъ не пошелъ не своимъ ходомъ – ეთქვათ უბრალო ბებიებს). მჭვრების გამოღების შემდეგ ყმაწვილი ადვილად დაიბადა, მაგრამ უკვე მკვდარი იყო; ნასწავლი ბებია რომ არ მიეწვიათ, ყმაწვილს უეჭველად დედაც გადაჰყვებოდა, დედა კი როგორც იქნა გადარჩა სიკვდილს.

ერთის წლის განმავლობაში ინსტიტუტის სამკურნალო განყოფილებაში 181 დახსნილა მშობიარებისაგან, ამათგან 5 მომკვდარა; 313 ავადმყოფი ყმაწვილი მოუყვანიათ საწამლოებლად და 511 დედა-კაცს, დედათ-ავად-მყოფობით შეპყრობილთ საექიმოთ უვლიათ ინსტიტუტში; ავად-მყოფებში იმერეთიდგან, სამეგრელოდგან და გურიიდგან მოსულებიც ყოფილან. („ივერია,“ N94, 1886 წელი);

* * *

ტფილისის სამკურნალოში ბევრი ავად-მყოფი დაიარება და ექიმები-კი ცოტანი არიან ხოლმე, მეტადრე ზაფხულობითაო, ამბობს გაზ, ‹Новое Обозрѣнiе› და ამისთვის საქალაქო გამგეობა ფიქრობს მოახსენოს ეს გარემოება საბჭოსა და ერთი მუდამი ორდინატორი კიდევ მოუმატოს და 25 მან. დაუნიშნოს ჯამაგირი თვეშიო.

უმთავრეს სამკურნალოში ამავე გაზეთის სიტყვით, სულ 953 ავადმყოფი იყოვო ერთის თვის განმავლობაში, ამათში კაცი 535 ყოფილა, ქალი 237 და ყრმაო – 181. („ივერია,“ N97, 1886 წელი);

* * *

ამას წინად სამკურნალო რჩევამ გაარჩია და დაამტკიცა, რომ ბებიებსაც შეეძლოთ გამართონ ცალკე სადგომები, სადაც ორსულ-დედაკაცებს მოლოგინება შეეძლებოდეთ. ამ საქმის შესახებ რჩევამ წესები შეადგინა და დაურიგდა ყველა საგუბერნიო სამკურნალო განყოფილებათა. („ივერია,“ N115, 1886 წელი);

* * *

21 ივლისს, ალექსანდროვის ბაღის სკამეიკაზედ უპოვნიათ ყმაწვილი-ქალი სულ 10 დღის დაბადებული. ყმაწვილის გვერდით დებულა ბოლჩა ყმაწვილისავე თეთრეულით. ეს ყმაწვილი საბებიო ინსტიტუტში გაუგზავნიათ.

21 ივლისსავე, პოლიციის მე-2 ნაწილში, მჭედლოვის სახლთან მიუგდიათ ერთის თვის დაბადებული ყმაწვილი ქალი. ყმაწვილი საბებიო ინსტიტუტში გაუგზავნიათ.

22 ივლისს, მე-10 ნაწილში, ნიკოლაევის ქუჩზედ, ნიკიფოროვის სახლთან მიუგდიათ ახალად-დაბადებული ყმაწვილი-ვაჟი, რომელიც საბებიო ინსტიტუტში გაუგზავიათ.

23 ივლისს, მე-6 ნაწილში ტფილისის მოქალაქეს მთვრალს რაჰინ-ისმაილოღლის ყავახანაში ხანჯლით თავში დაუჭრია სპარსეთის ქვეშევრდომი კელბალაი-ბაბა-გაჯი-თარავედი-ოღლი. დამნაშავე დატუსაღებულია. დაშავებული საავადმყოფოშია გაგზავნილი. („ივერია," N160, 1886 წელი);

* * *

გაზ. „კასპის" საოცარს ამბავს სწერენ შემახიიდამ: 28 აგვისტოს სოფელ ალთიაღაჯში გამხდარა ავად 12 წლის ქალი და მშობელს ვიღაც ექიმი თათარი მოლლა სადიხი მოუწვევია სამკურნალოდ. ექიმს უთქვამს, რომ ხუთ მანათად მოვარჩენო, მხოლოდ ავად-მყოფი ცალკე ოთახში დააწვინეთო. მშობელს დედას აუსრულებია ბრძანება ექიმბაშისა და მეზობლისას წასულა. პატარა ხანს უკან დედას მოესმა ყვირილი თავის პატარა ქალისა. გულ-გახეთქილი დედა მოვარდა და მწარედ მტირალმა ქალმა უამბო, რომ თათარმა ძალა მოიტანა და გამაუპატიურაო. გამწარებულმა დედამ წამოავლო ხელი რაღაც რკინის ჯოხს და დაუწყო ცემა თათარს. მოცვივდნენ მეზობლები და შეჰკრეს თათარიო. მეორე დღეს თათარი მომკვდარიყო იმ ოთახში, საცა დაამწყვდიესო. („დროება," N195, 1886 წელი);

* * *

ამ თვის 26-ს ტფილისის საქალებო გიმნაზიის დარბაზში დანიშნულია შემწეობისათვის საერთო კრება მასწავლებელ-ქალთა შემწეობისათვის დაარსებულ საზოგადოების წევრთა ამ კრებაზედ სხვათა შორის წაკითხულ იქმნება ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა წარსულის საანგარიშო წლის განმავლობაში. საზოგადოებამ ბევრი რამ გააკეთა ამ ერთ წელიწადში, დიდი მხნეობა და სარისტა **გამოიჩინა: საზოგადოება შველოდა მასწავლებელ-ქალთა, გაჰმართა მათთვის ფრანგულის ენის სწავლების კლასები, ექიმი-ქალი სამოილოვიჩი კითხულობდა მათთვის ამ ბოლოს დროს ლექციებს ფიზიოლოგიისასა და ანატომიისასა;** დღესასწაულებში საზოგადოებამ გაჰმართა დილა ყმაწვილებისათვის და სხვანი და სხვანი. ამ საზოგადოების მმართველთა შორის და წევრთა შორისაც ქართველნი ქალნი საკმაოდ ირიცხებიან. ვისურვებთ ყოველ-გვარს წარმატებას ამ ახალისა და ნორჩის საზოგადოებისათვის. („ივერია," N9, 1887 წელი);

* * *

ბებია: (აკუშერკა) ანნა ივანოვნა გალუზენკო გადმოვიდა გორიდგან ქალაქსა; და სდგას მიხეილოვის ქუჩაზე, კაჩუბეის შესახვევში, N12. („ივერია," N13, 1887 წელი);

* * *

ტფილისის საბებიო ინსტიტუტს უთხოვნია წელსაც შემწეობა საქალაქო გამგეობისაგან. ქალაქი აგერ თერთმეტი წელიწადია, რაც აძლევს ამ ინსტიტუტს სამოც-სამოც თუმანს წელიწადში. წელს გამგეობამ შეუთვალა ინსტიტუტის დირექტორს, რომ, ჩვენ არა ვიცით რა, სად და როგორ იხარჯება ჩვენი ფულიო. ინსტიტუტს ეროზისაგან დიდი ფული ეძლევა და თუ საამისო საჭირო არ არის ინსტიტუტისათვის, ჩვენს ფულს ისევ სხვა საქმეს მოვახმარებთო. (გაზ. ნოვ. ობოზ.). („ივერია," N28, 1887 წელი);

## კერძო განცხადებანი

ტფილისში მოსული პეტერბურგიდან დოქტორი პრეობრაჟენსკი არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნერვების სნეულებას, ნეკრესის ქარს და კონტრატურას (ხელისა და ფეხის გაშეშებას), არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილსა. **ამას გარდა ჰწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისსა.** ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით 9 საათიდამ 12 საათამდე და საღამოთი 7-8-მდე. იკითხონ ვარანცოვის ნაბერეჟნა, კუკიის ხიდის ყურთან, ტერ-ოჰანეზოვის სახლში, N5. („ივერია,“ N190, 1887 წელი);




**გაზეთი „ივერია“, 1888 წელი**

## დაიბეჭდა და ისყიდება

წერა-კითხვის სამართველოში და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ახალი ქართული წიგნი: დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილებს. ფასი ერთი შაური. („ივერია,“ N242, 1888 წელი);

## ახალი ამბავი

ტფილისში უპატრონო ბავშვებისა და მიგდებულ ყმაწვილების პატრონი საბებიო ინსტიტუტია და სამოწყალო სახლი, სადაც ამ გვარ ბავშვებს აგროვებენ და აღზრდიან. ესენი ბავშვებს ხშირად აქეთ-იქით ოჯახებში აბარებენ და ფულსაც იხდიან ყმაწვილების აღსაზრდელად. მივაქცევთ ამ სახლთა მმართველების ყურადღებას, რომ ბავშვების გამომყვანი სახლობანი ხშირად სასტიკად ეპყრობიან ყმაწვილებს, არაფერს ასწავლიან, დიდად ძვირად ინახავენ და ჯაფა შრომით მოსვენებას არ აძლევენ. ესენი თუ იყვანენ ყმაწვილებს, მხოლოდ იმიტომ რომ ფული ართვან სამოწყალო სახლს, თთვეში ხუთი-ექვსი მანეთი, და ყმაწვილის აღზრდა — გაწვრთნისა კი არა ეფიქრებათ-რა. კარგი იქნებოდა, რომ ზემოხსენებულის სახლის მართველობა დიდის სიფრთხილით აბარებდეს ყმაწვილებს აქეთ-იქით ოჯახებში, კარგად ასწონ-დასწონოს ხოლმე ყოველთვის საქმე, გამოიკითხოს ვინ არის მთხოვნელი, სანდო კაცია და ყმაწვილის რიგიანად მოვლას შეიძლებს, თუ არა. („ივერია,“ N112, 1889 წელი)

* * *

დღეს მოგვივიდა რუსულად გამოცემა „კავკასიის საბებიო ინსტიტუტის ექიმთა სამეცნიერო ბაასი“-სა. ეს წიგნი ლაზათიანად არის გამოცემული და 200 ფურცლამდე

შეიცავს in octovo-სას. წიგნში დაბეჭდილია საბებიო ინსტიტუტის მოკლე ანგარიში 1888 წლის განმავლობაში და აგრეთვე სამკურნალო განყოფილებათა ანგარიში 1887 წლისა. წიგნის ბოლოში დაბეჭდილია ფრიად საინტერესო წერილი ექიმის ქალის ისაკოვისა იმის შესახებ, თუ ახლად დაბადებულს ბავშვებს როგორ უვლიან კავკასიისა და ამიერ-კავკასიის სხვა-და-სხვა ერნი. მოყვანილი აქვს, სხვათაშორის, სხვა-და-სხვა ჩვეულება ქართველებისა, რუსებისა, სომხებისა, და თათრებისა და სხვათა ახლად დაბადებულ ყმაწვილის მოვლის შესახებ. ამ წერილს ბოლოზედ დატანებული აქვს სურათები ექვს ნაირის სხვა-და-სხვა აკვანისა და ორ გვარის შიბაქისა. („ივერია," N189, 1889 წელი);

## ფელეტონი
## მკურნალი დედაკაცი და დედაკაცების სამკურნალო სწავლა-განათლება

ზემოხსენებულ საგანზედ ვრცელი წერილი შეუდგენია ერთს რუსის ქალს, კაროლინა შულცეს და ეს თავისი წერილი, ანუ დისერტაცია წარუდგენია პარიჟის სამკურნალო უნივერსიტეტისათვის დოქტორობის ხარისხის მისაღებად. წერილში დაწვრილებით არის მოხსენებული, სად და რომელს ქვეყანაში როგორ დაიწყო დედაკაცმა მკურნალობა და როგორ მიიღო სამკურნალო სწავლა-განათლება. ჩვენ მოკლედ ვუამბობთ მკითხველებს, რაც საყურადღებოა შულცეს წერილში ამ საგნის თაობაზე.

პირველი დედაკაცი, რომელსაც მიუღია დიპლომი მკურნალობის დოქტორისა, ყოფილა ჩრდილო-ამერიკელი ქალი, ელისაბედ ბლეკუელი. ელისაბედს ბევრი დაბრკოლება დახვდა და ბევრი წინააღმდეგობა გაუწიეს, ვიდრე თავის სურვილს მიაღწევდა. პირველად 1844 წელს ეცადა, რომ მკურნალობის სწავლა დაეწყო ფილადელფიის სამკურნალო სასწავლებელში. სასწავლებლის მთავრობამ ელისაბედს პირდაპირ ცივი უარი უთხრა: დედაკაცებს ვერ მივიღებთ სტუდენტებს შორისო, ეგ რა უცნაური აზრი მოგსვლია, დედაკაცი და მკურნალობა ვინ გაიგონაო. ელისაბედ ბლეკუელმა მერე ყველა სამკურნალო სკოლებს მიჰმართა და სადაც – კი სამკურნალო სასწავლებელი იყო ყველგან სთხოვა, მინდა მკურნალობის სწავლა და მიმიღეთ სტუდენტადაო. ზოგმა სასწავლებელმა ელისაბედს პასუხი არ აღირსა, ზოგმა – ფილადელფიის სკოლისებურად ცივი უარი შემოუთვალა. სხვას ვისმე ყოველი იმედი და სასოება დაეკარგებოდა ამ ამბის შემდეგ, მაგრამ მხნე და გამბედავმა ელისაბედმა არ გადიწყვიტა იმედი, არ დაანება თავი თავის სურვილს და ბოლოს, როგორც იყო, მიაღწია საწადელს. ნიუ-იორკის შტატის ერთმა სასწავლებელმა დიდს ყოყმანს შემდეგ, გადასწყვიტა მივიღოთ სტუდენტად ეგ ქალიო. თუ აქამდე არ ყოფილა ასეთი მაგალითი, ეგ კიდევ საბუთი არ არის, რომ არც შემდეგ უნდა იყოსო. მართლაც, მიიღეს ელისაბედი და იმანაც დიდის ხალისით დაიწყო სწავლა. მშვენივრად გაათავა კურსი და მიიღო დიპლომი მკურნალობისა 1847 წელს.

ამნაირად, ამერიკელ დედაკაცობას გზა გაეხსნა სწავლა-განათლებისა. ელისაბედ ბლეკუელის მაგალითს ბევრმა სხვამ წაჰბაძა ამერიკაში. 1850 წელს ცალკე სამკურნალო სკოლაც დაარსდა დედაკაცებისათვის, ჯერ ბოსტონში და მერე ფილადელფიაში. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტებმაც კარი გაუღეს დედაკაცებს და წავიდა წინ საქმე. ნიუ-იორკშიაც ცალკე სკოლა დაარსდა 1868 წელს, ჩიკაგოშიაც 1870 წელს. თითოეულს კერძო სადედაკაცო სასწავლებელში ყოველ-წლივ 300-400 დედაკაცი სწავლობს დღეს მკურნალობას. სხვა საერთო სასწავლებელში კიდევ ირიცხება სულ 500-600 მოსწავლე და მსმენელი ქალი. ჩრდილო-ამერიკის ცხოვრებაში გამოსულია და მკურნალობს ამჟამად 3000 დედაკაცი. ამათში ბრუკლინის ქალაქში

– 580, ფილადელფიაში – 460, ნიუ-იორკში – 450, მასაჩუსეტში – 375, ბოსტონში – 345, პენსილვანიაში – 270, მიჩიგანში – 180. ბევრი მკურნალი დედაკაცი მხოლოდ რომელსამე სამკურნალო საგანს დაემყარა და დედაკაცთა და ყმაწვილთა ავადმყოფობას არჩენს. ნიუ-იორკის სადედაკაცო სამკურნალო სკოლაში 30 პროფესორში, 16 პროფესორი დედაკაცია, ფილადელფიაში 29 პროფესორში 15 დედაკაცია. 100-მდე მოითვლება ამერიკაში ასეთი პროფესორი დედაკაცი და სამოც და ათასამდე კიდევ სამკურნალოსა და ქსენონების უფროს ზედამხედველად არიან. ამერიკელი მკურნალი დედაკაცები ომშიაც თან დასდევდნენ ლაშქარს და შველოდნენ დაჭრილს. როცა სამხრეთსა და ჩრდილოეთს ბრძოლა ჰქონდათ ყმობისა და მონობის გამო, ლაშქრობაში ორი დედაკაცი ჯარა-ექიმად იყო. ერთი მათგანი დაიჭრა კიდეც, ვირგინიის ლაშრობაში და მერი აიტის თვალიც გამოსთხარა ტყვიამ.

დღეს მექსიკაშიაც მოიპოვება თითო-ოროლა მკურნალი დედაკაცი. მაგრამ ახლა ევროპაშიც ვნახოთ, როგორ დაიწყო და როგორ სწარმოებდა ეს საქმე. ავიღოთ ჯერ საფრანგეთი.

საფრანგეთში პირველი დედაკაცი, რომელმაც ითავა და დაიწყო ეს საქმე, იყო ქალბატონი მადლენა ბრე. 1866 წელს ამ ქალმა სთხოვა პარიჟის სამედიცინო ფაკულტეტს მიმიღეთ სტუდენტებს შორისაო. სახელოვანმა ქიმიკოსმა ვიურცმა გაამხნევა გამბედავი დედაკაცი და დაჰპირდა შემწეობას. ვიურცმა ბრეს თხოვნა წარუდგინა საერთო განათლების მინისტრს დიურუის, რომელმაც ქაღალდი მინისტრთა კომიტეტს გარდასცა განსახილველად. რაკი ასეთი ქაღალდი პირველი იყო და ჯერ მაგალითიც არ ყოფილა დედაკაცის მიღებისა სამკურნალო ფაკულტეტზე, მინისტრების უმეტესობა წინააღმდეგი შეიქმნა ასეთის საქმისა, მაგრამ იმპერატრიცა ევგენიამ დედაკაცების მხარე დაიჭირა და მადლენა ბრე მიიღეს სტუდენტად. იმავე დროს შევიდა სტუდენტად პარიჟის სამედიცინო ფაკულტეტზე ამერიკელი ქალი მისს პენტამ, ინგლისელი მის გარრეტ და რუსის ქალი გონჩაროვი.

მას უკან დედაკაცების სამკურნალო სწავლა-განათლებას აღარა უშლიდა-რა და თანდათან დედაკაცების რიცხვი უფრო და უფრო მატულობდა სამედიცინო სკოლებში.

აი, მაგალითად, 1864 წელს სულ 4 სტუდენტი ქალი იყო, 1872 წელს გახდა 8, 1873 წელს გახდა 18, 1876 წ. – 31, 1881 წ. – 40, 1882 წ. – 78, 1884 წ. – 103, 1885 წ. – 108, 1886 წ. – 119, 1887-88 წწ. – 114. ამათში მეტად ბევრნი იყვნენ რუსის ქალები (1868-1888 წ.) პარიჟის სამკურნალო ფაკულტეტზე ისწავლა 177-მა ქალმა. მათ შორის 45 ქმარ-შვილიანი იყო. დაუმატეთ ახლა ამათ რიცხვს საფრანგეთის სხვა ქალაქებში მკურნალობის მოსწავლე ქალნი და კარგა საკმაო რიცხვი გამოვა.

მონპელიეში მიიღო შარშან მკურნალის დიპლომი რუსის ქალმა ტკაჩოვმა. მკურნალი დედაკაცები ალჟირშიაც არიან. ერთი მათგანი, სახელად ფიუმა, ანატომიის კათედრის ასისტენტად ირიცხება ალჟირის სამკურნალო სასწავლებელში. უნდა მოვიხსენოთ აგრეთვე მკურნალი დედაკაცი რიბარი, რომელსაც დიდი ადგილი ეჭირა ჯერ თვით საფრანგეთში და მერე ეგვიპტეში. იქ ქედივის ჰარამხანაში ექიმად დაინიშნა და ქაირში დიდი კერძო „პრაქტიკაცა" ჰქონდა. 1885 წელს საფრანგეთის მთავრობამ პროფესორს პოლ ბერს გაატანა ეს ქალი ანამსა და ტონკინში, იქ დაუძლურდა ბევრის მუშაობის გამო, იქაური ჰავა ვერ აიტანა და ციებ-ცხელებამ მოუღო ბოლო ამ მხნესა და დაუღალავ დოქტორს დედაკაცს.

ინგლისში გაჭირდა მეტად დედაკაცთა მკურნალობის საქმე. პირველად ითხოვა სტუდენტობა ლონდონის უნივერსიტეტში ქალმა ჯექს ბლეკმა 1869 წელს, მაგრამ უნივერსიტეტმა უპასუხა, რომ ჩვენის უნივერსიტეტის წესდება ნებას არ გვაძლევს

დედაკაცი მივიღოთ სტუდენტადაო. ჯექს ბლეკი ადგა და ედინბურგის უნივერსიტეტს მიჰმართა. იქ პროფესორებმა უთხრეს, რომ ერთის ადამიანისათვის არ ღირს შევუდგეთ მაგ საგნის განხილვასაო. ბლეკმა მალე იპოვა სამიოდე ამხანაგი და კვლავ მიართვა თხოვნა სამკურნალო ფაკულტეტს. ფაკულტეტის საბჭომ მაშინ კი მიიღო ეს დედაკაცნი სტუდენტებად, მაგრამ იმ პირობით, რომ თქვენ ცალკე უნდა ისმენდეთ ლექციებს და სტუდენტი ყმაწვილები ცალკეო. პროფესორებსაც თქვენ მოურიგდით, როგორ და რა პირობით დასთანხმდებიან გიკითხონ თქვენ ცალკე ლექციებიო. ქალები დასთანხმდნენ, დაიჭირეს ეგზამენები და ჩაწერილ იქნენ სტუდენტების სიებში. ქალებმა დაიწყეს სწავლა და მეტად ბეჯითადაც სწავლობდნენ. ცოტ-ცოტა გადავარდა განცალკევება ქალებისა და ყმაწვილებისა. ზოგიერთი პროფესორები კითხულობდნენ თავიანთ ლექციებს, თუმცა არა უმთავრესს, ერთად ქალებისთვისაცა და ყმაწვილებისთვისაც. ასე კარგად მიდიოდა პირველში საქმე, მაგრამ მერე, როცა ჯერი პრაქტიკულ სწავლასა და მუშაობაზე მიდგა, სამკურნალოებსა და ქსენონებში, მაშინ კი სხვა ნაირად დატრიალდა საქმე, ცხადია, რომ მარტო წიგნებით მკურნალობის სწავლება არ შეიძლება. საჭიროა თვით ავადმყოფების მოვლა, მათთან ხშირად ყოფნა და სხ. ამიტომ ქალებმა ითხოვეს, რომ სამკურნალოებში გვატარეთ ჩვენცაო. ეს იტკიცეს სტუდენტებმა და თავგასულობაში ჩამოართვეს: ქალები მეტის-მეტსა თხოულობენო. თუ აქამდე ყმაწვილები ზრდილობიანადა და თავაზით ექცეოდნენ, ახლა დევნა დაუწყეს, მასხარად იგდებდნენ და აბიაბრუებდნენ. ამის მიზეზი ცოტა თვით ედინბურგელი მკურნალები და პროფესორებიც იყვნენ. ერთი მათგანი არა ჰმალავდა და უსირცხვილოდ ამბობდა საქვეყნოდ, რომ ამოდენა ვაჟიშვილები მყავს, იმათ უნდა უშოვნო ალაგები და ქალებს რად მოვუმართავ ხელს, რომ იმათ ისწავლონო. ამისთანა უსირცხვილო ლაპარაკით ქვეყანა და საზოგადოება მალე მიხვდა, რომ ქალებისა და დედაკაცების წინააღმდეგ განათლების საქმეში მხოლოდ ისინი არიან, ვისაც იმათის შეცილებისა ეშინიათ ცხოვრებაშიო და მაშინვე დედაკაცების მხარე დაიჭირა. მწერლობამაც იმათ სასარგებლოდ დაიწყო ლაპარაკი და ზიზღით იხსენიებდა იმ სტუდენტებს, რომელნიც უზრდელად და ბრიყვულად ექცეოდნენ თავიანთ ამხანაგ ქალებს. ერთხელ, როცა მოსწავლე დედაკაცებს მეტად გაუჭირა საქმე ერთმა უნივერსიტეტის მთავრობის უმნიშვნელო წარმომადგენელმა, ჯექს ბლეკმა ვეღარ მოითმინა და გაზეთის შემწეობით აცნობა ქვეყანას, რომ ასე უზრდელად გვექცევა ესა და ეს ვაჟბატონი და ვგონებთ, ამისა მიზეზი იმისი მუდმივი ლოთობა და სიმთვრალეაო. ამ ვაჟბატონმა უჩივლა ბლეკს სასამართლოში, გამაბიაბრუაო. სასამართლომ ნაფიც მსაჯულებისამ ქალი გაამტყუნა, მაგრამ ისე გაამტყუნა, რომ გამართლებასაცა ჰგავნდა. ჯარიმად გადასახდელი 1 კაპეიკი გადაუწყვიტა, მხოლოდ ეს იყო, რომ სასამართლო ხარჯი 23,000 ფრანკი გამტყუნებულს ატვირთებინეს. ედინბურგში მაშინვე ხელის-მოწერა გაჰმართეს და ეს ფული სრულიად შეავსეს. ამავე დროს ერთმა დედაკაცმა შესწირა ქალების სამკურნალო განათლების საქმეს 25,000 ფრანკი. ეს გარემოება და თითო-ოროლა ამისთანა სხვა ძალიან ამხნევებდა ჯექს ბლეკს და იმის ამხანაგებს. რის ვაი-ვაგლახით ბოლოს მიიღეს ნება, რომ ეარნათ სამკურნალოებშიაცა და დანახვით დაენახათ, როგორ სწავლობენ და უაქიმებენ ავადმყოფებს პალატებში. აი, გაათავეს კურსიცა, მაგრამ ახლა ეგზამენი იყო საქმე. უნივერისტეტმა ეგზამენის დაჭერის ნება აღარ მისცა ქალებს. ქალებმა უჩივლეს უნივერსიტეტს სასამართლოში. სასამართლოში საქმე უნივერსიტეტმა მოიგო და ხარჯი დავიდარაბისა, 20,000 ფრანკი მომჩივნებს გადახდათ. ამ ამბავმა ძალიან დააღონა ქალები, მეტი ღონე აღარ იყო, ახლა-კი პარლამენტისათვის უნდა მიემართნათ. მაგრამ ამისთვის დიდი დრო იყო საჭირო: უნდა თხოვნა დაწერილიყო და თხოვნაზე ბევრს უნდა მოეწერა ხელი, ამას დევნა და ლაპარაკი უნდოდა, ქადაგება და ღაღადი ჟურნალ-გაზეთობაში, პარლამენტის დეპუტატების მომხრეობა და მფარველობა და

სხვანი. ბოლოს, როგორც იყო, ყოველივე ესეც გაკეთდა, მაგრამ ახლა კანონ-პროექტი უნდა შემდგარიყო. აი, შესდგა კანონ-პროექტიც. მაგრამ იმისი განხილვა დღეს გადიდო, ხვალ, ზეგ და ასე და ამნაირად, აღარ ეღირსა ჯერი განხილვისა. როცა ბოლოს მოხსენდა პარლამენტს ეს კანონ-პროექტი, პარლამენტმა უარჰყო და არ შეიწყნარა. მოსწყდათ წელი ყველას, ვინც თანაუგრძნობდა დედაკაცების მიერ მკურნალობისა და ექიმობის სწავლას. ყოველმა შრომამ და ჯაფამ უქმედ ჩაიარა, პარლამენტმა არ შეიწყნარა ეს საქმე, სამკურნალო ფაკულტეტის იმედი ხომ სულ აღარ იყო და რაღა დარჩა?

დარჩა მხოლოდ ერთი გზა და ახლა ამ გზას მიჰმართა იმ საკვირველმა ოთხმა ქალმა. ეს გზა იყო დაარსება სამკურნალო სკოლისა კერძოდ და საკუთრად ქალებისთვის. მალე შესდგა ცალკე კომიტეტი ლონდონში და დიდხანს არ გაუვლია, რომ ამ კომიტეტმა დააარსა ასეთი სკოლა. კომიტეტმა უშოვა ამ სკოლას სამკურნალო პრაქტიკულის მუშაობისათვის და ბოლოს ისიც მოახერხა, რომ პარლამენტმა შეიწყნარა კანონი, რომლის ძალითაც უნივერსიტეტებს კი არ ებრძანათ, მაგრამ ნება კი მიეცათ, დედაკაცებისთვისაც დაეჭერინებინათ ეგზამენი და ღირსეულთათვის ეძლიათ დიპლომები მკურნალობისა. ამის შემდეგ კი გაიმართა საქმე და ქალების მიერ მკურნალობის სწავლას დაბრკოლება აღარა დახვედრია-რა. ქალების კერძო და საკუთარი სკოლა უფრო და უფრო წარმატებაში შედიოდა და დღეს ხომ ამ სკოლას 18 საკუთარი პროფესორი ჰყავს. ამათში 5 ქალია. ქალებს უჭირავთ შემდეგი კათედრები: ანატომიისა, შინაგანი პატალოგიისა, სადედაკაცო ავადმყოფობათა, სასამართლო მედიცინისა და ჰიგიენისა. ლონდონის მაგალითს მალე სხვა ქალაქებმაც მიჰბაძა და დღეს ქალების საკუთარი სამკურნალო სკოლები დაარსებულია ედინბურგშიაცა და დუბლინშიაც.

ინგლისის სამფლობელო ქვეყანაში, რომელსაც ინდოეთი ჰქვია უფრო უკეთ წავიდა ეს საქმე ვიდრე თვით ინგლისში. 1885 წელს იქ დაარსდა ლორდ დეფერინის მოთავეობითა და დედოფალის ვიქტორიას მფარველობით დიდი ფულიანი ამხანაგობა, რომელსაც საგნად ჰქონდა რაც შეიძლებოდა, ბლომად აეზარდნა ამ დიდის ქვეყნისათვის (200 მილიონი ხალხია ინდოეთში) დედაკაცი მკურნალი, ბებია და სნეულთა მომვლელი. ეს ამხანაგობა ჰმართავს საქალაქო და საყმაწვილო სამკურნალოებს და მათ გამგეობას აბარებს მკურნალ დედაკაცებს. აძლევს ფულს ქალებს მკურნალობის სასწავლებლად და სხ. სამკურნალო ფაკულტეტები უნივერსიტეტისა კალკუტაში, ბომბეიასა და მადრასსა და ლაგორში სავსეა მოსწავლე დედაკაცებით, რომელნიც ყოველ-წლივ ათობით იღებენ მკურნალობის დიპლომებს. ამ ჟამად ინდოეთში 100-ზე მეტი დედაკაცი მკურნალობს დოქტორის ხარისხით. უმეტესი ნაწილი ამ ექიმის დედაკაცებისა თვით ინდოელი ქალები არიან...

ევროპის ზოგიერთ ქვეყნებშიაც კარგად მიდის დედაკაცების სამკურნალო განათლების საქმე. მაგალითებრ, შვეიცარიაში, ამ ჟამად 100-ზე მეტი სტუდენტი ქალია.

გერმანიაში ადრე დაიწყო ეს საქმე, მაგრამ მერე თანდათან მთავრობამ შეავიწროვა და ბოლოს 1880 წელს სულ აუკრძალა დედაკაცებს მკურნალობის სწავლა. მაშინვე მიართვეს იმპერატორს თხოვნა მრავალთაგან ხელმოწერილი, რომ კვლავ ნება დაერთოთ დედაკაცთათვის მკურნალობის სწავლისა, მაგრამ დღესაც ამ თხოვნის პასუხი არა სჩანს. ბელგიასა და ისპანიაში, ასევე სკანდინავიაშიაც ახლა-ხან დაიწყეს დედაკაცებმა სწავლა მკურნალობისა. იტალიაშიაც მხოლოდ 1876 წლიდამ მიეცა ნება დედაკაცებს უნივერსიტეტებში მკურნალობის სწავლისა. დღეს კარგა ბლომად არიან ამ ქვეყანაში მკურნალი დედაკაცები. თვით დედოფლის მკურნალი დედაკაცია. კატანის ქალი, რომელმაც ბოლონიის უნივერსიტეტში გაათავა კურსი, პროფესორად არის პიზის უნივერსიტეტში და კითხულობს შინაგანის პატალოგიის ლექციებს.

იაპონიაშიც-კი გაჩნდა ამ ბოლოს დროს მკურნალი დედაკაცები. იაპონიის იმპერატრიცის მკურნალია იაპონიელივე დედაკაცი, რომელმაც ჩრდილო-ამერიკაში გაათავა კურსი მკურნალობისა და რომელსაც დიდი პრაქტიკა აქვს იაპონიის სამეუფო ქალაქში იაპონელ დედაკაცებსა და ქალებს შორის...

უკანასკნელ ხანებში სპარსეთშიაც გაჩნდნენ მკურნალი ქალები, რომელნიც ტომით რუსები არიან.

თვით რუსეთში ბოლო დრომდე საქმე დედაკაცების მიერ მკურნალობის სწავლისა კარგად მიდიოდა, რადგან მათთვის ცალკე კურსები იყო დაარსებული. მაგრამ ბოლოს დროს აკრძალულ იქმნა კურსებზე ქალების მიღება. ეხლა ხმები ისმის, რომ დედაკაცთათვის კვლავ დაარსდება სამკურნალო სასწავლებლებიო.

ევროპის ქვეყნებში მხოლოდ ავსტრი-ვენგრია არ აძლევს ნებას დედაკაცს მკურნალობისას. მკურნალობის სწავლა ხომ სრულიად აღკრძალულია. /გ. ყ./. („ივერია," N128, 1889 წელი);

### ჩვენის ექიმების საყურადღებოდ

ყველგან ძნელია, და მეტადრე ჩვენში, რაიმე დიდის სასწავლებლის დაფუძნება, მაგრამ ეს საბუთს არ გვაძლევს თვალები ავიხვიოთ და არ გავჩხრიკოთ, რაოდენი სარგებლობა მოაქვს ამ დაწესებულებას ჩვენში ხალხისათვის.

თითქმის ამ გვარი ყოველი საქმე, როგორც დიდის სასწავლებლის დაწესება, ყოველთვის კეთილის განზრახვით იწყება და, თუ დრო გაივლის და გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სხვა ნაირად საქმის წაყვანა უფრო მიაღწევს უმთავრესს დანიშნულებას, მაშინ უნდა მივდიოთ დროს კვალ-და-კვალ და ისე მოვაწყოთ საქმე, რომ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოიტანოს ამ დაწერებულებამ.

მე მინდა ორიოდე სიტყვა მოვახსენო მკითხველებს ჩვენს ქალაქში დაწესებულ ამ თექვსმეტის წლის წინად საბებიო ინსტიტუტის შესახებ. ამ თექვსმეტს წელიწადში ფული კარგა ბლომად დახარჯულა ამ სასწავლებლისათვის და ყოველ წლივ თითქმის თხუთმეტამდის ბებია ათავებს სწავლას. ერთი თვალი გადავავლოთ, თუ სად მოღვაწეობენ ეს ქალები და ან ცოტაოდენი სარგებლობაც არის მოაქვთ ხალხისთვის, თუ არა?

უმეტესი ნაწილი კურს-შესრულებულ ბებიებისა რჩება აქვე, ტფილისში, გარდა იმ ზოგიერთებისა, რომელნიც იგზავნებიან კავკასიის სხვა-და-სხვა მაზრაში. იმათ გამრავლებას ტფილისში ცუდი შედეგი მოაქვს: ძველი ბებიები, უფრო გამოცდილები, ახლებს გზას არ აძლევენ და ესენიც ხშირად ლუკმა-პურის მოსაპოვებლად უადვილებენ ქალებს თავიაანთის დედობრიულის მოვალეობის აცდენას და ამ გვარად ახშირებენ დედაკაცურს ავადმყოფობას. რაც შეეხება იმ ბებიებს, რომელნიც მაზრის ბებიებად ინიშნებიან, უნდა მოტეხილი ვსთქვათ, რომ იმათ სრულებით ტყუილ უბრალოდ ეძლევათ ჯამაგრი და დაბალის ხალხისათვის გამოსადეგნი არ არიან. ვეცდები საბუთებით დაგიმტკიცოთ ეს.

რომ ჩვენი ხალხი ისევ ადრინდელ მდგომარეობაშია, ისევ ყოველ სოფელში ძველებურად ბებია დედაკაცები უფლობენ და ფარფაშობენ, ამას ყველა კარგად ჰხედავს. სისუფთავეს, რომელიც შეადგენს უპირველესს საჭიროებას მშობიარობის დროს, ესენი სრულიად საჭიროდ არა სთვლიან. ეს ბებიები ისევ იმ აზრისანი არიან, რომ მშობიარეს შვილი უამისოდ ვერ დაებადება და, ადრინდელივით, მივლენ თუ არა მშობიარესთან, მოუყვებიან წვალებას: სცემენ ბეჭებში და წელზედ, უზელავენ მუცელს, აქანავებენ, სანამ უდროოდ არ აშობინებენ, ან ისეთს რაიმე უბედურებას არ დაატეხენ, რომ შველითაც-კი ვეღარავინ უშველის. თუ შობის დროს ყმაწვილი

წესიერად არ მოდის, მაშინ კი მხოლოდ განგება თუ დაიფარავს მშობიარეს: ბავშვს ხან ხელით სწევენ, ხან ფეხს მოაგლეჯენ და ბოლოს, თუ ამითაც ვერა გააწყეს-რა, მეცხვარეს მიიშველიებენ. ის აზრი ჯერ კიდევ ჰსუფევს, რომ მეცხვარემ, როგორც ხშირად მნახველმა ცხვარში დოლის დაძვრისამ, უთუოდ კარგად უნდა იცოდეს მშობიარის მდგომარეობაო. მე-კი მგონია, მეცხვარეს იმიტომ იშველიებენ ბებიები, რომ თავიდამ აიცილონ ძნელად გასაბედი ყმაწვილის გამოჭრა მუცელში.

იმდენი დავიდარაბა და ხარჯი უნდება სოფელს ნასწავლი ბებიის დასაბარებლად თავიანთ მაზრის ქალაქიდამ, რომ, თუ არ შეძლებული კაცი, გუნებაშიაც ვერ გაიტარებს და უმეტესი ნაწილი მდაბიო და შეუძლებელი ხალხი მხოლოდ მომაკვდავ მშობიარისთვის თუ გადასდგამს ფეხს ბებიის მოსაყვანად, მაგრამ ვაი იმ მოყვანას! ზოგჯერ ექვსასამდე სოფელია ერთს მაზრაში და ბებია რომელ ერთს გასწვდება. სანამ ერთს სოფელში მშობიარეს მიეშველება, შესაძლებელია მეორე მხრიდან მოსულმა ბებიას შინ ველარ მოუსწროს. გარდა მაგისა, ხშირად გაჭირვებულს მშობიარესთან მისული ბებია ვერ გაჰბედავს მაშის ხმარებას, რადგან, თუ არ ექიმის თანადასწრებით, კანონით აღკრძალული აქვს მაშის ხმარება, და ამიტომაც ეს მაზრის ბებიები ბევრს ვერას შველიან გაჭირვებულს. ამ ცოტა ხანს ქართლში ამ გვარი მაგალითი მოხდა: ერთს დურგალს სოფელში გაჭირებული მშობიარე ყავდა. მიიწვია ბებია, ბებიამ გასინჯა მშობიარე და სთქვა, რომ მაშის ხმარება უშველის ამასაო, მაგრამ ბებიას მაშა არა ჰქონდა და მშობიარე სიკვდილს ვერ გადაარჩინა. გამწარებულმა დურგალმა წამოიძახა: „თუ-კი მე, უბრალო ხელოსანს, მაქვს ყველა ჩემის ხელობის იარაღი, განა თქვენ-კი არ უნდა იქონიოთ თქვენის ხელობის საჭირო იარაღი, მაშინ-როდესაც მშობიარის სიცოცხლე თქვენზეა დამოკიდებულიო?!“ თუ ამ ბებიამ იცოდა ქართული და გაიგო ამ ხელოსნის სიტყვები, რა ნაირად უნდა შეწუხებულიყო!

მაშასადამე, უნდა დავსკვნათ, რომ თუ მაზრის ბებიას ყველა მიიწვევს, ერთი ათასგან ხომ ვერ გასწვდება. ხოლო თუ იმ დროს მიიწვევენ, როდესაც მშობიარე შინაურ ბებიებისაგან ნაწვალებია, მაშინ ვეღარც უშველის რასმეს ეს მაზრის ბებია, რადგან მაშის ხმარების ნება აღკრძალული აქვს.

იმათგანაც ვერა ვხედავთ სარგებლობას, რომელნიც საბებიო ინსტიტუტში ათავებენ მეორე ხარისხის ბებიებად, ე. ი. რომელნიც ნაკლებად სწავლობენ და მხოლოდ სოფლის ბებიობის უფლება ეძლევათ. ესენი, არა თუ პატარა სოფლებში, დიდს სოფლებშიაც არა სჩანან და თუნდ მოიწადინონ ხელობაზედ დადგომა, მაინც ფეხს აგრე ადვილად მოიკიდებენ, რადგან გლეხის ოჯახი ბებიას ისე უყურებს, როგორც თავის ტოლს, თავის ოჯახში დამხმარებელს. მშობიარეს სახლში ბებია კიდეც მუშაობს და სახლსაც უძღვება. ამიტომ საჭიროა ბებია იყოს იმათგანი ვინმე, იმათის სოფლისა, იმათი კარის მეზობელი. ყველამ, ვინც ჰფიქრობს ხალხის ჯან-მრთელობისთვის, აუცილებლად უნდა მიაქციოს საბებიო ინსტიტუტის მთავრობის ყურადღება, იმას რომ საქმეს სხვაფრივ მოეწყოს, რათა ამ დაწესებულებამ მეტი სარგებლობა მოუტანოს ჩვენს ხალხს. არც ძნელია ასე საქმის მოწყობა.

პეტერბურგში, ორმოც-და-ათის წლის წინათ, დააწესეს საბებიო ინსტიტუტში (Надеждинское Родовспомогательное Заведеніе) 20 ვაკანსია საკუთრივ სოფლელ დედაკაცებისათვის და მასუკან თანდათან ვაკანსიის რიცხვმა იმატა, სანამ ერობა (земство) შემოვიდოდა. მერე ერობამ იკისრა ამ საქმის ხელმძღვანელობა და ყოველ მოდიდო სოფლიდგან ჰგზავნიდა თავის ხარჯით სოფლის დედაკაცებს სასწავლებლად პეტერბურგის საბებიო ინსტიტუტში. ჯერ პირველად სამი წელიწადი უნდებოდა, რომ სოფლელ დედაკაცისთვის ესწავლებინათ ბებიობა, და, რადგან სოფლელები ძნელად შორდებოდნენ თავიანთს კერასა და საზოგადოდ ვერა სძლებდნენ ასე ხანგრძლივ თავიანთ სოფელ გარედ, ისე მოაწყეს საქმე ეხლა, რომ ერთს წელიწადში

სოფლელი დედაკაცი ასწრობს იმის სწავლას, რაც აუცილებლად საჭიროა სოფელში: არა თუ მშობიარის შველას, ყვავილის აცრასა და მსუბუქ ავადმყოფების წამლობასაც, უმეტესად ყმაწვილებისას.

პეტერბურგის საბებიო ინსტიტუტმა დაგვიმტკიცა, რომ ამ გვარად საქმის წაყვანა შესაძლოც არის და ხალხისთვისაც დიდად სასარგებლოა. ჩვენშიაც რომ მოვაწყოთ ამ გვარად საქმე, მაშინ ჩვენი საბებიო ინსტიტუტი დიდს სარგებლობას მოუტანს ქვეყანას. მართალია, ერობა ჯერ არ არის ჩვენში შემოღებული, მაგრამ თუ საბებიო ინსტიტუტის მთავრობა გულით მოეკიდება ამ საქმეს და გასაგების ენით მოიწადინებს ცოდნის გარდაცემას, მსმენელების შოვნა ადვილი იქნება თვით მაზრის ბებიის იმ ჯამაგირით, რომელიც უსარგებლოდ იხარჯება დღეს. იმ ხარჯით ოთხი – ხუთი სოფლელი დედაკაცი ადვილად ისწავლის ტფილისში ბებიობას და ნასწავლი წავა სოფლებში. ეგეც რომ არ იყოს, რა სამძიმო იქნება, რომ საერო ფულიდამ ყოველთვის ერთის წლის განმავლობაში შვიდი – რვა სული შეინახონ და ეს სასარგებლო ხელობა ასწავლონ. არა თუ ჩვენმა ახალგაზრდა ექიმებმა, რომელნიც ახლა კარგა ბლომად არიან საქართველოში, თვით მთელმა ჩვენმა საზოგადოებამ რომ თანაგრძნობა და გულ-შემატკივრობა გაუწიოს ჩვენგან წარმოთქმულს აზრს, იმედია, ეს აზრი არ დარჩება „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა" და, დღეს თუ არა, ხვალ განხორციელდება ხალხის სადღეგრძელოდ და საბედნიეროდ. /ვინმე ქალი/. („ივერია," N218, 1889 წელი);

### დედათა უფლების საქმე

ამერიკას ევროპის წინაშე ბევრ გვარი უპირატესობა აქვს, რის გამოც აქ უკეთესად უნდა ყოფილიყო მოწყობილი ქალების საქმე: იგი გახლავსთ ნორჩი, ახლად გაფურჩქვნილი ქვეყანა, დასახლებული ევროპის ხალხთა უკეთესის ნაწილით, მშრომელ და განათლებულ ხალხით, რომელსაც იწვევდა ევროპიდამ ან წმინდა გრძნობა თავისუფალის ცხოვრებისა, ან სურვილი დაუღალავის მხნეობისა და გამრჯელობისა. რასაკვირველია, ამის მიხედვით ყველა ამ ხავს-მოკიდებულს ტრადიციას, რომელიც ჰხუთავდა და ეხლაც ჰხუთავს ევროპიელს ქალს, ან სრულიად უნდა ამოჰკვეთოდა ფეხი ამერიკაში, ან არა-და, ძირი მაინც უნდა შერყეოდა საგრძნობლად. ამერიკელი ქალი იყო ყოველთვის პატივცემული, მხნე, თავისუფალი და დამოუკიდებელის აზრებისა, შეირჩინა ქალობა, ზნეობა და სულის სიფაქიზე.

ამერიკელი ქალი ისეთივე მშრომელი მოღვაწეა, როგორც მამაკაცი, რა გვარი შრომაც უნდა აიღოთ-წვრილმანი ხელოსნობა, მრეწველობა, ვაჭრობა, რკინის გზასა და ტელეგრაფზე მუშაობა, ექიმობა, მასწავლებლობა, თუ პროფესორობა, ყველა ამ საქმეში ქალი არ ჩამოუვარდება მამაკაცს და ზოგიერთში სჯობნის კიდეც, მაგალითად ტელეგრაფზე და წვრილს ხელოსნობაში. ამ გვარის ტიპის შემუშავებას ამერიკელი ქალისას დიდად ჰშველოდა, ჯერ ერთი, ვაჟებისა და ქალების ერთად სწავლა სკოლებში, რის გამოც მეტი პატივისცემა დაიბადა საზოგადოებაში ქალისადმი; მეორე ისა, რომ ქალებს მიეცათ უფლება უმაღლესს სასწავლებელში შესვლისა. უკვე 1830 წლებში დაარსებული იყო ქალებისათვის უმაღლესი სასწავლებლები, ეგრეთ წოდებული კოლლეჟები, რომელთაც აღზარდეს და გაწვრთნეს მრავალი განათლებული ქალი. 1868 წელს უნივერსიტეტებმაც გაუღეს ქალს კარი. ამ წელს ამერიკაში იყო 29 უნივერსიტეტი, რომლებმაც მისცეს ქალებს ლექციების მოსმენის ნება და ჩარიცხეს ისინი ნამდვილ სტუდენტებად.

თუ რამდენად მოიკიდა ფეხი ამერიკაში ქალთა უმაღლესმა განათლებამ, ეს აშკარად სჩანს ძველის სტატისტიურის ცნობებიდამ: **1871 წელს ამერიკაში ექიმ-ქალთა**

**რიცხვი იყო 430,** მასწავლებელ-ქალთა რიცხვი უმაღლესის განათლებისა – 100 000; **1876 წელს ექიმი-ქალი – 800**, მასწავლებელი-ქალი 200 000. ამ რიცხვში ჩათვლილნი არ არიან პროფესორი-ქალები, იურისტი-ქალები, მწერალი-ქალები და სხვანი, რომელთა რიცხვიც ათი ათასამდეა. რა თქმა უნდა, რომ ამ ჟამად ერთი-ორად, ერთი-სამად მეტი იქნება განათლებულ ქალთა რიცხვი.

ბევრი ხანია, რაც ამერიკელი ქალი, გარდა უმაღლესის განათლებისა, თხოულობს აგრეთვე სამოქალაქო უფლებას. უკვე 1848 წელს ოგაიოს შტატში დაარსდა „საზოგადოება ქალების მამაკაცებთან გათანასწორებისა და გათანაბრებისა," რომელმაც დაადგინა, რომ ყველა ის კანონი, რომელიც არ აძლევს ქალს საარჩევნო უფლებას, გაუქმებულ იქმნას, რადგან ყოველ გვარი განსხვავება მამაკაცსა და დედაკაცს შორის, საზოგადოებრივი, თუ ქონებრივი, ეწინააღმდეგება ბუნებას ადამიანისასაო.

მას უკან მასაჩუსეტის შტატში გაიმართა „ნაციონალური კონვერტი" პოლინა დევისის (ქალის) თავმჯდომარეობით. აქ პოლინა დევისმა თავისს გამოჩენილ და ბრწყინვალე სიტყვაში თვალ-ნათლად დაუხატა საზოგადოებას ის აზრი, რომ დედათა უფლების საქმეს და იმის რიგიან დაყენებას ერთობ მტკიცე კავშირი აქვს ქვეყნის ეკონომიურ, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ რეფორმებთან, რომ პირველის საგნის ასე თუ ისე გადაწყვეტაზე არის დამყარებული მთელის ქვეყნის ბედნიერებაცა და წარმატებაცაო. მას შემდეგაც იმართება მრავალი მიტინგი, სადაც მხნედ თხოულობენ ქალისთვის ყოველ გვარ უფლებას. ამ ჟამად ამერიკელს ქალს აქვს უკვე მიღებული საარჩევნო უფლება საქალაქო საქმეებში. ამ წლის გაზეთებიდგან ვკითხულობთ, რომ კანზასის შტატის ერთს ქალაქში ქალებს ჩაუგდიათ მთლად ხელში ქალაქის მმართველობა და განაგებენ სინიდისიანად ქალაქის საქმეებს, სჩანს, ამერიკელი ქალი მომზადებული ყოფილა საზოგადო მოღვაწეობისათვის.

ჩვენ გავათავეთ პირველი ნაწილი ჩვენის შრომისა, ე. ი. ისტორიული მიმოხილვა, რომელშიაც უნდა გვეჩვენებინა, რომ ქალის მდგომარეობას ისტორიაში ეტყობა თანდათანი წინსვლა. თუ ნათლად ვერ დავუხატეთ მკითხველს, ცოტათი მაინც ვუჩვენეთ, რომ ცხოვრებასთან ერთად დედათა საქმეც წინ მიდის. დაადარეთ საშუალ საუკუნეთა ქალი, რომელსაც სდევნიდნენ და სწამებდნენ კუდიანობას, ამერიკელ ან ინგლისელ ეხლანდელს ქალსა, რომელიც დღეს ან ხვალ მიიღებს საარჩევნო უფლებას, და მაშინ ადვილად შეიტყობთ, რომ დედათა უფლების საქმე უქმი არ არის.

ეხლა განვიხილოთ მეორე, არა ნაკლებ საყურადღებო მოვლენა ისტორიაში. ხალხთა ცხოვრება მოწამეა იმისა, რომ ქალს, მიუხედავად თავისის დაჩაგრულის ყოფა-ცხოვრებისა, არა ერთხელ და ორჯელ გამოუჩენია თავი უმაღლესის განვითარებითა და დამდგარა ერთს წერტილზედ მამაკაცთან. ჯერ კიდევ ძველს რომში მრავალი ქალი იმდენად იყო განათლებული, რამდენადაც-კი შეიძლებოდა მაშინდელს დროში. სემპრონია-ცოლი ბრუტისა, იულია-ცოლი სეპტიმიო სევერისა, ტერენცია-ცოლი ციცერონისა და ტულია-ქალიშვილი ციცერონისა ითვლებოდენ უგანათლებულეს ქალებად თავის დროის შესაფერად. **რომაელმა ქალმა უფრო გაითქვა სახელი საექიმო საგნების შესწავლასა და მკურნალობაში. აქ იყო 5 ნაფიცი ექიმი-ქალი (midicae iuratae), რომელთა ვალდებულებასაც შეადგენდა შემოწმება ქალისა ყველა საჭირო შემთხვევაში; გარდა ამისა იყვნენ ნასწავლნი ბებიებიც (obsestrices).**

ევროპიელმა ქალმა არა ნაკლებ გამოიჩინა თავი სხვა-და-სხვა ასპარეზზედ. საშუალ საუკუნეებში, როგორც ზემოთ ვსთქვით, ქალი პირველად გამოვიდა სასცენო ასპარეზზედ. ამიტომაც მან მოჰკიდა ბეჯითად ხელი სიმღერისა და მუსიკის შესწავლას და დაასვა იმათ შემუშავებას თავისებური ბეჭედი.

**მეცნიერების წინ სვლაშიაც მიიღო ქალმა მონაწილეობა. იტალიაში 1400 წელს ქალს დოროტეა ბუკკას ეჭირა ბოლონის უნივერსიტეტში კათედრა საექიმო საგნებისა და ფილოსოფიისა; იმავე უნივერსიტეტში იყო ანატომიის პროფესორად ანნა მეცოლინი მირანდი (1717-1774). ეს ქალი ითვლებოდა აგრეთვე მრავალ სამეცნიერო საზოგადოების წევრად; მარია მაგდალინი პეტრაჩინი (1759-1791) იყო განთქმული მცოდნე საექიმო საგნებისა.** რასელი ფონ-ენზე იყო მწერალი (1771-1833) და ჰქონდა მიწერ-მოწერა თითქმის ყველა მაშინდელ გამოჩენილ მწერალთან. გიოტესი და შილლერის შემოქმედებითის ძალის შემუშავებაზედ ქალებს ერთობ დიდი გავლენა ჰქონდათ.

ჩვენს დროშიაც ქალმა არ უმტყუვნა მეცნიერებას და ქალი ხშირად არის დაჯილდოვებული სამეცნიერო ხარისხით. მოვიყვანთ რამდენსამე მაგალითს: შარშან პარიჟში სორბონმა მისცა სამეცნიერო დიპლომი ქალს, გვარად ლებლუას; შარშანვე სტოკჰოლმის უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონს კოვალევსკისას, მათემათიკოსს (რუსეთიდგან არის) პარიჟის აკადემიამ მიუსაჯა პრემია. ამერიკაში მასწავლებელი-ქალი, მწერალი-ქალი, პროფესორი-ქალი ჩვეულებრივი მოვლენაა, აქ უფრო საყურადღებო ის არის, რომ ამერიკელმა ქალმა გამოიჩინა თავი ისეთ საქმეში, რომელიც პირველს შეხედულებაზე თითქო უნდა ეუცხოებოდეს ქალის ბუნებას. ჩვენ ვკითხულობთ შარშანდელ გაზეთებში („ივერია“ N138), რომ ამერიკაში ქალებს აუღიათ 1900 პატენტი მათ მიერ მოგონილ სხვა-და-სხვა მაშინებზე. ნიუ-იორკში ერთს ქალს მატერს მოუგონია ტელესკოპი მიწის ქვეშეთისათვის, ქალს ბიზელს – წყლისაგან გადასარჩენი ნავი, ქალს ტანეის – მაშინა ზღვაში დაღუპულ ხომალდების ამოსაღებად, ქალს როზენტალს მოუგონია უკეთესი საკერავი მაშინა, ვიდრე აქამომდე იყო. უფრო გაითქვა თავი ევროპიელმა ქალმა სიტყვა-კაზმულს ლიტერატურაში. მოვიგონოთ სახელოვანნი ჟორჟ-ზანდი და ჯორჯ-ელიოტი; ამათ იმოდენა ძალა და სიღრმე გამოიჩინეს, რომ ესენი თამამად შეიძლება დაასახელოს ადამიანმა ევროპის მწერლებთან ერთად.

აქვე საჭიროდ ვრაცხთ ვსთქვათ რამდენიმე სიტყვა ერთს ფრიად გამოჩენილს ქალზედ. ეს ქალი გახლავთ დანიელი მატილდა ფიბიგერ, რომელიც გარდაიცვალა 1872 წელს. მან გამოსცა კოპენჰაგენში ერთი პატარა წერილებსავით დაწერილი რომანი, რომელმაც აალაპარაკა მთელი დანია, თუმცა ეს ქალი პირველად იყო გამოსული სამწერლო ასპარეზზედ. ამ რომანში მატილდა ფიბიგერმა ისეთის სისრულით დაასურათა დედათა უფლების საქმე, ისეთის ნიჭით დაუხატა საზოგადოებას ქალის გონებრივი, ქონებრივი და ზნეობრივი დაჩაგვრა, რომ რამდენისამე თთვის განმავლობაში დიდი აყალმაყალი იყო ამ რომანის გამო საზოგადოებასა და ჟურნალ-გაზეთებში. ეს ქალი თხოულობდა ქალთა ემანსიპაციას, როგორც საფუძველს ბედნიერის ცხოვრებისას, იმისი ხმა არ დარჩა ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა, ამ ქალს დანიაში სამართლიანად უძახიან დედას „დედათა უფლების საქმისას.“ თუ ქალების საქმემ მიიქცია ყურადღება მთელის ქვეყნისა, თუ კანონმა მისცა ქალს შეღავათი, მიანიჭა ზოგიერთი უფლება და საზოგადოებაში დაიბადა ჭეშმარიტი აზრი ქალების შესახებ, ამაში დედათა უფლების საქმე დანიაში დიდად დავალებულია მატილდა ფიბიგერისაგან.

ჩვენ არ მოვიყვანეთ მთელი სია გამოჩენილის ქალებისა ისტორიაში და არც საჭირო იყო, ჩვენის აზრით; ჩვენ ის უნდა გვეჩვენებინა მხოლოდ, რომ ყოველ ხანას ისტორიისას წამოუყენებია რითიმე გამოჩენილი ქალნი, რომელნიც არ ჩამოუვარდებოდნენ მამაკაცს გონების მაღალის განვითარებით, ერთი მაგალითი იქნება მოყვანილი, თუ ათი, ჩვენის ფიქრით, სულ ერთია, აქ დასახელებული მაგალითებიც საკმარისად გვიხატავენ, თუ რის შემძლებელი ყოფილა ბუნება ქალისა. ჩვენ გვგონია,

რომ ყოველ ზემოდ ნათქვამიდგან შეგვიძლიან ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ ქალს არა უშავს-რა დაიჭიროს კაცთა ცხოვრებაში ნამდვილი ადამიანური ადგილი. არც იმის ბუნებაში, არც იმის ისტორიაში არა ვხედავთ იმ აზრის დამტკიცებას, ვითომ ქალი იყოს უფრო მდაბალი არსება, ვიდრე მამაკაცი; ვითომ იმას ეუცხოვებოდეს ის უფლება, რა უფლებაც აქვს მინიჭებული მამაკაცსა; პირ-იქით, ისტორია ამ აზრის სიცრუეს გვიმტკიცებს. რაც უფრო მალე შეიგნებს კაცობრიობა დედათა უფლების საქმის ვითარებას, რაც უფრო ჩქარა დაემორჩილება იგი დროსა და ჟამის მოთხოვნილებას და აღმოუჩენს ქალს ყოველსავე ღონისძიებას სულისა და გონების ამაღლებისას, მით უფრო სწრაფის ნაბიჯით ივლის წარმატების გზაზედ „ზნეობრივი და გონებრივი წარმატება მამაკაცებისაო, ამბობს სამართლიანად ფრიად გამოჩენილი მეცნიერი ჯონ სტუარტ-მილლი; თუ არ წავა უკან-უკან, შეფერხდება მაინც საგრძნობლად, თუ ვინიცობაა ქალთა გონებრივი და ზნეობრივი განვითარება მეტად შეხუთული იქმნაო." ამიტომაც ქალის ყოფა-ცხოვრებას უნდა მიექცეს საზოგადოდ ჯეროვანი ყურადღება.

ქალს ჩვენ შევხვდებით ცხოვრების ორ დიდს სფეროში: ჯერ მას ვიცნობთ ვითარცა წევრს ოჯახისას, მეორეთ როგორც წევრს საზოგადოებისას, ქალი ვერ გაუწევს სამსახურს ვერც ერთს, ვერც მეორეს, თუ არ იქნება აღჭურვილი მაღალის განათლებით და არ ექნება ნამდვილი ადამიანური უფლება.

ჯერ შევეხოთ ქალს, როგორც წევრს ოჯახისას, ყველამ კარგად ვიცით, რა გავლენაცა აქვს დედას შვილების ხასიათის შემუშავებაზე. ნუ თუ სანატრელი არ არის, რომ დედა იყოს განათლებული და იცოდეს, რა მოუხდება და რა ავნებს ჩვილს ბავშვს, იცოდეს საგიგიენო წესები, მერე როცა ბავშვი ცოტა მოიზრდება და გაეღვიძება ცნობის-მოყვარეობა, რითი უნდა დაუკმაყოფილოს დედამ თავისს შვილს ეს ცნობის-მოყვარეობა, თუ-კი თითონ გაუნათლებელი იქნება? დედა ჰზრდის მომავალს მამულიშვილს, იმის აღზრდაზე არის თავდაპირველად დამოკიდებული მომავალ მოღვაწეთა ასეთი თუ ისეთი ზნე, ასეთი თუ ისეთი ხასიათი და მიდრეკილება, როგორ აღსრულდება და განხორციელდება ჩვენი პოეტის სურვილი მიმართული დედისადმი. ისე აღზარდე შენ შვილის სული, რომ წინა ჰქონდეს ჭეშმარიტება და უკან კვალი განათლებული, თუ თითონ დედა სიბნელეში იმყოფება? ეხლა რამდენისამე სიტყვით შევეხოთ ქალს, როგორც წევრს საზოგადოებისას მართალია, ქალს იურიდიულად ბევრგან არ გაუვა ხმა, მაგრამ ვერავინ უარჰყოფს, რომ ქალს ერთობ დიდი გავლენა აქვს საზოგადო საქმეთა მიმდინარეობაზე, იგი ძალიან ხშირად ამჩნევს თავისებურს ბეჭედს ამა თუ იმ ზოგადს საქმეს, მამები, ძმები, ქმრები თავის ოჯახებში არიან ხშირად თავის ქალების, დების, ცოლების გავლენის ქვეშ, და რა გასაკვირველია, რომ ამის მიხედვით საქმეც იღებდეს ასეთს თუ ისეთს მიმართულებად. ჩვენ გვგონია, საქმე უკეთესად იქნებოდა მოწყობილი, რომ ქალი თითონვე ყოფილიყო მომზადებული საზოგადო მოღვაწეობისათვის და ჰქონოდა უფლება ხმის ამოღებისა. ერთის სიტყვით, ოჯახობასაცა და საზოგადოებასაცა მხოლოდ მაშინ დაეტყობა საგრძნობელი წარმატება, როდესაც ქალი არ იქნება მოკლებული ადამიანურს უფლებას და როდესაც მამაკაცთან მხარ და მხარ ჩაებმევა წარმატების უღელში. ქ. მოსკოვი. /მ. გ-შვილი/. („ივერია," N97, 1889 წელი);

**ახალი ამბავი**

14 ნოემბერს პოლიციის მეოთხე განყოფილებაში, ძველის ინსტიტუტის გზაზედ, სვეჩნიკოვის სახლის კარებთან იპოვნეს მიგდებული ყმაწვილი მამათა სქესისა, რომელიც, როგორც ეტყობა, სულ ორის დღის დაბადებული უნდა იყოს. ეს მიგდებული ყმაწვილი საბებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი. („ივერია," N245, 1889 წელი);

* * *

მასწავლებელ ქალთა ურთიერთის დამხმარებელი საზოგადოება, როგორც მკითხველს უკვე ეცოდინება ჩვენის გაზეთიდამ, დიდს მეცადინეობას იჩენს, რომ თავისი საქმეები კარგად წაიყვანოს. **სხვათა შორის ამ საზოგადოებამ მიჰმართა რამდენსამე მასწავლებელს, რომ ამათ უკითხონ პედაგოგ-ქალებს ლექციები შესახებ ბუნების მეტყველებისა, ქიმიისა,** ისტორიისა, პედაგოგიისა და სხვანი.

ადრევე ჩვენ ვაცნობეთ მკითხველებს, რომ რამდენიმე ლექცია უკვე წაკითხულ იქმნა რეალურ სასწავლებლის საფიზიკო კაბინეტში. მაგრამ შესახებ ამ ლექციებისა სამწუხაროდ უნდა ვსთქვათ, რომ ბ-ნი ლექტორები არა კისრულობენ უსასყიდლო დახმარება გაუწიონ მასწავლებელ-ქალებს და უფასოდ იკითხონ თავიანთი ლექციები. ჩვენ შემოგვჩივიან, რომ თითო მასწავლებელ ქალზე დაუწესებიათ თითო მანათი გადასახადი თითო ლექციაშიო. რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, რომ სრულებით უფასო ყოფილიყო ეს ლექციები, მით უმეტეს, რომ რეალურ სასწავლებლის დარბაზში ქირას არავინ ართმევს ბ-ნ ლექტორებს. მაგრამ თუ არ დაუშლიათ და მაინც-და-მაინც გასამრჯელო უნდათ ბ-ნ ლექტორებს, იმდენი მაინც აიღონ, რასაც იღებენ თავიანთ სამსახურის საათის გაკვეთილებში. მაშინ თითო მასწავლებელ-ქალზე მოვიდოდა ბევრ-ბევრი ერთი აბაზი გადასახადი, რომელსაც ყოველი მათგანი გაუძლებდა როგორმე, თორემ თითო მანეთი ნამეტანად ძვირია.

**ამასთანავე ჩვენ ის უფრო გვაკვირვებს, რომ თურმე არც ერთი ექიმი ტფილისისა არა კისრულობს მუქთად ლექციების კითხვას ჰიგიენისა და საზოგადოდ, მედიცინის შესახებ, რომელიც ასეთს აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მასწავლებელ ქალთა და კაცთათვის. სხვამ ვინც უნდა მოითხოვოს თავის ლექციებში გასამრჯელო, არავის გაუოცდება, მაგრამ ექიმების მხრივ-კი სწორეთ მოსალოდნელი არ გვეგონა ამ გვარი საქციელი.** რაც უნდა იყოს, განათლებულ მოქალაქეებად მიაჩნია ისინი ყველას და იმედიცა აქვთ, რომ ამისთანა ახალსა და სასარგებლო საქმეში მხურვალე მონაწილეობას მაინც მიიღებენ, თუ სრულებით თითონ არ იკისრებენ ლექციების საჯარო კითხვასა და თითონ არ ითავებენ ასეთის საქმის დაწყებასა და შემოღებას ჩვენს ქალაქში. („ივერია," N259, 1889 წელი);

## ახალი ამბავი

ამ დღეებში ინგლისიდგან ტფილისში ჩამოვიდა ინგლისელი ქალი ქეთა მორსდენი, რომელიც სწამლობს კეთროვანებს. ამ ექიმმა ქალმა ამ აზრით გუშინ, ამ თთვის 23, დაათვალიერა ტფილისის საქალაქო საავადმყოფო. („ივერია," N225, 1890 წელი);

## ახალი ამბავი

იმათთვის, ვისაც ჰსურს კბილის ექიმობის ხარისხი მიიღოს, ცალკე კბილის სამკურნალო სასწავლებლები არსდება. წესდება ამ სასწავლებლებისა სამკურნალო საბჭოს მიერ არის შედგენილი. ვინც კურსს რიგიანად დაამთავრებს, **კაცი იქნება თუ ქალი, ყველას ერთნაირად შეუძლიან კბილის ექიმობის ხარისხის მიღება** და ამასთანავე სახელმწიფო სამსახურში შესვლის დროსაც უფლება ექნება მეათე კლასის ჩინის მიღებისა. („ივერია," N130, 1891 წელი);

### ახალი ამბავი

შარშან გაზაფხულს, მარტში, ქალაქმა გაჰმართა სასიფილიტიკო საავადმყოფო, რომელიც ავლაბარშია მოთავსებული. ამ საავად-მყოფოს გამგებელმა ექიმმა ისტამანოვმა ამ დღეებში ქალაქის გამგეობას წარუდგინა ანგარიში ამ საავად-მყოფოს მოქმედებისა ამ წლის 1-ლ იანვრამდე, ე. ი. 9 თთვისა. ამ ანგარიშიდამ სჩანს, რომ ამ დროს განმავლობაში საავადმყოფოში შესულა 127 ქალი, 74 ვენერიულისა და 53 სიფილისის ავადმყოფობით. ამათგან მხოლოდ ერთი გარდაცვლილა, 101 გამოწერილა საავად-მყოფოდამ და ამ წლის 1-ლ იანვარს ირიცხვებოდა 25 ქალი. წლოვანებით 5-ისა და 10-ის წლის ქალებიც ყოფილან, რიცხვით 2, 10-15 წლ. – 3, 45-70 წლ. – 3, მაგრამ ყველაზედ უფრო მეტი -101-15-30 წლ. ქალები ყოფილან. ავად-მყოფ ქალთა შორის, ცუდის ყოფა-ქცევის ქალების გარდა, კიდევ სხვა-და-სხვა მოსაქმე ქალებიც ყოფილან ამ საავად-მყოფოში: ოჯახის ქალი ყოფილა 14, მკერვალი 10, გამდელი 7, მზარეული-ქალი 5 და აღმზრდელიც 1.

ბ-ნი ისტამანოვი თავისს ანგარიშში დიდს ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ 127 ქალიდამ მხოლოდ 77 იყო ქალაქელი, დანარჩენი 50-კი ქალაქის გარედამ მოვიდნენო, მაშინ როდესაც ქალაქში გადამეტებით მრავალია ცუდის ყოფა-ქცევის ქალები რომელნიც ავრცელებენ ავ სენს, რადგან არ აქვთ საჭირო ყურის-გდება არც პოლიციისაგან და არც საექიმო ნაწილისაგანაო. ამ დიდ ნაკლულევანების ასაცდენად ექიმი ისტამანოვი სხვა-და-სხვა საშუალებას უსახელებს ქალაქის გამგეობას, რომელსაც დიდს ქალაქებშიც ხმარობენ და კარგი შედეგიც აქვსო. („ივერია," N142, 1891 წელი);

### ახალი ამბავი

საქალებო საზებიო კურსების პროგრამის გადასინჯვა მთავრობას იმ ანგარიშით განუზრახავს, რომ ეს პროგრამა უფრო შეავსოს, ამავე დროს განხილული იქნება ამ კურსების მაგვარის საზებიო სასწავლებლების პროგრამაც იმ აზრით, რომ ეს სასწავლებლები და კურსები ერთი ერთმანეთს შეუფარდონ და შეუსწორონ (გაზ. „პეტ. ვედომოსტი"). („ივერია," N142, 1891 წელი);

### ახალი ამბავი

მომავალ წლიდგან მთავრობას განუზრახავს საქალებო გიმნაზიებში გიმნასტიკის სწავლება შემოიღოს. („ივერია," N147, 1891 წელი);

### ახალი ამბავი

ქალებს კიდევ ახალი გზა ეხსნებათ. საერო განათლების სამინისტროს გადაუწყვეტია, რომ ქალებს ფარმაცევტების ადგილი მიეცეთ ხოლმე. სამინისტრომ მიწერილობა გაუგზავნა ყველა სამოსწავლო ოლქის მზრუნველს და ამ მიწერილობაში ნათქვამია, რომ ქალებს ნება აქვთ აფთიაქებში მოსწავლედ შევიდნენ, თუ რომ საქალებო გიმნაზიაში სწავლა დამთავრებულნი იქნებიან და „საოჯახო მასწავლებლობის" (домашней учительницы) მოწმობაც ექმნებათო; ამასთანავე აფთიაქში შესვლისათვის უნდა იცოდნენ კიდევ ლათინური ენა სავაჟო გიმნაზიების ოთხის კლასის კურსისაო. („ივერია," N172, 1891 წელი);

### ახალი ამბავი

ამ ორის წლის წინად ქალაქმა რომ დედათა სამკურნალო გამართა ავლაბარში, ეხლა შეკეთებას ჰსაჭიროებს თურმე. მკურნალ ისტამანოვის თხოვნით დაუთვალიერებიათ ეს სამკურნალო და აღმოჩენილა, რომ შეკეთებას 1800 მანათი დასჭირდებაო. („ივერია," N200, 1891 წელი);

### ახალი ამბავი

ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებელში ყბა-ყურა გავრცელდა. ამ ჟამად 20 მოსწავლე ქალია ამ სენით ავადა. რამდენიმე ავადმყოფი უკვე მორჩა. მკურნალები ამ ავადმყოფობის გაჩენას ერთბაშად აცივებას აბრალებენ. („ივერია," N229, 1891 წელი);



მოსწავლე ქალთა რიცხვი ჟენევის უნივერსიტეტში დღითი დღე მატულობს. 1887 წელს მოსწავლე ქალნი უნივერსიტეტში მოსწავლე სტუდენტთა 9 პროცენტს შეადგენდნენ, 1889 წელს 15 პროცენტს, ხოლო ამ 1895 წელს ქალთა რიცხვი 25 პროცენტს შეადგენს. ამ ჟამად უნივერსიტეტში ლექციების ყურის მგდებლად 128 ქალი ჩაწერა, რომელთა შორის უმეტესს ნაწილს რუსნი და პოლონელნი შეადგენენ; კარგა ბლომად სწავლობენ აგრეთვე სომეხნი ქალნი. უმეტეს ნაწილად ბუნების მეტყველებასა და ექიმობასა სწავლობენ ეს ქალნი. გაზეთის „ბერნერ ბუნდ"-ის სიტყვით რუსები ძალიან ერთგულად ეკიდებიან სწავლის საქმესა და არავითარი ერთობა არა აქვთ სხვა ეროვნებათა ქალებთანაო.

გაზეთი „ივერია", 1891 წელი

### დოქტორი ლორის-მელიქოვი

ყოველ-დღე დილის 11 საათიდამ 12-მდე და ნაშუადღევის 3-4 საათამდე სინჯავს ავადმყოფებს, როგორც დედათა, ისე სადედათ-ბუნებო ავადმყოფობით შეპყრობილთ, სინჯავს აგრეთვე ყმაწვილებს, შეპყრობილთ სხვა-და-სხვა საყმაწვილო ავადმყოფობით. ველიამინოვისა და სადოვის ქუჩის კუთხე, სახლის N19. შესავალი კარი ველიამინოვის ქუჩიდამ. („ივერია," N6, 1892 წელი);

## ახალი ამბავი

დედათა სამკურნალო ინსტიტუტში მიღებული იქმნებიან არა ნაკლებ 20 წლის ქალები, რომელთაც ჯერ კლასიკურს გიმნაზიებში ეგზამენი უნდა დაიჭირონ და მოწმობა მიიღონ. დედათა ინსტიტუტში სწავლა ოთხს წელიწადს გასტანს. ინსტიტუტში სწავლა დამთავრებულმა ქალებმა ერთის წლიდგან სამს წლამდე მკურნალობის ხელობა უნდა გაივარჯიშონ მკურნალთა ზედამხედველობით სხვა-და-სხვა სამკურნალო დაწესებულებაში და მხოლოდ მაშინ მიეცემათ მკურნალობის „დიპლომები" შემდეგის უფლებით: ა) უფლება მთელს რუსეთის სახელმწიფოში ყველგან ავადმყოფების წამლობისა; ბ) დედათა და ყმაწვილების ავადმყოფობის წამლობის უფლება დედათა ინსტიტუტებსა, გიმნაზიებსა, პანსიონებსა და სხვა სასწავლებელსა და სამადლო სახლში: გ) საერობო დაწესებულებათა თხოვნით მიეცემათ უფლება მკურნალობისა სამკურნალო განყოფილებასა და საერო სამკურნალოებში. („ივერია," N41, 1892 წელი);

* * *

ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებელში სხვა-და-სხვა ავადმყოფობა გავრცელდა მოსწავლეთა შორის. სასწავლებლის მთავრობამ ოთხი მოსწავლე: ჩხარტაშვილი და გნედოვსკაი, ხუნაგით ავადმყოფები, ქარუმიძე, ყვავილით ავადმყოფი, და ახალშენიშვილი, ქუნთრუშით ავადმყოფი, ტფილისის მიხეილის საქალაქო ქსენონში გაგზავნა, რადგან ეშინოდათ სენი უარესად არ გამძვინვარდესო. მაგრამ, ამას გარდა, კიდევ ორი სხვა მოსწავლეც, წიკლაური და ბზიავა, გახდა ავად და ისინი-კი ჯერ-ჯერობით თვით სასწავლებელშივე საავადმყოფოში უწევთ. კარგი იქნება, ვისაც ჯერ არს, ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და სათანადო ღონისძიება იხმაროს, თორემ ქალაქშიც ძლიერ გახშირებულია სხვა-და-სხვა გადამდები სენი და საშიშოა. („ივერია," N63, 1892 წელი);

* * *

ხოლერის გამო ტფილისის საზებიო ინსტიტუტში ეგზამენები და სწავლა დაიწყება 16 სექტემბერს. („ივერია," N162, 1892 წელი);




გაზეთი „ივერია", 1892 წელი

* * *

ქალაქ ვენაში უნივერსიტეტის პროფესსორს, ბ-ნ ბრიდს დედათა აკადემია გაუმართავს, სადაც მხოლოდ ანატომიასა და ფიზიოლოგიას ასწავლიან. („ივერია," N269, 1892 წელი);

* * *

ტფილისის დედათა პირველ გიმნაზიაში ამ წელს ახლა მიიღეს 119 ქალი. ამათგან უმცროსს მოსამზადებელ კლასში მიიღეს 33, უფროსს მოსამზადებელს კლასში – 21, პირველ კლასში – 18, მეორეში – 3, მესამეში – 6, მეოთხე კლასში – 7, მეხუთეში – 4, მეექვსეში – 2, მეშვიდეში – 2 და მერვეში – 23 ქალი. ამ გიმნაზიაში ამ ჟამად 736 მოწაფე ქალი სწავლობს, მათ შორის მერვე პედაგოგიურ კლასში 59 ქალი. ამავე გიმნაზიასთან ამ დღეებში გაიმართა საავადმყოფო. საავადმყოფოში ერთს ცალკე ოთახი დანიშნულია იმ მოწაფე ქალებთათვის, თუ ვინმე რომელნიც უცბად გიმნაზიაში ავად გახდება. („ივერია," N205, 1892 წელი);

**ახალი ამბავი**

13 იანვარს კავკასიის სამკურნალო საზოგადოების გამგეობის დარბაზში კურსის შესრულების ეგზამენი დაიჭირეს ტფილისის დედათა საბებიო ინსტიტუტის მოსწავლე ქალებმა, რომელთა შორის 11 ქალმა ბებიაობის წოდება მიიღეს. („ივერია," N10, 1893 წელი);

**ახალი ამბავი**

დედათა საავადმყოფოს განმგე დოქტორმა ისტამანოვმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას ანგარიში ამ საავადმყოფოს მოქმედებისა წარსულ წლის განმავლობაში. საავადმყოფო დაარსებულია სარჩენად უბედურ ქალთა, რომელთაც სჭირთ ვენერიული ავადმყოფობა. ანგარიშიდგანა სჩანს, რომ წლის განმავლობაში ურჩენია თავი 154 ავადმყოფ ქალსა, მათში 124 მორჩენილა, 30 ისევა წამლობს. ავადმყოფთა შორის 100 რუსის ქალი ყოფილა, 37 ქართველი, 10 სომეხი, 4 ურია, 2 თათარი და 1 გერმანელი. წლოვანობით 2 ბავშვია, 15 წლიდგან 25-მდე – 107 ქალი, ხოლო 25-დგან 50 წლამდე – 35 ქალი. („ივერია," N23, 1893 წელი);

**ახალი ამბავი**

კავკასიის სამკურნალო უწყების მმართველობა აცხადებს, რომ კერძო მკურნალთა, ფერშალთა და ბებია-ქალთა, რომელთაც-კი სურთ მიიღონ წელს მონაწილეობა ხოლერასთან ბრძოლაში, 1 მარტამდე უნდა გამოგზავნონ ამის შესახებ ცნობაო. (ტფილისი, საპიორის ქუჩა, სახლი ისარლოვისა); მკურნალთა და ფერშალთ შეუძლიანთ მიიღონ მონაწილეობა ახლავე ხოლერის წინააღმდეგ სასანიტარო და სადეზინფექციო ღონისძიებათა განხილვა-გამოკვლევაში, რომელსაც შესდგომია უკვე კავკასიის სამკურნალო საზოგადოება. ხოლო ბებია-ქალთათვის, რომელნიც სურვილს გამოაცხადებენ ხოლერასთან მებრძოლ რაზმში ჩაწერისას, მიხეილის სამკურნალოს დარბაზში ლექციები იქმნება წაკითხული ხოლერის შესახებ. ყველა მოხელენი ხოლერასთან მებრძოლ რაზმებისა დაჯილდოებულ იქმნებიან 1876 გამოცემულის კანონდებულების მე-III ტომის 637 მუხლის თანხმად. („ივერია," N25, 1893 წელი);

### ახალი ამბავი

ტფილისის საბებიო ინსტიტუტი აცხადებს, რომ 15 აგვისტოდგან 1 სექტემბრამდე დანიშნულია მისაღები ეგზამენები. მსურველთ შეუძლიანთ თხოვნა, უბრალოდ ქაღალზედ დაწერილი, გაუგზავნიან საბებიო ინსტიტუტის დირექტორს 15 აგვისტომდე. თხოვნასთან უნდა იყოს მეტრიკის მოწმობა და მშობლებისა ან მეუღლის (თუ ქმრიანია) ნებართვის მოწმობა. მიიღებიან არა ნაკლებ 16 წლისანი და არა მეტი 30 წლისა. სწავლის ფული წელიწადში 40 მანათია. სწავლის ფული წინა დღითვე უნდა შეიტანოს და, თუ მოწაფემ თავი დაანება სწავლას, ფული არ დაუბრუნდება. („ივერია," N139, 1893 წელი);

* * *

ამერიკელი ქალი – ექიმი მისს კეტი ფილდი დიდად ურჩევს ქალებს მუცლის გიმნასტიკას. იგი სწერს ნიუ-იორკის ჟურნალ „Medikal Record"-ში, რომ აღმოსავლეთში ცეკვის დროს ქალები მუცელს ჰკლაკნიან გველსავით, რასაც ის ქალები ვერასოდეს ვერ შეიძლებენ, რომელთაც ოდესმე კორსეტი უტარებიათო. კიდევ ამის წყალობით ეგვიპტეს მოცეკვავე ქალებმა ჩიკაგოს გამოფენაზედ აშკარად დაგვანახვეს, რომ მუცელი ძალიან განვითარებული ჰქონიათ და ისე ამოძრავებენ მუცელს, როგორც ჰსურთო.

ჩვენშიაც რომ ასე იყოს, ეს დიდად განაკარგებდა ჩვენს მოდგმას, ჯან-საღი ყმაწვილები ეყოლებოდათ ხოლმე ამერიკელ ქალებს და თითონაც დამახინჯებულნი არ იქმნებიანო. აქავე უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ ამ აზრითვე ურჩევენ ზოგიერთი ექიმები ქალებს, რომ მუცელზედ ზარბაზნის ტყვია იგორავეთ. აქეთ-იქით რომ გააგორებს ტყვიას, მუცელს დაჰზალავს კარგად და ეს მუცლის გიმნასტიკა ძალიან ჰშველის ჯან-საღობასაო. („ივერია," N55, 1894 წელი);

### ახალი ამბავი

8 აპრილს არსენალის აღმართში ერთი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა: ერთმა ქალმა მუცლის მოსაწყვეტი წამალი დალია, რომლის მიზეზით ერთის კვირის შემდეგ გარდაიცვალა. აი როგორ ყოფილა ეს ამბავი: რადგანაც ამ საბრალო ქალ ძუძუ-მაწოვარა ყმაწვილი ჰყოლია, უფიქრნია მეორეს ვეღარ გავზრდიო და ერთი ვიღაც ბებერ დედაკაცისთვის ორი მანეთი მიუცია და წამალი გამოურთმევია. როგორც ამბობენ, ეს დედაკაცი, რომელმაც ორსულს ქალს წამალი მისცა, მეზობლად მცხოვრებ რუსის ქალებს დაუნახავთო.

საჭიროა, ასეთს გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს და ერთხელ და სამუდამოდ სასტიკად აღეკრძალოთ უცოდინარის ხალხის ამნაირს უბედურებაში ჩაგდება ასეთს მატყუარა ექიმბაშებს. („ივერია," N76, 1895 წელი);

* * *

მოსწავლეთა რიცხვი ჟენევის უნივერსიტეტში დღითი დღე მატულობს, 1887 წელს მოსწავლე ქალნი უნივერსიტეტში მოსწავლე სტუდენტთა 9 პროცენტს შეადგენდნენ, 1895 წელს ქალთა რიცხვი 25 პროცენტს შეადგენს. ამ ჟამად უნივერსიტეტში ლექციების ყურის მგდებლად 128 ქალი ჩაეწერა, რომელთა შორის უმეტესს ნაწილს რუსნი და პოლონელნი შეადგენენ. კარგა ბლომად სწავლობენ აგრეთვე სომეხნი ქალნი. უმეტეს წილად ბუნების მეტყველებასა და ექიმობას სწავლობენ ეს ქალნი, გაზეთის „ბერნერ ბუნდ"-ის სიტყვით რუსები ძალიან ერთგულად ეკიდებიან სწავლის

საქმესა და არავითარი ერთობა არა აქვთ სხვა ეროვნების ქალებთანაო. („ივერია," N120, 1895 წელი);

* * *

ქალთა საექიმო ინსტიტუტისათვის პეტერბურგის საბჭოს მიუცია ადგილი ობუხოვის ქალების საავადმყოფოსთან ახლო. შენობის აგებას უკვე შესდგომიან. შენობის აგებას თვალ-ყურს ადევნებს თვით ინსტიტუტის დირექტორი ფონ-ანრეპი. ინსტიტუტი გაიხსნება 1897 წ. აგვისტოში. („ივერია," N177, 1895 წელი).

* * *

ამას წინად გურიისგან ჩამოუყვანიათ მიხეილის საავადმყოფოში მძიმედ დაჭრილი პავლე დოლიძე, რომელსაც ნაწლავნი სულ ერთიანად გამოყრილი თურმე ჰქონდა ისეთნაირად იყო მუცელში დაჭრილი. ეს შემთხვევა გურიაში თურმე მოხდა. რადგან სოფლად ექიმი არ დაესწროთ, იქვე მეზობელ სოფლის ექიმ-ქალ, ანნა ბოლქვაძის ასულს, დოლიძის მეუღლეს მიჰმართეს, რომ რამე საშუალება აღმოეჩინა დაჭრილისთვის. ანნა დოლიძისამ მართლაც ისეთი საშუალება იხმარა თურმე, რომ კურსდამთავრებული ექიმიც ვერ მოახერხებდა ასე მეცნიერულად მოქცევას: გაურეცხა სისხლით შელებილი ნაწლავები და ჩაუწყო თავისს ალაგასა მაგრამ, სამწუხაროდ, უმთავრესი ნაწლავი ნახევრად გადაჭრილი ჰქონდა თურმე დოლიძეს. სოფლის ექიმი ქალი ისე გონიერად მოიქცა, რომ გადაჭრილ ნაწლავის ნაპირები მუცლის გაჭრილსავე ნაპირებს მიაკერა, რომ რასაც სჭამდა ან სვამდა, ყოველივე მუცლიდაგან გადმოსდიოდა ავადმყოფს. შემდეგ, როცა თავისი საქმე გაათავა, ანნა დოლიძისამ ურჩია ავადმყოფის პატრონთ, თავიანთი ავადმყოფი წაეყვანათ ტფილისში, სადაც ყველა საშუალებას აღმოუჩენდნენ მას.

აი, ეს ავადმყოფი ჩამოიყვანეს მიხეილის საავადმყოფოში, სადაც სოფლის ექიმ-ქალის მოქმედებამ ყველა ნასწავლი ექიმები გააკვირვა. როგორც ექიმმა როზენბაუმმა განუცხადა 16 ამ თვეს საექიმო მორიგ კრებას, ავადმყოფს ისეთნაირად ჰქონდა ნაწლავები თავის-თავის ადგილას ჩალაგებული და ისეთისავე მეცნიერულის დაკვირვებით მიკარებული უმთავრესი ნაწლავი გაჭრილ ხორცზედ, რომ ვერც ერთი ჩვენგანი უკეთესად ვერაფერს მოვახერხებდითო, ჩამოსვლისთანავე ოპერაცია გავუკეთეთ დოლიძეს და ორის კვირის შემდეგ სრულიად მორჩა და წავიდაო. თუ ანნა დილიძისას მაშინვე ასეთი დახმარება არ გაეწიაო, — დაუმატა ექიმმა როზენბაუმმა — ჩვენ მეცადინეობა ყოველივე ამაოდ ჩაივლიდაო.

საექიმო კრებამ ერთხმად მოიწონა ამ უსწავლელ ქალის მოხერხებულობა და გამბედაობა და მასთან ის პატიოსანი საქციელი, რომ სხვა სოფლის ექიმივით თითონ არ იტვირთა მძიმედ დაჭრილის კაცის მორჩენა, და უფრო საიმედო ექიმებს გადასცა იგი.

კარგი იქნება, რომ ჩვენმა სოფლის ექიმებმაც წაჰბაძონ ანნა დოლიძისას და თავიანთ დახმარების შემდეგ ასეთი საეჭვო ავადმყოფი უფრო ნასწავლ ექიმებთან გაგზავნონ, რადგან მარტო პირველი დახმარება არა კმარა. („ივერია," N200, 1895 წელი);

* * *

თავ. მეშჩერკის გაზეთიც-კი დიდად გაკვირვებულია, რატომ არ უნდა მიეცეთ ნება ყველა სარწმუნოების ქალებს შეისწავლონ მკურნალობა საქალებო სამკურნალო ინსტიტუტში: „გულ-ახდით აღვიარებთო, ამბობს „გრაჟდანინი," რომ ამ შემ-

თხვევაში ჩვენ არავითარს განსხვავებას არა ვპოვებთ ქრისტიანთა და არა ქრისტიანიან ქალთა შორის. რად უნდა დავუშალოთ არა ქრისტიან ქალთ შეისწავლონ მედიცინა. ისინი თავისს ერს მოუტანენ სარგებლობას და არამც თუ უმკურნალებენ მათ, არამედ კიდეც შეასწავლიან ამ ხელობას." გამოსთქვამს-რა თავისს განცვიფრებას გაზეთი, მერმე დასძენს, რომ ჩვენ ვერ აგვიხსნია ეს განკარგულებაო." გრაჟდანინის ასეთის მოულოდნელ აზრის შესახებ ერთი-ღა დაგვრჩენია ვსთქვათ: „დახე, ამ ჩვენს „კოჭლს მოსესას"! („ივერია," N217, 1895 წელი);

## ჟურნალ-გაზეთებიდამ და წიგნებიდამ ამოკრებილი ამბები

ავსტრია-უნგრეთში ქალებს ნება აქვს უნივერსიტეტში სასწავლებლად შესვლისა, ვითარცა სტუდენტებს. ხოლო ავსტრიაში ეგ ნება შეზღუდულია მით, **რომ მარტო სამკურნალო ფაკულტეტია ქალთათვის კარ-ღია, სხვა ფაკულტეტები მათთვის კარ-დაკეტილია.** უნგრეთში-კი, საცა სამინისტრო ყოველთვის იმითია ცნობილი, რომ ერის საერთო სურვილს ყურს ადევნებს ხოლმე, **ქალთა ნება აქვთ არამც თუ მარტო სამკურნალო ფაკულეტეტებზე შევიდნენ უნივერსიტეტში,** არამედ საფილოსოფიო ფაკულტეტზედაც, რომელსაც ეკუთვნიან საისტორიო-ფილოლოგიური და საბუნების-მეტყველო-მათემატიკური. უმაღლესის სწავლის კარის გაღება ქალთათვის ახალი ამბავი არ არის ევროპაში და ამ შემთხვევაში ღირს შესანიშნავია მხოლოდ იგი აზრები, რომელიც ქალთა უმაღლესს განათლებას წარუმძღვარა უნგრეთის საერო განათლების მინისტრმა ვლასაჩმა.

ოფიციალურ უნგრეთის გაზეთში დაბეჭდილია ცირკულიარი ხსენებულის მინისტრისა უნივერსიტეტის გამგებელთა მიმართ ბუდა-პეშტში და კლაუზენბურგში და ამ ცირკულიარში მოხსენებულია იგი საბუთები, რომელზედაც დაუმყარებია მინისტრს თავისი აზრი შესახებ ქალთა უმაღლესის სწავლის საჭიროებისა. დედა-აზრი ამ საბუთებისა იგია, რომ ქალთათვის უნივერსიტეტის, ანუ, უკედ ვთქვათ, უმაღლესის სწავლის კარის გაღებას ბევრი კეთილი მოჰყვება როგორც საზნეო, ისეც სასოციალო. მინისტრი ამბობს, რომ მრავალ გვარი ცვლილება საზოგადოებურ ცხოვრებისა და ის გარემოება, რომ დღე და დღე მატულობს სიძნელე კაცმა თავი იჩინოს და სახსარი ცხოვრებისა იშოვოს, იძულებულ ჰხდის ბევრს გონება-გახსნილს ქალს მოსვენებული ცხოვრება ოჯახში გასცვალოს შრომით სავსე, მძიმე ცხოვრებაზე.

მატულობს და ვრცელდება ქალთა განათლება და ქალნი ამის ძალით იმისთანა საქმეებს ჰკიდებენ ხელს, რომელნიც წინად მარტო მამაკაცთა საქმედ ითვლებოდაო. ყველასათვის ცხადია, რომ ამ გზაზე ქალთა მხნეობამ თავი იჩინა და სახელი მოიპოვაო. მასთან ერთად, რომ მატულობდა რიცხვი განათლებულთა ქალთა, რომელნიც იძულებულ იყვნენ თავისის შრომით ერჩინათ თავი, უფრო და უფრო ვრცელდებოდა ის საბუთიანი აზრი, რომ გონებიანი ნაწილი დედა-კაცობისა ვერ იკმარებდა იმისთანა საქმეს, რომელსაც უძღვება მცირე სწავლა-ცოდნაო. ამ მიზეზს უნდა მიეწეროს იგი ბეჯითური და აწ გაძლიერებული მეცადინეობა დედა-კაცთა, რომ სახელმწიფომ მისცეს უფლება ეგრედ წოდებულ სწავლულ პროფესიებშიაც ადგილი იქონიონო. ამ მეცადინეობას რომ წინ გადეღობოს კაცი, იმისთანა უსამართლობა იქნება, რომელიც არ შეჰშვენის მსვლელობას ეხლანდელის ცივილიზაციისასო. „ჩვენი თაობაო, ამბობს მინისტრი, მოწამეა იმისი, რომ დედა-კაცთა შრომამ კარგა ვრცელი ადგილი დაიჭირა. რკინის გზებზე, სატელეგრაფოებში, ბანკირების კანტორებში და სხვა მრავალ დაწესებულებაში. ჩვენ ათასობით ვხედავთ საშუალო და უმაღლეს წოდების დედა-კაცთა, რომელთაც უფრო და უფრო გაძლიერებული ბრძოლა არსებობისათვის იძულებულ ჰხდის შრომით მოიპოვონ სარჩო. ვერავინ იტყვის, რომ იგინი კარგად არ ასრულებდნენ თავიანთს თანამდებობას, პირიქით, როგორც კერძო და-

წესებულებანი, ისეც სახელმწიფონი ქებით იხსენიებენ მათს მხნეობას, ბეჯითობას, ცოდნას და კეთილსინიდისიანობასაო. ცოდნა თვითეულს ცალკე ადამიანს სახსარს, საშუალებას აძლევს სხვასაც არგოს და თვითონაც პატიოსნურად მოიპოვოს ლუკმა პური, რაკი მაღალ წოდების დედა-კაცსაც ისე გაუხდა საქმე, რომ შრომით უნდა მოიპოვოს სახსარი ცხოვრებისა, მაშ, რასაკვირველია, რომელიც, იმის გარდა, რომ თავისი საკუთარი იდეალური მნიშვნელობა აქვს, გზასაც უხსნის პროფესიალურ საქმიანობისათვის. ნიჭი-კი აქვთ დედა-კაცებს უმაღლეს განათლებისათვის? დიაღაც, მე ამაში არავითარი ეჭვი არა მაქვს, ამბობს მინისტრი. თუ ამოდენა დედა-კაცებმა სახელი მოიხვეჭეს ლიტერატურაში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში, მაშინ როდესაც დედათა განათლებას ასე აბრკოლებდა მეტისმეტად ხელ-შემშლელნი გარემოებანი, მაშ ნება გვაქვს ვიფიქროთ, რომ დედა-კაცთა და მამა-კაცთა გათანასწორებით მეცნიერება უფრო მოიგებს. არა ნაკლებ მოგებაში იქნება თვით საოჯახო ცხოვრებაცა, რომლის სახელითაც ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ გასათხოვარი ქალის წყურვილს უმაღლესის განათლებისას. ცოდნას აძლიერებს გონების მოქმედება, აძლევს ღონისძიებას აწონ-დაწონვისას; ყოველივე ეს აკლია ბევრს ქალს, რადგანაც საკმარისი განათლება არ მიუღია და ეგ ნაკლია მიზეზი, რომ ოჯახში ხშირად შფოთი და ჩხუბი ასტყდებაო. რა თქმა უნდა, განათლებული დედა-კაცი უფრო კარგი გამზდელი იქნება შვილებისა, ვიდრე ნაკლებ განათლებული. გარდა მაგისა, როცა ცოლი ქმარს აჩვენებს თავისს თავს მეგობრად და ამხანაგად, რომ მასთან ერთად გაირჯება ოჯახის საკეთილდღეოდ და თუ ქმარს ნაშრომ-ნაამაგარი არა კმარა და საჭიროება მოითხოვს, თვითონაც საქმეს რასმე ხელს მოჰკიდებს სახსარის საშოვარად, მაშინ მოიპობა იგი სათაკილო მაგალითები ბევრის ეხლანდელის ქორწინებისა: რომელიც წარმოდგება ხოლმე ქალის მოწონებით და სიყვარულით კი არა, არამედ იმითი, რომ ქალს ამდენი და ამდენი ქონება და სიმდიდრე აქვს. ეს მაგალითები, ერთნაირად სათაკილოა როგორც დედა-კაცისათვის, ისეც იმ საზოგადოებისათვის, რაც მოხდება ხოლმე. მე ბედნიერი ვარ, ამბობს დასასრულ მინისტრი ამ შესანიშნავ ცირკულიარში, რომ დედა-კაცთა უმაღლესის სწავლის საქმე უნივერსიტეტმა აღძრა და მით მოგვცა შემთხვევა ბოლო მოეღოს ერთს იმისთანა საზოგადოებურ მოვლენასა, რომელიც თავისს შინაგან უსამართლობით ვერაფერს სამსახურს უწევს დიდებას ჩვენის ცივილიზაციისასაო.“ /რ. ვ./ („ივერია,“ N227, 1895 წელი);

* * *

ოფიციალურ ცნობებიდამა სჩანს, რომ დედათა საეპარქიო სასწავლებელში ხუნაგი გაჩენილა. გუშინ ამ სასწავლებელში დეზინფექცია მოახდინეს და ექიმ ბ-ნ გედალინს მიანდვეს ზედამხედველობა ამ სასწავლებლისა. ამასთანავე სასანიტარო ექიმთა ზედამხედველმა შეატყობინა ტფილისის გუბერნატორის მოადგილეს ამ სენის გაჩენის შესახებ და თუ საჭიროება მოითხოვს, ეს სასწავლებელი დროებით დაიკეტება. („ივერია,“ N11, 1896 წელი);

* * *

ქალთა სამკურნალო ინსტიტუტში ეხლავე ძლიერ ბევრი თხოვნაა შეტანილი სასწავლებელში მისაღებად. ახლად დაარსებულმა ქალთა სამკურნალო ინსტიტუტის დამხმარებელ საზოგადოებამ მიჰმართა სხვათა დაწესებულებათ და დახმარება სთხოვა. ზოგიერთმა დაწესებულებამ უკვე გაუგზავნა საზოგადოებას ფული. სხვათა შორის, ყირიმის ერთს მემამულეს ბ-ნ პოსპოლიტაკის შეუწირავს სამკურნალო ინსტიტუტისათვის 1,000 მანათი. საზოგადოებას განზრახვა აქვს ცალკე სახლი ააშენოს

ინსტიტუტში მოსწავლე ქალთათვის და ამისათვის მიჰმართა პეტერბურგის სამოქალაქო სამმართველოს და ადგილი სთხოვა ამ სახლის ასაშენებლად. ხოლო ვიდრე ეს სახლი აშენდება, ხსენებული საზოგადოება ქირით დაიჭერს 50 მოსწავლე ქალთათვის. („ცნობის ფურცელი," N22, 1896 წელი);

### საკუთარი სახლი ქალთა საექიმო ინსტიტუტისა

პეტერბურგში შესდგა განსაკუთრებული საზოგადოება, რომელსაც საგნადა აქვს ააშენოს საკუთარი სახლი ქალთა საექიმო ინსტიტუტისათვის. კომიტეტმა მიჰმართა სხვა-და-სხვა საერო და სამოქალაქო დაწესებულებათა, რომ შემწეობა რამ აღმოუჩინონ მას ამ საქმეში. ასეთი თხოვნა კომიტეტმა გამოუგზავნა აგრეთვე ტფილისის ქალაქის თავის მოადგილეს, რომ მან იშუამდგომლოს საბჭოს წინაშე და რამოდენიმე ფული აღსასრულებლად. ქალაქის თავის მოადგილემ ხსენებული თხოვნა გარდასცა სამოსწავლო კომისიას, რომ ამან განიხილოს და თავის მხრივ აღნიშნოს რაოდენობა დახმარებისა. სამოსწავლო კომისიის შეხედულებას შემდეგ გამოიკვლევს საფინანსო კომისია და ბოლოს თხოვნა წარედგინება საბჭოს. ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ტფილისის თვითმმართველობა, თავის მხრივ, არ დაზოგავს შეძლებისამებრ გაუმართოს ხელი კომიტეტს. („ცნობის ფურცელი," N36, 1896 წელი);

### კბილის ექიმი ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში NN14-16 ავადმყოფებს მიიღებს: დილით 10-დგან 2 საათამდე. საღამოთი 4-დგან 6 საათამდე. კვირა. უქმე დღეებში დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. („ივერია," N36, 1896 წელი);

* * *

დედათა სამკურნალო ინსტიტუტში შესვლის მსურველებმა ეგზამენი უნდა მისცენ გიმნაზიებში ლათინური ენის ცოდნისა. ეგზამენები იქმნება სექტემბერში, დეკემბერში და მარტში. („ცნობის ფურცელი," N46, 1896 წელი);

### სამკურნალო და ამბულატორია ს. ბ. თოფურიასი ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი. გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან. ავადმყოფთ სინჯავენ დილით 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

შინაგანს და ნერვების ავადმყოფობებს სწამლობს ს. ბ. თოფურია.

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. გერრატი.

**დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას ი. კ. ვარშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტი საქიმიო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისთვის ელექტრონით, წამლობისთვის და მასაჟისთვის. სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია. („ცნობის ფურცელი," N46, 1896 წელი);

### საბავშვო საავადმყოფო „იასლის“ საზოგადოებისა

იღებენ ბავშვებს, მძიმე გადამდებ სენით ავადმყოფთ (ყვავილით, წითელით, ყელჭირვებით, დიფტერიტითა და სხვ.) ძუძუთა ბავშვებთან ერთად მიიღებიან მათი დედებიც, ანუ ძიძები. მიღება ავადმყოფთა ყოველდღე შეიძლება. წამლობა და ავადმყოფთა შენახვა უფასოა. (ვერა, წყნეთის ქუჩა, სახლი ხალიაპინისა). („ივერია,“ N36, 1896 წელი);

* * *

მოგვივიდა კავკასიის ექიმთა საზოგადოების გამოცემა „საექიმო კრებული“ (N58), რომელშიაც მოთავსებულია: „სამედიკო და ტოპოგრაფიული აღწერა ოლთისის ოლქისა,“ ს. ე. პოპოვიანცისა, „ხუთის წლის ანგარიში ტბილისის საზებიო ინსტიტუტისა ვ. ე. კრუზენშტერნისა, „გამოქვაბულთა და მერმინდელ საცხოვრებელ სადგომთა შესახებ კავკასიაში“ – ი. ი. პანტიუხოვისა. („ივერია,“ N56, 1896 წელი);

### წმ. ნინოს დედათა სასწავლებელი

ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ იყო, რომ ამ სასწავლებელში მოსწავლე ქალთა მშობლებს უთხოვნიათ, რადგანაც სასწავლებელში სხვა-და-სხვა გადამდები ავადმყოფობაა, ამიტომ მოწაფენი დაითხოვეთ, ვიდრე ეს ავადმყოფობა მოისპობაო. სასწავლებლის მმართველობა ამის გამო აცხადებს, რომ სასწავლებლის სამკურნალო იმდენად არი განცალკებული კლასებისაგან, რომ არავითარი შიში არ არის მოწაფეთათვის და ამიტომ სწავლა არ მოისპობაო. („ცნობის ფურცელი,“ N57, 1896 წელი);

* * *

იმ პირთ, რომელნიც მოისურვებენ ქალთა სამკურნალო ინსტიტუტში შესვლას, უნდა დაიჭირონ ეგზამენი ლათინურს ენაში სავაჟო გიმნაზიებში და იმავე წესით, როგორც თვით გიმნაზიელები იჭერენ ამ ენაში ეგზამენს ატესტატის მისაღებად. ამ კანონს არ ექვემდებარებიან მხოლოდ უმაღლესს საქალებო კურსებზედ მოსწავლე ქალები და ის ქალები, რომელნიც დაამთავრებენ სწავლას ქ-ნი ფიშერის გიმნაზიაში მოსკოვში. (ნ. ვ.). („ივერია,“ N79, 1896 წელი);

### სასამართლო მატიანე, ბებია ქარუმიძის საქმე

ამ დღეებში ტფილისის ოლქის სასამართლოდამ განიხილა საყურადღებო საქმე მუცლის წახდენის შესახებ. ეს საქმე ჰბრალდებოდა ტფილისის მაზრის სოფ. ხაშმის მცხოვრებელ დედაკაცს ვიღაც ქარუმიძისას, 50 წლისას, რომელსაც ხელობად ჰქონდა თურმე ექიმობა და ბებიაობა. ერთხელ ეს ბებია მოიწვიეს ახალგაზრდა ქალ ნოხუთაშვილისას, რომელიც სამის თვის ფეხ-მძიმე იყო და ქარუმიძისამ, ამ ქალის თანხმობით, მუცლის წასახდენი წამლები ასვა. წამალმა ისე ძლიერ გასჭრა თურმე, რომ ახლად ჩასახულ ბავშვს დედაც თან გააყოლა და საბრალო ყმაწვილმა ქალმა ორის დღის ტანჯვის შემდეგ სული დალია.

სასამართლომ ქარუმიძისა დამნაშავედ იცნო და გარდუწყვიტა ზომიერთ უფლებათა ჩამორთმევა და საპატიმროში დაპატიმრება 3½ წლის ვადით.

ქარუმიძისა წარსულის წლის თიბათვის თვიდგანვე იყო დაპატიმრებული, ვიდრე მისის საქმის შესახებ გამოძიება სწარმოებდა. გაიგონა თუ არა სასამართლოს გარდაწყვეტილება, ჯიბიდგან მაშინვე შუშის ნატეხი ამოიღო და უნდა ყელი გამოეჭრა, მა-

გრა სასამართლოს უწყებების დამრიგებელმა ივანნიკოვმა თვალი შეასწრო და შეაჩერა. („ივერია,“ N7, 1897 წელი);

### ს. ბასილეთი (გურია)

ექიმი ქალი. ბასილეთში სცხოვრობს ერთი სოფლის ექიმი ქალი, ჯერ კიდევ ახალგაზდა, ფოტინე გიტოს ასული თავართქილაძისა, რომელიც ფრიად განთქმულია თვისის ექიმობით. ჩვენ თვითონ შემთხვევა გვქონდა გადაგვეთვალიერებია მისი მოწმობები, რომელიც მიუციათ მისთვის მისგან განკურნებულს სხვა-და-სხვა მძიმე ავადმყოფებს. მაგგვარი მოწმობა სოფლის მოხელე პირებისაგან შემოწმებული მას აქვს ოცზე მეტი. თითქმის ყველა მოწმობაში ნათქვამია, რომ ავადმყოფმა წინად მიჰმართა „დოხტურ-ფერშალს“ და მათ რომ ვერ უშველის, შემდეგ მიმართეს ქ. ფოტინე თავართქილაძის ასულს. მაგალ. ერთი სწერს, რომ ის იყო ძლიერ ავათ სოკოთი; მეორეს მუწუკები ჰქონდა 12-მდე საფეთქელზე და იტანჯა ექვსი წელიწადი, მესამეს სტკივოდა კუჭი, მეოთხეს ახველებდა და სხვა. ერთი გიორგი დ.-ძე ლორია აძლევს ამგვარს მოწმობას, რომ მას ჰყავდა შვილი ავად, სახელდობრ მარჯვენა მკლავზე ჰქონდა სოკო, ორჯერ მიუყვანია ჩოხატაურში „დოხტურთან,“ რომელსაც ურჩევია დაჩქარებით ქუთაისში წაყვანა; ფერშალსაც იგივე ურჩევია. და ამგვარი ავადმყოფი მოურჩენია წასასმელისა და სასმელი წამლებით ქ. ფ. თავართქილაძის ასულს. სასურველია, რომ ჩვენი ექიმები გამოიკვლევდნენ, თუ რას ხმარობს წამლად ეს ექიმი ქალი, რომ მეცნიერებას უმკლავდება შინაური განათლებით! /XX/. („ცნობის ფურცელი,“ N334, 1897 წელი);

### ახალი ამბავი

ტფილისში არსებობს ქალაქის სამკურნალო ავის სენით შეპყრობილ ქალთათვის. აქამდე ეს სამკურნალო არავის ექვემდებარებოდა და იმისს საქმეებს განაგებდა, როგორც ენებებოდა, მკურნალი ისტამანოვი. 19 აგვისტოს ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ეს სამკურნალოც დაუქვემდებაროს სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორსაო. („ივერია,“ N171, 1897 წელი);

* * *

გუშინ, 18 სექტემბერს, ქალაქის გამგეობამ მიჰმართა ბ-ნს გუბერნატორს და სთხოვა, განკარგულება მოახდინეთ, რომ მიხეილის სამკურნალომ მიიღოს კეთროვანი დედაკაცი, რომელიც ამ ჟამად ქალაქის დედათა სამკურნალოშია. ეს ავადმყოფი უწინ მიხეილის სამკურნალოში იყო და ქალაქში რომ სახადი გაჩნდა, ქალაქის დედათა სამკურნალოში გადაიყვანეს. ეხლა ტფილისში სახადი მოისპო, მაგრამ ავადმყოფს მიხეილს სამკურნალოში აღარ იღებენ. („ივერია,“ N194, 1897 წელი);

* * *

ტფილისის ქალთა სასიფილიტიკო სამკურნალოს ანგარიშიდამა სჩანს, რომ საავადმყოფოში 1896 წლის 1 იანვარს ყოფილა 21 ავადმყოფი ქალი; იმავე წლის განმავლობაში მომატებია 220 სნეული; ამათში – 204 მორჩენილა და ერთიც მომკვდარა, ასე რომ 1897 წლის 1 იანვარს 36 სნეული დარჩენილა. ზემო აღნიშნულ სნეულთა რიცხვი, თურმე, ასე განაწილდება: ა) ეროვნებით: რუსის ქალი – 146, ქართველი – 52, სომხისა – 27, გერმანელთა – 7, ებრაელთა – 4 და თათართა – 5. ბ) წლოვანებით: 1-5 წლამდე – 3; 10-15 წლამდე – 1; 15-20 წლამდე – 60; 20-25 წლამდე – 93; 25-30

წლ. – 33; 30-35 წლამ. – 28; 35-40 წლ. – 11; 40-45 წლ. – 7 და 45-50 წლ. – 5 სნეული. გ) ხელობით: როსკიპთა სახლებიდამ – 77, კერძო მეძავნი – 58, დამალული მეძავნი – 25, ოჯახის პატრონი – 41, ბავშვთა მომვლელნი – 8, მრეცხელნი – 9, ხელზედ მოსამსახურენი – 16, მკერავნი – 2, მზარეულნი – 3 და გუვერნანტი – 1. სამკურნალოს 1896 წ. დახარჯვია 10486 მან. 92 კაპ., ხოლო შემოსავალი ჰქნია 3394 მან. 75 კაპ. ამის გარდა ავადმყოფებს არ გადუხდიათ საექიმო ფული 1910 მანათი. („ცნობის ფურცელი," N130, 1897 წელი);

### სიფილისით ავადმყოფ ქალთა სამკურნალოს შესახებ

სამკურნალოს მმართველი შუამდგომლობს, თურმე, ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ ხუთი საწოლი იქმნას კიდევ მომატებული, რადგან ავადმყოფებით არის სამკურნალო გავსებული და ალაგი აღარ არისო. ამ ჟამად საავადმყოფოში 45 საწოლია გამართული სნეულთათვის. („ცნობის ფურცელი," N163, 1897 წელი);

### დედათა სამედიცინო ინსტიტუტი

დედათა სამედიცინო ინსტიტუტის პირველს კურსზე მიღებულ იქმნებიან მხოლოდ 160 მსმენელნი. ლექციებს წაიკითხვენ ხოლმე საუკეთესო დოცენტები და პროფესორები. („ცნობის ფურცელი," N272, 1897 წელი);

* * *

რუსეთი: დედათა სამკურნალო ინსტიტუტის კურთხევა 5 აგვისტოსათვის არის დანიშნული. პირველ კურსზედ, რომელიც წელს გაიხსნება, 160 ყურის-მგდებელი ქალი იქმნება მიღებული. („ივერია," N152, 1897 წელი);

* * *

რუსეთი: დედათა მომავალ სამკურნალო ინსტიტუტისათვის საშუალებათა მომძიებელის საზოგადოებას განუზრახავს ყურის მგდებელ სტუდენტ ქალთათვის საცხოვრებელი სახლი ააშენოს, ბავშვების საავადმყოფო გამართოს, სამშობიარო თავშესაფარი დააარსოს და თვალის ავადმყოფობათათვისა და გიმნასტიკისათვის ცალკე შენობა ააგოს. მაგრამ ის თანხა, რომელიც ამ ჟამად საზოგადოებას ხელთა აქვს, ყველა ამისათვის სამყოფი არ არის. საქმის საკეთილოდ წარმართვა დამოკიდებულია მთელის რუსეთის იმპერიის დედათა თანაგრძნობასა და დახმარებაზედ, რომელნიც, ეჭვი არ არის, არაფერს არ დაიშურებენ, რომ სახელმწიფოში დედათა განათლების საქმე წინ წავიდეს და საზოგადო მოღვაწეობისათვის გზა გაეხსნათ, ასპარეზი მოიპოვონ. („ივერია," N155, 1897 წელი);

### ფელეტონი

ანანდიბაი ჟოზეფ, როგორც მოვიხსენიებთ, რამაბაის ნათესავი იყო. ორივეს, როგორც რამაბაის, აგრეთვე ჟოზეფს, ერთი აზრი, სახელდობრ, ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესობა და მათ შორის სწავლა განათლების გავრცელება ასულდგმულებდა. ჩვენ დავინახეთ, რომ რამაბაიმ შეუფერებელის ქორწინებით და ქრისტიანობის მიღებით სამოქალაქო უფლებანი დაჰკარგა, იგი თავისის წოდებიდგან გამორისხულ იქმნა, თუმცა ამ გარემოებას სრულებით არ შეუშინდა და ყურადღება არ მიაქცია. ანანდიბაი, პირიქით, მტკიცეთ იცავდა თავის ხალხის ზნე-ჩვეულებებს. იმას აზრადა

ჰქონდა, მაგალითით დაემტკიცებინა, რომ ხალხის მიერ ისტორიულად შექმნილის წეს-ჩვეულებათა და ევროპის ცივილიზაციის ერთად მოთავსება შესაძლებელია.

ჟოზეფ პირველი ბრამინი-ქალი იყო, რომელმაც ქრისტიანობა არ მიიღო და ზღვა-კი გადაჰლახა სამკურნალო მეცნიერების შესასწავლად. ასეთის ვითომდა თავხედობისთვის თავის წოდებიდგან განრისხულ იქმნა და წასვლის დროს ნაცნობ-ნათესავებმა წყევლა-კრულვა თან გააყოლეს. ანანდიბაი ჟოზეფ დაიბადა 1865 წელს, ქალაქ პუნაში. იმისი მამა ამბრიტაზარ ჟოზეფ შეძლებული მემამულე იყო და სცხოვრობდა ბომბეის ჩრდილოეთით კალიანში. პატარა ანანდიბაი ფუფუნებასა და სიმდიდრეში აღიზარდა. ხუთი წლისა იგი თავის სურვილით და ნათესავის გოპალ ვინიაკის დახმარებით სანსკრიტულის ენის სწავლებას შეუდგა. შემდეგ როდესაც ვინიაკი ალიბაგში გადავიდა, ანანდიბაი თან გაჰყვა და იქ განაგრძო სწავლა. 1874 წელს იგი ცხრა წლისა შეიქმნა, რომ იმავე მასწავლებელს მიათხოვეს, რომელიც იმაზედ 20 წლით უფროსი იყო.

**კოლგაპურში ანანდიბაის ქალიშვილი გაუჩნდა, რომელიც უექიმობის გამო რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა. ახალგაზრდა ქალი ამ გარემოებამ საშინლად დააფიქრა და დააღონა. საქმე ის არის, რომ ინდოეთში ავადმყოფ ქალს უფლება არა აქვს ექიმი მოიწვიოს, ის გაუნათლებელ და უვიცს ბებიას უნდა დაჰყაბულდეს. თუმცა უკვე არსებობდა მადრასში საექიმო სკოლა და თითქმის ყველა საპრეზიდენტოში საბებიო კლასები, მაგრამ იქ მხოლოდ ქრისტიანები სწავლობდნენ და ინდოელს ქალს-კი სარწმუნოებისა და ჩვეულების ძალით არამც-თუ სასწავლებელში შესვლა, სახლიდგან გამოსვლა და მამა-კაცების დანახვაც კი არ შეეძლო. ამიტომ ანანდიბაიმ გადასწყვიტა ამერიკაში წასვლა, სადაც 1869 წლიდგან ქალებს სრულს საექიმო განათლების მიღების ნება ჰქონდათ დართული. მთელი 4 წელიწადი სცდილობდა ანანდიბაი ამერიკაში წასვლას, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოახერხა. ბენგალიაში, სადაც ბოლოს გოპალი დასახლდა, ყველანი წინ აღუდგნენ იმის სურვილს. მართლ-მორწმუნე ბრამანებმა იმის მოკვლაც-კი განიძრახეს. ერთხელ ანანდიბაი იძულებული შეიქმნა ათასის კაცის წინაშე წამდგარიყო, გრძელი სიტყვა წარმოეთქვა და თავი გაემართლებინა. ბოლოს. როგორც იყო, ანანდიბაი წავიდა ამერიკის ქალაქ ნიუ-ორკში და 1883 წელს მკურნალობის სწავლას შეუდგა. როგორც ოთხი ხუთი დღის უსმელი კაცი დაეწაფება მშვენიერ ანკარა წყაროს, ისე დაეწაფა ახალგაზრდა ქალი მეცნიერებას. დღე ღამეში 16 საათი განუწყვეტლივ სწავლობდა. მალე ანანდიბაიმ ყველას ყურადღება მიიქცია. სხვათა შორის ანანდიბაიმ ქალთა სამისიონერო საზოგადოებაში სიტყვა წარმოსთქვა და მთელი თავის მომავალის მოქმედების პროგრამა აღიარა. იმისდა მიუხედავად, რომ ამერიკის ჰავა არ უხდებოდა, ბოლომდის თავი გაიტანა და 1876 წელს სამკურნალო მეცნიერების დოქტორის ხარისხი მიიღო. იმის დისსერტაცია გინეკოლოგიიდგან ყველამ საუკეთესოდ აღიარა. დისერტაციის კითხვას სამი ათასი კაცი და ქალი დაესწრო. მკურნალობის მოწმობის მიღების შემდეგ ანანდიბაი კალგაპურის პირველ მინისტრის მიერ „Alebrt Edvard“ საავადმყოფოს გამგედ იქმნა მიწვეული.** ანანდიბაის დიდხანს აღარ დაუყოვნებია და სხეულით დასუსტებული და დაავადმყოფებული, მაგრამ სულით გახარებული, სამშობლოს გზად გაუდგა. გემზედ ისე ცუდად გახდა, რომ მახლობელთ იმისის მორჩენის იმედიც კი აღარა ჰქონდათ. ბომბეიში იმ პანდიტებმა, რომელთაც წინად განრიცხეს და განდევნეს მამაპაპათა ზნე-ჩვეულების დამარღვეველი ახალგაზრდა ქალი, ეხლა დასუსტებული და სიკვდილის პირს მისული ანანდიბაი რომ დაინახეს, ტირილი დაიწყეს და დიდის-დიდებით მიეგებნენ. მაგრამ გვიან-ღა იყო, ავადმყოფს დიდის ხნის სიცოცხლე აღარ ჰქონდა. ხალხი ეკკლესიებში დადიოდა, ლოცულობდა და ევედრებოდა ღმერთებს იმის მორჩენას. მაგრამ ღმერთებმა არ შეიწყნარეს ეს თხოვნა და 26 თებე-

რვალს მიიზარეს ანანდიბაის სული. „მე ვქმენი იგი, რაც შევძელიო“ სთქვა უკანასკნელად ახალგაზდა ქალმა.

**მისს ფრენი კამა. მაშინ, როდესაც ანანდიბაიმ ინდოეთს თავი მიანება, გემში ჩაჯდა და ამერიკისაკენ გასწია, ბომბეის საექიმო ინსტიტუტმა გადასწყვიტა ქალებს ინსტიტუტში შესვლის ნება დართოს და იმავე წელს ოთხი ინდოელი ქალი მიიღო. სწავლის გათავების შემდეგ ამ ქალებს მოწმობები მიეცათ, რომლის ძალით ბომბეისა და იმის ახლო-მახლო მათ მკურნალობა შეეძლოთ. პირველმა ინდოელმა ქალმა, რომელმაც ბომბეის უნივერსიტეტიდგან სამეცნიერო ხარისხი მიიღო, იყო მისს ფრენი კამა.** მისს ფრენი კამას ოჯახი წინადაც ცნობილი იყო განათლებით და ქველმოქმედებით. ერთმა იმისმა ნათესავმა, პრესტონჟე კამამ, დააარსა ლონდონში დიდი სავაჭრო სახლი და ინდოეთთან ვაჭრობა დაიწყო. მაგრამ ავადმყოფობამ მალე აიძულა ლონდონისთვის თავი მიენებებინა და სამშობლოში დაბრუნებულიყო, სადაც მან მხურვალე მონაწილეობა მიიღო საზოგადო საქმეში. პრესტონჟე კამა დიდი მფარველი და მომხრე იყო დედათა განათლებისა. ამავე დროს ს. ს. ბენგელეს და კიტრეჯის მეთაურობით შესდგა მეცნიერთა საზოგადოება, რომელსაც აზრად ქალთა განათლება და მათი დამოუკიდებლობა ჰქონდა.

**1883 წელს ამ საზოგადოების კომიტეტმა, რომლის თავმჯდომარედაც ჯამსეტჯა ჟეჟებეი იყო, გადასწყვიტა: 1) მოიწვიოს ინგლისიდგან მკურნალი-ქალები, 2) დააარსოს უფასო აფთიაქი და ჩააბაროს იგი ზემოხსენებულ ექიმ-ქალებს, 3) დააარსოს საავადმყოფო ქალებისა და ბავშვებისათვის და 4) დაეხმაროს ფულით თუ საქმით ბომბეის ახალგაზდა ქალებს, რომ მათ სამკურნალო განათლება შეიძინონ. ყველა ამ საქმისათვის კომიტეტმა ჯერ ხანად 4,000 გირვანქა სტერლინგი გადასდო (40,000 მანეთი). ამავე დროს პრესტონჟე კამამ 12 ათასი გირვანქა სტერლინგი (1,200,000 მან.) გადასდო ისეთის საავადმყოფოს დასაარსებლად, რომლითაც ყველა ერის, წოდების და სარწმუნოების ქალსა და კაცს შეეძლო სარგებლობა. თორმეტის წლის შემდეგ ამ საავადმყოფოს მართვა-გამგეობა პრესტონჟე კამას ახალგაზდა ნათესავმა ფრენი კამამ ჩაიბარა.**

მისს ფრენი კამა დაიბადა 1866 წელს, ქალაქ ბომბეიში. იმისი მამა პრესტონჟეს მიერ ლონდონში დაარსებულ სავაჭრო სახლის ერთ უმთავრესს მონაწილეთაგანად ითვლებოდა, ხოლო დედა, ემე, თავისუფალის აზრებით და განათლებით სახელგანთქმულის მანაკჟი კარსეჯის ქალიშვილი იყო. მანაკჟი კარსეჯიმ პირველმა გაგზავნა თავისს ქალიშვილები ევროპაში და იქ სწავლა-განათლება მიაღებინა. განვითარებულის და ჭკვიანის ნათესავების წყალობით, მისს ფრენა კამამ მშვენიერი განათლება შეიძინა. ის პატარაობითვე შეუდგა წიგნის კითხვას და სხვა და სხვა საგნების სწავლებას და სამკურნალო ინსტიტუტში შესვლის დროს უკვე საკმაოდ განათლებული და განვითარებული იყო. 1892 წელს, ინსტიტუტის გათავების შემდეგ, ფრენი კამა ინგლისში წავიდა და იქ ჯერ „Great Armond strect Hospital“-სა და შემდეგ ედინბურგის “Jnfirmary Hospital“-ში დაამთავრა სწავლა. გარდა ამისა მან ბრიუსელის უნივერსიტეტიდგან სამკურნალო მეცნიერების დოქტორის მოწმობა მიიღო. ბომბეაში დაბრუნდა თუარა ფრენი კამა, პრესტანჟე კამას მიერ დაარსებულ საავადმყოფოში მიიწვიეს. ამ ჟამად იგი ფიზიკის პროფესორია. 1896 წელს ე. ი. შარშან მისს ფრენი კამა შეირთო მიურციენგმა, რომელიც ბომბეიში ვექილობს. პარიჟში კამა დაიარებოდა პასტერის ინსტიტუტში და გ. ვიალას ხელმძღვანელობით მან შეისწავლა ცოფისა და ყვავილის აცრა. კამას აზრადა აქვს პასტერის ინსტიტუტი ინდოეთშიაც დააარსოს, თუმცა-კი ძალიან ეშინიან, რომ ინდოეთის ხალხთან ცრუ-მორწმუნეობა და შეხედულობა დიდს დაბრკოლებას აღმოუჩენენ ასეთს სასარგებლო დაწესებულებას.

**რიუკმაბაი.** თავისს თხზულებაში პანტიტა რამაბაი დიდი წინააღმდეგია ახალგაზდათა ქორწინებისა. ის ჰქადაგებს, რომ პატარების შეუღლება მეტად მავნებელია, როგორც კაცისა, აგრეთვე ქალისათვის და საჭიროა მოისპოს ასეთი ჩვეულებაო. ეს საგანი დიდ ხანს იყო მართლ-მორწმუნეთა და ლიბერალთა სალაპარაკო, მაგრამ ცოლ-ქმრობის დარღვევისა და ქორწინების გაუქმების შესახებ არც ერთსა და არც მეორეს ხმა არ ამოუღია. ახალგაზდათა ქორწინება თუმცა კანონით არ არის დადებული, მაგრამ ტყუილად-კი არ არის ნათქვამი „ჩვეულება რჯულზედ უმტკიცესიაო,“ იგი ინდოელთ კანონზედ უარესად აქვთ შესისხლხორცებული. პირველი ინდოელი — ქალი, რომელმაც საუკუნოებით დადებულის წესის დარღვევა და ქმრისაგან გაშორება მოინდობა, რიუკმაბაი იყო. რიუკმაბაი დაიბადა 1865 წელს ქალაქ ბომბეიში. იმისი მამა ჟანარდან პანდიურანგ პასბუსთა წოდებას ეკუთვნოდა და გარდაიცვალა მაშინ, როდესაც იმისი ქალიშვილი ჯერ ისევ აკვანში იწვა. იმისი დედა ჟაიანტიბე მეორედ გათხოვდა და შეირთო სახელგანთქმული ექიმი საკარამ არჯონი. დედმამამ რიუკმაბაი 16 წლის დადაჟი ბიკაჟის მიათხოვეს და 1876 წელს ქორწილი წესისამებრ გადაიხადეს. ექიმმა საკარამ თვით იკისრა ახალგაზდა სიძის აღზრდა-განათლება. მაგრამ, აგებულობით სუსტი და ჭკუით ცოტა ნაკლები დადაჟი, უარზედ იყო და უფრო მუქთად ჯდომას ამჯობინებდა გონების განვითარებასა და განათლებას. ხოლო რიუკიმაბაი თავისს ქმრის სწავლის გათავებამდე დედასთან დარჩა. მთელი ეს დრო მან წიგნების კითხვასა და გონების განვითარებას მოანდომა. როდესაც ქმრის სახლში წასვლის დრო მოახლოვდა და როდესაც განათლებულმა და განვითარებულმა რიუკამაბაიმ თვისი უვიცი ქმარი გაიცნო, ის უარზედ დადგა და საქვეყნოდ განაცხადა, მე მაგისთანა ქმარს ვერ გავყვებიო. და დაჟიმ ამის გამო საჩივარი შეიტანა და ამ დღიდგან დაიწყო უბედურება ახალგაზდა ქალისა, რომლის საქმეც რამდენიმე სასამართლო დაწესებულებამ განიხილა. მოსამართლემ პინემ, რომელთანაც პირველად საჩივარი იქმნა შეტანილი, საქმე რიუკამაბაის სასარგებლოდ გადასწყვიტა. ამ გადაწყვეტილებით დარღვეულ იქმნა წესი, რომელიც მანამდის წმინდათ და ხელ შეუხებლად ითვლებოდა და კიდეც ამიტომ რიუკამაბაის საქმის განაჩენმა მთელი ინდოეთი ფეხზედ დააყენა. ინგლის-ინდოეთსა და მკვიდრთა ჟურნალ-გაზეთებს შორის საშინელი კამათი ასტყდა. ლიბერალები სიხარულით მიეგებნენ ამ განაჩენს და მიულოცეს ინდოეთს განახლება და ამაღლება, ხოლო კონსერვატორებმა ოჯახის, ერის და სახელმწიფოს შეურაცხყოფად ჩასთვალეს იგი. ამ დროს ექიმი საკარამა გარდაიცვალა და რიუკმაბაი სწორედ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა, ბიძა რომ არ გამოსარჩლებოდა და დახმარება არ აღმოეჩინა. არ გასულა ბევრი ხანი, რომ გაზ. „Times of India“-ში ორი დიდი წერილი დაისტამბა. რიუკამაბაიმ (წერილების ავტორი ის იყო) ამ გაზეთში შესაბრალისის და ცრემლის მომგვრელ სურათებით აღწერა ის ტანჯვა-ვაება და წვა-დაგვა, რომელიც ახალგაზდათა ქორწინების შედეგია. ამ წერილებმა მთელი ინდოეთის ყურადღება მიიქცია. ბოლოს ბომბეის უმაღლესმა სასამართლომ, განიხილა რა დადაჟის სააპელაციო საჩივარი, მოსამართლეს პინეს დადგენილება გააუქმა და საქმე ხელ-ახლა გამოსაძიებლად გადასცა. ამ საქმის გარჩევის დროს ინგლისელთა და პარსთა წოდების ინდოელთ რიუკამაბაის მხარი ეჭირათ, ცალკე კომიტეტიც-კი შესდგა, რომელსაც აზრად ამ ქალის დაცვა-გამართლება ჰქონდა; ბ-ნი ბოვნარგე, რომელიც ამ ჟამად პარლამენტის წევრია, ამ კომიტეტის მდივანად იყო. ამბობენ, რომ თავის მხრით დადაჟიმაც აუარებელი ფული მიიღო მართ მორწმუნეთაგან საქმის განსაგრძნობად. 1887 წელს, სასამართლოს თავმჯდომარემ, სირ სარჟენმა გადასცა საქმე განსახილველად ინდოეთის კანონებისამებრ. რიუკამაბაის გადაუწყვიტეს ან თავის ქმარს გაჰყვეს, ან ექვსი თვით დაპატიმრებულ იქმნას. რიუკამაბაიმ დაპატიმრება არჩია ქმრის გაყოლას და ამ გადაწყვეტილებამ ხელ-ახლა აალაპარაკა და ააშფოთა მთელი ინდოეთი. ინგლისელი მეგობრები ურჩევნდენ რიუკამაბაის საქმე ინგლისის იმპერიის საიდუმლო საბჭოში გადაე-

ტანა, ეპატიჟებოდნენ თვით წასულიყო ლონდონში და ეწარმოებინა საქმე. დადაჟი ამ ამბავმა საშინლად დააშინა, ის მიხვდა, რომ ლონდონში საქმეს წავაგებო, და ამიტომ საჩივარი უკანვე გამოიტანა და შინაურ მორიგებაზედ თანხმობა განაცხადა. ამ მორიგების ძალით რიუკამაბაი ვალდებული გახდა გადაიხადოს დადაჟის სასარგებლოდ ფული და არასოდეს აღარ გათხოვდეს, თვით დადაჟის-კი ცოლის შერთვის უფლება მიეცა. 1889 წელს, მიულლერისა და მ. ლარენის რჩევით, რიუკამაბაი ინგლისში წავიდა და რამდენისამე თვის განმავლობაში ინგლისური ენა შეითვისა. რადგანაც რიუკამაბაის მკურნალობის შესწავლა ჰქონდა აზრად, ის ჯერ „Arts Examin. Of the Society of Apothecaries“-ში შევიდა, სადაც ლათინური ენა გაიკვეთა და შემდეგ „London School of medicine for“ გაათავა. 1894 წელს ედინბურგსა და გლაზგოვში გამოცდილ იქმნა და შემდეგ ბრიუსელში მკურნალობის მეცნიერების დოქტორის ხარისხი მიიღო. ამავე წლის ნოემბერს რიუკამაბაი ბომბეიში დაბრუნდა. პირველადვე კამას საავადმყოფოში დაიწყო მკურნალობა, ხოლო ამ ჟამად სიუსატში ახლად დაარსებულ საავადმყოფოს განაგებს. („ივერია,“ N241, 1897 წელი);

* * *

რუსეთი: ქალთა მომავალ სამკურნალო ინსტიტუტში სწავლა დამთავრებულს რუსის ქალებს სასამართლოს ექსპერტების უფლება მიეცემათ. ამისა თვის ხსენებულს ინსტიტუტში სასამართლო მედიცინის ლექციების კითხვა იქმნება გამართული ისევე, როგორც უნივერსიტეტებში კითხულობენ სამკურნალო ფაკულტეტზე. („ივერია,“ N112, 1897 წელი);


ქალების საკვირაო სკოლაში
რომელიც არის მოთავსებული სომხის ბაზარში ფრანგების ეკკლესიის პირდაპირ (პროფესიანალურ სკოლაში. ასწავლიან ყველა საგნებს და აგრეთვე ჰიგიენას.
ხელსაქმე კვირაში ორჯელ არის ორშაბათს და ხუთშაბათს 4—6 საათამდინ. სწავლა კვირა დღეობით თერთმეტის ნახევრიდან იწყობა.
(6—5)

**გაზეთი „ივერია“, 1898 წელი**

* * *

რუსეთი: სატახტო ქალაქების ზოგიერთმა ექიმმა-ქალებმა განიზრახეს დაარსონ მოსკოვისა და პეტერბურგის საბებიო და საფერშლო კურსებზედ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება. დედათა საექიმო ინსტიტუტში სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს. სულ 400 ქალს მიუცია შესვლის თხოვნა, მიუღიათ კი მხოლოდ 165 ქალი. საზოგადო საცხოვრებლის-თვის წელს დაქირავებული იქმნება კერძო სახლი, რო-

მელშიაც მხოლოდ 36 ქალს მოათავსებენ, ხოლო გაისს ამისათვის განსაკუთრებული შენობა იქმნება აგებული. („ივერია,“ N179, 1897 წელი);

* * *

პეტერბურგი. საქალებო სამკურნალო კურსებზედ ლექციების კითხვა დაიწყო 15 სექტემბერს. მსმენელთა რიცხვი ას სამოც-და-რვაა. მათ შორის 90% მართლ-მადიდებელია, 4% კათოლიკე, 3% ლოტრანგი და 3% ურია. მართლ-მადიდებელთა რიცხვში ერთი ჩვენი თანამემამულეთაგანიც ურევია: მარიამ კონსტანტინეს ასული იოსელიანი. დიდად სასიამოვნო და სასარგებლო მოვლენად მიგვაჩნია ჩვენის თანამემამულე ახალგაზდა ქალის სამკურნალო კურსებზედ ყოფნა. როგორც კერძოთ შევიტყეთ, რამდენსამე ქუთათურ ახალგაზდა ქალს განუზრახავს სამკურნალო კურსებზე წასვლა. ია-ვარდით გზა-ფენილი თქვენს განზრახვას და სურვილს, ქალებო! („ივერია,“ N192, 1897 წელი);

### მკურნალი ქალები

ათინაში ორს ახალგაზდა ქალს მიუღიათ მკურნალის დიპლომი. ეს ქალები დები არიან-ანჟელია და ალექსანდრა პანაგიოტატოსნი: უფროსი 22 წლისაა, უმცროსი 20-სა. სწავლა ჯერ კარფუს სკოლაში მიუღიათ, მერე ფრანგულ სასწავლებელში ათინაში, შემდეგ უნივერსიტეტში შესულან და მშვენივრათ დაუმთავრებიათ სწავლა. ორთავეს ხელობათ აურჩევიათ ბავშვებისა და დედათა სნეულების წამლობა. („ცნობის ფურცელი,“ N81, 1897 წელი);


ქ. ქუთაისში
კბილის ექიმი
სალომე ი. კერესელიძე
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9 საათიდგან საღამოს 6-მდე.
მიხეილის ქუჩა, შნეიდერის სახლები. (30—147—11)

**გაზეთი „ივერია“, 1899 წელი**

### ქალნი-ფარმაცევტნი

ამ ჟამად რუსეთში 29 ქალია, რომელთაც ფარმაცევტის წოდება შეუძენიათ. 3 მათგანი პროვიზორია და დანარჩენები პროვიზორის თანაშემწეებად ითვლებიან. თუ ვიანგარიშებთ იმათაც, რომელნიც ჯერ კიდევა სწავლობენ აფთიექებში, მაშინ მათი რიცხვი ასს აღემატება. ნეტავი ჩვენებური ქალებიც არ ითაკილებდნენ ამ საპატიო შრომას! („ცნობის ფურცელი,“ N411, 1897 წელი);

### ქალთა მეფობა

დღე მუდამ ქალები თანდათან უფრო იკვლევენ გზას საზოგადო ასპარეზზე და ნელ-ნელა ხელიდან აცლიან მამაკაცებს მათს საქმეს და თანამდებობას. ამ ჟამად ამერიკის ერთს შტატში მისისიპში ორს დიდს ქალაქს დეკატურსა და მარკელუგში ქალებს უჭირავთ ყველა საზოგადო ადგილები. **უფროსი ექიმი ქალია,** საუკეთესო და მჭევრმეტყველი მქადაგებელი ქალია, ქალაქის თავი ქალია, უმთავრეს სავაჭრო სახლების და რესტორანების გამგებელნიც ქალებია. ქალები ჰკერვენ ფეხსაცმელებს,

ტანისამოსებს, ქალებია მხატვრები, ქალები ვაჭრობენ, ქალები დალალობენ და ქალივეა ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულების უფროსი და მოხელეებიც ხომ ქალები არიან. („ცნობის ფურცელი,“ N79, 1897 წელი);

* * *

საქალებო ახალი კლუბი პეტერბურღში. ამ ცოტა ხანში ბარემ ოთხიოდე ახალი კლუბები დაარსდა ქალებისათვის. ამ ჟამად უნდა დააარსონ სრულებით ახალი და რუსეთში ჯერ პირველი კლუბი ტანთ-სავარჯიშო (გიმნასტიური). ამ კლუბში წევრთათვის გამართული იქნება სხვა-და-სხვა ახლად შემოღებული ტანთ-სავარჯიშო მანქანები და მოწყობილებანი. ქალები გაივარჯიშებიან სირბილში, ძალ-ღონეში, სიმძიმეთა აწევაში, სიმარჯვეში და სხვაში, რითაც ჩვენ დროინდელი ქალები დაქვეითებულნი არიან. ვინ არ იცის, რომ ეხლანდელი ახალგაზდა თუ ხანში შესული ქალები ქალაქებში და ხშირად სოფლებშიაც სრულებით უღონონი, სუსტნი და უხერხულნი არიან, მიუხედავად მათის ახალგაზდობისა და ჯან-მრთელობისა. ზოგი ქალი, რომელიც ხუთს ფუთს იწონის, ათი გირვანქის ტვირთსაც ვერ აიღებს; ამას გარდა, ქალებთა შორის მეტად გავრცელებულია ეგრედ წოდებული ქალური სისუსტე და მრავალი ავადმყოფობაც ტანის მოდუნებისა და უძლურობის გამო. რა თქმა უნდა, ხსენებული ტანთ-სავარჯიშო (გიმნასტური) კლუბები დიდ სარგებლობას მოუტანენ ჩვენის დროის ქალებს. მეტად სასურველია, რომ ასეთი კლუბები ჩვენს დაბა-ქალაქებშიაც დაარსდებოდეს ჩვენებურ ქალთა სასარგებლოდ და საჯან-მრთელოდ. („ცნობის ფურცელი,“ N321, 1897 წელი);

**ახალი ამბავი**

კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა გენ. ლეიტ. ა. ა. ფრეზემ გუბერნატორის ა. თ. ბიკოვის თანდასწრებით ამ დღეებში დაათვალიერა საბებიო ინსტიტუტი და ახლად აშენებული ფარდული კუთი ავადმყოფთათვის. („ივერია,“ N43, 1898 წელი);

* * *

26 მარტს მკურნალმა ბ-მა გედევანიშვილმა წაუკითხა ლექცია ფიზიოლოგიის შესახებ „თფილისის მასწავლებელ ქალთა ურთიერთ დახმარების საზოგადოების წევრებს.“ ბ-ნი გედევანიშვილი რამდენსამე ლექციას კიდევ წაიკითხავს. („ივერია,“ N67, 1898 წელი);

**ახალი ამბავი**

26 მარტს ტფილისის დედათა პირველ გიმნაზიის დარბაზში მოხდა კრება ახლად დასაარსებელ საზოგადოების დამხმარებელ წევრთა, რომელსაც განზრახვა აქვს დახმარება აღმოუჩინოს ხოლმე დედათა სამკურნალო ინსტიტუტისა და დედათა უმაღლეს კურსების მოსწავლეთ. საზოგადოების წესდება წაკითხულ იქმნა და დამტკიცებული. წესდების პროექტი უნდა წარუდგინოს ტფილისის გუბერნატორს მკურნალმა-ქალმა ი. ვ. კარპოვიჩმა და პირველ გიმნაზიის დირექტორმა კ. ნ. შულგინმა. („ივერია,“ N68, 1898 წელი);

* * *

ამ ჟამად ტფილისში არსდება განსაკუთრებული საზოგადოება, რომელსაც აზრად ექმნება ჯეროვანი დახმარება აღმოუჩინოს უმაღლესს დედათა კურსებისა და დედათა სამკურნალო ინსტიტუტის მოსწავლეთ. რამდენიმე კაცი უკვე ადგენს ხსენებულ საზოგადოების წესდების პროექტს, რომელიც განსახილველად წარედგინა ამ საქმის თანა მგრძნობელთა კრებას და შემდეგ ტფილისის გუბერნატორს დასამტკიცებლად. 25 მარტს კავკასიის სასოფლოს-სამეურნეო საზოგადოების დარბაზში გამართულ იქმნება კრება, რომელზედაც შეუძლიან დაესწროს ყველას, ვისაც-კი ამ საქმის დახმარების სურვილი აქვს. („ივერია,“ N57, 1898 წელი);



ქალების წარმატება ამერიკაში. ამ დღეებში ამერიკის მთავრობამ გამოაქვეყნა ოფიციალური სტატისტიკური ცნობები ქალების მოძრაობის წარმატების შესახებ შეერთებულ შტატებში. შემდეგი ციფრები გვიჩვენებენ, თუ როგორ სწრაფად მრავლდება ქალების რიცხვი უოველგვარ ხელობაში, რომლებიც დიდხანს მამაკაცების საკუთრებას შეადგენდა.

| ქალები | 1870 | 1890 | 1897 |
|---|---|---|---|
| არხიტექტორი (ხუროთ-მოძღვარი . | 1 | 22 | 53 |
| მხატვრები და მოქანდაკენი . . | 412 | 9810 | 15340 |
| მწერლები . . . | 159 | 2725 | 3164 |
| მღვდლები . . . | 67 | 1235 | 2522 |
| კბილის ექიმები . | 24 | 337 | 417 |
| ინჟენრები . . . | 0 | 127 | 201 |
| ჟურნალისტები . | 35 | 888 | 1436 |
| ადვოკატები . . | 5 | 208 | 471 |
| მემუსიკენი . . | 5753 | 34518 | 47309 |
| მოხელენი . . . | 414 | 4875 | 6712 |
| ექიმები . . . | 527 | 4555 | 6882 |
| თიატრების დირექტორები . . | 100 | 634 | 943 |
| ბუღალტერები . | 0 | 27775 | 43071 |
| მდივნები, გადამწერლები და სხ. . | 8016 | 64048 | 92824 |
| სტენოგრაფები და ასოთ-ამწყობები . | 7 | 21185 | 50633 |

გაზეთი „ივერია“, 1898 წელი

### ჰიგიენა ქალთათვის

მოვლა ფეხმძიმობის დროს. ნუ გაიქანჩავთ წელს და მუცელს კორსეტით, როგორც გიცხოვრნიათ, ისე განაგრძეთ, თუ იგი მავნედ საზარალო არ იყო თქვენთვის, მაგრამ გამოიცვალეთ ფარეზობა. იმუშავეთ ისევ ერთგულად, მაგრამ არა ძრიელ, ხშირათ იბანავეთ. სისუფთავე დიდი რამ არის, დაეჩვიეთ ცივს წყალს, ნუ ატარებთ ძრიელ მძიმე და ვიწრო ტანსაცმელს, იარეთ ყოველ დღე სუფთა ჰაერზე, მჟავეს ნუ

სჭამთ, ადრე დაწექით და ადრევე ადექით, სიცივე-სინოტივეს ერიდეთ, ნუ დალევთ ყავას, ნუ უგდებთ ჭორებს ყურს და თქვენსავე საზარალოდ ნუ მიბაძავთ მოდებს.

მუცლის ტკივილის დროს ჩქარა მოიყვანეთ ბებია, რომელმაც ხელები კარბოლის საპნით უნდა გაიბანოს. გაათბეთ ოთახი საშუალოდ, ნუ მორთავთ ხალიჩებით, დაითხოვეთ ოთახიდგან ყველა ბებიის, ქმრის და ერთი გამოცდილი პირის გარდა.

მშობიარეს აძლევენ წყალს, ხილის წვენს, ლიმონათს, ფორთოხალის ლიმონათს, რძეს, ყავას, რძით ჩაის და სუხარს. საჭიროა სიმშვიდე და გულის სიმაგრე. შობის შემდეგ მშობიარე ლოგინში ერთ კვირასაც რჩება. ამ ხნის განმავლობაში უნდა იყვეს მშვიდად, ერიდოს გაჯავრებას, აღელვებას, ვნებას, აღტაცებას და გაცივებას. საჭიროა სუფთა ჰაერი, ყოველ დღე სუფთად და ფრთხილად გაბანვა საშვილოსნოსი. არ სვას ღვინო, არაყი, არამედ რძე და ხილის საჭმელი. პირველი სამი დღე ზურგზე უნდა იწვეს, რის შემდეგ შეუძლიან გვერდზე გადაბრუნდეს. თუ ბებია ყოყმანობს საჭიროა ექიმის მოყვანა. განთავისუფლების შემდეგ მუცელი თბილად უნდა შეუხვიონ და თუ ადგომა მოისურვა, თბილად ჩააცვან. („ცნობის ფურცელი,“ N480, 1898 წელი);

### ს. მეტეხი (ქართლი) უპატრონო ავადმყოფის სიკვდილი

ამას წინად გწერდით, რომ მეტეხში ერთ ქალს აუტანელი შრომის გამო მუცელი გასცუდებოდა, ეს მას ვერ შეემჩნია და საბრალომ შობა მხოლოდ თავი ბავშვისაა, ტანი კი მუცელში შერჩა. ეს გახლდათ 3 იანვარს. იმ დღიდან მოკიდებული ავადმყოფი სიკვდილს ებრძოდა 8 მარტამდე და ამ დღეს კიდეც გარდაიცვალა. არსაიდან განსვენებულს ნასწავლი ექიმი არ მოეშველა, ხოლო სოფლის მკითხავ-მორჩილებმა, რომლებსაც განსვენებულის ქმარი მიედვ-მოედვა ავადმყოფი უარესად გააწვალეს და რა თქმა უნდა, ვერა უშველა რა. /ალექსი მირზაშვილი/. („ცნობის ფურცელი,“ N507, 1898 წელი);

## უცხოთა შორის

### ქალები მქადაგებლებად და მღვდელ-მსახურების აღმასრულებლად, ჟურნალ-გაზეთებში მონაწილეობა ქალებისა. ქალები ექიმებად. ამ უფლების მოპოვებისათვის ბრძოლა. ქალები ვექილებად. სახელგანთქმული ვექილი ქალები.

ის თავისუფლება, რომელიც ამერიკელ ქალსა აქვს მინიჭებული უმაღლესის სწავლის მისაღებად, საშუალებას აძლევს ყოველგვარ საქმესა და სამსახურში მონაწილეობა მიიღოს. ამერიკელი ქალები არამც თუ დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში არიან მასწავლებლებლად, არამედ თვით კოლეჯებსა და უნივერსიტეტებშიც – კი პროფესორებისა და რექტორების უმრავლესობას შეადგენენ. ასევე დიდ მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში; იმათ მრავლად ჰნახავთ სამაზრო დაწესებულებებში, ხაზინებში, ადგილ-მამულის დამფასებელთა კომისსიაში, საპატიმროების გამგეებად, სამოსწავლო კომიტეტებში, ფოსტა ტელეგრაფში, ბანკებში, ბიბლიოთეკებში და სხ. და სხ. საღვთის მეტყველო განათლება, რომელსაც კოლეჯებში იძენენ ქალები, საშუალებას აძლევთ საეკკლესიო სამსახურში და ქადაგებაში მონაწილეობა მიიღონ: აი მაგალითად, კვაკერტთა შორის 250 მქადაგებელი ქალია, უნივერსიტეტთა შორის *) 50 სხვა სექტანტებში კიდევ მრავალი ქალები არიან მღვდლებად და მქადაგებლად. ბუნას სიტყვით, 1880 წელს უკვე 165 ეკლესიაში ქალები იყვნენ მღვდელ-მოქმედების აღმასრულებლად. არსე-

ბობს აგრეთვე მთელი საზოგადოება ქალთა მქადაგებელთა, რომელნიც ყოველ წლივ იკრიბებიან და სჯა-ბაასი აქვთ თავიანთ სამოქმედო ასპარეზის შესახებ. რაც შეეხება ამერიკელი ქალების სალიტერატურო ასპარეზს, ამაში ევროპას ამერიკასთან შეუძლიან მოიტანოს თავი ისეთის შესანიშნავის მწერლებით, როგორნიც არიან ჟორჟ-ზანდ, ჯორჯ ელიოტი და მრავალნი სხვანი. რაც შეეხება ჟურნალ-გაზეთებს, ამაში არა მგონია ამერიკელ ქალებს წინ უსწრობდეს ვინმე, თუ ევროპაში ხელზე ჩამოსათვლელია ასეთ ქალთა რიცხვი, ამერიკაში მათ თვლა არა აქვთ. ასეთს მხურვალე მონაწილეობას ძველადვე იღებდნენ ქალები ჟურნალ-გაზეთებში. ჯერ ისევ რესპუბლიკის დაარსებამდის 78 გაზეთში 24-ს ქალები სცემდნენ და პირველად მათვე აღძრეს თავიანთსავე ჟურნალებში კითხვა თავისუფლების შესახებ. ძნელი გამოსაანგარიშებელია, თუ ამ ჟამად რამდენი ქალი იღებს მონაწილეობას ჟურნალ-გაზეთებში, რადგანაც გარდა მრავალის გაზეთებისა, რომლებსაც განსაკუთრებით ქალები სცემენ და თანამშრომლობენ, არიან ისეთნიც, სადაც ქალები კორესპონდენტობენ, რეპორტერობენ, თანამშრომლობენ და სხვ., რომელთ სახელიც ცნობილი არ არის. ამიტომ ჩვენ მხოლოდ ზოგიერთს ცნობებს მოვიყვანთ. მწერალ ქალთა კავშირს ილინოისში 1888 წელს 166 წევრი ჰყავდა, რომელთაგანაც უმეტესობას საკუთარი ჟურნალი ჰქონდათ, თანამშრომლები და რედაქტორების თანაშემწენი იყვნენ გამოჩენილის გაზეთებისა. ამ გვარი კავშირები მრავლად არსებობენ და ლიტერატორი ქალები შეადგენენ მათს წევრებს. ჟურნალ-გაზეთებს გარდა ქალები მხურვალე მონაწილეობას იღებენ კერძოთ მათ ინტერსებისათვის დაარსებულ ორგანოებში. ასეთი ორგანოები ორ გვარი მიმართულებისანი არიან: ერთნი ქალების უფლებათა გასაფართოებლად იბრძვიან, ხოლო მეორენი საოჯახო ორგანოებია, რომლებშიაც მრავლად არიან მოთავსებულნი ახალ-ახალი მოდები და სხვა საოჯახო ცნობები. **მაგრამ უმთავრესად თავი ისახელეს ამერიკის ქალებმა ექიმობაში და ვექილობაში, თუმცა ბევრი გაჭირვება და ვაება კი გამოიარეს ამ უფლების მოსაპოვებლად. ისტორია ამ უფლების მოსაპოვებლად ბრძოლისა მეტად საინტერესოა. ამერიკაში იმიტომ კი არ უკრძალავენ ქალებს ამ ორ მეცნიერების შესწავლას, რომ ვითომ მათ გონებას არ შეეძლოს შეთვისება და გათვალისწინება ამ რთულის მეცნიერებისა, როგორც ევროპაში და ჩვენში სჯიან, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მათს შესწავლას შეეძლო ვნება მოეტანა მათ სრულიად სიფაქიზესთვის. ეს მეცნიერება იმდენად რთული, საზიზღი და შემაწუხებელია ადამიანისა, რომ საეჭვოდ მიაჩნიათ, რომ ვნება არ მოუტანოს ქალის უმანკო, წმიდა სულსა და აგებულებასო. რაც შეეხება ბებიობას, ეს უძველეს დროიდამ ქალების კუთვნილებას შეადგენდა, მაგრამ შემდეგში, როცა ნასწავლნი ექიმნი გაჩნდნენ და იმათ უფრო ზედმიწევნით შეისწავლეს ბებიობა, ამიტომ ეს ხელობა კაცების ხელში გადავიდა. ამას თან მოჰყვა ქალების წინააღმდეგობა, რომელთაც შეურაცხყოფილად ჩასთვალეს თავისი თავი ამ საუკუნით შექმნილი უფლების წართმევით და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს კაცებს. ქალების თავ-გამოდებით ბრძოლამ თავისი გაიტანა და სულ მოკლე ხანში ანნა პრესტონის მოთავეობით მთელი საბებიო კოლეჯი დაარსდა ფილადელფიაში. ანნა პრესტონმა დიდძალი ფული შესწირა ამ კოლეჯს და თვითვე დაიჭირა ფიზიოლოგიის ადგილი. მაგრამ კოლეჯმა ჯეროვანი ნაყოფი ვერ მოიტანა, რადგანაც პროგრამა მოკლე იყო და არც ვარგოდა. მაშინ ამ საქმეს სხვა ჭირისუფალი გაუჩნდა. ეს იყო ელისაბედ ბლეკველი. ელისაბედი ინგლისელი ღარიბი დედ-მამის შვილი იყო და პატარაობიდგანვე ემზადებოდა მკურნალად. მაგრამ რომელ სამკურნალო კოლეჯსაც-კი მიჰმართა, ყველამ უარი განაცხადა მის მიღებაზედ.** თორმეტმა უმაღლესმა სასწავლებელმა უარი უთხრა, მაგრამ ელისაბედი თავისას არ იშლიდა და ბოლოს, როგორც იყო შევიდა კოლეჟში (ნიუ-იორკის შტატში), საიდანაც ევროპაში წავიდა და სხვა-და-სხვა კლინიკები და უნივერსიტეტები მოიარა და დაათვალიერა. **მისვლისთანავე დააარსა ქალების საავადმყოფო,**

**რომელსაც ექიმი-ქალები განაგებდნენ და რომელშიაც მოსწავლე ქალებს თავისუფლად შეეძლოთ მეცადინეობა. ცოტა ხნის შემდეგ საავადმყოფოს გვერდითვე ელისაბედ ბლეკველის მეცადინეობით დაარსებულ იქმნა სამკურნალო კოლეჟი. ამ კოლეჟში გადიოდნენ მთელს სამკურნალო მეცნიერებას და იმდენად სრული და უნაკლო იყო იგი, რომ ჩქარა ყველას ყურადღება მიიზიდა. ელისაბედის გარდა ამავე სარბიელზედ იბრძოდნენ ემელინა კლევკიენდა და ქ-ნი გლეისონისა, მეუღლე სახელ-განთქმულის ექიმისა. ამათ მთელი თავიანთი სიცოცხლე ქალების საექიმო ასპარეზის მოპოვებას შესწირეს. ამავე დროს ქ. ბლეკველმა თავისის მეცადინეობით დაარსა თვით ნიუ-იორკში საქალებო სამკურნალო კოლეჟი, რომელიც იმდენად სრული და უნაკლული აღმოჩნდა, რომ შემდეგში იმ დაგვარად ჰმართავდნენ დანარჩენ კოლეჯებსა. ნიუ-იურკის კოლეჯის მიზანი ის იყო, რომ აემაღლებინა გონებრივ ექიმი ქალები და მიეცა მათთვის ჭეშმარიტი ცოდნა. ამის შემდეგ ჩქარის ნაბიჯით წავიდა საქმე და მრავალ სამკურნალო კოლეჯის გარდა თითქმის ყოველმა უნივერსიტეტმა კარი გაუხსნა ქალებს ბოსფონისა, ბუფალოსა, მიჩიგანისა და სხვათა უნივერსიტეტები ამიერიდგან უარს აღარ ეუბნებოდნენ ქალებს, იგინი ეხლა პირ-იქით მათს მიზიდვას სცდილობდნენ. აი ასე სანაქებოდ გაიტანეს ლელო ამერიკელებმა ქალებმა და მიაღწიეს თავისს დიდი ხნის სურვილს. ამ ჟამად ყოველი უმაღლესი სასწავლებელი სიხარულით იღებს მათ და ხალხიც დიდი პატივის-ცემითა და თავაზით ექცევა 1880 წელს მთელს შეერთებულს შტატებში 2 432 ექიმი ქალი იყო უმაღლესს სასწავლებელში კურს დამთავრებული, რის შემდეგაც ეს რიცხვი თან და თან მატულობს და იზრდება, ამავ დროს მრავალ ექიმმა ქალებმა დიდი სახელი მოიხვეჭეს, როგორც სამკურნალო მეცნიერების კარგად მცოდნეებმა და მრავალ საუკეთესო თხზულებების დამწერლებმა. შუა რიცხვით ექიმ ქალს ამერიკაში წელიწადში 6 000 მანეთი ექმნება შემოსავალი. არიან მრავალნი ისეთნიც, რომელთაც 40-60 000 მანეთი და კიდევ მეტიცა აქვთ შემოსავალი. თუმცა ამდენი გაჭირვება გამოიარეს ამერიკელმა ქალებმა სამკურნალო ასპარეზის მოსაპოვებლად,** მაგრამ არა ნაკლები ბრძოლა და შრომა დასჭირდათ მეორე სარბიელის — ვექილობის მოსაპოვებლად. ამ სამოცი წლის წინად, როდესაც ქ-ნმა ბროდუელმა, რომელიც ვექილ ქმრის დახმარებით ემზადებოდა სავექილოდ, თხოვნა მისცა სასამართლოს ნება დამრთეთ ჩვეულებრივ გამოცდის შემდეგ ვექილობა დავიწყოვო. ცივი უარი მიიღო პასუხად. ამ უარმა უფრო გააუცხოვა ქალებს სურვილი ვექილობისა. ქ-ნმა ბროდუელმა ჟურნალის გამოცემას მოჰკიდა ხელი, რომლის მისწრაფებას და მიზანს ქალებისათვის ვექილობის სარბიელის მოპოვება შეადგენდა. ჟურნალმა ჩქარა სახელი გაითქვა და მთელის ამერიკის ყურადღება მიიქცია. არ გაუვლია ბევრს ხანს, იმავ სასამართლომ, რომელმაც წინად ქ-ნ ბროდუელს უარი უთხრა, თითონვე ნება დართო ქალების ვექილებად ყოფნას და საყოველთაოდ დააკანონა, რომ ქალებს არაფერი თანამდებობის დაჭერა არ უნდა აღეკრძალოთო. საყურადღებოა აგრეთვე ქ-ნს ფოლცის თავ-განწირული ბრძოლა, როცა ქმრის უბედურებით შეწუხებულმა და ყოველ-გზივ შევიწროებულმა ვექილობის შესწავლას მოჰკიდა ხელი და სან-ფრანცისკოს კოლეჯს თხოვნა მისცა ნება მომეცით ვაჟებთან ერთად მეც ვექილობა შევისწავლო, კოლეჯის მთავრობამ უარი უთხრა. ამ უარით შეწუხებულმა ქალმა კოლეჯის მთავრობას სასამართლოში უჩივლა, რომელსაც დაუმტკიცა კანონიერება თავისის თხოვნისა. კოლეჯიც რასაკვირველია, ამის შემდეგ იძულებული გახდა მიეღო იგი. შემდეგში ეს თავგანწირული ქალი შესანიშნავი ვექილი შეიქმნა და მთელს ამერიკაში სახელი გაითქვა. ამ გვარადვე უნდა ჩაითვალოს მთელი ოჯახი ბ. პირისა, რომელშიც ქმარ-ცოლის გარდა, სამთავ მათი ქალიშვილი ვექილები არიან. სამ-თავ ქალმა უნივერსიტეტში დაამთავრეს იურიდიული ფაკულტეტი და ისეთი პატივი და ყურადღება დაიმსახურეს მთელის საზოგადოებისა, რომ ყველა მათთან მიდის საქმისათვის. კიდევ მრავალ მაგალითებს ჩამო-

ვთვლიდი, მაგრამ ესეც საკმარისია. ჩვენ ეხლა ამას ვიტყვით, რომ ამერიკამ ქალების ამ უფლების მინიჭებით არამც თუ წააგო საქმე, პირიქით მოიგო. აგერ 15-20 წელიწადია, რაც ქალებს სამართლიანად შეუძლიანთ დაიჭირონ ეს ადგილი. ამ ჟამად ქალები სამ იურიდიულ ჟურნალსა სცემენ და მთელი საზოგადოება დააარსეს ქალთა-იურისტთა. ამას გარდა დაარსდა ამხანაგობა ქალთა ვექილთა, რომლის მიზანსაც შეადგენს: 1) გამრავლება იურიდიულ სასწავლებლებისა; 2) აცილება ყოველივე დაბრკოლებისა ვექილობისა და მოსამართლის ადგილის დასაჭერად; 3) ეცადოს ვექილ-ქალთა მდგომარეობა ყოველ გზივ გააუკეთესოს. ამას გარდა სასამართლომაც ბევრი მოიგო ამითი. სასამართლოებში ისეთი ჩხუბი, ლანძღვა-გინება და უშვერი სიტყვების ხმარებას ადგილი აღარა აქვს, რადგანაც ქალებისა ყველას ეხათრება და პატივსა სცემს. სასამართლოს ეხლა უფრო სიმშვიდე და სიწყნარე ეტყობა, ვიდრე წინად, თუმცა შეგვიძლიან არა ვსთქვათ, რომ ქალებს სრულად მიეღწიოთ თავიანთ სურვილისათვის, რადგანაც ჯერ არ ყოფილა მაგალითები, რომ ქალები მოსამართლებათ ყოფილიყვნენ. რასაკვირველია, ქალები ამასაც ჩქარა მიაღწევენ და მათი სურვილი და ნდომა ჩქარა სრულად განხორციელდება. აი ამ გვარი თავგანწირულის ბრძოლით გაიტანეს ლელო და თავისი სურვილი განახორციელეს. როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ამ ჯამად ამერიკაში მრავალი ქალები არიან მქადაგებლებად, პასტორებად, ჟურნალისტებად, ექიმებად, ვექილებად და სხ. მალე მოვა ის დროც, როცა სრულიად გათანასწორდნენ ქალთა და კაცთა უფლებანი ამერიკაში და ქალმა ისეთივე საპატიო ადგილი დაიჭიროს, როგორიც კაცს უჭირავს. *) კვაკერები და უნივერსალისტები მწვალებლები არიან. („ივერია,“ N97, 1898 წელი);

### საქალებო სამკურნალო ინსტიტუტი

„ნოვ. ობ.“-ს პეტერბურგიდან დეპეშით აუწყებენ, რომ საქალებო სამკურნალო ინსტიტუტში შეუძლიანთ ეხლა შესვლა იმ ქალთ, რომელთაც შვიდი კლასი დაუმთავრებიათ. ფიზიოლოგიის პროფესორად ხსენებულს ინსტიტუტში დაუნიშნავთ დ-რი ვ. ი. ვართანოვი. („ცნობის ფურცელი,“ N627, 1898 წელი);

### ნასწავლი ქართველი ქალი

პარიზის სამკურნალო უნივერსიტეტში სწავლა დაუმთავრებია ერთ ახალგაზდა ქართველ ქალს მარიამ ბაქრაძეს და დაუწერია დისერტაცია ამ შინაარსით: i'ied-Bot-paralyt'que“ (სიდაბლის გამო მომხდარი სიკოჭლე და მისი წამლობა). ეს დისერტაცია ცალკე წიგნად არის დაბეჭდილი პარიზში. („ივ.“). („ცნობის ფურცელი,“ N513, 1898 წელი);

* * *

ცნობილი მილიონერი ამერიკელი ქალი მისტრის ფრანკ ლესლი კავკასიაში მოდის. ლესლი ძალიან განათლებული ქალია და საკმაოდ ცნობილია შეერთებულ შტატებში. ნიუ-იორკში ის არის ორი ფრიად გავრცელებულ ჟურნალის გამომცემელი, მისტრის ლესლისზე ამბობენ, რომ მას ძლიერ დიდი გავლენა ჰქონდა ბრაზილიის იმპერატორ დონ-პედროზე. დონ-პედროს ტახტიდგან ჩამოგდების შემდეგ ლესლი გადავიდა ნიუ-იორკში და აქ მთლად ლიტერატურას შესწირა თავისი ძალა. ისპანია-ამერიკის ომის ატეხის დროს იგი სტოკჰოლმში იყო, სადაც თავისი საკუთარი ნავით მისცურდა. პეტერბურგში ლესლი მივიდა ამერიკელ გამოჩენილ ქალ ვილა ვიკოსთან ერთად. იქიდან მისტრის ლესლი ათ ამერიკელ ქალთან ერთად გამოემგზავრა ბაქოსა

და შუა აზიის გზით. **ამ მოგზაურ ქალთაგან 3 ჟურნალისტია, 1 ექიმი და 6 მეცნიერი ქალი.** („ცნობის ფურცელი,“ N556, 1898 წელი);

* * *

ტფილისის საბებიო ინსტიტუტის მთავრობამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ გადადებულ იქნას 6 000 მანეთი ამ ინსტიტუტის შენობის შესაკეთებლად და ინსტიტუტთან სამრეცხაოს და საშრობის ასაგებად. („ივერია,“ N58, 1899 წელი);


** ოლგას საბებიო ინსტიტუტი აცხადებს, რომ თხოვნები ინსტიტუტში მოსწავლედ მიღების შესახებ უნდა წარდგენილ იქმნას სასწავლებელში 22 აგვისტომდე. მისაღები ეგზამენები დაიწყება 23 აგვისტოს.

გაზეთი „ივერია,“ 1899 წელი

**ახალი ამბავი**

ოლგას საბებიო ინსტიტუტი აცხადებს, რომ თხოვნები ინსტიტუტში მოსწავლეს მიღების შესახებ უნდა წარდგენილ იქმნას სასწავლებელში 22 აგვისტომდე. მისაღები ეგზამენები დაიწყება 23 აგვისტოს. („ივერია,“ N162, 1899 წელი);

**ფელეტონი**
**უცხოთა შორის**

**დედათა საერთა-შორისო კონგრესი ლონდონში. ქალთა კლუბები პარიჟსა, ბერლინსა და ლონდონში. კლუბების სიმრავლე ლონდონში. არისტოკრატ ქალთა კლუბები. კლუბები დედა-კაცთა და მამა-კაცთათვის. იაპონელი ქალები. სწავლა-განათლების საქმე იაპონიაში. სასწავლებლები: პირველ-დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი. უნივერსიტეტები და სპეციალური სკოლები. სხვა სასწავლებლები.**

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ 8 ივნისს ლონდონში გაიმართა დედათა საერთა-შორისო კონგრესი, რომელიც ჯერ არ დასრულებულა. როგორც გაზეთები იუწყებიან, ამ კონგრესზედ 1200 ქალთა საზოგადოებამ გაგზავნა თავისი წარმომადგენელი. კრებები ყოველ-დღეა, წევრებს გაცხარებული სჯა-ბაასი აქვთ სხვა და სხვა საგნების შესახებ. სხვათა შორის, ლედი ბალფურს წარმოუთქვამს სიტყვა, რომელშიაც სასტიკად გაუკიცხნია ინგლისის ლორდთა პალატა იმის გამო, რომ იგი ქალებს ქალაქის საბჭოების წევრობის ნებას არ აძლევს. უმრავლესობა ამ კონგრესს, რასაკვირველია, სიხარულით მიეგება; მაგრამ ისეთნიც აღმოჩნდნენ, რომელთაც სხვა თვალით შეჰხედეს. გავლენიანი გაზეთი „Times“-ი ამბობს, მაგალითად, რომ ქალები ბევრს უფლებას თხოულობენ და ძალიან ბევრს რასმეს ეპოტინებიანო. კონგრესში მონაწილეობას იღებენ ჩინელი ქალებიც კი; **ერთმა მათგანმა ექიმმა კონმა სამკურნალო განათლება ამერიკაში მიიღო.** ამერიკიდგან სხვებზედ უფრო საინტერესო

დელეგატია მღვდელი ანნა შაუ. ეს ქალი პირველია, რომელმაც მღვდლის ხარისხი მიიღო... ქ-ნმა შაუმ სადვთის-მეტყველო ფაკულტეტი გაათავა ბოსტონის უნივერსიტეტში. პირველ ხანს, რასაკვირველია, ბევრი ბრძოლა მოუხდა, მაგრამ ბოლოს მაინც თავისი გაიტანა და მღვდლად გახდა. შაუს ერთი გადაჭრილი მრევლი არა ჰყავს. შეერთებულ შტატებში მრავალი წვრილ-წვრილი სოფლებია, რომელთაც მღვდლის შენახვა არ შეუძლიანთ. შაუ სწორედ ამ სოფლებს უწევს მღვდლობას: ერთი სოფლიდგან მეორეში გადადის და ყველა საჭირო საქმეს ასრულებს. ეს მღვდელი საუკეთესო მქადაგებელია, მან უკვე დიდი სახელი მოიპოვა შეერთებულ შტატებში. შაუს გარდა ეხლა სხვა ქალებიც არიან იქ მღვდლებად.

ინგლისელმა ქალებმაც გადაწყვიტეს ამერიკელების მაგალითს მიჰბაძონ. კარგა ხანია დედათა კლუბებში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ინგლისშიაც მიენიჭოს ქალებს მღვდლობის უფლება. საზოგადოდ ეს კლუბები ბევრს აკეთებენ და დიდს სამსახურს უწევენ დედათა კითხვას. ქალთა კლუბები ამ ჟამად ინგლისს გარდა არსებობს მხოლოდ პარიჟსა და ბერლინში. საფრანგეთის ქალები მაგრე რიგად არ ეტანებიან კლუბს, იქ დღემდის მტკიცედ იცავენ იმ აზრს, რომ ქალის დანიშნულება ოჯახია, კერაა; იგი არ უნდა მოჰშორდეს ამ კერას, ყოველივე საქმე ქალმა იქ უნდა ჰპოვოსო. პირველი კლუბი პარიჟში დაარსებულ იქმნა ამ ორის წლის წინად. დამაარსებელმა ქ-ნმა მარსიმ თავისს მოწოდებაში გამოაცხადა, რომ ამ კლუბისაგან ოჯახს არავითარი შიში არ მოელისო, ვაარსებ ამას მხოლოდ ქვრივებისა და გასათხოვარ ქალებისათვისაო. კლუბს ასი წევრი თუ ეყოლება, სადგომიც საკმაოდ მოწყობილი არა აქვს. მეორე კლუბი ამას წინად დაარსეს. ესეც პირველისაგან ბევრით არაფრით განირჩევა. ეხლა აზრადა აქვთ ორივე კლუბი შეაერთონ. ამ კლუბებში შესვლისათანავე შეატყობს კაცი, რომ საფრანგეთში ქალები ჯერ ვერ შესჩვევიან ამ გვარ დაწესებულებას: წევრები გვიან იკრიბებიან, კლუბში ცოტა ხანს რჩებიან, ისიც კუნჭულებში სხედან, თითქო ერიდებიან ერთმანეთსაო. კლუბსა აქვს წიგნთ-საცავი. სასადილო ოთახი და რამდენიმე დარბაზი. იმართება ხოლმე სადამოები და ლექციები; პირველს საზოგადოება (ლექციებსა და საღამოებზედ მცირე სასყიდლათ არა წევრებსაც შეუძლიან დაესწრონ) სიამოვნებით ესწრება, მეორეზედ-კი 20-40 კაცს ძლივს ჰნახავთ. ერთის სიტყვით, საფრანგეთში ქალებისათვის კლუბი ჯერ ახალი და შეუჩვეველი საქმეა.

უფრო კარგად წავიდა საქმე გერმანიის სატახტო ქალაქ ბერლინში. იქ პირველი ქალთა კლუბი დააარსა პროფესორის მეუღლემ ქ-ნმა ლეიდენმა ამ პატივცემულ მანდილოსანს აზრადა აქვს კლუბის შემწეობით შეაერთოს ქალები, ხელი შეუწყოს იმათს განვითარებას. კლუბს სახელად „Frauen Klub"-ი ეწოდება. დაარსებისას 90 წევრი ჰყავდა, ეხლა-კი მათი რიცხვი 300-ს აღემატება. კლუბს თავისი თანხა აქვს, ამას გარდა-საკუთარი შენობა მშვენიერის ბაღით. წევრები სიამოვნებით და ხალისით დაიარებიან კლუბში და თან სტუმრებიც მიჰყავთ ქალები რასაკვირველია, მამა-კაცებს-კი შესვლის ნება არა აქვთ. საზოგადოდ კლუბმა ბერლინში უფრო მოიკიდა ფეხი, ვიდრე პარიჟში და მომხრეც გერმანელ ქალთა შორის უფრო ბევრი მოიპოვა. მაგრამ ამ მხრივ ინგლისს ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეედრება. როგორც არა ერთხელ გვითქვამს, ინგლისის საზოგადოდ კლასიკური ქვეყანაა კლუბებისა. იქ, სადაც განსაკუთრებული კრებები არსებობს „ქალებისათვის," „უიღბლოთათვის," „სქელ-კაცებისათვის," ეჭვი არ არის, იქ, ვამბობთ, ქალებისათვისაც დაარსდებოდა კლუბი. მართლა და, სხვა ქალაქები რომ მხედველობაში არ მივიღოთ, მარტო ლონდონში მათი რიცხვი უთვალავია. სხვა და სხვა კლუბებით (მხედველობაში იქონიეთ, მარტო ქალების კლუბებით) აჭრელებულია ლონდონის თითქმის ყველა ქუჩა. არსებობს იქ კლუბი არისტოკრატ ქალებისათვის, მილიონერების ცოლებისათვის, შუათანა ვაჭრე-

ბის ცოლებისათვის, მუშა ქალებისათვის, გასათხოვარ და დათხოვილ ქალებისათვის და სხვა და სხვა. არის ისეთიც, სადაც ყველა წრის, წოდების, კლასის და ხელობის ქალს შეუძლიან ჩაეწეროს წევრებად. პირველთა რიცხვს ეკუთვნის სხვათა შორის, Alexandra კლუბი. ამ კლუბის წევრებად ითვლებიან მხოლოდ ისეთი მანდილოსნები, რომელთაც სასახლეში იღებენ. დაარსებულია იგი ამ 15 წლის წინად 1884 წელს. აბა რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ეს არისტოკრატ ქალთა კლუბი არისტოკრატულადვე იქმნება მოწყობილი. მაგრამ ამისდა მიუხედავად იქ ყველაფერი მარტივია და ესრედ წოდებულ „ეტიკეტს“ მაინც და მაინც ყურადღებას არ აქცევენ. უფრო მდიდრულად არის მოწყობილი არისტოკრატთა მეორე კლუბი – Empress Club-ი, რომელსაც 2 000 წევრი ჰყავს. თუმცა აქაც წევრებად არისტოკრატ ქალებს იღებენ, მაგრამ ამ კლუბში შესვლა ისე ძნელი არ არის, როგორც პირველში. ამასთან დედაკაცებს გარდა, მამაკაცებსაც შეუძიანთ ჩაეწერნენ წევრად. Empress კლუბის ბრწყინვალე სალონებში ყოველ დღე შეჰხვდებით ინგლისის არისტოკრატთა ახალგაზდობას, რომელიც მხოლოდ იმას აკეთებს, რომ ქალებს დასდევს, ქეიფობს, დოღებში დაიარება და ქალების, ცხენების და ჭადრაკის შესახებ ლაპარაკობს. სხვათა შორის სახელ-განთქმულია Albermarle Club-ი, დაარსებული 1874 წელს. ეს კლუბი როგორც მამა კაცებისა, ისე დედა კაცებისაც არის.

ხშირად წევრებად მეუღლენი არიან ხოლმე. ახალი წევრი წესდების ძალით ერთხმად უნდა იქმნას მიღებული და არა ხმის უმეტესობით. ამის წყალობით კლუბი ერთ დიდ ოჯახსავით კარგ ნაცნობთა კრებულს წარმოადგენს. სადგომი ამ კლუბისა მეტად გონივრულად არის მოწყობილი. არის როგორც საზოგადო დარბაზები ორსავე სქესისათვის, აგრეთვე კერძოდ დედა-კაცებისა და მამა-კაცებისათვის. წიგნთ-საცავის, საცეკვაო, საბილიარდო დარბაზებს გარდა მამაკაცებს ერთ-გვარი დარბაზიცა აქვთ, რომელსაც სახელად „სიჩუმის დარბაზი“ ეწოდება: ხმის ამოღება და ლაპარაკება იქ არავის შეუძიან. ქალთა კლუბების შორის არსებობს ისეთებიც, რომელთაც აზრად მარტო გართობა და დროს გატარება არა აქვთ. ასეთს კლუბებში იმართება კამათი სხვა-და-სხვა საგნების შესახებ. კითხულობენ რეფერატებს და სხვა. ხშირად შეჰხვდებით ამგვარს კლუბში მდიდარ და არისტოკრატ ქალთან ერთად, ღარიბ მუშა-ქალს, რომელიც დღიურის შრომით ირჩენს თავს. უფრო ცნობილია Sesame-Club-ი. ეს კლუბი სწავლა-განათლების გავრცელებას ემსახურება. წევრები ლაპარაკს არა სჯერდებიან და საქმესაც აკეთებენ. უსაქმობა და საქმის გაკეთება იმისთვის ერთია. ხსენებულ კლუბის წევრები აარსებენ სკოლებს, მუზეუმებს, წიგნთ-საცავებსა, ჰმართავენ გამოფენებს, ერთის სიტყვით, სწავლა-განათლების გავრცელებისათვის შრომას არა ზოგავენ.

Pioneer-Club-ი დაარსებულ იქმნა მინისტრის მესსინბერდის მიერ. ეს კლუბი დედათა კითხვას ემსახურება. დედა-კაცების მონობისაგან, – განთავისუფლება ზნეობრივი, ეკონომიური, გონებრივი, – აი ის დედა-აზრი, რომელსაც ჰქადაგობს და ავრცელებს ეს კლუბი. დასასრულ ლონდონში არსებობს განსაკუთრებული კლუბი მწერალ ქალებისათვის, – „Writer's-Club“-ი. კლუბს 350 წევრი ჰყავს. საყურადღებოა ამ კლუბის წიგნთ-საცავი, სამკითხველო და სამუშაო ოთახი. მწერალ-ქალს ყოველგვარი წიგნი და ყოველივე მასალა შეუძლიან იშვოს იქ.

როგორც გაზეთები იუწყებიან კლუბის დაარსება იაპონელ ქალთაც განუზრახავთ. აშკარაა, იაპონელი ქალები ისე ადვილად ვერ განახორციელებენ ამ საქმეს, როგორც ინგლისელი ქალები: ხალხი ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის უწინდელ, ძველებურ შეხედულებისაგან განთავისუფლებული, მაგრამ მაინც ეს ამბავი მეტად საყურადღებოა. იაპონელი ქალები სცდილობენ არაფრით არ ჩამორჩენ ევროპიელთ და ეს ცდა მარტო მიბაძვით არ არის გამოწვეული: თვით ცხოვრება მოითხოვს ამას. ასეთი წარმა-

ტება იაპონელ ქალებისა სწავლა-განათლების გავრცელებას უნდა მიეწეროს. სულ 30 წელიწადია, რაც იაპონია ევროპის გზას დაადგა, მაგრამ ამ მცირე ხნის განმავლობაში ისე კარგად მოაწყო და დააყენა სწავლა-განათლების საქმე, რომ ბევრს სახელმწიფოს ამ მხრივ გაუსწრო კიდეც. („ივერია,“ N134, 1899 წელი);

**უცხოთა შორის**
**როგორ იმარჯვებენ თანდათან ქალები.**
**იაპონელის ქალის განცხადება**

რაც მეტი დრო და ხანი გადის, დედაკაცები მით უფრო და უფრო იმარჯვებენ მამაკაცებთან ბრძოლაში. რამდენს არა სცდილობენ დღესაც-კი ზოგიერთ ქვეყანაში წარჩინებულნი და ძალის მქონენი გზა შეუკრან დედაკაცებს და, ოჯახის გარდა, სხვა სამოქმედო ასპარეზზედ გამოსვლის ნება არ მისცენ, მაგრამ ისინი მაინც თავისას არ იშლიან და ნელ-ნელა იმარჯვებენ. სულ უკანასკნელ დრომდე ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში, როგორც, მაგალითად, გერმანიასა და ავსტრიაში, ქალებისათვის უმაღლესის განათლების კარები თითქმის დახშული იყო. ეხლა-კი დედაკაცები თუმცა გაჭირვებით, მაგრამ მაინც ახერხებენ იქ უმაღლესის სასწავლებელში შესვლას. მარტო ვენის უნივერსიტეტში საფილოსოფოსო ფაკულტეტზედ შარშან 40 ქალი იქმნა მიღებული. აქედგან 14 ნამდვილ სტუდენტად ითვლება, ხოლო 26 – ყურის-მგდებლად. ამას წინად ლონდონში ერთმა ქალმა, გვარად ფილიპსმა, საყურადღებო წიგნი გამოსცა. წიგნში ჩამოთვლილია ყველა ის ხელობა და საქმე, რაც დღეს დედაკაცისთვის ხელმისაწვდენია და „აღკრძალული“ აღარ არის. როგორც ამ წიგნიდგანა სჩანს, თითქმის აღარაა ისეთი ხელობა და საქმე თუ სამსახური, რომლისთვისაც დედაკაცს ხელი არ მოეკიდნოს. სხვა რომ მხედველობაში არ მივიღოთ, მარტო ლონდონში 19 ხუროთ-მოძღვარი ქალია. ბევრი ქალი ასრულებს აგრეთვე მაშინისტის თანამდებობასაც. ისეთი ქალი ხომ მრავალია, რომელნიც კონდუქტორებად, მეეტლებად, სადგურის უფროსებად, ფოსტალიონებად არიან.

**ამერიკაში 1870 წელს სულ 527 მკურნალი-ქალი იყო, დღეს-კი, როგორც სტატისტიკურის ცნობებიდგანა სჩანს, მათი რიცხვი 4,500 აღემატება. ერთი ქალი – ანიტა ნიუკომბ მაკ-ჯი იქ სამხედრო ექიმის თანამდებობასაც-კი ასრულებს. მაკ-ჯი პროფესორის ქალია და პროფესორისავე ცოლი, სწავლა 1892 წელს დაამთავრა ვაშინგტონის უნივერსიტეტში.** ამერიკაშივე, კოლორადოში, რამდენიმე დედაკაცმა შარშან მეაქციეთა საზოგადოება დაარსა. საზოგადოებას აზრად რკინის გზის გაყვანა და მისი წარმოება აქვს. გამგეობის პრეზიდენტად ქ-ნი კლაპ რეკკერტია. სხვა თანამდებობასაც დედა კაცები ასრულებენ. საზოგადოებას ძირს თანხად 10,000,000 მანეთი აქვს.

1897 წელს ავსტრიის მთავრობამ ქ-ნი დოლფინა პოპპე ვენის სასამართლოს ოფიციალურ ექსპერტად დანიშნა. პოპპე სხვა-და-სხვა ნაწერის ხელს იკვლევს. ქ-ნი პოპპე იმდენად მცოდნე და გამოცდილი გრაფოლოგია, რომ შარშან გასინჯვის დროს შეეკითხნენ, რა აზრისა ხართ ბორდეროს ნაწერის შესახებო. ჟურნალ-გაზეთებში ხომ მრავალი ქალი იღებდა და იღებს მონაწილეობას. ბევრგან მანდილოსნებმა საკუთარი გაზეთი და ჟურნალიც-კი დაარსეს, რომელის რედაქტორ-გამომცემელ-თანამშრომლებად მხოლოდ დედაკაცები არიან. პირველი ადგილი ასეთ ჟურნალ-გაზეთებს შორის დღეს ქ-ნ დიურანის გაზეთს „La Fronde“-ს უჭირავს, რომელიც პარიჟში იბეჭდება. ისეთ სახელმწიფოში, როგორიც ბრაზილიაა, ამ ჟამად ქალები ორ ჟურნალსა ჰბეჭდავენ, რომელნიც მხოლოდ დედათა კითხვას ემსახურებიან. როგორც ვუწყით, წელს რუსეთშიაც დააარსეს ქალებმა საკუთარი ჟურნალი – „Женское Дело.“

ამისდა მიუხედავად დღეს მაინც ყველგან და ყველა ქალის უმთავრესს საზრუნავსა და საფიქრებელს გათხოვება შეადგენს. რაც უნდა ქონებრივად უზრუნველ-ყოფილი იყოს ქალი, რაც უნდა კარგ საქმეს ადგეს, მაინც საქმროს ყოველთვის გაფაციცებით დაეძებს. წინანდელ დროსთან შედარებით, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ წინად (და ჩვენში ეხლაც) გულითა და სულით რომ ჰნდომებოდა ქალს გათხოვება, მაინც იმას გეტყოდათ, ქმარი არ მინდა, მოვკვდები და არ გავთხოვდებიო. ეხლა-კი ევროპიელი და ამერიკელი მანდილოსნები არამც თუ არა ჰმალავენ გათხოვების სურვილს, არამედ გაზეთებშიაც-კი აცხადებენ, ქმარს დავეძებთო. ამ შემთხვევაში ევროპიელ და ამერიკელ მანდილოსნებს იაპონიაშიაც-კი აღმოუჩნდათ მიმბაძველნი.

აი, ნიმუში იაპონელის გასათხოვარის ქალის განცხადებისა, დაბეჭდილი იაპონურ გაზეთ „კანაზავა-შიმბუემში": „მე ქვემორე ამისა ხელის მომწერელი, ლამაზი ქალი ვარ. თმა ღრუბლის მსგავსი მაქვს; ჩემი სახე გადაშლილს ვარდს მოგაგონებთ, ტანი-ალვის ხეს. ფული საკმაოდ მომეპოვება, იმდენად საკმაოდ, რომ შეგვიძლიან მე და ჩემმა საყვარელმა ქმარმა უზრუნველად გავიაროთ ცხოვრების გზა და დავტკბეთ დღისით ყვავილების, ხოლო ღამე მთვარის ცქერით. თუ აღმოჩნდება ჭკვიანი, განათლებული, ლამაზი და საინტერესო ყმაწვილი კაცი, მზადა ვარ სამუდამოდ დავუკავშირდე და სამარის კარამდე აღარ მოვშორდე." ეს კიდევ კარგია, რომ იაპონელი ქალი ჰპირდება საქმროს, „სამარის კარამდე არ მოგშორდებიო". ზევრგან ეს წყალობაც აღარაა ქალებისაგან: თუმცა გათხოვების გულით არიან მოწადინებულნი, მაგრამ ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ქმრის სიკვდილის შემდეგ უფრო კარგ გუნებაზედ დგებიან, ვიდრე იმის საცოცხლეში იყვნენ... („ივერია," N95, 1899 წელი);


*** 1898 წლის გასულს ტფილისის დედათა საბებიო ინსტიტუტში სწავლა დაამთავრა სულ 18 ქალმა. მათ შორის ოთხი ქართველია: ქეთევან თუხარელი, ნედეჟდა კობახიძე, ანასტასია ქისტიშვილი და სოფიო ლომიძე.

**გაზეთი „ივერია", 1899 წელი**

* * *

რუსეთი: 1899 წ. მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ პეტერბურგში ქალთა იმ კომიტეტმა, რომელსაც აზრადა აქვს დამოკიდებულება და კავშირი იქონიოს ქალთა საერთაშორისო სამშვიდო ლიგასთან, მიტინგი გამართა. მიტინგს 1000-ზედ მეტი ქალი და კაცი დასწრებია, მათ შორის მრავალი წარმომადგენელი ლიტერატურისა და მეცნიერებისა. **მიტინგის თავმჯდომარედ ყოფილა მკურნალი-ქალი ა. ნ. შაბანოვისა, რომელსაც მიტინგის დაწყებისას სიტყვა წარმოუთქვამს. შემდეგ წაუკითხავთ მრავალი დეპეშები და ადრესები, მიღებული რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქის და სოფლის ქალებისაგან;** სხვათა შორის ადრესები მიუღიათ ქუთაისის, ბათუმის და ბაქოს ქალებისაგანაც. ყველა ადრესებზედ ხელი უწერია 23,000 ქალს. კომიტეტს დეპეშები და

ადრესები მიუღია აგრეთვე გერმანელ, პოლონელ, ინგლისელ, იტალიელ, დანიელ, ბელგიელ, შვეიცარიელ, ავსტრიელ და ესპანელ ქალებისაგან. თავისის მხრივ კომიტეტს 4 მაისს გაუგზავნია ადრესი გაადის კონფერენციისათვის. („ივერია,“ N98, 1899 წელი);


დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. ძოგანი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისათვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია

გაზეთი „ივერია“, 1899 წელი

* * *

ოლგას საბებიო ინსტიტუტი აცხადებს, რომ თხოვნები ინსტიტუტში მოსწავლედ მიღების შესახებ უნდა წარდგენილ იქმნას სასწავლებელში 22 აგვისტომდე. მისაღები ეგზამენები დაიწყება 23 აგვისტოს. („ივერია,“ N162, 1899 წელი);

## კერძო სამკურნალო ქალებისათვის

საგუბერნიო საექიმო განყოფილებაში ამ ჟამად თურმე არაა შეტანილი თხოვნა იმის შესახებ, რომ ტფილისში ნება დართონ კერძო საქალებო სამკურნალოს დაარსებაზე. („ცნობის ფურცელი,“ N898, 1899 წელი);

## ჟურნალ-გაზეთებიდგან (ამოკრებილი ამბები)

წარსულ სექტემბერს ამერიკის შტატ ლუიზიანში მკურნალობის ხარისხის მისაღებად ეგზამენი დაიჭირა ქ-ნ ემმა ჟეკფილდმა-ახალგაზდა ზანგის ქალმა. ქ-ნი ჟეკფილდი პირველი ზანგის ქალია, რომელსაც ამერიკაში მკურნალობის ნება მიეცა. („ივერია,“ N272, 1899 წელი);

## ჟურნალ-გაზეთებიდგან (მოკრებილი ამბები)

ამერიკის ქალაქ ჩიკაგოში ქალებმა დააარსეს ახალი კლუბი, რომელსაც სახელად „ჯამრთელობის კლუბი“ ეწოდება. ამ კლუბის წევრები წესდებით ვალდებულნი არიან კორსეტები არ ატარონ და ეცადნენ სხვებიც გადააჩვიონ იმის ტარებისაგან. კლუბის წევრებმა რამდენჯერმე ლექციებიც-კი წაიკითხეს კორსეტის მავნებლობის შესახებ. ჩიკაგოს ქალების მაგალითს, როგორც იუწყებიან, ამ ბოლოს დროს ნიუ-იორკის ქალებმაც მიჰბაძეს. მათაც განიზრახეს თურმე ასეთის კლუბის დაარსება. („ივერია,“ N98, 1899 წელი);

* * *

როგორც ვუწყით, გერმანიაში ქალებს უნივერსიტეტში შესვლის ნება არა აქვთ. მხოლოდ პროფესორებს შეუძლიანთ ნება დართონ ქალებს იარონ ხოლმე უნივერსიტეტში და ლექციები მოისმინონ. ზერლინში არსებულს დედათა ასოციაციას ამას წინად პეტიცია შეუტანია რეიხსტაგში. ასოციაცია თხოულობს, ქალებს ისეთივე ნება მიეცეთ უნივერსიტეტში შესვლისა, როგორიც ვაჟებსა აქვთ. პეტიციაში ნათქვამია, რომ ქალები ვაჟებზედ თუ არა მეტად ნაკლებ არ არიან მოწადინებული უმაღლესის სწავლა-ცოდნის მიღებისაო. ამის საბუთად პეტიციაში მოყვანილია ცნობები იმის შესახებ, თუ გერმანიის სხვა-და-სხვა უნივერსიტეტში პროფესორების ნება-რთვით რამდენი ქალი დაიარება უნივერსიტეტში და ისმენს ლექციას. როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, სულ 414 ქალი დაიარება უნივერსიტეტში ლექციების მოსასმენად, აქედგან ბერლინის უნივერსიტეტში – 238, ბონისა – 26, გეტინგენისა – 32, გრეისერვარდისა 27, გალსკისა – 15, კოლსკისა – 17, კენისგსბერისა – 33 და მარბურგისა – 10. წლოვანობით ეს ქალები ასე განაწილდებიან: 22 ქალი 20 წლისაზედ ნაკლებია, 250 – 20-20 წლისაა, 142 – 30 წლისაზედ უფროსია; სარწმუნოებით: 300 პროტესტანტია, 24 კათოლიკე და 88 ებრაელი. გათხოვილია 38 ქალი, გასათხოვარი – 374 და ქვრივი – 3. 159 ისტორიასა და ფილოსოფიას სწავლობს, 90 – ხელოვნებასა და მეცნიერებას,. 72 – ახალ ენებს, 48 – საბუნებისმეტყველო საგნებსა და მათემატიკას, **14 – მკურნალობას, 3 – კბილის ექიმობას,** 13 – იურისპრუდენციასა და პოლიტიკას, 9 – ღვთის-მეტყველებას, 4 – ძველ ენებს. 144 – ვაჭრის ქალია, 138 – პროფესორისა და მასწავლებლის, 240 მემამულის, 23 – წვრილ მოხელისა. („ივერია," N99, 1899 წელი);

* * *

რუსეთი: ვარშავაში განზრახულ საფარმაცევტო საქალებო ინსტიტუტს, როგორც ისმის, მხოლოდ მოსამზადებელ სასწავლებლის ხასიათი ექმნება. ვინც მასში სწავლას დაამთავრებს, მიიღებს პროვიზორის თანაშემწისა და პროვიზორის წოდებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეკზამენს მოიხდის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზედ ანუ სამხედრო-სამკურნალო აკადემიაში. ინსტიტუტის დაარსების საქმე უკვე წარდგენილია განსახილველად საერო განათლების სამინისტროში. („ივერია," N151, 1899 წელი);

* * *

ამ რამდენისამე ხნის წინად პარიჟში კიდევ მკურნალობის დოქტორის ხარისხი მიიღო ერთმა რუსის ქალმა ანნა ჩებოლდაევმა. ამ ქალს სამაგალითო დისერტაცია დაუწერია თურმე, შემდეგის სათაურით: „რა გავლენა ჰქონდა რუსეთში სამკურნალო მეცნიერების განვითარებაზედ საფრანგეთის მკურნალობას." რუსეთში დღემდის ის აზრია გავრცელებული, რომ სამკურნალო მეცნიერების განვითარებაზედ უფრო მეტი გავლენა გერმანიის მეცნიერთა და მკურნალთა ჰქონდათო, ქ-ნი ჩებოლდაევი-კი ამტკიცებს, რომ რუსეთზედ საფრანგეთის მეცნიერებს უფრო მეტი გავლენა ჰქონდათ, ვიდრე გერმანიისასაო. („ივერია," N272, 1899 წელი);

* * *

დიდის მთავრინა ოლგას სახელზედ არსებულ ამიერ კავკასიის საზებიო ინსტიტუტის დაარსების დღიდან 25 წლის შესრულების გამო მისმა იმპერატორებითმა

უმაღლესობამ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ აღნიშნულს ინსტიტუტს შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა:

„ვულოცავ ჩვენს ინსტიტუტს 25 წლის არსებობას. გულ-წრფელ და მხურვალე მოლოცვისა და გრძნობათათვის გულითადად გმადლობთ. ღმერთმან ინებოს, რომ მომავალში უფრო აჰყვავდეს და იზარდოს ამ ჩემთვის სასარგებლო მოღვაწეობა. შრომისათვის ინსტიტუტის ყველა მოღვაწეთ გულითადად გმადლობ." „მიხეილი."

ეს დეპეშა ინსტიტუტს შემდეგის დეპეშის საპასუხოდ მოუვიდა:

„ოლგას სახელზედ არსებული ამიერ კავკასიის საზებიო ინსტიტუტი დაარსებიდგან 25 წლის შესრულების გამო თავისს ბედნიერებადა სთვლის მუდმივის მოწყალე ზრუნვისთვის თქვენს იმპერატორებითს უმაღლესობას მასწავლებელნი, მოსწავლენი და ინსტიტუტის მზრუნველობის ქვეშ მყოფნი მხურვალე ლოცვას აღავლენენ უფლისა მიმართ თავისს უავგუსტოეს მფარველის სადღეგრძელოდა და ინსტიტუტის დამაარსებლის, აწ ღვთივ მიერ განსვენებულის დიდის მთავრინას სულის მოსახსენიებლად. დირექტორი ფიშერი."

აღნიშნული ინსტიტუტი 1873 წ. იქმნა დაარსებული მშობიარეთა დასახმარებლად, მაგრამ 1875-ში საზებიო სასწავლებლად იქნა გადაკეთებული ორის წლის კურსით, რომლის განმავლობაშიაც მოსწავლეთ ბებიებად ამზადებდნენ. 25 წლის შესრულების გამო დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ 20,000 მან. შესწირა ინსტიტუტთან ახლის შენობისა ასაგებად საგინეკოლოგო (დედათა) განყოფილებისთვის და 2,050 მა. სხვა-და-სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, რომელთათვისაც ყოველ წლიურ სახარჯო თანხიდან ფული არ ჰყოფნის ინსტიტუტსა. („ივერია," N91, 1900 წელი);

### პირველი კერძო სამკურნალო, ექიმის ნავასარდიანისა (კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა:

დილაობით:

ბ.ა. ნავასარდიანი, 11-12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ.მ. ჩიქოვანი. 9-10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ.ი. ბაბანასიანცი – დილით 11-12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.**

კ.ი. გძელიშვილი. 12-1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა.პ. კარაპეტიანცი 1-1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ვ.გ. წერეთელი, 6-8 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½-8 საათ.

ვ. მ. მახვილაძე – ქიმიო-მიკროსკოპული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაურ; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისთვის – მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი – 11-1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასაჟს," აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная льчебница Д-ра Навасардиана. Тифлись, против памятн. Воронцову. („ივერია," N132, 1900 წელი);

**ტფილისის კერძო სამკურნალო მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ც.ი. ჭიჭინაძე – კბილის სნეულებანი. 8-10 საათ.

ზ.გ. მაღალაშვილი – შინაგანი – 9-10 საათ.

ი.პ. ახალშენიშვილი, კბილის სნეულებანი, 10-2-მდის.

მ.ა. პორკოვსკი – შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპული გამოკვლევანი 10-11 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი – ნერვებისა და წამლობა ელექტრონით – 11-12 საათ.

ნ. ტ. მულინი – ყურისა, ყელისა და ცხვირისა – 11-12 საათ.

ა. ნ. შატილოვი – თვალისა 12-1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი – 12½-1½ საათ. სადოსტაქრო.

ი.თ. ბეგთაბეგოვი – სიფილისისა, კანისა და საშარდესი – ½-2 საათ.

საღამოთი:

დ.ა. გედევანიშვილი – ნერვებისა და შინაგანი – 5-6 საათ.

**ი. ნ. თურმანიშვილი – დედათა სნეულებანი – 5-6**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები – მორიგებით. კრაოტი – 4 . დღე და ღამეში ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზისა ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, N 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ) ტელეფონი N274. დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი. („ივერია," N132, 1900 წელი);

* * *

რადგანაც მაჰმადიანთა ქალები იშვიათად მიჰმართავენ ხოლმე მამაკაც-მკურნალებსა და ფერშლებს, ამის გამო მთავრობას განზრახვა აქვს ტფილისში დედათა საფერშლო სკოლა დააარსოს. („ივერია," N146, 1900 წელი);


✦ რადგანაც მაჰმადიანთა ქალები იშვიათად მიჰმართავენ ხოლმე მამაკაც-ექიმებს და ფერშლებს, ამიტომ განზრახვა აქვთ დააარსონ ტფილისში ქალთა საფერშლო სკოლა.

**გაზეთი „ივერია", 1900 წელი**

* * *

აზნაურის ქვრივს ჟოზეფინა ლალაევისას 4 ათასი მანეთი შეუწირავს მიხეილის საავადმყოფოს სულით-ავადმყოფთა განყოფილებაში ერთის ავადმყოფის ადგილის მოსამატებლად. („ივერია,“ N7, 1900 წელი);

* * *

წელს სრულდება 25 წელიწადი, რაც არსებობს ტფილისში საბებიო ინსტიტუტი. ამ ჟამად ინსტიტუტში სწავლობს 104 ქალი. („ცნობის ფურცელი,“ N1080, 1900 წელი);

**ჟურნალ-გაზეთებიდგან (ამოკრებილი ამბები)**

**არც ერთს უმაღლესს სასწავლებელში არა სწავლობს იმდენი ქალი, რამდენიც ლონდონის სამკურნალო ინსტიტუტში. ამას წინად ინსტიტუტის მთავრობამ გამოსცა სია იმ ქალთა, რომელთაც ინსტიტუტში დაუმთავრებიათ სწავლა. როგორც ამ სიიდგანა სჩანს, ინსტიტუტში სწავლა-დამთავრებული ქალები მთელს დედამიწის ზურგზედ არიან გაფანტულნი. ზოგი ველურსა და გაუნათლებელთა შორის ერთსა და იმავე დროს მკურნალობასაც ეწევა და მისიონერობასაც. ინდოეთის თითქმის ყველა ქალაქში შეჰხვდებით მკურნალ-ქალს ლონდონის ინსტიტუტში სწავლა-დამთავრებულს. ბლომად არიან მკურნალი ქალები ჩინეთსა, აფრიკასა და სპარსეთშიაც კი. თვით ინგლისში სამკურნალო ინსტიტუტიდგან გამოსული ქალები უმთავრესად დამზღვევ საზოგადოებებსა და საფოსტო დაწესებულებებში მსახურებენ მკურნალებად.**

საფრანგეთში ამ ბოლოს დროს საქარხნო წარმოებაში დედაკაცებმა დიდი ადგილი მოიპოვეს, თითქმის ერთი მესამედი იმისა, რაც იქ ქარხნებში მზადდება, დედაკაცის ხელით არის გაკეთებული. საშუალო საუკუნოებში საფრანგეთის დედაკაცს მუშაობის ნებას არც-კი აძლევდნენ. დედაკაცს არ შეეძლო, მაგალითად, მეექსოვა რამე და შემდეგ ეს ნაქსოვი გაეყიდნა. მხოლოდ მე-XVII საუკუნის მიწურულში მკერვალი ქალები შეერთდნენ, ერთი ორგანიზაცია დააარსეს და გულ-მოდგინედ შეუდგნენ შრომას. ამ მიმდინარე საუკუნის მე-50 წლებამდე დედაკაცს მცირე სასყიდელი ეძლეოდა შრომისათვის. დედაკაცების რიცხვმა საფრანგეთის ქარხნებში მხოლოდ მე-50 წლიდგან იმატა 1864 წელს საქარხნო წარმოებაში მუშაობდა სულ 27% მთლად ფრანგ ქალებისა. 1873 წელს ეს რიცხვი 33 პროცენტამდე ავიდა, ხოლო ეხლა 38%-ია. ამასთან საყურადღებოა შემდეგი მოვლენაც: მას შემდეგ, რაც საქარხნო წარმოებაში დედა-კაცების რიცხვმა იმატა, მამაკაცებისამ იკლო. ალბად ეს მოვლენა იმით აიხსნება, რომ დედაკაცის შრომა უფრო იაფად ფასობს, ამასთან თვით მამაკაცები კანტორებში შრომას ამჯობინებენ, ვიდრე ქარხნებში, თუმცა სასყიდელი ქარხანაში უფრო დიდია, ვიდრე კანტორაში. ამ უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში საფრანგეთის ქარხნებში მომუშავე მამაკაცთა რიცხვს 75,000 კაცი მოაკლდა, ხოლო დედაკაცთა რიცხვს 120 000 ქალი მიემატა. განსაკუთრებით ძვირად ფასობს დედაკაცის შრომა სამხატვრო წარმოებაში. სათამაშოების და ხელოვნურ ყვავილების მომზადების საქმე ხომ მთლად დედაკაცების ხელშია. ამ ჟამად საფრანგეთში ქალთა ტანისამოსის კერვას 400,000 ადამიანი ადგია, აქედგან მამაკაცი მხოლოდ 10,000-ია, დანარჩენი დედაკაცები არიან. („ივერია,“ N70, 1900 წელი);

* * *

მკურნალი-ქალები აზიის გაუნათლებელ სახელმწიფოებში უფრო ბევრ სამუშაოსა ჰშოულობენ, ვიდრე თვით ევროპაში, შეიძლება ამისი მიზეზი ისიც იყოს, რომ

ევროპაში მრავლისაგან-მრავალ მამაკაც მკურნალებს მეტოქეობას ვერ უწევენ. ასე თუ ისე, ამ ჟამად ინდოეთში თითქმის არც ერთი ქალაქი არ არის, სადაც ერთი მაინც მკურნალი ქალი არ იყოს. აზიის თითქმის ყველა მეფეებს შინაურ მკურნალებად ქალები ჰყავთ, ამ ბოლოს დროს მკურნალი ქალები ჩინეთსა და იაპონიაშიაც გავრცელდნენ, ჩინეთში საუკეთესო სამკურნალო შანხაიში არსებობს, ხოლო ამ სამკურნალოში მკურნალებად მარტო ქალები არიან. ჩინეთის სხვა ქალაქებშიაც ბევრი მკურნალი ქალია, საყურადღებოა ის გარემოება, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ძალიან ეტანებიან მკურნალ-კაცებს და მისსიონერებს. როგორც იაპონიის მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, იაპონიაშიაც ძალიან ბევრი მკურნალი-ქალი ყოფილა; მხოლოდ ეს ქალები იაპონელებივე არიან, იაპონიის უნივერსიტეტში სწავლადამთავრებული, მაშინ, როდესაც სხვაგან, აზიაში, მყოფი მკურნალი-ქალები ევროპიელნი, უმთავრესად ინლისელნი, არიან. („ივერია," N131, 1900 წელი);

* * *

ამას წინად ქ. ბამბერგში ერთ სამეცნიერო საზოგადოების კრებაზედ პროფესორ-ქალს ლიდია კემპნერს საყურადღებო მოხსენება წაუკითხია ჭლექის გაცილების შესახებ. თავისის გამოკვლევებით ამ ახალგაზდა ქალმა უკვე მიიქცია ევროპის მეცნიერთა ყურადღება. კემპნერი რუსეთის ქვეშევრდომი და აქაურს გიმნაზიაში სწავლა დამთავრებულია. შემდეგ კემპნერმა ბერნსა და ციურიხში იურისპრუდენცია შეისწავლა და დოქტორის ხარისხი მიიღო. 1894 და 1895 წელს იგი ბერლინის ლაბორატორიაში მეცადინეობდა რობერტ კოხის ხელმძღვანელობით. შემდეგ კემპნერი ფილადელფიის უმაღლესს დედათა კოლეგიამ მიიწვია დოცენტად და საბაქტეოროლოგიო ლაბორატორიის გამგედ, ორი წლის წინად ახალგაზდა დოცენტი ექიმ კემპნერს მისთხოვდა. ამას წინას კემპნერს პროფესორობაც მიანიჭეს, წინანდელი გვარი კემპნერისა რაბინოვიჩია. („ივერია," N235, 1900 წელი);

* * *

მკურნალმა ქალმა მ. ს. ბაქრაძემ, რომელმაც სამკურნალო განათლება საფრანგეთში მიიღო, უკვე დაიწყო პრაქტიკა ტფილისში. იგი ამ ჟამად მ. გედევანიშვილის სამკურნალოში იღებს ავადმყოფებს. მ. ს. ბაქრაძეს, სხვათა შორის, ტფილისის პირველ დედათა საკვირაო სკოლისა და კუკიისა, ვერისა და ავლაბრის სკოლების მკურნალობაც უკისრნია. („ივერია," N272, 1900 წელი);

* * *

შეერთებულ შტატებში მრავალი ქალი ვექილი, **მკურნალი** და მღვდელია, უტისა, კანზასისა, იდახოსა და ვიომანგის შტატებში ქალებს ყველა თანამდებობის დაჭერის უფლება აქვთ. მრავალია ეხლა იქ ქალი ქალაქის მოურავი, პოლიციის უფროსი, საკანონმდებლო საკრებულოს წევრი და სხვ. ეხლა მიჩიგანის შტატში ერთი ქალი ქ-ნი აბბატი პირველად ასრულებს სახელმწიფო პროკურორის თანამდებობას. წინად ქ-ნი აბბატი თავისს ქმართან ერთად ვექილობდა. („ივერია," N254, 1900 წელი);

**ჟურნალ-გაზეთებიდგან (ამოკრებილი ამბები)**

პარიჟის უნივერსიტეტში მრავალი უცხო-ქვეყნელი სწავლობს. შარშან, მაგალითად, მარტო სამკურნალო ფაკულტეტზედ 570 უცხო-ქვეყნელი ითვლებოდა, აქედგან 180 კაცი რუსეთიდგან იყო. უმრავლესობას ქალები შეადგენენ. სახელდობრ 129 რუსეთის ქვეშევრდომი ქალი ითვლებოდა შარშან სამკურნალო ფაკულტეტზედ. („ივერია,“ N69, 1900 წელი);

**ჟურნალ-გაზეთებიდგან (ამოკრებილი ამბები)**

ზინბენზიურგენში ქალაქ მედიაშის თვითმმართველობამ ამას წინად ქალაქისათვის დიდის საავადმყოფოს აგება ახალგაზდა ქალს ხუროთ-მოძღვარს – ერიკა პაულას მიანდო. ერიკა პაულასი შვეიცარიელია, ინჟენერის ქალი, დაიბადა 1875 წელს ციურიხს; 1883 წლიდგან-კი დედ-მამასთან ერთად ბისტრიცში სცხოვრობს. იქ სამოქალაქო სკოლაში სწავლობდა. პატარობითვე პაულას საშინლად უყვარდა ხაზვა და სხვა. 1892 წელს ქალაქის საინჟენერო უწყებაში მიიღო მცირე ადგილი მხაზავისა. ახალგაზდა ქალი გულმოდგინედ შეუდგა გეგმის შედგენას და თვისდა თავად ეს საქმე ისე კარგად შეისწავლა, რომ ერთს დღეს მთავრობას წარუდგინა მშვენიერი გეგმა ქალაქის ყაზარმებისა. სამი წელიწადი კიდევ იმეცადინა და 1895 წელს სამაგალითოდ დაიჭირა ეგზამენი ხუროთ მოძღვრებაში. პირველ ხანს, რასაკვირველია, ეჭვის თვალით შეჰხედეს ქალს-ხუროთ-მოძღვარს, რა ეცოდინებაო, გაიძახოდა ყველა; მაგრამ, როდესაც პაულასმა, ნაცნობებსა და ნათესავების მეცადინეობით, რომელთაც საჭირო თანხა უშოვნეს, რამდენიმე მშვენიერი სახლი ააგო, ეს ეჭვი გაიფანტა და დღეს ახალგაზდა ქალს აუარებელი საქმე აქვს მინდობილი. („ივერია,“ N247, 1900 წელი);

* * *

ამ დღეებში რომის უნივერსიტეტის ახალგაზდა პრივატ-დოცენტს ტერეზა ლა ბრიოლას პირველი ლექცია წაუკითხნია ფილოსოფიიდგან. ლექციას დიდ-ძალი ხალხი დასწრებია. აუდიტორია, კარიდორები და უნივერსიტეტის ეზო სავსე იყო თურმე ხალხით. ლაბრიოლას დიდის აღტაცებით მიეგებნენ. **ამავე დღეს პირველი ლექცია წაუკითხნია ანატომიიდგან პავის უნივერსიტეტში მეორე ქალს, რინა მონტის, მკურნალობის დოქტორსა. ხალხი ამ ქალსაც დიდის აღტაცებით მიჰგებებია. („ივერია,“ N14, 1901);**

* * *

პრაგის უნივერსიტეტში ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი ქალმა პირველად ამას წინად მიიღო. ეს ქალი მარიამ ბაზორია. („ივერია,“ N135, 1901 წელი);


* * *
პრაგის უნივერსიტეტში ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი ქალმა პირველად ამას წინად მიიღო. ეს ქალი მარიამ ბაზორია.

**გაზეთი „ივერია,“ 1901 წელი**

* * *

ჟენევის უნივერსიტეტში მოსწავლე ქალთა რიცხვმა ძალიან იმრავლა. იმდენი სტუდენტი ქალი, რამდენიც წლეულსა სწავლობს, არასოდეს არა ყოფილა იქ. სამკურნალო ფაკულტეტზედ მოსწავლე ქალთა რიცხვი 197-თა სჭარბობს ვაჟთა რიცხვს. უმრავლესობას რუსეთის ქვეშევრდომნი შეადგენენ. („ივერია,“ N26, 1901 წელი);

**ჟურნალ-გაზეთებიდგან ამოკრებილი ამბები**

ამ ჟამად მთელ დედამიწის ზურგზედ 7 000-მდე მკურნალი-ქალია თურმე. დღეს ყველგან შეჰხვდება კაცი მკურნალ ქალს როგორც ევროპასა და ამერიკაში, ისე აფრიკასა, ავსტრალიასა, ინდოეთსა და ჩინეთში, სადაც ამას წინად ამერიკიდგან დაბრუნდა მკურნალობის დოქტორი, ჩინელ მანდარინის ენგის ქალი. ამ ქალმა ფილადელფიის უნივერსიტეტში მიიღო დოქტორის ხარისხი.

ამას წინად პარიჟში მარსელ ბოდუენს გამოუცია საყურადღებო წიგნი მკურნალ-ქალთა შესახებ. ავტორი წიგნისა მოგვითხრობს, რომ მკურნალი ქალები უძველეს დროსაც იყვნენო. ამათ შორის უძველეს მკურნალად ცნობილია კარიის დედოფალი არტემიზა; შემდეგ ტეანო, შესანიშნავის პითაგორის მეუღლე, რომელსაც მკურნალობის გარდა კარგადა ჰქონდა თურმე შესწავლილი ფილოსოფია და იმ დროის მეცნიერებანი; არეტე, რომელიც იმდენად დახელოვნებული მკურნალი ყოფილა, რომ ერთ უსინათლოსათვის მხედველობა დაუბრუნებია.

პირველი ქალი, რომელმაც მკურნალობა სკოლაში შეისწავლა, იყო ათინელი აგნოდიკა, რომელიც ქრისტეს დაბადების შემდეგ პირველ საუკუნეს სცხოვრობდა. ამ მხნე ქალმა გაიკრიჭა თმა, ჩაიცვა მამაკაცის ტანისამოსი და ვინმე გიეროფილთან მკურნალობის შესწავლას შეუდგა. მაგრამ შურიანმა ამხანაგებმა, მოსწავლე მამაკაცებმა, აგნოდიკაზედ საჩივარი შეიტანეს უმაღლეს სასამართლოში. სასამართლომ, კანონის მიხედვით, რომელიც ქალებთა და მონებს სასტიკად უკრძალავდა მკურნალობას, დამნაშავედ იცნო აგნოდიკა. მაგრამ ამ დროს ათინის მაღალის საზოგადოების მანდილოსნებმა გამოიდეს თავი და სენატს გამოაცემინეს ახალი კანონი, რომლის ძალითაც ქალებს ქალებისავე მკურნალობის ნება მიეცათ.

რომაელების მიერ საბერძნეთის დაპყრობის შემდეგ, მცირე აზიასა და რომში მკურნალობას რამდენიმე ქალი მისდევდა. ისტორიკოსნი ორ სხვა მკურნალ ქალსაც იხსენებენ: ერთი მათგანი ასპაზიაა, რომელიც პირველ საუკუნის დამლევს სცხოვრობდა. ამ ქალს მრავალი საყურადღებო ნაწერი დარჩენია. შემდეგ იხსენიებენ კიდევ ვინმე კლეოპატრას. ძველ ჰალიაშიაც მისდევდნენ ქალები მკურნალობას. ცნობილნი არიან, მაგალითად, გედონე (სცხოვრობდა მე-2 საუკუნეში) და ლიონელი მკურნალი ქალი მეტილია დონატა. („ივერია,“ N133, 1901 წელი);


მკურნალი-ქალი
მარიამ ბაქრაძე
იღებს ავადმყოფ ბავშვებს ყოველ დღე დილით 1-დან 3 საათამდე. ოლგინის ქუჩა, № 13. (10—10)

**გაზეთი „ივერია“, 1901 წელი**

* * *

ვინ არ იცის, რა მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის კორსეტი. სხვა ვნებასთან ერთათ კორსეტი ქალს სუნთქვასაც უძნელებს. კაცს შეუძლიან შეისუნთქოს 5,500-6000 კუბიკური სანტიმეტრი ჰაერი; ის ქალი-კი, რომელიც კორსეტს ატარებს, 2500 კუბიკ. სანტიმ. შესუნთქვას ახერხებს მხოლოდ. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ქალთა სასწავლებელში, სადაც კორსეტებს არ ატარებენ, 14-16 წლამდე ქალები სუთქვას უმატებენ: ჰაერის რაოდენობა, რომელსაც ამ დროს ქალი ისუნთქავს, 3 500 კუბიკურ სანტიმ. გამოიხატება. შემდეგ-კი, როდესაც ქალი კორსეტის ხმარებას იწყობს, ეს რაოდენობა 2 500 კუბ. სანტიმეტრამდის ჩამოდის. აშკარაა, იმისი ორგანიზმი, ვინც საკმაო ჰაერს არ ისუნთქავს, განვითარებას მოკლებულია. დოქტორმა კირილოვიჩმა კორსეტი გოჭებს შემოარტყა. ოთხის თვის შემდეგ ეს გოჭები დაიხოცნენ, ისე ცუდად იმოქმედა მათზედ კორსეტმა. („ივერია," N192, 1901 წელი);

* * *

ერთი ჩიკაგური გაზეთი საინტერესო ცნობებს გადმოგვცემს მკურნალ ქალთა რაოდენობის შესახებ მთელ დედამიწის ზურგზედ, როგორცა სჩანს, მთელ დედამიწაზედ 8 000 მკურნალი ქალი ყოფილა აქედგან შეერთებულ შტატებში – 6,000, ინგლისის იმპერიაში – 400, რუსეთში – 700, საფრანგეთში – 85, იტალიაში – 20. ინდოეთში 133 საავადმყოფოში მკურნალებად მხოლოდ ქალები არიან. ერთი მკურნალი ქალი ქაირშია, ერთიც ალექსანდრიაში, ერთი შვეიცარიელი ქალი მკურნალად არის აბაშეთის ნეგუს მენელიკთან. იტალიის დედოფლის ლეიბ-მკურნალიც ქალია. („ივერია," N219, 1901 წელი);

**წერილი რედაქციის მიმართ *)**

ჩვენ, მოსკოვის უმაღლეს კურსებზედ მოსწავლე ქალებმა, გავიგეთ გაზეთებიდგან, რომ უმაღლესად ნაბოძები 2 000 მანეთი თავად-აზნაურობამ განიზრახა გაუნაწილოს სტიპენდიებად სტუდენტებს. აქედგან სჩანს, რომ ამ განზრახვით მოსწავლე ქალები სრულებით უყურადღებოდ არიან დატოვებულნი და ეს სწორედ იმ დროს, როდესაც მათი რიცხვი თვალ-საჩინოდ იზრდება; წრეულს, მაგალითად, მოსკოვში სწავლობენ ქალების უმაღლესს კურსებზედ – ორი, საპედაგოგიო კურსებზედ – ორი, **კბილის საექიმოზედ – სამი.** გარდა ამისა, არიან მოსწავლენი საფილორმონიო, საბუხგალტერო კურსებზედ და კონსერვატორიაში. ამათგან სამი ყმაწვილი ქალი, მშობლებთა სიღარიბის გამო, შინაურებთაგან დახმარებას მოკლებულნი არიან და ამ ჩრდილოეთის ცივ, ჩვენებური სუსტი აგებულობის ქალთათვის ძნელად ასატან ჰავაში შევიწროვებულად სცხოვრობენ. პეტერბურგში-კი უმაღლეს კურსებზედ მოსწავლე ქალები, როგორც ვიცით, ამაზედ მეტია. ამას გარდა არიან სხვა ქალაქებშიაც სამეურნეო სასწავლებელში, საზღვარ-გარეთაც და მაინც ყველა ეს ერთობ მცირედი ნაწილია სწავლა-განათლების მსურველი ქალებისა.

ნუ-თუ ჩვენს დროში საჭიროა იმის განმარტვა, რომ სწავლა-განათლება მარტო მამა-კაცის საკუთრებად არ უნდა ითვლებოდეს?!.. ჩვენ აქ, რუსეთის დედა-ქალაქში, ნათლად ვხედავთ, როგორის გულ-მტკივნეულობით და ყურადღებით ეკიდება აქაური განათლებული საზოგადოება უმაღლესს სასწავლებელში მოსწავლე ქალების დახმარების საქმეს. ჩვენში-კი, არა-თუ დახმარებას და თანაგრძნობას, არამედ წინააღმდეგობასაც უწევენ ქალების განათლებას. ყველამ კარგად იცის რამდენი ზნეობრივი ტანჯვა უნდა გამოიაროს ქართველმა ქალმა ჩვენში, რომ წავიდეს სადმე განათლების დასამთავრებლად და თუ ამას დავუმატებთ კიდევ იმას, რომ უმეტესობას

მატერიალური შეძლება არა აქვს, რადგანაც მშობლებიც უპირატესობას ყოველთვის ვაჟებს აძლევენ, მაშინ ყველას ცხადად შეუძლიან წარმოიდგინოს ჩვენებური ქალის მდგომარეობა, რომელსაც დღეს სულით და გულით სწყურიან განვითარება.

**ნუ თუ ჩვენს ქვეყანაში საჭირონი არ არიან განათლებული ექიმი-ქალები? ყველასთვის ცხადი უნდა იყოს ის ჭეშმარიტება, რომ ავადმყოფი ქალი უფრო ადვილად და გულიანად მიმართავს და აუხსნის თავისს მდგომარეობას ექიმ-ქალს, ვიდრე მამაკაცს; ჩვენში ეს ჭეშმარიტება უფრო შეგნებული უნდა იყოს, რადგანაც ქართველი ქალი, ბუნებით უფრო მორცხვი და მორიდებული, როგორც ყველამ იცის, არჩევს გადაიტანოს მძიმე სენი და ტანჯვები, ვიდრე ექიმ-მამაკაცს მიმართოს.**

ნუ-თუ არ არიან საჭირონი ჩვენში განათლებული აღმზრდელი მასწავლებელი ქალები, ოჯახობა-მეურნეობის მცოდნენი და განათლებულ-შეგნებული დედები?! ჩვენ, მოსწავლე ქართველ ქალებს, ის გვაქვს საწყენად, რომ ჩვენმა მოწინავე საზოგადოებამ დაივიწყა, რომ ქართველ ერის ნახევარი ქალთაგან შესდგება და ამისთანა ღრმა მნიშვნელოვან კითხვაში სქესობრივი უპირატესობა მამაკაცებს მიანიჭა. მაგრამ მაინც ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, რომ თავად-აზნაურობის გადაწყვეტილება საბოლოო არ არის და, რომ სამართლიანად გასჯიან ამ საქმეს და ყურადღებას მიაქცევენ უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლე ქალების მდგომარეობას. /მოსკოვში მოსწავლე ქართველი ქალები/.

რედაქციისაგან: სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსკოვში მოსწავლე ქართველ ქალების საყვედური სიმართლეს არის მოკლებული და მათი საჩივარი, ვითომც „ჩვენის საზოგადოებისაგან მოსწავლე ქალები სრულიად უყურადღებოდ არიან დატოვებულნი," უსაფუძვლოა. ამას ცხადად დაინახავენ თვით ეს ქალები, როდესაც შეიტყობენ ამის შესახებ მოსაზრებას იმ კომისიისას, რომელსაც შარშან ოკდომბერს თავად-აზნაურობამ მიანდო განხილვა უმაღლესად ნაბოძები ფულის უკედ მოხმარებისა. „ჩვენის აზრითაო, ნათქვამია, იქ, უფრო სასურველი და სასარგებლოც იქნება უმაღლესად ნაბოძების ორი ათასის თუმნით დაარსდეს ყოველგვარ, უმაღლესს თუ საშუალო სახელმწიფო სასწავლებელში – ქალთა და ვაჟთათვის – მთელი რიგი სტიპენდიებისა." ეს მოსაზრება თავის დროზედ გამოცხადებული იყო ჩვენს გაზეთებში, და თუ მოსკოვში მოსწავლე ქალებს ვერ ამოუკითხავთ, ბრალი მათივე უნდა იყოს და არა სხვისი. დასასრულ ვურჩევთ მოსკოვის ქალებს მეტი დრო მოანდომონ ქართულ ჟურნალ-გაზეთების კითხვას, თუ სურთ მომავალში აიცდინონ თავიდგან ამგვარივე შეცდომა. *) „ცნობის ფურცელის" რედაქციას ვთხოვთ გადაჰბეჭდოს ეს წერილი თავის გაზეთში. („ივერია," N234, 1902 წელი);

* * *

ტფილისის განაპირა უბნებში, ამ უკანასკნელ დროს, გავრცელებულა მელოგინე ქალთა სიკვდილი. თუ გამოიკითხავთ, შეიტყობთ, რომ მათის გარდაცვალების მიზეზი მშობიარობის შემდეგ ანთება არის. ამ მოვლენას ადგილი აქვს უფრო ისეთ ხელოსანთა ოჯახებში, რომელთა შორისაც მცოდნე და გამოცდილ დედაკაცების რიცხვი ძრიელ მცირეა. ძველ დედაკაცთა ცოდნა მშობიარე ქალთა მოვლისა მთლად დაეცა და ახალგაზრდებმა-კი მათის მოვლისა არა იციან-რა. ეს საგანი ჩვენის ღარიბ ქალებისათვის მეტად საყურადღებოა. ამ მოკლე დროში, ერთის კვირის განმავლობაში, კუკიის სასაფლაოზედ დაასაფლავეს ათზე მეტი ქართველი ქალი, მშობიარობის შემდეგ ანთების მსხვერპლნი. რუსულს ენაზედ მშობიარე ქალთა მოვლის შესახებ წიგნები ასობით მოიპოვება და ქართულზედ-კი არც ერთი. ამ გარემოებისათვის ერთს ქართველს მანდილოსანს ყურადღება მიუქცევია და რუსულის ენიდამ ქართუ-

ლად უთარგმნია „საქალებო ჰიგიენა“ და დასაბეჭდად მოუმზადებია. („ივერია,“ N13, 1902 წელი);

### ნარკვევი

ქალების უნივერსიტეტში მიღების მოწინააღმდეგენი იმით ასაბუთებენ თავისს აზრს, რომ რუსეთში ბევრია საქალებო უმაღლესი სასწავლებელი და მსურველთ შეუძლიანთ იქ განაგრძონ სწავლა-განათლებაო. თუ რამდენად უსაფუძვლოა ამ ვაჟბატონების არგუმენტაცია, ამას აშკარად ამტკიცებს ჟურნალი „რუს. ვრაჩი.“ 1901 წ. პეტერბურგის უმაღლეს საქალებო კურსებზედ თხოვნა შემოიტანა 548 ქალმა და მიღებული-კი იყო მხოლოდ 296. **უფრო ცუდს მდგომარეობაშია საქმე სამკურნალო ინსტიტუტში. 1899 წელს ამ ინსტიტუტში შემოტანილი იყო 400 თხოვნა და მიღებული-კი მხოლოდ 165 ქალი, 1900 წ. 726 მთხოვნელთაგან მიიღეს მარტო 200. გარდა ამისა, კურსებზე და ინსტიტუტში მიღებულთათვისაც არ არის აუდიტორიები, კლინიკები, სამოსწავლო ნივთები; პროფესორების რიცხვი არ არის სამყოფი, მათ მაგიერობას ხშირად ასისტენტები და მასწავლებლები სწევენ**. უმაღლესის კურსების პროგრამა უნივერსიტეტის პროგრამაზე დაბლა სდგას და უმაღლეს კურს-დამთავრებულთ ვერ მოუხერხებიათ შესაფერად გამოიყენონ თავისი ცოდნა. მაგრამ განა „რეაქციისათვის“ საბუთები არსებობს?! („ივერია,“ N34, 1902 წელი);

* * *

მიხეილის საავადმყოფოში სულით ავადმყოფ ქალთათვის დანიშნულია სულ 12 ადგილი; ხოლო ამ ჟამად დაწესებულ რიცხვის გარდა, ათს ავადმყოფ ქალს ინახავენ. ეს გარემოება ცხადად ამტკიცებს, რომ საჭიროა ტფილისში იქონიონ უფრო ფართო თავშესაფარი სულით ავადმყოფ ქალთა და კაცთათვის. ამ ჟამად საავადმყოფო ყოველ დღე რამდენსამე ავადმყოფს უარს ეუბნება მიღებაზე, რადგანაც ალაგი არა აქვს („კავკ.“). („ცნობის ფურცელი,“ N1810, 1902);

* * *

ჩინეთის ქვრივმა დედოფალმა ბრძანება გადმოსცა, რომ ჩინელი ქალები ფეხებს არ იმახინჯებდენ. ჩინეთში ჩვეულებადა აქვთ ბავშვობიდან ქალებს კალაპოტში ჩაუწყობენ ფეხებს, რომ არ დაეზარდოთ, და ამგვარად საშინლად უმახინჯებენ. ბევრი სხვა იარაღიცა აქვთ, რომლითაც ფეხის ზრდას ავიწროებენ. ჩინელი ქალები ძლივს დადიან, წელკავიანი თხებივით, მეტად ვიწრო ფეხსაცმელების გამო. აი ამ ჩვეულების წინააღმდეგი ბრძანება გამოსცა ქვრივმა დედოფალმა, რაც სასტიკად უნდა აასრულონ მეტადრე დიდ და წარჩინებულ საზოგადოების ქალებმა. მეორე ბრძანებაც გამოსცა ქვრივმა დედოფალმა, ჩინელებს ნება ეძლევათ მანჯურიელი ქალები შეირთონ (აქამდის არ შეეძლოთ ჩინელებს მანჯურიელი ქალის შერთვა). მანჯურიელები ჩინეთის დამპყრობელთა პირდაპირ შთამომავლად ითვლებიან, და აქედან მომდინარეობს დღევანდელი სამეფო გვარეულობა. მანჯურთა ოჯახებიდან ყოველთვის ირჩევდნენ საჭურისები იმპერატორთა ჰარამხანებისთვის ხასებს. („ცნობის ფურცელი,“ N1761, 1902 წელი);

### ქალების პირ-ბადე

გერმანიის გამოჩენილი თვალის ექიმი ნაგელი დიდი-ხანია ჰქადაგებს ქალების პირ-ბადის (ვუალი) წინააღმდეგ და, აი, ეხლაც ამის შესახებ ერთ საექიმო ჟურნალში მოგვითხრობს თავისის დაკვირვებით რა გამოიტანა: 88 თვალით ავადმყოფი

შეუსწავლია; ყველა ესენი პირ-ბადეს ატარებდნენ, და როგორც ეს მეცნიერი მოგვითხრობს, ას ქალში 77 თვალს იფუჭებს პირ-ბადის ხმარებით. თვალის სისუსტე მხოლოდ ოთხის წლის შემდეგ გამოაჩნდება თურმე. იმასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონია, განიერსა და ვიწრო პირ-ბადეს ატარებს ქალი, ან ახლოს აქვს თვალთან, თუ არა; აგრეთვე ფერსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონია. ექიმი ნაგელი ურჩევს უფრო შავი-ფერის და განიერის პირ-ბადის ხმარებას. („ცნობის ფურცელი," N2002, 1902 წელი);

* * *

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებია-ქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და ოლგის საბებიო ინსტიტუტში. ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი. („ივერია," N213, 1903 წელი);

* * *

ექიმი ქალი მარიამ იოსელიანი, რომელმაც შარშან გაათავა დედათა სამკურნალო ინსტიტუტი, მოწვეულ იქმნა ორდინატორად ტფილისის საბებიო ინსტიტუტში. ქ-ნი იოსელიანი სწავლის გათავების შემდეგ ერთი წელიწადი ვარჯიშობდა პეტერბურგში. („ცნობის ფურცელი," N2227, 1903 წელი);

**პრესა**

ორის დღის წინად ჩვენ გადმოვბეჭდეთ მოსაზრებანი „რუსსკ. ვედომ."-სა იმის იმის შესახებ, თუ რამდენი და რაგვარი ნაკლულევანება აქვს რუსეთის საფაბრიკო კანონმდებლობას. სხვათა შორის, იქ აღნიშნული იყო, რომ ფაბრიკებზე მომუშავე ქალების შესახები კანონები უვარგისია, რადგან არ იცავენ მათ ჯანმრთელობას განსაკუთრებულის წესებით, როგორც მიღებულია უფრო განვითარებულ სახელმწიფოთა კანონმდებლობაში.

თუ რამდენად მავნებელია ამგვარ კანონების უქონლობა, გვიჩვენებს მედიაც. დ-რის პისმენის საყურადღებო გამოკვლევა: „რა გავლენა აქვს შთამომავლობაზე დედის მუშაობას ფაბრიკა-ქარხნებში." გაზეთ „რუსსკ. ვედომ."-ს სიტყვით, ბ. პისმენი თავის მოხსენებაში, რომელიც წაკითხულ იქმნა მოსკოვის საჰიგიენო საზოგადოებაში, ციფრებითა და უტყუარის საბუთებით ამტკიცებს, რომ დედათა მუშაობა ფაბრიკებსა და ქარხნებში დიდათ მავნებელია მათ შვილებისათვის. საგნის ბეჯითმა გამოკვლევამ ბ. პისმენი შემდეგში დაარწმუნა:

1) ქალების მუშაობას ფაბრიკებში ის ცუდი შედეგი მოჰყვება ხოლმე, რომ ერთი თვის ბავშვი ამ ქალებს 1/2%-ით უფრო მეტი უკვდება, ვიდრე სხვა პროფესიის ქალებს;
2) ფაბრიკებში მომუშავე და იქვე მცხოვრებ ქალებს 3½%-ით მეტი ბავშვი უკვდებათ;
3) ფაბრიკაში მომუშავე დედები, რომელთაც 1-3 წლის ბავშვები უყურადღებოდ ან სხვის ყურადღების ქვეშე ჰყავთ დატოვებული სახლში, 4%-ით მეტ ბავშვებსა ჰკარგავენ, ვიდრე გლეხის ქალები ან სხვა პროფესიით მცხოვრები დედები...

საზოგადოთ-კი, ფაბრიკის მუშებს შვილები ეხოცება 16%-ით მეტი, ვიდრე გლეხებს. რა-კი საფაბრიკო მუშაობა ასე ცუდათ მოქმედებს ქალებზე, აუცილებლად საჭირო ხდება მათ დასაცველად განსაკუთრებულის კანონების შემოღება. ამ კა-

ნონთა შორის ავტორი ასახელებს: მცირე წლოვან ბავშვებისათვის ფაბრიკებში თავშესაფარების მოწყობას და დედა-კაცის განთავისუფლებას მუშაობისაგან მშობიარობამდე და მშობიარობის შემდეგაც ექვსის კვირით. გარდა ამისა ავტორი დასძენს, რომ მუშების და მათ შორის მუშა-ქალების ინტერესების დასაცველად უსაჭიროეს ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს მუშათა ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაზღვევა სახელმწიფოს მიერ. („ცნობის ფურცელი," N2139, 1903 წელი);

* * *

ქალთა ჯანსაღობის მფარველ საზოგადოებას პეტერბურგში განუზრახავს დიდი სახლის აგება, რომელსაც პატარ-პატარა სადგომებად დაჰყოფს და მიაქირავებს თავის წევრებს. დამქირავებელი თანდათან თავისი სადგომის მესაკუთრე გახდება, უფლებაც ექმნება თავისი საკუთრება სხვას მიჰყიდოს. სახლის აგებას შუა ქალაქში აპირებენ. („ცნობის ფურცელი," N2222, 1903 წელი);

**რუსეთის ქრონიკა**

მოსკოვში არსდება მშრომელ ქალთა ურთი-ერთ დამხმარე საზოგადოება, რომელსაც აზრად ექმნება, დახმარება აღმოუჩინოს თავის წევრებს და მათ ოჯახს და გააუმჯობესოს მათი მდგომარეობა, რისთვისაც საზოგადოება საქმეს მოუძებნის უადგილოდ დარჩენილ წევრებს, მისცემს შემწეობას შვილების აღსაზდელად, გაუწევს საექიმო და იურიდიულ დახმარებას, ააგებს იაფ-ფასიან სადგომებსა და თავშესაფართ. საზოგადოების წევრებად მიიღებენ მხოლოდ ქალებს, რომელნიც რამე პროფესიონალურ შრომას ეწევიან. („კურ.") („ცნობის ფურცელი," N2367, 1903 წელი);

**ექიმ ქალთა კრება**

მომავალ წელს პეტერბურგში მოხდება ექიმ ქალთა კრება. განსახილველად დანიშნულ საგანთა შორის ყველაზე საგულისხმოა საგანი შესახებ იმისა, რომ ექიმ ქალებს პროფესორად ყოფნის ნება მიეცეთ. ექიმ ქალებს სურთ, რომ საქალებო საექიმო ინსტიტუტის გარდა, უნივერსიტეტებშიაც იყვნენ პროფესორებად. („ივერია," N265, 1904 წელი);

* * *

ქალთა ჯანმრთელობისათვის მზრუნველი საზოგადოება ამ მოკლე ხანში აარსებს პეტერბურგში განსაკუთრებულ კურსებს დედათათვის და საზოგადოდ ბავშვების აღმზრდელთათვის. („ცნობის ფურცელი," N2544, 1904 წელი);

* * *

კავკასიის საბებიო ინსტიტუტში მეორე რიგის მოსწავლეთა მისაღები ეგზამენები დაიწყება 2 სექტემბერს და ამ დროდან მისაღები თხოვნების მიღებაც მოისპობა. („ცნობის ფურცელი," N2594, 1904 წელი);

* * *

ქალთა სამკურნალო ინსტიტუტში პეტერბურგში 970 ქალს გამოუცხადებია შესვლის სურვილი; ამათგან მხოლოდ მეოთხედი ნაწილი მიუღიათ. („ცნობის ფურცელი,“ N2595, 1904 წელი);

**ფელეტონი**

**ფიზიოლოგოსთა მეექვსე საერთაშორისო კონგრესი**

დღეს, 17/30 აგვისტოს, ქალაქ ბრიუსელში დაიწყო ფიზიოლოგოსთა კონგრესი. კონგრესისტებს მასპინძლობს კოპწია და მოხდენილი სილვეის ინსტიტუტი, მყუდრო და მშვენიერ ლეოპოლდის პარკში აგებული.

